ლადო ასათიანი

ოფლისა და სისხლის ველი

თბილისი „მერანი“ 1985

823Гр
ხ 209

კრებულში თავმოყრილია ის საუკეთესო ჭრილებები ხალხური შემოქმედებისა, უფრო საქართველოს მთიანეთისა, რაც ჩვენმა ისტორიამ დღემდე შემოინახა.

ქართული ხალხური პოეზია მართლაც უკიდეგანო ზღვაა და სიტყვა „საუკეთესოც" რამდენადმე პირობითია, რადგან იმ მასალიდან, რაც ამ კრებულში ვერ შევიდა, ბარე კიდევ ორი სრულფასოვანი კრებულის შედგენა შეიძლებოდა.

წიგნში ქართული ხალხური პოეზიის ყველა ჟანრია მეტ-ნაკლებად წარმოდგენილი. გამოცემა ქართული მხატვრული სიტყვის, ქართული ლექსის მოყვარულთა ფართო წრისათვის არის გამიზნული.

სარედაქციო კოლეგია:

ბაარნოვი გ.
ინანიშვილი რ.
კიკნაძე ზ.
ნიშნიანიძე შ.
ფიკლაური ფ.

რედაქტორ-შემდგენელი
ალ. ფინჭარაული.

მხატვარი
ხ.ა. ცინცაძე

70403—178
გ ——————————69—85
M604(08)—85

© გამომცემლობა „მერანი"

„მარგალიტნი და თუალნი პატიოსანნი...“

„...ხალხური პოეზია ზღაპრული ჭა არის: რამდენიც უნდა იღო წყალი, მაინც არაფერი აკლდება“—წერდა ვახტან კოტეტიშვილი. ამ აზრის ეჭვშეუვალობა არაერთხელ დადასტურებულა ქართული ხალხური პოეზიის მაგალითზე: აგერ, მეორე საუკუნეა დავეძებთ ხალხური პოეზიის ნიმუშებს და კვლავ ახალ-ახალ უნიკალურ ლექს-სიმღერებს ვპოულობთ, რომელთა სიძველე საუკუნეებით განიზომება...

ყველასათვის ცნობილია, რომ მსოფლიო რეზონანსის შედევრები ვერ შეიქმნება ქვეყანაში, სადაც ხალხური პოეზია უაღრესად განვითარებული არ არის, რადგან, „რაც კი რამ დაწერილა დიდი და გენიალური, სათავე ხალხური შემოქმედების წიაღში ეძებნება“ (ვ. კოტეტიშვილი). „ქართლის ცხოვრებაში“ წერია: „ყრმანი მემროწლენი, განპებასა შინა ორნატთასა, თამარის ქებასა მოლექსეობდიანო“. სად გაქრა ის ლექსები? მართალია, შემოგვრჩა თამარ დედოფლის საქები ლექსები: „თამარ დედოფალი ვიყავ, თავი ზეცამდის ავიღე...“ „თამარს უამბო დედამა: შვილო, სიზმარი ვნახეო“... არის უფრო ძველი ლექსებიც: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა“, მაგრამ აქვეა ლექსი „პირდაპირ შამავხედევდი ციხის გალავნის პირსაო, ნეფე ყოფილას გორგასლამ, მშვილდ უპეხებაე გმირსაო“, რაც აშკარად გეიანდელია — გალავნიანმა ციხემ გაახსენა მელექსეს გორგასალი.

მაგრამ ეს ლექსები ხომ ენობრივად არ განსხვავდებიან? თურმე ესეც არ უნდა გაგვიკვირდეს. შევადაროთ ერთმანეთს აი, ეს ლექსები:

1. იხილეთ ესე ჟამი,
წავა ვითარცა წამი,
აწვე გავწმინდოთ გუამი.

2. მოდი, ვნახოთ ვენახი,
რამ შეჰამა ვენახი,
მიველ, ვნახე ვენახი,
თხამ შეჰამა ვენახი.

ორივე ხალხური ლექსია, ოღონდ პირველი მეცხრე საუკუნის პირველი ნახევრისაა — ატენის სიონის კედელზე წარწერილი, ენობრივად კი ამათ შორის არსებითი განსხვავება არ არის.

აი, რას ამბობს უძველესი ლექს-წარწერების გამშიფრავი ზ. ალექსიძე: „ეხლა უკვე მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ ქართული საერო მწერლობა არსებობდა XI ს-ზე გაცილებით ადრე და მისი ენა მაშინვე განსხვავდებოდა საეკლესიო მწერლობის ენისაგან. როდესაც ჩვენს წინაა IX ს-ის I ნახევრით დათარიღებული რითმიანი და ახალი პოეზიისათვის აუცილებელი კომპონენტით აღჭურვილი ლექსები, სრულიად გასაგები ხდება XII ს-ის საქართველოში რითმის ვირტუოზების არსებობა და „ვეფხისტყაოსანსაც“ ფესვები ეძებნება წინა საუკუნეებში. როგორც ჩანს, დღეს უკვე მეტი გაბედულებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული საერო რითმიანი პოეზია ეროვნულ ნიადაგზე არის აღმოცენებული და დასაბამს ქართულ ხალხურ პოეტურ მეტყველებაში პოულობს“ (ზ. ალექსიძე, ატენის სიონის ოთხი წარწერა, 1963, გვ. 21).

ახლა აღარ გვიკვირს ადიგენის რაიონის მოხის სასოფლო საბჭოს სოფ. ციხისუბანში ქვაზე 1103 წელს ამოკვეთილი ლექსი:

აჟაგე ესე კოშკები, დავდგი ღაგამად მტერთათვის,
ყოველგან დასახედავად ყოველთა—მრავალფერთათვის,
შუებამ, შაჰვამ და საწუთრომ — ღხინმა მისართა ერთათვის...

და აღარც XIII ს-ის შუა ხანების წარწერა ქობერში მხარგრძელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წევრის საფლავის ქვაზე:

გამოვედით სოფლისაგან ცუდქმნილნი და გამომკრთალნი,
გულსა ცეცხლი მომდებია, ამომდიან პირით ალნი;
დიდთა ჩემთა შუებათაგან დამრჩეს ჩოჯის ნაფერთალნი,
კურთხეულ ხარ, ქრისტე ღმერთო, შენ და შენი სამართალნი.

შვიდმარცვლიანი რიტმიანი და რითმიანი ლექსი, როგორც ჩანს, ისევე ძველია ქართულში, როგორც ექვსმარცვლიანი („მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი“) და ცხრამარცვლიანი ხევსურული ხმითნატირალი („ნეტავ სიკვდილსამც მისცა შვილიო, იმას სხვა სიკვდილ შამახყარაო“), მაგრამ ამათში უწინარესისა და შემდგომის გარჩევა გაჭირდება.

ხევსურეთში შემორჩენილია ასეთი საბავშვო თამაშობა: ბიჭს მარცხენა ხელში ჯოხი უჭირავს, მარჯვენაში — დანა. დანას ურტყამს ჯოხს და თან მღერის:

თოო,/ თოო,/ თორმე/ ტა,
თუ თორ/ მეტი/ ვერ დაგ/ კრა,
დანას/ ტარად/ ავე/ გა!

ინტონაციურად სტრიქონი ოთხ სეგმენტად და ორ მუხლად იყოფა: 2+2=4/2+1=3. სულ თორმეტი სეგმენტია და ჯოხზეც თორმეტი ნაჭდევი რჩება, მაგრამ მოთამაშეს შეუძლია სტრიქონი გაარვამარცვლიანოს ბოლოში ო-ს მიმატებით, ამით არაფერი არ შეიცვლება, მთავარი ის არის, რომ ეს თამაში იარაღიან ხელსაც ავარჯიშებს და პოეტურ ალღოსაც.

როგორც ჩანს, რუსთველის ეპოქაში მაინც რვამარცვლიანი ხალხური ლექსი დომინირებდა და სწორედ ამ საზომით დაიწერა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.

. . .

ფედერიკო გარსია ლორკა წერს: „ესპანეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სიკვდილი ეროვნულ სანახაობად იქცა“.

შატილში ხმა გავარდა: მტერმა ჯოგი გაიტაცაო. ბადურიცათ საყურა ანუ მეტსახელად „მოკლია“ მისმა ბიძაშვილმა, მისმა ტოლ-სწორმა თამარმა გააღვიძა: „მდევარი მიდის და არ ჩამორჩეო“. საყურა შუღლში სხვებს „გაღმეტდა“, თავი ისახელა, მაგრამ თვითონაც საკაცით მოასვენეს სასიკვდილოდ დაჭრილი. სულთმობრძავმა თამარს სთხოვა: „მე ვკვდები, ვი-

ცი, რომ ლამაზად დამიტირებ, მაგრამ მე ვეღარ გავიგონებ, ძალიან კი მინდა გაგონება შენის ნატირლისა". თამარმა: „ეგ ვის გაუგონავ, უანდრეზოს რად მავალებ?" „ჩემ ცოდო გქონდას, თუ არ მიტირ!" — ეუბნება ღიმილმორეული საყურა და თამარი ტირის:

„ბადურიკათით მადის გმინიო,
წუხად ხყავ კმარუაის შვილიო,
ურჩოი უჯირს ნატყვიარიო.
მოკლიას ამაუდის სულიო.
მდევართ წინ რად მიღმეტდებოდიო?
„ღედისერთა ვარ", რადარ სთქვიდიო?
მეშველაობით ვინ იძახდაო?
ქალ-ზალიც არ მიუდიოდაო...
მე გიყავ ძაღლმა, კუდიანმაო,
მე გაგაღვიძე მძინარაიო..."

„მადლობელი ვარ, თამარო, ეხლა კარგად მოვკვდები"-ო და დაემშვიდობა თამარსაც, იქ მყოფთაც და წუთისოფელსაც. არც ამ ამბავს და ლექსს აკლია სანახაობრიობა, აქაც სიკვდილს სიცოცხლე, სიყვარული და პოეზია ჯაბნის.

სხვა ადგილას გარსია ლორკა ესპანურ ხელოვნებასა და პოეზიაზე მსჯელობისას წერს: „გონგორას მუზამ და გარსილასოს ანგელოზმა უნდა დაუთმონ დაფნის გვირგვინი, როცა წმინდა ხუან დე ლა კრუსის ქაჯი ჩამოუვლის, როცა

„ბორცვის გადაღმიდან
მოჩანს დაკრიალი ირმის თავი".

მე მგონია, მუზა, ანგელოზი და ქაჯი რიგრიგობით ასხდებოდნენ მარჯვენა მხარზე ქართველ მოლექსეს და ათქმევინეს თითო სტრიქონი:

— სად იყავ, ხეირო ირემო, სად გაიბასრე სისხლითა?
— ალგეთით მოვალ, ბატონო, მთა გადმოვლახე ნისლითა,
დამკოდეს ხათუთისძეთა, ისარი მომაქვს კისრითა...

თითქოს იმ ხათუთისძის ნათქვამია მეორე ლექსი:

დილაზე დილაობითა ხარ-ირემს დავჰკარ ისარი,
მთას გადამიხდა მაღალსა, გადაწითლნა ქვიშანი,
სადრა-რა მოკვდა ტიალი, რქანი სადა სხენ მისანი?!

ქართული ხალხური პოეზია მრავალფეროვანია როგორც ფორმით, ისე შინაარსით: აკვნის სიმღერები, საბავშვო ლექსები, სამეურნეო (მისი ნაირ-ნაირი დარგებით), საისტორიო, საგმირო, სამონადირეო, სატრფიალო, ჭირ-ლხინისა, სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფია, რიტმული დატირებები, იუმორი და მრავალი სხვა. ცხადია, ამ მასალის მხოლოდ ნაწილი შეიდა ამ წიგნში.

მასალის ნაირ-ნაირობის გასათვალისწინებლად დავიმოწმებთ რამდენიმე ლექსს. ლექსის მუსიკალობა-რიტმულობისათვის:

შენი-დ' ჩემ ყოფა წაიდა, ერთურთსა ვნახაეთ გვიანა,
შენი-დ' ჩემ ცოდვა იმასა, ვინაც შენ გაგაქმრიანა!

— რაი კარგი ქალაია, ტანთ რო აცვია დარაია!
— თუ ქალი თავად არ ვარგა, დარაიაც არაიაა!

ქალიკელის ჭალთათაო, შაგავლიეს მთადამთაო,
შაგიმც მიწა ჩამოგიშლის ფაფანაგის კალთაპაო!

მომიტანა მოყვარემა ბოხჩა დალიანდაგული,
ეხლა დაეჯე ცეცხლთა პირსა, ეხლა დამიამდა გული.

მაჯამისათვის:

გადამაგდე და დამკარგე, როგორც ჩერქეზმა ისარი,
შენ ჩემ გულს ვეღარ მოიგებ, ჩემი სათქმელი ის არი.

არავინ იცის ცის ქვეშა, ვისი შვილი სჯობს, ვისი ძე,
ვისი მამული მუშაობს, ოხერ-ტიალად ვისი ძე.

ფერთა სიმბოლიკისათვის:

მოდიან შავნი ღრუბელნი თეთრის თოვლისა მთოვარნი,
ვაჰმე, რა ყროლნი მოდიან ლამაზის ქალის მთხოვარნი.

საოცარი სურათია: შავი ღრუბელი თეთრ თოვლს მოიტანს, შავი და გონჯი ბიჭი თოვლივით თეთრ ქალს წაიყვანს.

შავი ფერი თეთრთან ვერ მოვა, მაგრამ მასაც თავისი სილამაზე აქვს:

შავი ხარ, შავსა ცხენს ზისარ, შავი თაქალთო გიგია,
კუპრის პერანგი გაცვია, ზედ ნავთის ღილი გიბია,
გამოხვეულხარ ფარ-ხმალში, შუბზე ალმასი გიგია.

უნებლიედ გაგონდება მუხლი სოლომონის „ქებათა-ქებადან“: „შავ ვარ და შუენიერ, ასულნო იერუსალიმისნო, ვითარცა საყოფელნი კედარისანი“.

მაგრამ თეთრფეროვანთა სიამაყე უფრო პრეტენზიულია:

თეთრი ვარ, თეთრსა მინდორზე თეთრსა დავიცემ კარავსა,
მე, შენი დაწუნებული, ყეინს არ მივსცემ სალამსა!...
შაევრცხლდებიან დალანი, გული გაამხელს არასა,
შავს მიწას გავუზიარებ წლობით ნაგროვალ ცარამსა...

კონტრასტებისათვის:

რამდენადაც დიდი პრეტენზია და ფანტაზიაა ამ ნატვრაში:

ნეტავი ნატვრა მანატრა, ეს ნატვრა ამიხდინაო:
ოქროს სასახლე ამიგო, ვერცხლის ფანჯრითა წინაო,
მუხრანბატონი ყმათ მამცა, ამილახვარი შინაო,
მამცა ყეინის უღური, ხონთქართან გამიდინაო,
ჩერქეზის ქალსა აქებენ, ის გვერდით მომიწვინაო.
კახური ღვინო წითელი მილებით მომიდინაო,
მუკუზნის ღვინით დამათრო, ახმეტას დამაძინაო,
თორმეტი კოდი კორკოტი ერთ ჯერად გამიჩინაო,
ლალისყურის გალავანი ჯამათ დამედგა წინაო;
სადაც დიდი ჭანდარია, კოკზათაც მამცა შინაო!

იმდენად მარტივი, რეალური და სევდანარევი ღიმილის მომგვრელია სხვა ნატვრა:

ღმერთო, შამასწარ დროებას, წინ დაუძღოდე ღორებსა,
საჭმელი ბევრი ეყაროს, ვიჯდე და ვთლიდე სოლებსა!

ჰეშმარიტად ზღვარდაუდებელია ქართველი კაცის პოეტური გენიის მიმართება გარესამყაროსთან და ამ გარესამყაროს გათავისებისა და გასულიერების უნარი:

ნეტავი ნისლად მაქცია, გადმოვიღლიდი ქარითა,
იქ დავიწყებდი წვიმასა, სადაც შენა ხნავ ხარითა!

თქვენთან მეწადა, არწივნო, სმა-ჭამა, ლხინი გრძელია,
რა დადგას უდარობაი, დამაფარნიდით თბენია!

როგორც ვთქვით, ბევრი ასეთი ღირსების მარგალიტი ვერ მოხვდა ამ წიგნში, მაგრამ ასეთი კრებულის გამოცემას უდავოდ აქვს გამართლება: „მარგალიტნი და თუალნი პატიოსანნი, მიმოგანბნეულ რა იყვნენ თანააღრეევით მიწასა, არა ესრეთ ბრწყინვენ“ (სერაპიონ ზარზმელი).

ალ. ფინჭარაული



მუმლი მუხასაო

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუმლი ქრებოდაო,
მუმლი წყდებოდაო,
ხე არ ხმებოდაო.
მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუხა დამძიმდაო,
წყალში ჩავარდაო.
წყალი შეგუბდაო,
ნაპირს გადვიდაო,
მუმლი შეწუხდაო,
მალე დაიხრჩვაო,
მუმლი დაიხრჩვაო,
მუხა გადარჩაო.

მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი
მოციმციმე ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.

მზე და მთვარე

ნათელმა მთვარემა ბრძანა: „ბევრით მე ვჯობივარ მზესა!“
დაჯდა, დასწერა წიგნები, ზენა ქარი მიართმევსა,
მზეს რომ კაცი მიუვიდა, მზე ძალიან გაჯავრდესა:
„მე და ვარ და ის ძმა არის, რად ვძულდებით ერთმანეთსა?!
ავი ამინდი რომ დადგეს, ის ხომ ვერ გააშრობს გზებსა;
მცივანა კაცს ვერ გაათბობს, თუ არ დაანთებდა ცეცხლსა;
თუ ეს სიტყვა მართალია, ჰკითხევით ღამის მეხრესა“.
ღამის მეხრე დაიბარეს, ულვაშებზედ ისვამს ხელსა.
„დაჯექ ბიჭო, სწორედა თქვი, თორემ მოგცემთ სატანჯველსა“.
დასვეს და ალაპარაკეს, მეუფე ყურს დაუგდებსა.
„მე უმზეოდა ვერ გავძლებ, ღამით კი გავტეხავ ბნელსა;
დღისით შევზვერავ ბალახებს, ღამით მივრეკ საქონელსა“.
ერთი მაზარა უბოძეს: „ღამით მავალია ესა“.
ღვინოზე კაცი გაგზავნეს, ორივე შეარიგესა.
ცისკარი მოჩანჩალებდა, თავისს ტყავსა მოათრევსა;
„გათენებისას ამოდის!“ — პანღური ჰკრეს, გააგდესა,
შუქურ-ვარსკვლავი მობრძანდა, ის ძალიან დაათრესა,
ხალათი გამოუცვალეს, კაი ჩოხა ჩააცვესა.

ქრისტელმერთი და ეშმაკები

გააჩინა ქრისტელმერთმა ცა რგვალი და მიწა ხმელი.
გარშემო ზღვა შემოჰხვია, შუა დარგო ალვის ხენი.
შიგ სამყედლო ააშენა, მოუმართა საბერველი,
რკინის ქეტებ დააკეთა ჯოჯოხეთის საქცეველი.
სამი კუთხე დააქცია, მეოთხეს რო მიჰყო ხელი,
გადმოუდგენ ეშმაკები: „სიტყვა მაიხსენე ჩვენი:
თუ მეოთხეც დააქციე, ლოცვა არ იქნება შენი!“
გამობრუნდა ქრისტელმერთი, შუბლზე გადაისვა ხელი,
მაიწმინდა ცხელი ოფლი, მიწას გაუდინა წვენი:
— დახედე ამ რჯულძაღლებსა, რაზედ მამიშალეს ხელი!

ლილე

ლილევოდა, დიდება შენდა, დიდება შენდა, ზეციერო!

ოქროსი გიდგას სრა-სასახლე, გარს აკრავს ოქროს გალავანი,
გალავნის ძირას ირმებია, ქიმ-ქონგურაზე — შევარდნები.
შენს სალმრთო ხარებს, მეუფეო, რქები ადგათ — რქები ოქროსი,
იალაღებზე ბუღრაობენ, ირყევიან დიდი ქედები.
ნებიერი შენი ვერძები რქებით ერთმანეთს აწყდებიან,
მთათა იმსხვრევა ხერხემალი, ქანაობენ მძიმე ბურჯები.
ლილევოდა, დიდება შენდა, ბნელი ახლო ვერ გეკარება,
ზღვასა და ხმელზე დაგიყრია მოელვარე სამკაულები.

ლილევოდა, დიდება შენდა, დიდება შენდა, ზეციერო!

ხატობა ჰქონდა ენწის სვიმრას, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
საყდრად დაბრძანდა საყდრიონი, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
საკურთხეველზე ძღვენი დადო, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
სავედრებელი იგალობა, ბაილ ილბა და ილბა ბაილ.

ბეთქილი — დიდი მონადირე, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
ფერხულს უვლიდა მხიარული, ბაილ ილბა და ილბა ბაილ.

წრეში შემოხტა თეთრი შუნი, ოქროს რქებით შემოანათა,
წრეში შემოხტა, დატრიალდა, ბეთქილს გაუსხლტა ლაჯებშუა.
ალბათ ბეთქილის მისანია, მისანია და ბედისწერა:
ძნელია დალის სიყვარული, წმინდად უნდა მოვლა-შენახვა.
„ვინ იქნება შუნის მდევარი?“ „შუნის მდევარი მე ვიქნები!“
მშვილდს აიღებს ხელში ბეთქილი, შუნს ნაკვალევში
ჩაუდგება.
წინ გზა მიუდის სამარხილე, უკან ბილიკიც იკარგება;
მხოლოდ ტინები აზიდულან, — რუხი სვეტები ლაკვრაშისა.
უეცრად გაქრა თეთრი შუნი, შემკრთალი შედგა მონადირე.
მღვიმიდან დალი გამობრძანდა, ოქროს თმები მხრებზე ეფინა.

„ბეთქილ, სადა გაქეს ჩემი მძივი?“ „შენი მძივი შინ
დამრჩენია“.
„დასტოვე განა ჩემი მძივი საკუთარ სარძლოს სასთუმალქვეშ?,
ეს რა გიქნია, უბედურო, რა ძნელი ცოდვა გიტვირთია!“

. . . . . .

ბეთქილი — დიდი მონადირე, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
ნაპრალის პირას დაკიდულა, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
მარჯვენა ხელით დაკიდულა, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
მარცხენა ფეხით დაკიდულა, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
მაღლა ღრუბლები ირევიან, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
ძირს უფსკრულები ჭანაობენ, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
თავზე ყორნები დასჩხავიან, ხევში მგლები გაბმით ყმუიან,
მალე ცხედარს მოიხელებენ, მიუსხდებიან სანადიმოდ...

ბეთქილმა მაღლა გაიხედა, გზად მონადირე მოდიოდა,
„სოფელში ჩადი, მონადირევ, გლოვის ამბავი ჩაიტანე;
დედაჩემს უთხარ, მონადირევ, შავად შეღებოს თავმანდილი;
მამაჩემს უთხარ, მონადირევ, საკურთხი სუფრა გამიმზადოს;
ძმებს უთხარ, ზარით წამასვენონ, მგლების ლუკმად ნუ
დამაგდებენ
დებს უთხარ, თალხით შეიმოსონ, დალალ-კავები მოიკვეცონ;
თამარს, ჩემს სარძლოს ასე უთხარ, ჩუმ-ჩუმად მაინც
დამიტიროს,
დამინთოს ცრემლის კელაპტარი, სულეთის გზები ჩამინათოს“.

. . . . . .

ბეთქილი კლდეზე გადმოეშვა, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
ბნელ უფსკრულში ჩაიკარგა, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
ძნელია დალის სიყვარული, ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
ძნელია დალის სიყვარული, წმინდად უნდა მოვლა-შენახვა.

იახსარი

ღვთის კარზე შავიყარენით სამოცდა სამი ხატია,
დაგვიდგეს სასწორ-ჩარექი, კვირავ, გვიჭირე თვალიაl
სამოც ლიტრასა რკინასა ვერვინ შაუგდო ქარია.
ქვემოთით დავჯე ტახტზედა, ყველას ჩემზე აქვ თვალია:
— მაგას იახსარ აიღებს, არაგვის მხრისა არიაl
ავწიე, ასე ავიღე, ქვეშ გაუტარე ქარია.
მაჩუქა დამბადებელმა მშვილდი და საომარიაl
შაიყრებიან დევები, სადაც დიდ მეედანია,
გააჩიგებენ იმასა: „ერთურთს უჭიროთ მხარიაl
ღთიშვილთ კოპალა მაუკლათ, თავში დაუცნეთ ქვანიაl“
ჩამეეტია კოპალა, ცხვრებულა გასჭრა თავიაl
შვიდი წლის ქალი თამარი ნეფე თქვეს, დედუფალიაl
საყაჭეს წმინდა გიორგი ყველაზე მეომარია.
თუ დევებს ჩამეეტია, ვაი მაგათი ბრალიაl

ავის-გორს სახს იშენებენ დევები ცხრანი ძმანია,
დედა ჰყოლიყოთ ცხრათავი, ცხრის ვაჟის დედა ქალია.
დევებსა ჰქონდა ქორწილი, სიმურ ეჩქვიფნენ წყალსია.
ოთაეს ედგა სალუდე ქობი, მეც იმათ მამცეს ზავია.
ფალავნად გამამიყვანეს ღთის შვილთა იახსარია.
მიეგღირე და ვერ მიველ, პირს დავიწერე ჯვარია.
იმას ამბობენ ღვთის შვილნი: — რას შვრება იახსარია?!
საკმისას ლახტი ვესროლე, თავს დავაქციე ბანია...
ერთ კიდევ გამაჰქცევიყო, გამეემტვრია კარია.
კოჭლა გამექცა პირთავქვე, კლდეს მაიფარა თავია.
კლდე ოთხად გავანაფოტე, დევს გამოვთხარე თვალია.
სულელს კარგადა სცოდნიყო ბაზალეთურნი ტბანია.
გამექცა, შიგ ჩამივარდა, თან ჩავყევ იახსარია.
ამოსვლით ვეღარ ამოველ, სისხლმა გამიბა მხარნია.
ცხრას წელს ეძებეს ჩემს ყმათა ოთხრქა-ოთხყურა ცხვარიო,
დაკლიან ტბისა პირზედა, ღმერთო, დასწერე ჯვარიო!
შამოეხე ბროლის ჭვაზედა, შამოვიბერტყენ მხარნიო.
დავკვლიე ჩემსა ნაჯდომსა, რა ჭრელნი დარჩნენ ქვანიო!
შვიდი წლის ქალი თამარი ნეფე თქვეს დედუფალიო!
ზღვის პირზე შევიყარენით, შაგვეჭნა საუბარიო.
ზღვასა გადაჰკრა ლეჩაქი, გადააქანა ზღვანიო.
შუა ზღვას ჩადგა სამანი: „არ გადაჰცილდეს ცვარიო!“
კლდეზე გამართა ქალაქი, შააბა რკინის კარიო:
შიგ ააშენა სიონი, დაადგა ოქროს ჯვარიო!
ურჯულოთი და თათართი ყველათ სარწმუნომც არიო!
კარატით კარატეს მამცა თოკი ზედ გასავალიო,
ასე გავიდი თოკზედა, ვერვინ მამკიდის თვალიო.
მიტანილ გამამიგორდა ჩემი პატარა ზარიო...
დავკარ, ხმა ახადს გავარდა, იქ დაიწერონ ჯვარიო.
ლოცვა-წირვაზე დადგოდენ ჩემნი პირქუშნი ყმანიო!
ავის-გორს შამიკიდოდით ჩემი პატარა ზარიო,
მიდუღეთ სალუდე ქობი, ყმანო, გეწეროსთ ჯვარიო!

ვეშაპის საჩუქარი

თუშებ ჰაბრილოს წავიდენ, ვერა გაიგეს გზისაო.
დაგცილდა, მექობაურო, ამოსავლეთი მზისაო.
ვეშაპის ნავალს შამაჰხვდნენ, ნათარ ეგონა ხისაო.
წამაურბინა ვეშაპმა, თუშებ თან მაუდისაო.
გარს შამეერტყა ვეშაპი, აღარა გაუდისაო.
ვეშაპი ვეშაპს შამაჰხვდა, დაქცევა მაჰხდა ცისაო.
„დაჰკარით, თუშიშვილებო, დღე გაგითენდათ ცდისაო!“
ბექობაურის ფრანგული ვეშაპს ორაზე სჭრისაო.
გადააზმანის, გადაჰკრის, ნაკოდლებ გადადისაო.
ვეშაპს რარიგად მაჰკლავდნენ? — ბრძანება იყო ღვთისაო..

ალვა

ჩვენის ხთიშვილის კარზედა ხე ალვა ამასულაო,
წვერად მაუსხამ ყურძენი, საჭმელად ჩამოსულაო.
მაგის უჭმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულაო.

ლომისის ლომნი

ხოროშან ლაშქრად ვიყვენით ჩვენ ლომნი ლომისისანი,
იქ გავიგონეთ ჟღერანი ჟამურ ბერციხის კლდისანი.
მუხლი გვქონდა და ვიხმარეთ ამ ჩემის ჭარმაგისანი,
სადილით სამხრობამდისა ჟამურს დავლახეთ ქვიშანი,
შვიდნი ჩვენ — შვიდას ქსნელები სისხლის ტბად
შევიყარენით,
გა'მჭრა ი შაბათის ძალმა, ბარდაბარ გავიყარენით.

ლაშარის-ჯვარის ლურჯა

ლაშარის-ჯვარის ლურჯასა ფაფარ ასხავის გიშლისა;
ნახანის გეემართება, კოტორ გაჰყვება ნისლისა,
მიუვა თავის მოყმეთა, რო ხან არ იყოს მისვლისა.

დევების ქორწილი

წამავალ სანადიროდა, ჯიხვებს დაუწყებ ჭერასა;
შამავხვდი დევებისასა ვაი-ვაგლახსა, მღერასა.
ახალზალ მაუყვანავის, აქორწილებდეს ბერასა.
მიაც იქ დამიპატიჯეს, უყურეთ ბედისწერასა!
„უძახეთ ახალუხლებსა, ნუ ვის გასწირავთ, ყველასა!
ნუ აწევთ ბოდახევლებსა, –– ითრევენ ძაღლის ენასა“.
მავიდა ახალუხლები, ზოგ მე დამიწყებს ბღვერასა:
„ეს საითა-ღ ვინ მასთარეთ, ჩვენებსავით რომ ვერ ასა?“
მასპინძელ გაუჯავრდების: „ქორწილ უხარის ყველასა“.
ერთ რაიმ რქიან მავიდა, კუდი ღბავ როგორც მელასა,
თვალ უზის შუა შუბლშია, საცრისოდენ კი ვერ ასა,
მეორე — კუჭულაშია, უკენისკენაც ხენასა.
იქ რაიც ჭურჭლებ ჩამადგეს, აქ მე ვერ ვათქმევ ენ.სა.
„დიდიდებ ყანწებ მაგვართვი!“ ეძახდეს მამასწვერასა.
„შაუნდნას ჩამავლეული, ვინც რომ დააკლდა ბერასა!“
მაიღით სამამკვეთროი, ვერ ხქმაობს მამლაყვერასა“.
ერთ ჯიხვის რქა კი გადასვა, ვხედავ, გუნებას ვერ ასა.
გადაიწურნა ჭურჭელნი, დაცალნა, დახკრნა კერასა;
შამახკრა ჭიბიხოელმა: „ეხლა გიტირებ ყველასა!“
„დახკარით!“ მყოლებ იძახან, „ჭერნ აუყუდნათ ბერასა!“
მე რო მაგათ შუღლს შავესწვერ, მაგათ ფარ-ხმლების
ჯღერასა,
ერთუცისაკე ზიდილსა, მაგათ ქურების ბერვასა!
ერთ რაიმ ნიგუზს იბრუნებს, სხვა ეზიდების კერასა.
„რაიც რო შასვით, შაშჭამეთ, ცეცხლად მაგიქცევთ ყველასა!“

დადგა ქალების წკმუტუნი: „ვერ ვიჭერთ მამასწვერასა!“
ერთ რამამ სახნის მაიღა, ჩადვა ქაქეშჩი, ღბერავსა;
სხვამ დასცა წიხლი იმ დროსა, თავ შაუგლივა კერასა.
წამამხტარმ წამაიყოლა, გაშანთებულ კი ვერ ასა.
ლაშთა ზდვა გაბრუნებული, ცეცხლი მაედვა ენასა.
ხანჯართ დაიწყეს პრიალი: „ბებერსაც გვიკვლენ პელასა“.
მე კი საკვმისას გამავძვერ, — დევებს ვეკვლევი ვერასა.

—

ეგ თქვენის გამარჯვებისა! სრუ მართალს ვამბობ ყველასა.

ამირანი

ათი მთა გადავიარე, მეოერთმეტე ალგეთისა;
გაეხედე და ციხე ვნახე, ნაგებ იყო ბროლის ქვისა;
შეიდ დღე-ღამეს გარს უარე, კარი ვერ ვიპოვე მისა;
კარი იქითა ჰქონიყო, წინწინ მზე რომ დაჰკრავს პირსა;
შიგ რომ მკვდარი წოლილიყო, შესაბრალი იყო ისა;
გვერდით ეჯდა თავის დედა, ბრალად დასტიროდა შვილსა;
ფეხთით ეჯდა თავის ცოლი, ცრემლად იღვრებოდა ისა...
გულზედ ედვა თავის ხმალი, პირი ჰქონდა ალმასისა;
თავით ება თავის ცხენი, ტოტზედა დგებოდა ისა;
ხელში ეჭირა ქაღალდი, ჭრელად დაწერილი ისა;
წავიკითხე, ის ეწერა: „ძმისწული ვარ უსუპისა...
დევსა ბაყბაყს ვერ შაევები, ვაჰმე, ჩამყვა ჯავრი მისა!
ვინაც იმის ჯავრს ამამყრის, ჩემი ხმალი ალალ მისა!“

ნუ, ამირან, ძმათა მზესა, ნურა გინდა ნურავისა,
ხვალ გმირები დაიწყებენ: „მკვდარი გაუცვრცია სხვისა...“
გამოდი და გამოხურე სარკმელი და კარი მისა...

ამირანმა თქვა

ბევრი ბექთარი გავსცვითე, ბევრიც დამაჭრეს თავზედა,
ვასწორე ზღვა და ხმელეთი დევების მუქარაზედა.
რამდენი მავნე გავსრისე, მარსკვლავ სად არის ცაზედა!
ვერ დააჭარბებთ ამირანს, ძმანო, გმირობის ქნაზედა!
სხვა ყველა გამიკეთებავ, ხიდ კი ვერ გავსდევ ზღვაზედა.

სამუხრანოს

ჩავხენე სამუხრანოსა, ხარნი ირემნი რბიანა,
დარეჯანისძევ, ჩაუხედ, ხმალნ შენნ კი უფრო ჭრიანა;
ჩავ და ამირანი — ირემნი ბუსნას გლიანა.

ამირანი და ჩრდილოელი

ამირან და ჩრდილოელი ორნივ ისხდენ წყლისა პირსა,
ამირანი ხმალსა ლესავს, ჩრდილოელი უწყობს პირსა,
დაერეცხათ პერანგები, დაეფინათ მზისა პირსა.
ბერიკაცი მოდიოდა, ნელა მააგოგებს ვირსა.
ამირანი წამოფრინდა, თავ მაუჭრა ყურის ძირსა.
ჩივის, ტირის ბერიკაცი: „ჩემი ვირი დიდად ღირსა!“
„რა გატირებს, ბერიკაცო, მოგარჩინე დიდსა ჭირსა,
ეგ რო წყალში შაგეყვანა, გადმოგიღებს, დაგცემს ძირსა.
ეგ რო წაგეყვანა შინა, დაგიჭამდა ცოლსა-შვილსა“.
ამირანი აძლევს ცხენსა, ათიათას თუმნად ღირსა.
ჩრდილოელი ჩოხას აძლევს, ზედ დაუკრავს ოქროს ღილსა.
„წადი, ცოლთან დაიკვეხე: «ეს წავართვი ორსა გმირსა!»“.

დევთას სასტუმროდ

დევთას სასტუმროდ მიეედით, ამირანს პური შიოდა;
ქადა დობილთად ნაქნარი ცეცხლშიგ ეცხვა და შხიოდა;
გამაიღეს და გაკვეთეს, შიგ კაცის ხელ-ფეხ ცვიოდა;
სასმელად დოი მაგვართვეს, გველი და მყვარი დიოდა;
უსმელ-უჭმელად დავძეღით, წინაც ყელთ ამაგვდიოდა;
ამირანს მაგათ ჯავრითა თვალთ სისხლი გარმაზდიოდა.

ადეი

ადე, აშავდი, ამირან, ცხენს დაუყარე ღანძილი,
დიაცის დაწუნებულსა ტირილი გინდა, გან ძილი?!

ვინ სად სჯობია

დარბას შასავლად ბადრი ჯობ, ეგ უფრო მშვენიერია;
ხელით საბძოლად — უსიპი, მკლავებში ღონიერია;
სახმლედ თუ გახდა — ამირან, ხმლით ეგ უფრო ხანიერია.

მაშინ სად იყავ?

მაშინ სად იყავ, შავ-ბადრო, როცა ჩემ ხმალი წრთებოდა,
ცა ჰექდა, მიწა გრგვინავდა, სამჭედლო ექანებოდა,
მჭედელი, მემჭედურები ერთმანეთს ეფარებოდა?!

ბადრმა თქვა: „მტერთა რა უყვა ამყველას დაბვავებულსა?“
ამირანმა თქვა: „ხმალსა ვხკრავ, მახვილსა დაფხავებულსა!“

ბადრი და ამირანი

ბადრმა თქვა: „დავილიენით, ნაქნარნ ორთ უბედურთანი!“
ამირანმ: „ნუ დავილევით, განა ნაშრობნ ორთ ფურთანი?!“

ყურშაო

ყურშა გავგზავნე, გავგზავნე სანადიროსაო, შავო,
ყურშა მოვა და მოგვიტანს სასადილოსაო, შავო.
ყურშასაც დააგვიანდა, დააგვიანდაო, შავო.
ყურშას კუალსაც გაუდექი, გაუდექიო, შავო,
ყურშას ნახტომი, ნახტომი, შავო,
ქვეყნის ოდენი, ოდენი, შავო;
ყურშას ტატები, ტატები, შავო,
კალოს ოდენი, ოდენი, შავო;
ყურშას თვალები, თვალები, შავო,
მთვარის ოდენი, ოდენი, შავო;
ყურშას თვალები, თვალები, შავო,
გველის ოდენი, ოდენი, შავო;
ყურშას კბილები, კბილები, შავო,
ყურშაო, შავო, ყურშაო, შავო!
ყურშას კვალსაც გადავყევი, შავო,
ყურშას კვალიც გადამიძღვა, შავო,
მაღალსა კლდესა შემიძღვა, შავო;
ყურშაო, შავო, ყურშაო, შავო!

თოვლი შევკიბე, შევედი, შავო.
ყურშა მოვკალ და წინ მიდევს, შავო,
ყურშაო, შავო, ყურშაო, შავო!
ხორციც არ მიჭამიაო, შავო,
რჯულიც არ დამიგდიაო, შავო!
ცოლი და შვილი მომგვარეთ, შავო,
ისთე ჩამოვალ, ჩამოვალ, შავო.
ყურშაო, შავო, ყურშაო, შავო!
ქვეშ საგებელი მიწივეთ, შავო,
ისთე ჩამოვალ, ჩამოვალ, შავო,
თოფი ლეკურიც მიწივეთ, შავო,
ისთე ჩამოვალ, ჩამოვალ, შავო,
ყურშაო, შავო, ყურშაო, შავო!

ყურშა

გათენდი, (ნუმც გასთედები!), დიდო ღამეო სთვლისაო!
ამახედ. (ნუმც ამახდები!), სისკარო თენებისაო!
ჩაიარე და ჩახყეფნე, ყურშიავ პატრონისაო,
კლდეთა გიკიდავ პატრონი ფურბერწის საბანდითაო,
ღამეთ ათენებს თეთრადა ცალქერქის პერანგითაო.
...ესრევენ, ჩამააგდებენ ძმობილის მაკრატლითაო.

ტარიელი

ქაჯთა თქვეს ტარიელისა: „ეს საქმე მისეულია!
თორმეტი რაზა რკინისა სულ მინდორთ მისრეულია“.
„...ისევ იომებს ვაჟკაცი, ვინაც ომს მიჩვეულია.

ტარიელ და ავთანდილი

ტარიელმ, ავთანდილამა მადეზნეს ცხენნი ძნელადა.
სახმლედ სჯობ ტარიელაი, გაიყვანს მტერსა ველადა,
ჯანით კი ოთანდილა ჯობ, — შაუარდების ხელადა.

ავთანდილ გადინადირა

ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი, ტყიანი;
ვერც მოჰკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი;
შველსა ჰკრა გამოფრენილსა ისარი ორბისფრთიანი;
ცხენის ტახტაზე დაჰკიდა ტყავგაუხდელი, მთლიანი;
ჩამოხტა ტყისა პირადა, ცეცხლი დაანთო ძლიარი,
დაჯდა, დათალა შამფური, მწვადი ააგო ცერიანი.

●

— სრული გმირი ხარ, ტარიელ, ჯაყი დუშმანთგან
გედება.
— გავუძლებ, ავთანდილის მზემ! — ცეცხლად ხო
არ მამედება?!

აწი თქვენ იცით

ათასი კაბა ყმა მყავდა, ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა, ვასმევდი ბროლის ჭიქითა;
ვინც კი შემება, შევები ალალითა და ჯიქითა.
აწი თქვენ იცით, მეფენო, ვინც დარჩით ამას იქითა.

ვახტანგ მეფე

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა,
ალანებში გადავიდა, ჩერქეზები გადარეკა.

გორგასალი

პირდაპირ შამავხვდევედი ციხის გალავნის პირსაო.
ნეფე ყოფილას გორგასლამ, მშვილდ უპეხებავ გმირსაო.

თამარ მეფე

თამარს უამბო დედამა: „შვილო, სიზმარი ენახეო,
საწუთროს ჯამში ჩავხედე, ქვეყანა დავინახეო, —
შენ(ი) იყო მთელი ხმელეთი, შაგნებით შაინახეო!“

თამარი

თამარ მეფე და ხონთქარი მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი, ზედ ალმასები დაჰკიდა,
შიგ ჩასვა ქართველთ ლაშქარი, მრავალს წყალობას დაჰპირდა.

●

ლატალს მობრძანდა თამარი, ლაჰლას ნათელი მოჰფინა.
„სვანეთი ვაკე მეგონა, სულ მთა და გორი ყოფილა!“

●

ჰოი, სიხარულო, თამარ დედოფალო,
ყველაზე ლამაზო, თამარ დედოფალო,
კბილი — მარგალიტი, თვალ-წარბი — გიშერი,
შავი დალალები აბრეშუმისა;
თავზე — მუზარადი, წელზე — ჯავარდენი,
ატლასის კაბაზე — რკინის აბჯარი;
ცხენი — ქვიშისფერი, ლაგამი — ოქროსი,
ლაგამი ოქროსი, ტახტი — ვერცხლისა.
ეცერს მობრძანდები, თამარ დედოფალო,
თამარ დედოფალო, თაამარალი,
ყველგან წვიმაა და ყველგან თოვლია,
ეცერის ვაკეზე მზე დგას ცხრათვალა.



თამარ მეფევ, თამარე, სად ყოფილხარ, თამარე?
ვის ეომე, ვინ დარისხე, ვინ დაამხე, თამარე?
მტერი დაგიმარცხებია, დავლით მოხვალ, თამარე,
სვანეთს მოხვალ, დავლით მოხვალ, ძლევით მოხვალ, თამარე.

თამარის ციხე

თამარ მეფემ ამაშენა სისხლის წვიმის წინა წელსა,
ნარიყლიდან ქვას ეზიდნენ, ხელმა მიაწოდა ხელსა.
ოთხი საკირე მომინდა, მეხუთე ძლივს მაბამს წვერსა!

თამარ დედოფალი ვიყავ

თამარ დედოფალი ვიყავ, თავი ზეცამდის ავიღე,
ზღვაში ჩავყარე სამნები, ხმელეთი ჩემსკენ დავიგდე;
ქაჯებსა დავდე იჯარა, ისპაანს ხარჯი ავიღე,
სტამბულს ხმალი ვკარ, დარუბანდს, შამს საბალახე ავიღე,
უსიერი მთა გავკაფე, დიდი შარაგზა გავიღე;
ღადა-ღუდა ტყე ვიარე, ქვაზე საყდარი ავიგე...
ამდენი საქმის მოქმედმა ცხრა ადლი ტილო წავიღე.

ერეკლე

ბატონიშვილს ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა, თრიალეთზე უძოვნია,
საჩალეში გადუგდიათ, მონადირეს უპოვნია.

ერეკლეს ხმალი

მეფე ერეკლემ დასჭივლა იმ თავის გორდა ხმალსაო:
„შენ რაღას მეტყვი, ფრანგულო, რატომ არ მაძლევ ხმასაო?!
უშიშრად შემომიტიე, მკლავში მიმატე ძალსაო,
გაკვეთა ჩემზე მოაგდე, სად გაუგორებ თავსაო!“

●

მეფის ერეკლეს დროშია შორს გავრეკნოდი ძროხანი,
წავწოდი, წავიძინოდი, წავიხურნოდი ჩოხანი.

მაღლის მაღალსა მთაზედა

მაღლის მაღალსა მთაზედა კურდღლისა სისხლი მდგარიყო,
ჩამოჩვეულა არწივი, უსვამ და ვერა მძღარიყო.
ერეკლე ბატონიშვილი ნაურვალ ცხენზე მჯდარიყო,
შამაუვლია ხმელეთი, მაშინღა ჩამომხდარიყო.

ერეკლე და აბდული

აბდულის ყარაულები ქალაქის ხიდზე მდგარაო;
მანდით აყრილა აბდული, დიღომჩი გადმომდგარაო.
ერეკლეს კაცსა უღალავს: „ერეკლევ, ჩემო ლალაო,
გამამილალე სურსათი, ჩემი ქალაქის ღალაო!“
ეგ რო ერეკლემ გაიგო, სიცილით გამაძღარაო:
„რა ქნა მა წითელ მელამა? ტყავ კარზე მამიტანაო!“
გონსა მოვიდა მთიული, ეგრ რო ი ღორის ფარაო.
ვაჟები თიანელები ჩაიჭრეს კარავთანაო,
ჩაჭრეს, ჩაკაფეს კარავი, ჩაყარეს ფარი-ფარაო.
ეუბნებოდეს ოსები: „კარგი, მთიულო, კმარაო!“
გამოქცეული აბდული სამშვილდეს ჩამომდგარაო.
წამაეგება დიაცი: „ბიჭო, რამ აგაჩქარაო?“
„სუ დამიღუპა ჯარები, მანდ რო ერეკლე მდგარაო“.

●

ერეკლემ ცხენს შეუტია, ხევზე გახადა თქაფანი,
ხევ-ღელე ლეშით აამსო, ცხენს შეუღება ფაფარი.

ცა და ქვეყანა დაღრუბლა

ცა და ქვეყანა დაღრუბლა, სულ დედამიწა ღვარაო.
ერეკლე აწყვერს მოსულა, შვიდი დღე-ღამე მდგარაო.
ერეკლე აწყვერს ვერ დადგა, ჯავახეთს გაეჩქარაო,
ასპინძის ბოლოს ავიდა, დელიბაშს დაეხალაო.
აქაც გამართეს დოგუში, დელიბაშს უყო ძალაო.
რუსმა აართვა ღალატი, ქურდულებ გაიპარაო.
ერეკლემ გადმოიხედა, ცრემლები გადმოჰყარაო.

„მაცადე, ჩემო ბერქვენო, მაცადე, ჩემო ლალაო!
მრავალ დოგუშს გაგიმართავ, თუ ღმერთმა დამაცალაო!“
აშურმიანი ლეკები უკუღმა წყალში ყარაო,
იმათი თოფ-იარაღი ქალაქში გადიტანაო.
ეს ლექსი შიომ მასწავლა, კიდეც ითხოვა ფარაო.

პატარა კახი

ერეკლე ბატონიშვილი ერთ პატარა კახიაო,
ალგეთსა ალგეთობასა ცხრა-კეც რაზმი ჩახიაო,
ასი ცხენს გაალახვინა, ორას კარავს წახვიაო,
„ომსა რად უნდა გრძელება?“ — შუბი ბუდეს გახვიაო.
რაც უყო ლეკ-ოსმალებსა, ალალი და ახიაო.

რკინის კარის შეხსნა

ვერ გაიგეთა, ქართველნო? შაგეხსნათ რკინის კარია,
აღარ გყავთ ნეფე ერეკლე, არც მისი საომარია,
დამდგარა ბაირახები, აღარ ჰეხს ზარბაზანია!
ცხეთას დგას თეთრი საყდარი, გვერდზე ჩაუდის მტკვარია,
შიგა დგას ოქროს ლოგინი, შიგ ნათობს კელაპტარია,
შიგა დგას კუბო ოქროსი, გამოსახული ჯვარია.
კუბოში ჩაუწვენიათ ბაგრატიონთა გვარია,
დაწერა კამალაზედა ქართული ორი-სამია:
„სასხვათოდ ნუ გაჰხადოდეთ, მუხრანში იდგა ცხვარია,
საძაღლოდ ნუ გაჰხადოდეთ ჩემი ნარტყამი ხმალია,
სამადლოდ ნუ გაჰხადოდეთ იმერელთ ნეფის ქალია!“
გადაიცვალა ერეკლე, შვილებს დასწერა ჯვარია:
„უფროსმ გიორგიმ შაირტყას ჩემი ნაბამი ხმალია!“

ლევან ბატონიშვილი

ხმალი სპრის ბაგრატივნისა, ნეფისა ერეკლისაო;
ნეტავი გამაცნობინა! — ლევანს უქებენ შვილსაო.
სალეკო შამაამტვრია, ზვავმა რო წვერი ტყისაო;
წავიდა სარუსეთოდა, საქართველოი ხკვრისაო;
ხემწიფის კარზე მივიდა, ეტლი თან მიხყვა ღთისაო.
„მაბრძანდი, ლევან ბატონო, ყმაწვილო ათის წლისაო,
შვიდს წელს ყეენად ნაჯდომო, არ მადის შენს მეტისაო!“
დაჯდა და ხკითხა ამბავი თბილეთის ქალაქისაო:
„რამ გაადიდა ჰარელი ნარჩომი ჩემი ხმლისაო?
წახვიდე, — არ საქშერო ხარ, არ წასვლ არ იქნებისაო“.
გამააყოლა ჯარები, ხერხები ათასფრისაო.
ლევან ქალაქჩი შამახდა, ჰეხა მაიღა ცისაო.
ლეკთ უფროსები შაშინდა: „ჩვენკე რაით იქს პირსაო.
მაგან თუ პირი ჩვენკე ქნა, საქმე ჭირს დაღისტნისაო“.
ვინ მაახსენა ლეკებსა სიკვდილი ლევანისაო?
მამკვდარა ხორხის ბატონი, ბრძანება იქნა ღვთისაო.
მტერი ვერ გაულაღდება, — ერეკლე ცხენსავ ზისაო.
ემა ქართულის მათქომი გლეხაი ვიყავ მთისაო,
რად ეკადრების ქართული ნათქვამი გლეხკაცისაო?
ვაჰ, თუ ერეკლე გამიწყრა, იქნების ჩემის ჭკვისაო.
ერეკლე რას მიქადებდა, ან გული დედუფლისაო?

იმერეთის მთას გადადის აქლემთა ნატოტარიო;
წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა, დამდგარა ნაგუბარიო;
ვარდის ჩაყრილა ფურცელი, დაღბერნებს, დასძრავ'ს ქარიო;
მაგის საკრეფად წასულა ბაგრატიონის ქალიო;
სამაყროდ გადმასჩევია ერთი ურჯულო, მყრალიო.
ქვეყნით მოვიდა ამბავი: „დაიძრა ჯაბალ-ხანიო,
ალგეთი გადმოიარა, გაშლით დალახნა მთანიო,
კახეთის ბოლოს ჩავიდა, ადგილ დაუხვდა ბარიო.
დაჯდა, დაწერა წიგნები კახთ ბატონთანა ძალიო:
„სასმელად არ მეყოფისო ალაზანი და მტკვარიო,
მოსაძოებრად ბალახნი თრიალეთისა მთანიო, —
ქალი მე მამეც რუსუდან, ლამაზი ლერწმის ტანიო“.
ქალმა გაიგა, რუსუდანმ, გაჯავრდა დედოფალიო,
ჩანაყნა საყურ-ბეჭედნი, სალტისა იქნეს ჭკვანიო!
მამის შეკაზმა ყურთეთრი, ზედ თავად შეჯდა ქალიო:
„ან მიპატრონეთ, მამანო, ან ქალს შემაბით ხმალიო,
არვინ გაზდილა სათათრე ბაგრატიონთა გვარიო!“
დათუნა ბატონიშვილმა გადიცვა სამანქანიო.
მსახურებს ეუბნებოდა: „ჩემი მაგვარეთ ჩქარიო!“
ემაგის ცხენის ნახტომი დიდი გვეგონა ხრამიო,
კახეთის ბოლოს ჩავიდა, ცას არ გაუღავ ქარიო;
გამეერია ლაშქარსა, გაანახევრა ჯარიო;
მეჩვიდმეტეზედ მივიდა, დადგა, ჩააგო ხმალიო:
„შამინდევ, ღვთის ბრძანებაო, ოცსა დამიკლდა სამიო!“
ცოლისძმამ ჩამაურბინა, გვერდს ჩამეეგდო ხმალიო,
ათსა ხომ იმანაც მასჭრა იმ თარაქამას თავიო.
ერთმა ურჯულო ყაჩაღმა თოფსა დახვია ალიო.
ცხენზეით გადმოიტანეს დათუნა ალვის ტანიო.
გაისახელა თათარმა, წაჰყარა სამანქანიო.
ამას კვირობდეს თათრები: „ეს ტყვია რამ იჭირაო?“
ჯაჭვში მორტყმული ტყვიანი ორ ლიტრა გამოვიდაო.
თმაგლეჯით ჩამბაატარეს სიასამურის ქალიო:
„ჩემი მიჩვენეთ დათუნა, ცოცხალია თუ მკვდარიო?“
„დათუნას ვინღა გიჩვენებს, წითლის ღვინით ას მთვრალიო“.

ამა ქართულის მათქომი წოვათ მჟავია ვარიო,
ერისთავიანნი მამქადან, მაღრან ჩავრეკე ცხვარიო,
ნუმც მიტირებენ დედანი, წოვათ ნარჩევნი ქალნიო,
უერთოთ თუ დავანებო, წელთა ნუღარ მბავ ხმალიო!

სოლომონ მეფე

მეფე სოლომონს აქებენ ხელმწიფეში გვარიანსა,
ხრესილზე ჩამამჯდარიყო, ხმალს ილესდა ღარიანსა:
„თურქებო, ჩამომეთხოვეთ, ცუდს ალიან-ჩალიანსა,
არზრუმამდი ასე მოგდევთ, როგორც ქორი ვარიასა,
ცხენ-ჯორს დაგატოვინებთ ძუა-ფაფარლარიანსა“.

ხიდისთავს შავკრათ პირობა

ხიდისთავს შავკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანიო;
ჩაუხდეთ მუხრან-ბატონსა, თავს დავანგრიოთ ბანიო;
რაც რომა ჰქონდეს, წავართოთ თვალ-მარგალიტი, ლალიო;
შავიდეთ, გამოვიყვანოთ, თვალუუყუნ თეთრი ქალიო;
ქალი, რა ქალი, ქალიო, კოჭამდის სცემდეს თმანიო;
თმანი, რა თმანი, თმანიო, შვიდკეცი, შვიდი მხარიო;
ესხას ოქროს საყურენი, უერიალებდეს ქარიო;
ამას ამბობდნენ: „ნეტავი არ მამაშორა თვალნიო“.
არაბულ ცხენზე შემოვსვათ, წელს შემოვარტყათ ხმალიო;
საჩიხის ქუდი დავხუროთ, შიგ ჩავუკეცოთ თმანიო;
სამი ისეთი ვაკოცოთ, ლოყას ავაძროთ ტყავიო,
საგარეჯოში ჩავიდეთ, იქ დავიწეროთ ჯვარიო;
შვიდი დღე და შვიდი ღამე იქ მოვალხინოთ ჯარიო.

ვაჟუსძის მოკვლა თორღვას მიერ

დაჯედ, ვაჟუსძევ, დაგვეხსენ, თუშეთს მოგწყინდას ზიანი!
ერთხან ხევსურეთ გადახედ, ადგილ იქ ნახე კლდიანი!
ჯოჯინის ღელეს შამოხხე, მგზავრ შაგხვედა ქალ-ვაჟიანი.
შიგ სტანავ ცუცქიაური, ბუღა მოღბიჯავს რქიანი.
თოფი ესროლე, ვერ დახკარ, ხთით იყო დავლათიანი.
ხმალი მოსთხოვე, შენ მოგცა, დანა დამალა ფხიანი.
ხელი გკრა საყელოშიგა, მკლავთით ას იმედიანი.
დაგიბალითა, გულს დაგცა, მიწა გაჭმივა მტკრიანი.
გაგწირა დგნალონის ჩდილა, დაგაგდა სისხლ-ტიგრიანი.
ხმალი თავითით დაგიდვა, ნაბად გაგხურა ცვრიანი.
გეერდით მოგისვა ყორანი: „გალო გამოხარ წვნიანი!“
თაოდ ანდაკზე გადვარდა ირემი თვირთვილიანი.
სადილად არდოტს ჩავიდა თორღვაი მკლავ-სისხლიანი
წამეეგებნეს დედანი: „სით მოხვედ სახელიანი?“
„ბოზნო, რას მკითხავთ, დედანო? ქალ ხო არა ვარ თმიანი?
ხმალი ვაჟუსძემ წამართვა, შინ მოვედ სირცხვილიანი“.
„გეტყობის საუბარზედა, თორღვავ, სამ გიქნავ რიალი“.

ამაგ ქართულის მათქვამი თუშის ქალი ორ თმიანი.
სალექსოდ გამამიგზავნე საყური კუკუმიანი.
ცოლად კი მოგივიდოდი, თუშის ვარ კვეთილიანი.
ძალიან ნუ გაზდიდდები, მამა მეც მყვანდა ხმლიანი.

ბატონ თუ იყვა

— ბატონ თუ იყვა თორღვაი, ჩინებ რად არ ხკრავ მხარზედა?
— ჩინებ რად უნდა თორღვასა, ლურჯ ჟაჭვ ხო სცვავის
ტანზედა!

ვერ იქამ

ხევსურეთშია, ზურაბო, ვერ იქამ ერისთვობასა,
გაგიწვრილდებეს კისერი, ვერ შასძლებ ქვეითობასა.

ზურაბის გალაშქრება ხევსურეთს

დუქეთ იყრების ლაშქარი, არ ერგებიან გზანიო,
სასმელად არ ეყოფიან ბაზალეთურნი ტბანიო,
სადგომლად არ ეყოფიან თრიალეთურნი მთანიო.
ქვეით ღულისთავს მოვიდა ნაკარვებს — ცხენოსანიო.
ბაცეს სუმბატას მიუდგეს: „სუმბატავ, შინა ხარიო?“
„შინა ორთ ბიძა-ძმისწულნი, სამნი გეტანიან სხვანიო,
სკამზე გვიწყვავის ისარი, გამოვა ჯორის ცალიო.
არ გამოგვიხსნეთ დარნითა შუქო, თამარო დანიო“.
ჯერე ფარ გამაიყოლა, მემრე შიშველი ხმალიო.
ბაცეს სასისკროდ ატირდა, აჭეს ჩაბაკის ქალიო:
„მიშველეთ, ჩემნო მამულნო, მტერმა მამტაცა კარიო,
მამიკლეს თათარ-ქართველთა ხევსურთ მემეტე ქმარიო“.
საკამატვილოს წამოდგეს ცხრანი ძიბლანი ძმანიო;
კვათეს ჩაყარეს ისარი, დილა რო ცამა ნამიო.
კიბეს ჩაწურეს ლაშქარი, რო საკალმახე წყალიო:
ვინ იჯე ღორღლოვანასა? გაგიწყრ კარატის-ჯვარიო!
დაგუბებულსა ლაშქარსა შენ გაასწავლენ გზანიო.
გუდელას დაჯდა ზურაბი, ატირდა ეგრ რო ქალიო:
„დამაკლდა სათვალავშიგა სამოცი ხმალოსანიო“.
„გაიქეც, ერისთვიშვილო, მოგდევენ ხევსურთ ყმანიო,
თორ კიდევ ჩაწითლდებიან კეოს-გორ ქცეულანიო.
აგერ ღულის-თავს გახენე, მძიმე გადმოდგა ჯარიო“.
რბოლით დაკრიფნა ზურაბმა გრძელნი არაგვის გზანიო.
ჩარგლის-ქართ დახვდა მშავლები, აყოლეს სისხლის კვალიო;
ცოლი ეტყოდა ზურაბსა: „რად არ მოგიღეს მკვდარიო?!“

აზნაურების ხოცა

ბედიანაიმც დაჯდების ლიქოკ ლიქოკელთ ჯარზედა!
სათავეს უსხენ უფროსნი; აძრახდებიან ჭკვაზედა.
ბოლოში უნცროსებ უსხავ, ხელებ მიუდის ხმალზედა.
უხოცავ აზნაურები დაბლა, აკუშოს წყალზედა.
უხიდოდ არ გაივალის იმ სისხლის ალაზანზედა.
ცხენთა შამახხდა მკერდზედა, მხედართა — უზანგაზედა.

ზურაბ, რა უყვენ ლაშქარნი

ზურაბ, რა უყვენ ლაშქარნი, ნაკრეფნი შვიდის თვისანი!
ჩაუშვენ მათურაშია, თვალნი გაგიწყურეს ხთისანი,
დაგიხვდეს ფშაველიშვილები, არწივნი მაღლის მთისანი.
შამოგეწივნეს მთაზედა, გაწითლებინეს ქვიშანი!

უ ტ ი

როშკის-გორ დაჯდა ზურაბი, შუქნ მზისან ჩამოუტიჭნა.
ამაგით გითხარ, ზურაბო: „ხევსური კაცი უტიჯ“.
აგერ ბეგენგორს გახენე, — ფუტკარს ღგავ, გამოუტია.
ქალუნდაურმა ფრანგული ქარქაშთით ამოუტია,
ხმლითა სცა ზურაბის ჯარსა, სისხლმა სიმუერში უწია.

ზურაბის დაწყევლა

ზურაბო, ერისთვის შვილო, შვიდსამც წელსამც ხარ სნეული,
მეშვიდეს წელსამც მახკვდები სიმამრის ხელმარეული!

შენ, ერისთავო

შენ, ერისთავო დიდის მთისაო, წყალი ჩაგიდის არაგვისაო,
არკი გეტყოდი, ჩემო ბატონო: „ყიდვა ნუ იცი შენის ყმისაო“;
ბევრი გაჰყიდე ქალი და რძალი გარდახატული ოვალ-წარბ-
თმისაო.

სიყმაწვილით სიბერემდინ

შენ გენაცვალოს დედაი, ზურაბ თავშაუდებარო,
დაჭრილო და დაკუწულო, ზედ წამალდაუდებარო,
სიყმაწვილით სიბერემდინ შენ დღეში დაუდეგარო.

ვაჰ, დედას მტრისას!

ვაჰ, დედას მტრისას, ზურაბო, ხელებ ვინ დაგჭრა გმირსაო?
რა კეთილ დაგეყრებოდა, გამტეხო ხატებისაო?!
გაგრისხდომია დავლათი ლაღის ლაშარის-ჯვრისაო.

ვიცბილ და მაცბილ

ვიცბილსა და მაცბილს ვაქებ, სიკვდილს ვაქებ ორთა ძმათა.
შვიდი წელი ციხეს დგამდნენ, უმაგრებდნენ ბურჯს და ფუძეს.
ამზადებდნენ ტყვია-წამალს, ამხედრებდნენ დოლს და
ჰებუდს:

— არ შეგვფერის, ვაქკაცებო, ქედზე გვაჩნდეს კვალი უღლის,
რად ვედრებით ეცერ-ცხუმარს, ეცერ-ცხუმრელ ჯაბან ვაჟებს,
მკერდში გული მათ არ უცემთ, წყალი უდგათ სისხლის
ნაცვლად,
ძარღვში სისხლი მათ არ უდუღთ, წყალი უდგათ სისხლის
ნაცვლად.
ბატონს მათგან ღალა ნებავს, მიართმევენ თავის ხელით,
ბატონს მათი ცემა ნებავს, მიაწვდიან ხელში სახრეს,
ბატონს მათი ცოლი ნებავს, შინ მიჰგვრიან იმავ ღამით.
ჩვენ კი ქუდი მაღლად გვხურავს, შეუბღალავ შუბლებს
ვაჩენთ,
ცოლი გვყავს და ცოლად გვინდა, შინ იჯდეს და შვილებს
ზრდიდეს,
თუკი ვინმემ ჩირქი მოგვცხო, თბილი სისხლით მოვირეცხავთ!

სამი წელი ეცერ-ცხუმარს არ ეღირსა მშვიდი ძილი,
სამი წელი ბნელში ისხდნენ, ცის ნათელი ვერა ნახეს,
სამი წელი სახნის-საკვეთს, ცელს და ნამგალს ჟანგი ჭამდა...

ლაშქარს შეყრის ქვემოხევი,. ბატონ სორთმანს შველა უნდა!
ბელადად და წინამძღოლად აირჩევენ მართალ გუგულს,
ტანზე შვენის თეთრი ჩოხა, ბნელ ღამეში თეთრად ელავს.

აიძრნენ და აივაკეს, შეესიენ დოლს და ჰებუდს,
კვალი დარჩათ კვამლიანი, ნაცრიანი კვალი დარჩათ.
ძმების ციხეს შემოადგენ, შემოერტყენ ყველა მხრიდან.

სათოფურთან სხედან ძმები, თოფებს ცლიან ცხარე-ცხარედ.

— რად უნდოდა მართალ გუგულს გამხდარიყო ჩვენი წერა,
არ ერჩია სახლში ჯდომა, თავის პირთეთრ ცოლთან წოლა!
— თეთრი ჩოხა-ახალუხი რარიგ შვენის მართალ გუგულს!
სისხლისფერად შეღებილი დაშვენდება უფრო მეტად!

ესროლეს და გულში დასცეს, შეუღებეს ჩოხა წითლად,
ნახევარი მისი ჯარი გააბრუნეს იმავ ღამით,
ნახევარი იქვე დარჩა მიმოყრილი გროვა-გროვად.

გულს არ იტეხს დიდი სორთმან, დიდი სორთმან არა ცხრება,
ზვიად ავლაყს ამოგზავნის ბეჩოს ლაშქარს ამოატანს.

— გაიხედე, ძმაო ვიცბილ, ზვიად ავლაყს ჯარი მოჰყავს,
მხიარული თავში მოდის, მოაგელვებს წითელ საღარს.

— რაკი ასე გული ერჩის, მობრძანდეს და ბედი სცადოს,
რად არ იცის — ზვიად მკერდზე დაუკრეფენ ზვიად ხელებს,
რად არ იცის — სასთუმალთან დაუნთებენ თაფლის სანთელს.
დააქუხეს კუთხვა-თოფი, ზვიად ავლაყს გულში დასცეს,
ნახევარი მისი ჯარი გააბრუნეს იმავ ღამით,
ნახევარი იქვე დარჩა მიმოყრილი გროვა-გროვად.
არა ცხრება დიდი სორთმან, დიდი სორთმან გულს არ იტეხს,
რიჩგვიანებს შველად უხმო, ამოუძღვა ლაშქარს თვითონ,
ძმების ციხეს შემოადგა, შემოერტყა ყველა მხრიდან.

— რას გვერჩოდი, დიდო სორთმან, გიშავებდით განა რასმე?
პაპისეულს ვხნავდით მიწას, ვაძოვებდით მთაში ნახირს...

სამი დღე და სამი ღამე სათოფურებს უსხდნენ ძმები,
სამი დღე და სამი ღამე თოფებს ცლიდნენ ცხარე-ცხარედ,
სამი დღე და სამი ღამე არ მოსვლიათ თვალზე რული.

მეოთხეჯერ ჩამოღამდა, ჩამოღამდა კუპრზე შავად.
ვეღარ გაძლეს ძმებმა მეტი, ვერ მართავენ დაღლილ სახსრებს,
მძიმე რული მოერიათ, სათოფურზე თავი მისდეს.

დრო იხელთეს ეცერლებმა, მიუცოცდნენ ციხეს ახლო,
ბურჯქვეშ ჩაჰრეს დიდი ხვრელი, ხის სვეტები ხვრელში ჩადგეს,
მოაყარეს წვრილი შე'შა, შემოუნთეს ცეცხლი ირგვლივ.

— დედას თქვენსას, კარგო ძმებო! თქვენი მთვარე შავად მთვარობს,
ძილს იძინებთ უკანასკნელს, უკანასკნელ სიზმრებს ხედავთ!
სათოფურებს ალი ფარავს, ციხის თავანს ალი მისწვდა,
ეცერ-ცხუმარ-ბეჩოს არე გაჩირაღდნდა როგორც დღისით.
— დედას თქვენსას, კარგო ძმებო! გაგაღვიძათ დიდმა სიცხემ,
სასიკვდილო ოფლი დაგდით, ხელებს გიწვავთ თოფის ლულა!
სათოფურში გაიხედეს, გაიხედეს ალის მიღმა,
დიდი სორთმან ბანზე იდგა, უყურებდა ცეცხლის თარეშს,
უყურებდა, ხარხარებდა, ირყეოდა როგორც მთვრალი,
სიცილის ხმა მჭახე-მჭახე აყრუებდა ქვემო გვეშლარს,
აწყდებოდა ციხის კედლებს, ზრიალებდა ციხის ფუძე.

გადმოიღეს ძმებმა თოფი, ხელისგულებს სწვავდათ ლულა.
— აბა, ჩემო კუთხვა-თოფო, სამართალი ერთად ვლოცოთ!
— ფრთხილად იყავ, ოფლის წვეთი არ დაეცეს ტყვია-წამალს!
ერთხელ კიდევ დააჭუხეს, დააჭუხეს კუთხვა-თოფი,
შუბლის თეთრი გალავანი მოუშალეს სორთმან-ბატონს,
დაეცა და სისხლი დასდის, სისხლი დასდის წითელ-ყვითლად.
რაევას იწყებს ძმების ციხე, სიკვდილს ებრძვის დიდი სორთმან.

გადმორნგრა ძმების ციხე, მიიცვალა დიდი სორთმან.

მზე შინა

მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიო.
უყივლია მამალსაო, მზევ, შინ შემოდიო.
გათენდი, თუ გათენდები, მზევ, შინ შემოდიო.
მზე დაწვა და მთვარე შობა, მზევ, შინ შემოდიო.
ჩვენ ვაჟი დაგვბადებია, მზევ, შინ შემოდიო,.
დუშმანსა ქალი ჰგონია, მზევ, შინ შემოდიო,
ვაჟის მამა შინ არ არი, მზევ, შინ შემოდიო.
ქალაქს არი აკვნისთვინა, მზევ, შინ შემოდიო.
ვაჟის მამას მოუხდება, მზევ, შინ შემოდიო,
თეთრი კაბა ატლასისა, მზევ, შინ შემოდიო,
ცხენზე ჯდომა, ჯირითობა, მზევ, შინ შემოდიო.
ყაბახს სროლა, ბურთაობა, მზევ, შინ შემოდიო.
მზევ, შემოდი ბაკებსაო, მზევ, შინ შემოდიო,
ცხვარს დაგიკლავ მაკესაო, მზევ, შინ შემოდიო.

იავნანა

იავ, ნანა, ვარდო, ნანა, იავ, ნანინაო,.
აქ ბატონები მობრძანდნენ, ვარდო, ნანინაო.
მობრძანდნენ და გაგვახარეს, იავ, ნანინაო,
ბატონების მამიდასა, იავ, ნანინაო,
ქვეშ გაუშლით ხალიჩასა, ვარდო, ნანინაო,
იმასაც არ დავაჯერებთ, იავ, ნანინაო,.
ზედ გაუფენთ ორხოსაცა, ვარდო, ნანინაო.
ამ ბატონების დედასა, იავ, ნანინაო,
უდგია ოქროს აკვანი, ვარდო, ნანინაო,
შიგ უწევთ ბატონიშვილი, იავ, ნანინაო,
უსხია ოქროს ქოჩორი, ვარდო, ნანინაო;
ატლასის საბანი ჰხურავს, იავ, ნანინაო,
ზარ-ბაბთისა არტახებით, ვარდო, ნანინაო;
მოვის პერანგი უცვიათ, იავ, ნანინაო,
მთვარე გრეხილათ უვლიათ, ვარდო, ნანინაო,

ვარსკვლავი ღილად უბიათ, იავ, ნანინაო,
ლალის ჩანჩხურა უბიათ, ვარდო, ნანინაო.
გადაჰკვრენ, გადაარწევენ, იავ, ნანინაო;
ამოდ ბრძანებენ ნანასა, ვარდო, ნანინაო.
„შვიდი ბატონი და-ძმანი, იავ, ნანინაო,
შვიდ სოფელს მოვეფინეთო, ვარდო, ნანინაო,
შვიდნი წითელჩოხიანნი, იავ, ნანინაო,
შვიდნი დანი, შვიდნი მზენი, ვარდო, ნანინაო,
დედა ბარბარეს შვილები, იავ, ნანინაო.
შვიდი თეფში მარგალიტი, ვარდო, ნანინაო,
შვიდ სოფელს გადავაშალეთ, იავ, ნანინაო,
მერე ისევ წამოვკრიფეთ, ვარდო, ნანინაო,
შვიდგან დავეცით კარავი, იავ, ნანინაო,
შვიდგანვე მოვილხინეთო, ვარდო, ნანინაო.
იაგუნდის მარანშია, იავ, ნანინაო,
ღვინო სდგას და ლალი სჭვივსო, ვარდო, ნანინაო.
შიგ ალვის ხე ამოსულა, იავ, ნანინაო,
ტოტები აქვს ნარგიზისო, ვარდო, ნანინაო,
ზედ ბულბული შემომჯდარა, იავ, ნანინაო,
შავარდენი ფრთასა შლისო, ვარდო, ნანინაო,
ია ვკრიფე, ვარდი ვშალე, იავ, ნანინაო,
წინ ბატონებს გაუშალე, ვარდო, ნანინაო.

მანანოები მოდიან

იავ, ნანა, ვარდო, ნანა, იავ, ნანინაო,
დაიძინე, გენაცვალე, იავ, ნანინაო,
ჯერ არ გათენებულაო, იავ, ნანინაო,
ვარსკვლავები ამოსულა, იავ, ნანინაო,
მთვარე შეშინებულაო, იავ, ნანინაო,
მანანოები მოდიან, იავ, ნანინაო,
ძილი მოაქვთ გუდითაო, იავ, ნანინაო,
ამას ჩემს ყმაწვილს მივუტან, იავ, ნანინაო,
თვალებს გაუვსებ ძილითა, იავ, ნანინაო.

ბებოს თეთრო მანდილო

ნანა, ნანა, ნანინა, ნანა, შვილო, ნანინა,
ნანა, ვარდო, ნანინა, ნანას გეტყვი, დაიძინე,
ნანა, ნანა.
ადანდალო, დანდალო, ჩემო ოქროს შანდალო,
მოლაპლაპე სანთელო, ბნელ ღამეში ნათელო,
ნანა, ნანა.
დედის ალაგ-მალაგო, მამის ციხე-ქალაქო,
პაპის ოქროს გუთანო, მინდორში გასატანო,
ნანა, ნანა.
ბებოს თეთრო მანდილო, მხრებზე წამოსასხამო,
ნათლიას ია-ვარდო, ცხვირში სასუნებელო,
ნანა, ნანინა!

ნანი-ნანი, ყმაწვილო

ნანი-ნანი, ყმაწვილო, თეთრი პურის ნაწილო,
მამის ოქროს გუთანო, დედის ჩიქილ-მანდილო,
ბიძის ქამარ-ხანჯალო, ძალოს წითელო ვაშლო,
სუფრას საგორებელო, ქვეყნის გამგონებელო.

იას გიკრეფ

იას გიკრეფ, ვარდს გიკონავ,
ნანა, ნანა, ნანა, ბატონო!
სასთუმალქვეშ ამოგიდებ,
ნანა, ნანა, ნანა, გეთაყვა!
შენ თუ ტკბილ ძილს დამისრულებ,
ნანა, ნანა, ნანა, ბატონო!

მე ტკბილ ნანას მოგახსენებ.
ეს აკვანი ლებანოზი,
ნანა, ნანა, ნანა, გეთაყვა!
შიგა მწოლი ანგელოზი,
ნანა, ნანა, ნანა, ბატონო.
ეს აკვანი ხარატული,
ნანა, ნანა, ნანა, გეთაყვა!
შიგა მწოლი ჩახატული,
ნანა, ნანა, ნანა, ბატონო!
ეს აკვანი ბეროლისაო,
ნანა, ნანა, ნანა, გეთაყვა!
შიგა მწოლი ბროლისაო,
ნანა, ნანა, ნანა, ბატონო!

ბატონები

იავ, ნანა, ვარდო, ნანა, იავ, ნანინაო,
იაგუნდის მარანშია, იავ, ნანინაო,
შიგ ღვინო და ლალი ჰვირსო, იავ, ნანინაო,
შიგ ალვის ხე ამოსულა, იავ, ნანინაო,
ნორჩია და შტოსა შლისო, იავ, ნანინაო,
ზედ ბულბული შამამჯდარა, იავ, ნანინაო,
გასაფრენათ ფრთასა შლისო, იავ, ნანინაო.

იისა და ვარდის ბაღში, იავ, ნანინაო,
ბატონები ბრძანდებიან, იავ, ნანინაო,
ბატონებსა სუფრა ნებამთ, იავ, ნანინაო,
გარშემო ძრიელ მორწყული, იავ, ნანინაო,
ბატონების მამიდასა, იავ, ნანინაო,
ვარდნი უსხედან კერასა, იავ, ნანინაო,
გვერდთ უდგა ჩარხის აკვანი, იავ, ნანინაო
შიგ უწევს ბატონიშვილი, იავ, ნანინაო,
ეუბნებიან ნანასა, იავ, ნანინაო,

დიბის საბანი უხურამთ, იავ, ნანინაო.
ატლას-ბაბთის არტახები, იავ, ნანინაო,
მოვის პერანგი უცვიათ, იავ, ნანინაო,
ვარდი ფეხამდინ უსხიათ, იავ, ნანინაო,
გვერთა ზის ბატონის დედა, იავ, ნანინაო,
წვრილი ხმით ეტყვის ნანასა, იავ, ნანინაო,
უფლის გამოგზავნილები, იავ, ნანინაო,
ნანი, ნანა, იავ, ნანა, ვარდო, ნანინაო.

იავ, ნანა, ბატონებსა, იავ, ნანინაო,
აქ ბატონები მობრძანდნენ, იავ, ნანინაო,
მობრძანდნენ და გვიხარიან, იავ, ნანინაო,
ბატონიშვილს ეძინება იავ, ნანინაო,
უდგია ჩარხის აკვანი, იავ, ნანინაო,
უხურამს დიბის საბანი, იავ, ნანინაო,
ზედ უბია ჩანჩხურაი, იავ, ნანინაო,
ბატონების მამიდასა, იავ, ნანინაო,
ულხინეთ, თქვენი ჭირიმე, იავ, ნანინაო,
შვიდი და-ძმანი მოვდივართ, იავ, ნანინაო,
შვიდ სოფელს მოვეფინენით, იავ, ნანინაო,
შვიდგან დაეეცით ყარავი, იავ, ნანინაო.

მეგრული ნანა

ვო, ია და ია-ვარდი,
ია ბატონებო;
ია გფენია და ვარდი,
ია ბატონებო;
სტუმრებია, გოლუაფირი,
ია ბატონებო;
ვუგალობოთ, გოლუაფირი,
ია. ბატონებო,
შენს ავადმყოფს მისი წილი,
ია ბატონებო,
მისი ვარდი, მისი პირი,
ია ბატონებო,
შემობრძანდით, ბატონებო,
ია ბატონებო,
ოქროს ტახტი გამიწყვია,
ია ბატონებო,
ბრეშუმით გამიწყვია,
ია ბატონებო,
შენს ავადმყოფს მისი წილი,
ია ბატონებო,
მისი ვარდი, მისი პირი,
ია ბატონებო.

ძუძუ დამიდნაო

იავ, ნანა, ვარდო, ნანა, იავნანინაო,
კარგად ვიცი, ჩემო კარგო, ვინც შეგაშინაო,
ყაზახების მათრახებმა, ჩვენ დაგვიფრინაო,
რა გაჭამო, ჩემო კარგო, ძუძუ დამიდნაო,
ტყეში თოვლზე გირწევ აქვანს, ნანა, ნანინაო,
რაც გვებადა, მათ წაიღეს, აგვიკლეს ბინაო,
ნანა, ნანინაო, ნანა ნანინაო!

ახალი წლის მილოცვა

ახალ წელიწადს, წლის თავსა გიკვლევ ვაზისა რქითამცა,
შენიმცა სახლი ავსილა ტყავკაბაზარბაბითამცა;
ცხენზედამც შაგისხდებიან მშვილდისრიანნი, ხმლითამცა,
კარზედამც მოგადგებიან ცხენჯორამაფრაშითამცა;
ტახტზედამც დაგიდგებიან თაკოქროგვირგვინითამცა,
მტერი სულ დაგიბრმავდების ეშმაკი ხმელით-ცითამცა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს, მოყვარე მრავალზითამცა;
პურ-ღვინო დაულეველი, ვით მონადირე წყლითამცა;
სიცოცხლე გახარებული, მოუწყინარი დღითამცა;
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას, ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა,
უხვადამც მოგეცემოდეთ თვალ-მარგალიტი ზღვითამცა.



დიდებაა ღმერთსა, დიდსა მოწყალესა,
ღმერთო, დღეგრძელობა მიე აქა მბრძანებელსა,
ნეფესა და დედოფალსა სახემშვენიერსა,
წყვილი ვაჟიშვილი მიე საწლეულო წელსა.
ოჯახობა დაუქციე ჩვენი ნეფის მტერსა,
იმათი ცხვარი და ღორი დააჭმიე მგელსა.
ნეფევ, ბადია ამივსე, მომაწოდე ხელსა,
დიდებაა ღმერთსა, კიდევ დავლევ ერთსა,
ღმერთმა ყველას გაგიმარჯოთ სტუმარ-მასპინძელსა!



ღმერთო, ამ სახლში ნუ მოშლი ლხინსა და
გახარებასა,
ვაჟების ჭორწილობასა, ქალების გათხოვებასა.



უფალმა ღმერთმა შენ მოგცეს ოჯახი საძირკვლიანი,
ხარი-კამეჩი გუთნებით, ურმები სავსე, ძნიანი;
იმყოფებოდე ხალხმრავლად, დედმამაძმიანრძლიანი,
ლამაზი შემოგეყვანოს მშვენიერი და ჭკვიანი.

ეროსანი, ბეროსანი, ცხრანი ფთენი წეროსანი...
ყმაწვილებიმც მოგეზდებათ, სკამზე გესხდეთ წვეროსანი!

ლაზარობა

ლაზარ მოდგა კარებსაო, ლაზარ ბატონო!
აბრიალებს თვალებსაო, ლაზარ ბატონო!
ცხრილი აგორებულაო, ლაზარ ბატონო!
წვიმა გაჩქარებულაო, ლაზარ ბატონო!
ღმერთო, დაგვნამე, დაგვნამე, ლაზარ ბატონო!
მარგალიტის წვიმითაო, ლაზარ ბატონო!
აღარ გვინდა გოროხიო, ლაზარ ბატონო!
ეხლა მოგვე ტალახიო, ლაზარ ბატონო!

მამულო, შენთვის მოვკვდები, შენთვის ჩავიცვამ შავსაო,
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს, შემოგევლები თაქსაო.

ახალი მამწოვნ

— სად გაგათხუოთ, ქალაო, ნეტა სად შაგრთოთ ქმარია?
— ახადი მამწონ, დედაო, ახადის მთა-და ბარია, —
ახლოს წყალი და წისქვილი, ახლოს ხატ-ხატსკარია,
ლამაზი ქალი და რძალი, ლამაზი საუბარია.

რა სჯობს?

ჯორი სჯობს საქონელშია — კარზე მოვ აკიდებული;
მასთანვე ხარი-გუთანი — გრძელ ყანას გაკიდებული;
შიგ მოსავალი ქერ-პური — თავი-თავს დაკიდებული;
ყანის სამკალად ქალი სჯობს — საქმარედ დამწიფებული;
ძნისა საკვრელად ვაჟი სჯობს — ახლად წვერდაწამებული,
სოფლის გვერდზედა ციხე სჯობს — საომრად დამთავრებული,
შიგნით საკიდლად თოფი სჯობს — სიათა გაჭრელებული;
იმის სასროლად ვაჟი სჯობს — გუნებაგაჯავრებული.

●

შენი ჭირიმე, ბაქარო, თაფლო ტკბილო და შაქარო,
ჩვენ აშენებულ მამულზე ვინ უნდა დაასახლკარო?

●

უნდა წავიდე, გავთათრდე, მეწყალი მამულ-დედულო,
მტრისაგან აოხრებულო, შვილთაგან დაობლებულო.

●

გამაგრდით, აზოტივნებო! გატეხით რა იქნებისა?
ვინაც მაკვდების, დავღმარხათ, სხვა კიდევ გაჩინდებისა.

მიხსენით!

გაშენებულო მარტყოფო, ნორიოს ყურძნის მტევანო!
მანდ რომ ქალი დავიკარგე, განჯას თათარსა ვყევარო.
დღისით მიყრიან ბორკილსა, ღამით თათართან ვწევარო.
ჯერ რჯულ არ გადამიგდია, თავის რჯულზედვე ვდგევარო.
ქალო და რძალო ლამაზო, სუ ჩემო მოსადევარო,
შაკრიფეთ თითო შაური, მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო!
სირცხვილი თქვენთვის, ვაქებო, თორო მე კარგა ვყევარო,
ტანთა მცვავ სიასამური, წუღა-ქოშებზე ვდგევარო.
...ნეტარ ვეღარა განახავა, შე საქართველოს მძლევარო?!.

არხვატს

არხვატო, ჩემო სამშობლოვ, ჯიხვ-არწივების ბინაო,
მიამც კი შენს მტერს შამაკლა, შენს მკერდზე დამაწვინაო!
მაკვდას, თუ მაკვდა ოშკაცი არხვატის გულისთვინაო!
დედა ვაცხონე ვაჟისა, ვინაც თავ მაიწყინაო!
მტერ დარჩა სისხლის მორევში, თავიც კი იქ შასწირაო.
დაიმალების ცუდი ყმა, მავშჩები, წაოლ შინაო.
გამაქცეულის მასვლასა არმასვლაი სჯობ შინაო.
მაინც არ გასტყდა, არხვატო, ბასრო ფოლადის რკინაო!

ბეთლემის კარზე ჰკიდია ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუვლის ომის წადილი, ხანდისხან შასძრავს ქარიო.

ხუროთმოძღვრის ეპიტაფია

ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია,
არც მტკვარი და არც არაგვი ცვარი არსად ჩამიშვია,
დამიჭირეს, ხელი მამწრეს: „კარგი რისთვის აგიგიაო?!“

ალაზნის თავსა

ალაზნის-თავსა, კლდის თავსა სისხლის წყარონი დიანო,
არცა სმენ მონადირენი, არც როდის დაშრებიანო.
ის ურჯულონი დიდონი სასმელად ჩამოდიანო,
უკუღმა ჰკმაზვენ ცხენებსა, უკუღმა დასხდებიანო,
იქერენ ქართველთ ტყვეებსა, ხანჯრით ყელებსა სჭრიანო.
დაიქცევიან მანდითა, დაღისტანს ჩაცვივიანო.

არ მეგონა

არ მეგონა, გორის ციხე საგორავად გახდებოდა,
ლაშქარშია თეთრი ცხენი საგოგავად გახდებოდა,
ჩემი თავი ცათა სწორი ასე დამიდაბლდებოდა,
ჩემ უარეს ჩემი სწორი ასე გამილაღდებოდა...

●

კაცი არ ვარგა სოფელში უმამულო და ეული,
სხვები შრომობენ, ხარობენ, ის კია გულამღვრეული.



თივის თრაზე

I

თივათ ვთრი კალოთანითა, სულთქმას ვაყოლებ გმისსაო,
დავაოროლენ თივანი, დასვენებაიც მინდაო.
ჩაგხედავ, ჩემო სოფელო, ადგილო ნაპირისაო,
მირგელივ ნახვევო მთა-წვერო, რო გალავანო ქვისაო,
იწროო ჩვენო ჭალაო, ძლივ ჩასავალო წყლისაო,
სამძღვარო, სისხლით მოსვრილო ჩვენო და ქისტებისაო!
ბევრ მენადირე გინახავ მაგალ ცისპირის ძვრისაო,
თოფიან-დურბინიანი, მაგარ საბანდით, ჯღნითაო.

ვაჟი ნადირთკე წასული ბევრა შაღვარდა მზირსაო:
ბევრამ მაიღა სახელი, ჯარზე გულდიდად ზისაო;
ბევრიც მაართვეს ჯალაფთა, გულს ნატყვიარი სჭირსაო.
ნუ გაუცუდებთ სახელსა, თასი-ღ მიეცით ხისაო!
ბევრამ გაწირა ხირიმი, შვილს დასჩა, შვილიშვილსაო;
ბევრამ გააბა წრიაპი არწივის-მაღლის ჩდილსაო.
ჯიხვების გადალახულო შიბო და შიბო კლდისაო!

მეწყალი, მენადირეო, დამრჩალო წვერის ძირსაო;
ჯიხვების მუქარაზედა ღამეს ათენებ გრილსაო;
პურსა ვერა სჭამ მშიერი, — შიგ თვირთვილ გამადისაო.
ეხო, ნათხარო ტოტითა, სალოგინედა ქვიშაო!
ადგების, იქავ გაგწირავს, ნასადგურალო ყმისაო!
დილა გამასულს გნახავდა შავი ყორანი კლდისაო,
შორით დაგიწყებს ყეფასა, აგივლ-ჩაგივლის მხრითაო.
„ნეტავი გამალაღებდი, გამაძღებდ სისხლის სმითაო!“

ეეწინდელებს ახლებსა ძველები ჯობდეს ცდითაო:
ამაგრებდიან ადგილსა, თოფით იშერდეს, ხმლითაო,
წვერებს ისვემდეს ხელებსა, ქავჩი სხდებოდეს ცვლითაო,
ბაკნებით ედგა წამალი, ძღებოდეს თოფის ხლითაო.
სახელ სჩებოდა ვაჟებსა, ბევრას დაიტევს მიწაო,
ხელჩი ეჭირა თასები, შიგ ლუდი ედგა წმიდაო.

მაგის მეტს არას გილექსებთ, არა მაქვ ლექსობისაო;
საქონის საშველ გათავდა, თივა ნათიბი მთისაო.
ლექსო, არ დაიკარგები, ნათქვამო ომაისაო!

●

არავინ იცის ცისქვეშა, ვისი შვილი სჯობს, ვისი ძე,
ვისი მამული მუშაობს, ოხერ-ტიალად ვისი ძე?

საწყალი კაცის ცხოვრება

საწყალი კაცის ცხოვრებას ბევრი არ უნდა ხრიალი:
უღელი ხარი ეყოფა, ორიოდ ძროხა რქიანი,
ათიოდ ცხვარი იყოლოს, ხუთიოდ თხანი რქიანი,
ცოლი შეირთოს მშრომელი, პატიოსანი, ზნიანი;
თითონაც იყოს მუშაკი, ცოლშვილმოყვარე, ჭკვიანი,
მეზობელ-ნათესავებთან ხათრიან-თავაზიანი.

ნიკორამ უთხრა ლაღასა

ნიკორამ უთხრა ლაღასა: „ლაღავ, ნუ სჩადი მაგასა;
შეგიტყობს შენი პატრონი, უღელს გაგითლის მაგარსა;
გაგითლის კაი სახრესა, ამოგკრავს მაგარ-მაგარსა;
თიეა-ჭერს აღარ გაღირსებს, მოგიყრის ნაცარ-ნაგავსა!

ვოისა-რადა, რადი-გუშა

ვოისა-რადა, რადი-გუშა,
შე საბრალო მიწის კაცო,
დაგწყვეტია მკლავები და
შინისაკენ მიბარბაცობ!

ვოისა-რადა, რადი-გუშა,
ვისთვის უნდა ხნა და ფარცხო;
შენს ნაოფლარს სხვა უმზირის,
შე საბრალო მიწის კაცო!

რა აცხონებს?

გუთნისდედას რა აცხონებს, თუ არ შავა საყდარშია?
კარგ ამინდში თითონა ჰხნამს, მეხრეს უხნამს ავდარშია,
შავი კამეჩების ცოდო უხვევია კალთაშია.

გუთანი

შენი ჭირიმე, გუთანო, მაგ შენი მრუდე ყელისა,
წამოუწვები გვერდზედა, აღება იცი ველისა;
შენა ხარ პურის მამყვანი, დამძველებელი ქერისა!

●

შენი ჭირიმე, გუთანო, გათლილო წმინდის ხისაო, —
შენ აქმევ პურსა ცოცხალსა, დამმარხავი ხარ მკვდრისაო!

ღმერთმან იცოდეს, გუთანო, შენი მოდევნა ძნელია,
რაცა კაცი მუდამ მოგდევს, იმისი პური ძველია.

არალო, ბიჭო გოგია,
მოხან და ბევრი მოგივა.

სახნისმა თქვა

სახნისმა თქვა: „ქვესკნელს დავალ, მზისა შუქი მენატრება“;
საკვეთელმა გაიგონა: „ჩემზე მეტი შენ რა გხვდება?
მეტისმეტი წინძღოლითა წინა კბილი არა მრჩება“.
ეს ჯამბარამ გაიგონა: „ჩემზე მეტი თქვენ რა გხვდებათ?
ავდარია, მე დავლპები, დარი ცეცხლად მომედება“.
ეს ხარებმა გაიგონეს: „ჩვენზე მეტი თქვენ რა გხვდებათ?
დაგვადებენ მძიმე უღელს, ზედაც მეხრე დაგვიჯდება,
ჩაგვიყრიან შინდის ტაბიკს, არ გასწიო, არ იქნება.
ის ურჯულო გუთნისდედა ქვეშ-ქვეშ გამოიყურება,
იმას არ ეტყვის მეხრესა: „უდივრობა არ იქნება!“

ტოროლას მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რო მქონდეს წამალი,
საწყალი ღამის მეხრისა ის არის კარგი მამალი.

გუთანი და დუჭანი

მადლიანია გუთანი, ფეხდაფეხ დასდევს უფალი,
კაცის გამფუჭებელია ის სატიალო დუჭანი.

თესლი, მიწა და ღმერთი

თესლი მიწას მივაბარე, თესლი-დ' მიწა ორივ ღმერთსაც,
ეხლა ღმერთმა თავად იცის, მამცემსა თუ არ მამცემსა,
იმის მადლი შეეწიოს ყველას, მისგან განაჩენსაც!

●

მეთევზის ბარაქა შერცხვა, მონადირისა — საგძალი.
ჰირიმე გუთნისდედისა, მუცელი ჰქონდა მაძღარი.

ჩერქეზი ქალები

ლეკებმა რო დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისა,
მთები დიდი გადმატარეს, მთები კავკასიონისა.
გადავხედე ჩერქეზ მინდორს, ნისლი იწვა შავი მთისა,
სამი ქალი თივას თიბდა, სამივ ჩერქეზთ ბატონისა,
ხელში ეჭირათ ცელები, პირები აქვთ ალმასისა,
მარმარილოს სალესავნი იმათ აუწყობენ პირსა,
ასეთ სიმღერებს ამბობენ, ვით ბულბული ბაღებისა.
არ მენახა, გამიკვირდა მუშაობა ქალებისაც!

ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი, ბიჭებო, ნუ ხართ უგულოთ,
ჰერი, ბიჭო გენაცვალე, თოხნური დავაგუგუნოთ.

მაისის წვიმა — ოქროა,
თიბათვის წვიმა — ვერცხლი,
მკათათვის წვიმა — მდუღარე,
მარიამობის — ცეცხლი!

ყანას უნდა ბაგი-ბუგი

ყანას უნდა ბაგი-ბუგი, ომი გადასავალია,
ყანა იყოს მოსამკალი, თორო ბიჭი მრავალია.

ყანასა მორეულასა

ყანასა მორეულასა არ უნდა დახედულობა,
გავლა უნდა და გამოვლა, ნამგლისა მოლესულობა.

●

შენ, ბიჭო ანაგურელო, ხმა შენი ჩამოდიოდა,
შენი ნამგლისა ჟღრიალი წყალგაღმა გამოდიოდა.

●

გლესავ და გლესავ, ნამგალო, ნამგალო, ჩემო რკინაო,
ქასური სალესავითა, ნამგალო, ჩემო რკინაო,
გაგლესავ და მიგაყუდებ, ნამგალო, ჩემო რკინაო,
აგიღებ და გათამაშებ, ნამგალო, ჩემო რკინაო;
გასჭერ, გამიძეხ წინაო, ნამგალო, ჩემო რკინაო.
ჰარალი-ჰარიალალო, ნამგალო, ჩემო რკინაო.

●

ძირში მოუსვი ნამგალი, თორო თავთავი სცვივაო,
დაეხსენ პატარა ქალსა, ცრემლები ჩამოსცვივაო.

●

გამიძეხ, ლეგა ნამგალო, ყანა დგას შავიფხიანი,
ვკაფო და ვკაფო თავთუხი, დაგაწყებინო პრიალი.

ჰეკა-ოკა

ჰეკა-ოკა, ბიჭებო,
მაღლიდამა გადმოგხედე, დაგაცქერდი ჭორივითა,
ძუძუ-მკერდი დაგინახე, თეთრი გქონდა ბროლივითა.

ჰეკა-ოკა, ბიჭებო!
ქალო აშაო, მაშაო, წამწამგიშერა, თმაშაო,
შენი საწოლი მასწავლე,
ია და ვარდი გავშალო.

ჰეკა-ოკა, ბიჭებო!
გაღმა-გამოღმა ბალები, გარს ახვევიან ქალები,
ერთი შახედვით შავატყვე, რომელსაც შავებრალები.

ჰეკა-ოკა, ბიჭებო!
თიანეთს ოქროს ლოგინი, შიგ სამნი დანი წვანანო,
რა ვქნა, რომელ ერთს ვაკოცო სამნივ ერთმანეთს ჰგვანანო.

მომკალი უზანდარელი

მომკალი უზანდარელი შენ მოჰკალ, უთანელაო!
არცა შენ მოჰკალ, არცა მე, მამულმა მოკლა, ველმაო,
მინდორში მინდვრის ნიავმა, მზეკაბათ ჭინუზაშაო.
არ ვიც, რამ მოკლა მომკალი, ნარმა თუ გვირილამაო?
სათითენ ნარზე ეკიდნენ, ნამგალი გვირილისაო.
გვერდით დამიჯე, ლამაზო, დამიკარ დილილასაო!

ასლი

ასლო, სამკალად ლამაზო, სახვავედ ბარაქიანო,
ფქვაში წისქვილის მამშლელო, საჭმელად თავლაფიანო.

●

ვინც ზაფხულობით არა მკის, ზამთარში სად რა იშოვოს?
უცეცხლოდ მაინც შესცივა, რაგინდ პატარა ითოვოს.

●


ოროველ, მოდი კალოსა, არავინ მოგიპაროსა,
არავინ შეგსვას, შეგჭამოს, არავინ წაგიყვანოსა!

●

ამოქროლდი, ზენა ქარო, უნდა ხვავი ვახორხარო,
გამოვაცხო თბილი პური და ბავშვები გავახარო.

●

შუადღეს გასწორებია, — გვერდზე მოგვექცა ლანდია.
თუ რამეს გვაჭმევთ, გვაჭამეთ, თვარამ წავიდა ნადია.



ვაზი

მიგრეხილო-მოგრეხილო, ზედ მიკრულო მაგრა ხეო,
ცოცხალი ვარ, შენ მაცხოვრე, მოვკვდები, — შენ დამმარხეო.

ვაზო, შვილივით ნაზარდო, მოვკვდები მე შენ ძირშია,
შენით ვარ მხნე და გულადი, იმედო გასაჭირშია.

სიდედრო, შავგვრემანობით არ დაიწუნო სიძია,
სოფელში მიდი, იკითხე, გძელი ვენახი ვისია?

ოდელია სამარგელა, ჰო! უღვინობამ დაგვანელა, ჰო!
დელი-დელა-ოდელია, ოდელია ნანინაო, ჰო!

წისქვილი

წისქვილის ამბავს თუ მკითხამთ, თავით ბოლომდინ რა უნდა:
ღრმათა გაჭრილი საღარე, იმას რუსხმული სხვა უნდა,
მაღლა წყლის გადასაგდები და გრძელი ღარი სხვა უნდა,
ძირიდგან მურყნის ბორბალი, ორმოცდაათი ფთა უნდა,
ზემოდგან მაგარი ღერძი, ზედ ერთი ძირით ქვა უნდა,
ზევიდგან მტკაველიანი ქვა, მას სარეკელი სხვა უნდა,
ზედ გადადგმული ბოძები, იმას ხვიმირა სხვა უნდა,
ძირიდგან შაბმული კრიჭა, რომ აწევ-დაწევა უნდა,
ქალსა ჩააცო, დაჰხურო, იმაზე მეტი რა უნდა?
ერთი ხელი საშინაოდ და საგარეო სხვა უნდა,
თავზედ წითელი ბაღდადი და თასაკრავი სხვა უნდა,
ფეხზედ წითელი ჩუსტები, პოლსაპოშკები სხვა უნდა.

სატიოზე ტივი შავკარ, ტივი იყო ნაძვი ხისა,
ორთაყვირები დავასხი თითო იყო ასი წლისა.

ცელი და ცოლი

ცელი ვლესე და ვერ გავლესეო,
გადალესული ყოფილიყვაო...
ცოლი ვწურთნე და ვერ გავწურთნეო:
თავში უწურთნი ყოფილიყვაო.

ცელცუდაო და ცოლცუდაო,
მთიბელო ვეღარაისაო,
ცელლამაზო და ცოლლამაზო,
მთიბელჩი-ნამხრევმშვენიერო.

ცელო, ნალევთი ნალევი ხარ,
ბალახთა ძირის დამლევი ხარ!
ცელო, გამიჭერ გზის პირია,
ჩამაილიან, სირცხვილია.

დედა ენაცვალოს შვილს გიორგისა,
ერთი მთა ერთ ნამხრევად უნდა,
მეორე — თივის სათრელადა,
კოშამდე მიწის სათხრელადა.

დედავ, ნუ მიმცემ

დედავ, ნუ მიმცემ ბასილასა,
ცელის ტარზედა ელღვეოდა.
ცელი ნამხრევჩი გადაეგდო,
თვითონ ქალებში ეთრეოდა.
თუ მიმცემ, მიმეც ბაჩანასა,
მთიბელთ თავზედა ევლებოდა.

მარტო მთიბელი

მარტო მთიბელო, მოიქივრეო,
ცოლი გყავ ახალმოყვანილიო,
ცხვარში ყოფილა, გამოგხედავსო,
არვინ იჯობა სხვა მთიბლებიო,
თორე შინ მიხოლ წუხრიხანაო,
ცოლი მოგცემდა საყვედურსაო,
აღარ დაგიწვენს ბროლის მკლავსაო,
აღარ ჩაგიხვევს ოქროს ყელსაო.

●

ბალახ მოთიბე ნარიანიო,
თუ თივა გინდა ღალიანიო.

ამანათი

I

აღარ ჭრის ამანათის ცელიო,
ამანათობა მოსწყენიაო;
აისრევ ამანათის ცოლსაო
დედათ ფერობა მოსწყენიაო.

ჩარგალი

ჩემო ჩარგალო ცოტინააო,
აბრაშუმის საბლით მაზომილო...
ჩარგალ ცას შაღგავ ღურბლიანსაო, —
დღით სამჯერ იცვლის გუნებასაო...
ქალო, რომენი გირჩევ ქმარიო —
ქისტაური თუ ჩარგალელიო?
ქისტაურ პურსა არ მოგაკლებსო,
ნადირის ხორცსა ჩარგალელიო.
ქალმა ქისტაურ დაირჩივაო:
„ხორცი რად მინდა უპუროდაო?..“

ხარო, ხარი ვინ დაგარქვა, ხარო, სახემშვენიერო,
ჩვენ ნუგეშად მოვლენილო, ქედნაკურთხო, ღონიერო!

ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი მთაზედა,
ქვა შემოიველო გალავსათ, ცა დაიხურა თავზედა,
სასახლე-სადარბაზეი დგას ოქროს ბოძობაზედა.
ადამიანის შენახვა ვერავინ იდვა თავზედა.
ხვნა-თესვა, ფარცხვა და ზიდვა გაჭირდა მეტად ძალზედა.
ხარმა თქვა პირნათლიერმა: „მე დამაწერეთ რქაზედა“.
მოცვივდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორსავ თვალზედა.
ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორსავ რქაზედა,
შვიდიც უბოძეს სარტყელი, გაგზავნეს ქვეყანაზედა:
„წადი, ხარო, იმუშავე, ერთგულად მთა და ბარზედა,
შეგაბას შენმა პატრონმა, გამუშავებდეს ძალზედა;
ექვსი დღე უღელში ები, მეშვიდეს დაწექ მხარზედა,
კვირა-უქმეს გამოგიშვას, გაგიშვას საძოვარზედა,
ვინც კვირა-უქმეს შეგაბას, ხელიმც შეახმეს მკლავზედა“:

ხარმა შესტირა გამჩენსა მარგალიტისა ცრემლითა:
მიშველე, ჩემო გამჩენო, სისხლი მომადგა ყელშია,
შემაბმენ პირუბანელნი, სახრეს მიშენენ წელშია.
გუთნისდედისა ხვნაშია სახრე გადმომკრეს თავშია.
დაჩოქილი შემოგბღავი მაღლა მეუფეს ცაშია:
მიყრიან რკინის ტაბიკსა, მეგრისებიან ყელზედა,
არ მემართლება, მეუფევ, ავაგო რქისა წვერზედა?“
„აქედან როგორ გიშველო, მეც მაგინებენ ცაშია,
მე მაშინ მოგეშველები, რომ მოვლენ სამართალშია.
დავადგამ რკინის უღელსა, შევგზავნი ჯოჯოხეთშია,
გველსა ტაბიკად უყრიდე, იკლანჭებოდნენ წელშია,
წინ ეშმაკებს გაუძღვარებ, ჩავრეკავ კუპრიელშია“.

●

ხარო, დადგა მაისი, ახლა ხორცით გაივსი,
წყალია და ბალახი, გასუქდი და გალაღდი.

●

ხარმა სთქვა: ხარი ვერ მამკრავს, თუ მეხრე მიზის ღვთიანი,
თუ მეხრე უღვთო შამხვდება, რას ვიქმ უენო, რქიანი?

●

ანეულობა, ფეტვობა,
ხარო, კისერზე გეტყობა!

მაშინ კაი ხარ

მაშინ კაი ხარ, კავ ცხენო, მთანი რო ღგვანდან ლილასა,
პირს გედვას მძიმე ლაგამი, ორთქლი ადნობდას რკინასა,
ემზადებოდას მხედარი, შუბლი უგვანდას სინასა.



ცხენო გასუქებ

ცხენო, გასუქებ, რემაო, ძუა-ფაფარსა ჰშლიდეო,
ერთგულის კარზე მიგაგდებ, ორგულის გულსა ჰგლიდეო!

ჰოტუ, კამეჩო რქიანო

ჰოტუ, კამეჩო რქიანო, ჩვენთა მამათა თქვიანო:
„ულელის ხარის ნახნავი შვიდს წელსა გვკმაობდიანო“,

კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია.

კამეჩი ღონიერია, უღელსა ზიდავს ხისასა,
გაუჭირდება, წაიღებს თავისასა და სხვისასა.

გონებიერი ნადირი შუაღამისას ადგება,
გათენებამდე გაძღება, სიმაგრის ადგილს ჩადგება.

ჯარჯი

ჯიხვების განავალი კლდე, რო ნახო გაგიკვირდება,
იმათ ნაწოლსა, ნადგომსა თოლი არ მაეკიდება.
ფეხ რო მაუსხლტეს ტიალსა, კლდეზე რქით დაეკიდება,
იმათ მიმყოლსა ვაჟკაცსა რა კარგი წაეკიდება?
ჯარჯი ჩაჰხედავს ჯიხვებსა, რა მშვენიერნი წვანანო,
რქა რქაზე გადაუხვევავ, ანგელოზებსა ჰგვანანო.
ჯარჯიე, ნუ მისდევ ჯიხვებსა, მოგინელებენ ტიალნი!
არ დაიჯერა ჯარჯიმა, სხვაც ბევრ მამცდარა ჭკვიანი.
ჩამაუქადლა ვაჟკაცმა ხირიმი სპილოსძელიანი,
წინ ჯიხვთა, უკან ჯარჯიმა კლდეზე გადიღეს გრიალი.
ჩაბანოს ჭალას გავარდა მოყმე ფეხწრიაპიანი.
ამაიტანეს მამკვდარი, ტირის ქალი და ზალია,
შამააწვინეს კარზედა კლდის დაფლეთილი ტანია,
გადაგლეჯილი თავ-პირი, ყორნის დათხრილნი თვალნია.
სახსოვრად ჯარჯის საფლავზე დააკრნეს ჯიხვის რქანია;
ერთ გვერდზე თოფი სიათა, მეორე გვერდზე ხმალია,
ზედ დააწერეს წერილი: „ჯარჯი ჯიხვთაგან მკვდარია“.

ჯიხვზე ნადირობა

ამახე, მთვარის ნალეო, ამაანათე კლდესაო,
ჯიხვთ რო გაიგან მწვანილი, — დღისით სიმაგრეს წევსაო.
გზას უკრავს მენადირეი, ღამეს გაატანს ბნელსაო.
გათენებისად შაუკრავს გადასახედსა წვერსაო.

ჯიხვნი საწოლთკე წასვლასა იგებენ სისკრის შუქითა,
ქუჩს სძოვენ თვირთვილიანსა, მიდიან წყნარის ბიჯითა.
როსაც წვერს დაეჯრებიან, გული უცხროობს შიშითა:
„ვა, თუ გზას გვეჯდას მოყმეი, ქვიშა შავღებათ სისხლითა!“

გაძრიელდა დილის ნიავი, ჩამახყიყინებს კლდესაო.
შაგიტყვა, მენადირეო, ჭყიტინებს, უცემს ფეხსაო.
გასწივა სალის კლდისკენა, აღარ ენდობის წვერსაო.
ყინვარში შენი შიშითა მშიერ აღამებს დღესაო.

ჩახენა მენადირემა, შამაიჯენჯა გულია:
„სიცივისაგან გავხერდი ჯიხვების მაცადურია.
რა დაეკლების? — ამბობდა, — სალს კლდეში გადასულია“.
ხელთ აქვის თოფ-იარაღი, რა კარგა დამზადულია!

ახლა მშვიდობით წამიხვე, ჯიხვო, კლო რაღა გგულაო?
გიშველა დილის ნიავმა, ახლა ცალია ვბრუნაო.
კიდე ჩამახოლ ლიხზედა, ეგრ კი ვერ წახოლ სრულაო.
გულ რო გახჭონდას ტყვიასა, სულს ღლევდა, ამაშჭუნაო.

სისხლი(თ) ძღებოდან ყორნები, ხყეფდან სიკვდილის ხმაზედა:
„პირიქით ვეთელებოდით სხვას მენადირეს გზაზედა,
მოყმესა პირშიშველასა მავხყევით თოფის ხმაზედა.
ჯიხვო, ყინვარში ნაზარდო, შამაგყოლია კვალზედა“.

საწყალო მენადირეო, ვის აქვ წვალება შენია?
შახდომა გინდა (რას იქამ?), საცა ყინვრიან წვერია,
გამათხრა თავის საწოლსა, ღამე რო იყვას ბნელია,
კლდის ძირში გიგავ ლოგინი, კლდის ნაწვეთ ჩამაგდენია.

ძილს გიკრთობს ქვიშის წკრიალი, გულჩი დარდი გაქვ
მტრისაო,
გვერდს გიწევს შენი ბერდენკა, რკინას გულს იხვევ გრილსაო,
ხელი გიკიდავ ზატორსა, იმედ გაქვ როგორც ძმისაო.
ცალკე სიცივე გაღონებს, გმინს გააყოლებ გმინსაო.

შუღამემდი რო გეძინას, მემრ დაძინება ძვირია,
დაგიყუჟდების გვერდები, ჰაუხის ქვიშა გრილია.
საგათენებლო მასკვლავი გორის პირ გადახრილია,
მიზდევს ქვიშაზე სარტყელი, ჯიხვების გადაჭრილია.

წადი, შასწუხდა დედაი, გმინს გააყოლა გმინია.
რაად სწუხდები, დედაო? თაოდაც უფერ ჭირია.
ომი რო ნახას თვალითა, პირში დაშჩების ღმინია.
ფეხით ვერ წავა ცოცხალი მტერ გზაში შამაყრილია.

მელექსეს თუ რას იკითხავთ, გრანჯაის ჩამათვლილა.

ბერდია და ჯიხვები

ეაჰ თქვენს ბერდიას, ჯიხვებო, დავბერდი, მაკლეს თვალთაო;
დაბნელდა, ნისლი დაეცა, ვეღარ გავიგებ გზათაო,
თორ კიდენ გაგაგონებდით ჩემის ხირიმის ხმასაო,
კიდევ სამ გაბერტყინებდით დილაზე ქუჩის ნამსაო.

გაჰხედენ აიმ მთაზედა

გაჰხედენ აიმ მთაზედა, წალამ გადადის ნისლისა,
ზედ მონადირე შამდგარა, ხელში ქოჯო აქვს ისრისა.
ჯიხვი ჰიუხში შაგვიხდა, ხველა გამოდის ფილტვისა,
მაგას ვეღარა უშველის, გასენილია ისრისა.

სიცხლის კოწოლი

ჯიხვო, გუნებით მძიმეო, გასწიე, თორე გათენდა!
შენს მოლოდინში ვაშკაცი სიცივისაგან გახერდა;
დღე-ღამენ არ გარჩეულან, ცეცხლის გირკალი დაგელდა;
გაყინულაის ნასრევი, ჯიხვო, ბოძალი გაგება;
მანამ საწოლში შახდები, სისხლის კოწოლი მაგება.

ჯიხვს

ჯიხვო, გუნებით მძიმეო, კლდიდამ რამ გამაგიყვანა?
ვაქკაცმა პირშიშველამა სათავე წამაგიარა;
მშვილდმა მაგ შენი რქისამა დაგჭეხა, დაგათხრიალა;
ისარმა კილოწითელმა იღლიაჲ გამაგიარა;
გულს მაგხვდა, მუხლსა გიწივა, მუხლ დადგა, ვეღარ იარა.

სინდიურისძე

ჭიუხის თავზე თოვლსა თოვს, ქარი ჰქრის დაუდგომარი,
ზედა დგას სინდიურისძე სულ მუდამ ჩამუხდომარი.
ესრის, გადმაჰყრის ჯიხვებსა ხელ-მუხლზე ჩამუჯდომარი.
„ჩამოხე, სინდიურისძევ, კლდეებ აავსე მზორითა;
გვაყრუებს მონადირეთა ყეფა მაგ შავის ყორნისა!“

●

შიბთჩდილ შუღლობენ ჯიხვები, რქებსა ერცხვაზე ცდიანო,
შიბთჩდილ ტირიან შუნები, ცრემლსა წყალივით ღვრეანო.

ნადირთა საჩივარი

ტყეს შასჩივიან ნადირნი, გვეყო, რაც ვივაგლახეთა,
ჩვენს გაზდა-სიცოცხლეშია რაც დაღონება ვნახეთა.
რას დაგვდევ, მონადირეო? ტყეში რამდენჯერ გნახეთა,
რად მოგვანიჭა ბუნებამ — ენა ვერ ავიძრახეთა,
დატყვრების არშავიანი, დავეტოლებით ქვა-ხეთა.

●

თოფი ბულქი გაქვთ, ვაჟაო, წამალი მაღომლებული,
მთაჩი ჩივიან ნადირნი, სულ შენნი დაღონებულნი.

მონადირე და ჯიხვი

თოვლი თოვს, ჯიხვი ფეხს უცემს, გულს გიგლის, მონადირეო:
„ჯიხვო, ვერ მოგკალ, ტიალო, სისხლი ვერ გაგადინეო,
ვერ გადაგაგდე კლდეზედა, რქაზე ვერ დაგაბჯინეო,
ვერ დავიკვეხე სწორებში, გული ვერ გაგაცინეო“.

მონადირე და არწივი

მწადიან, შუაუბნელო, ლექსები დაგიბარაო:
ჰაუხ ქორები დაგკივის, ჯიხვების წყემსო ქალაო;
ახლოს გყავ მენადირეი, ხელი არ შაუშალაო!
ქარაფზე წადგა ხარლაღი, რა კოხტად გაიზარდაო,
წამაიგძელა კისერი, რქებ ზურგზე გადიყარაო,
ქვიშაში რქათა ნაგრილი მშვილდივით მაიხარაო.
დაბლიდან მენადირემა ლიშანზე აიყვანაო,
თოფ გატყვრა, ტყვიამ იწივლა, ჯიხვო, წაგართვა ძალაო,
მაღლა წვერებზე გაზდილო, დაბლა გაჩვენა ჭალაო.
შიბშიგით გამაიშალა, კვნესის შურთხების ფარაო;
ფრთა შეკრა მხარკვერიანმა, რო ელდა დაეტანაო,
შურთხს დაჰკრა, ჭალას ჩაგზავნა, ქვასავით ჩაეფარაო.
ამას შახენა ვაშკაცმა, შაუქა მკლავის ჯანაო,
უთხრა: „მე და შენ, არწივო, ღმერთმ ეგრე შამაგვთვალაო,
მოდი, წაიღი ნაწილი, მე მეტს არ წავიტანაო“.
შააზრიალა კლდეები მოყმის სიმღერის ხმამაო.
ამ ორში ერთი ალღოი ვერც ერთმ ვერ მაიშალაო,
ორივე საქებარია, ქებას მეც იმით ვთვალაო.

თამბი

„საით მიდიხარ, თეთრო თამბი?“ „მთაში მივდივარ
სანადიროდ“.
„არ გაგიგია, თეთრო თამბი, უგურ-მთაზე ვეფხი ყოფილა,
წასულან შენი ძმობილები, მძიმე ძილით დაუძინიათ,
ნუ წახვალ მთაში, თეთრო თამბი, შინ გიჯობს, ვაჟო,
დაბრუნება“.

არ დაიშალა თეთრმა თამბიმ, შიში გულში არ გაიტარა.
„მაშინ რად მინდა ჩემი მშვილდი, ჩემი მშვილდი
ძნელმოსახარი,
ან ჩემი ხმალი — ჯავარდენი — გაჭედილი ახალმთვარობას“...

. . . . . .

უგურ-მთაზე მზის დასავალთან თამბი და ვეფხი შეიყარნენ,
მაღალია ვეფხის კამარა, მჭრელია თამბის ჯავარდენი,
უგურ-მთაზე მზის დასავალთან თამბი და ვეფხი შეიყარნენ...

. . .

ტორი ჩამოჰკრა ზოლიანმა, ჯაჭვ-აბჯარი ჩამოახია.
„ტანი რად მინდა მოხატული, თუკი ნახტომი ამიცდება!?“
მაშინ გახელდა თეთრი თამბი, ხმალი დაჰკრა, მძიმედ დადრიკა.
ვეფხის ზმორება სასიკვდილო მდინარეს ჰგავდა ადიდებულს...

„ფიცხი ყოფილხარ, ზოლიანო, მოყმე ყოფილხარ უშიშარი,
მე, ავთვალი რისთვის მეგონე, მოხატული ტანი გქონია,
ეკლიანი რისთვის მეგონე, ატლასივით ბეწვი გქონია,
მოუქნელი რისთვის მეგონე, ელვასავით ტორი გქონია.

ნეტავი შენ არ მომეკალი, მამაჩემი შემომკვდომოდა,
ნეტავი შენ არ მომეკალი, ალალი ძმა შემომკვდომოდა,
ნეტავი შენ არ მომეკალი, ღვიძლი შვილი შემომკვდომოდა...

ნეტავი შენ არ მომეკალი, თავი მომეკლა — და — ტიალი.

მენადირის მარცხი

თოლს დასთოვს ზენბაცალიგოს, ქვენბაცალიგოს შრებისა.
თინიბეჭაურთ ციხესა კუთხი მარჯვენა სქდებისა.
თავსა ზის შავი ყვარანი, გველი ლიბუჩი ძვრებისა.
კურდღელაიშვილ კვირიკა გულსუწვადინოდ კვდებისა.
ლურჯაი კვირიკაისა სამბურჩი აღარ დგებისა.
ცოლ ლამაზ კვირიკაისა ფარაგთით იხოშებისა.
დედაი კვირიკაისა ცვილის სანთლებურ დნებისა.

ჯიხვთა ნუ მისდევ, კვირიკავ კურდღელაშვილო, კლდისათა!
თორ ჩაგიტყუებს ჯიხვები, ფხას ჩაგაგლეჯენ კლდისასა.
გაგიმაღლებენ ეშმაკსა, ნაჭარს დაგცემენ მთისასა.
თოფსა ტანიას ნუ სწირავ, მხოცელს ბევრაის მტრისასა.
ჯერ მტერთა გაუხარდების, მერმე ჯიხვთ ფადუხკლდისასა.
გაიგებს მითხოელები, ბეგარს დაგვყრიან ცხვრისასა.

ნაკუწა

კლდემა გასძახა კლდესაო; „ნაკუწა არი ჩვენსაო,
ჯიხვსა გვთხოვს მეტად მსუქანსა, თორემ არ შვება მჭლესაო".
„წადი, მიეცი ის ჯიხვი, არყი რო უზის ბეჭსაო!"

სადრა-რა

დილაზე დილაობითა ხარ-ირემს დავჰკარ ისარი,
მთას გადამიხტა მაღალსა, გადააწითლა ქვიშანი,
სადრა-რა მოკვდა ტიალი, რქანი სადა სხენ მისანი?!

ჰოლიკიშვილი

აკუშოს-ღელეს ირემო, დაბლა ჩამოდი ნისლითა.
შინ არ ას ჰოლიკიშვილი, ხორცთა ნუ დახყრი შეშითა.

ხართა თქვეს

ხართა თქვეს ხათხევაშია: „მონადირეთა სძინაო,
საძილედ რად წამოსულან, ნუღარამც მივლენ შინაო!“

ირემმა ირემს ახარა

ირემმა ირემს ახარა: „პამპრაძე ავად გამხდარა,
თოფის ხმა აღარსად ისმის, იქნება კიდეც მამკვდარა“.
გამოსტყვრა თოფი ამ დროსა, ირემმა ტლინკი აყარა:
„თუ კი პამპრაძე მამკვდარა, მაშ თოფი ვიღამ გვახალა?“

●

— ირემო მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა?
— მეუღლე მტერმა მომიკლა, დავიარები ცალადა.

მონადირე და ირემი

— ირემო რქებით მშვენარო, ყურებით ლამაზიანო,
ნუ იარები ველადა, თავი არ დაიზიანო.
არ გაახარო მოყმეი, თოფი არ გაახმიანო...
პირდაპირ მოყმე ჩამოჰყვა, პირქუში, მშვილდისრიანი,
წამოფრთხა ხარი ირემი, გუნებამძიმე, რქიანი,
გაფრინდა ნიავ-ქარივით, რქებმა წაიღო ზრიალი,
წამააყოლა მოყმემა: „შორს ვეღარ იქლი ტიალი...“
— რას სჩადი, კაცო, რადა მკლავ, შენთვის რა მიქნავ ზიანი?
ჩემის დღის დამბნელებელსა შენ კი შაგჭამენ ჭიანი.
შენ ჯოჯოხეთში ჩავარდე, ჩემთვის მზა სამოთხე არი.

სად იყავ?

— სად იყავ, ხარო ირემო, სად გაიბასრე სისხლითა?
— ალგეთით მოვალ, ბატონო, მთა გადმოვლახე ნისლითა,
დამკოდეს ხათუთისძეთა, ისარი მამაქვ კისრითა.

ირემი და ცხენი

„სად მიხვალ, ხარო ირემო, ქორბუდიანო, ჩხიანო?“
„რას მომდევ, ცხენო ქურანო, შე ფეხებდუშაყიანო?
თავს გაძე დიდი ლაგამი, საძუე-უნაგრიანო“.
„მაშინ დამცინე, ირემო, ნალები მოგიწკრიალო,
დაგწიო ჩემი პატრონი, მშვილდ-ისარ მოგიტრიალო,
სანამ შენ გაგატყავებდნენ, მინდორი აგიტიალო“.

არწივი და ყორნები

არწივო, მხარკვერიანო, ყორნებს რად აძლევ ზავსაო?
მინდორს რო მოკვდეს კაი ყმა, წინ-წინ ეგ დასთხრის
თვალთაო.

ამაგს რად ებრძვით სხვისასა?

დაიხულუზნებს არწივი, ქარსა ჰგავ მაღლის მთისასა,
დაეტევება ციკანსა, გაზდილსა კაი ყმისასა.
თქვე მამაძაღლის ოხრებო, ამაგს რად ებრძვით სხვისასა,
რადარ თავადა ნადირობთ, შურთხს რადარ იქერთ კლდისასა?

პატარა მწყემსები ყორანს

ყორანო გარდამავალო, ფეხი გადაჰკარ ქვასაო,
გულ-მკერდი — სამართებელსა, მუცელი — ცელის ტოხასაო!
ნურცა რამც გაგემარჯვება ჩემი მწყემსობის დღესაო!

●

შავ კლდესა შავი ყორანი ჩავა და ჩაექანება,
ჩავა და ლეშით გაძღება, ამოსვლა დაეზარება.

ყორნების ზნე

რა ცუდი ზნე გჭირთ, ყორნებო, ტირილ არ იცით
მკვდარზედა,
შაიმოსებით შავადა, თეთრს არ ჩაიცომთ ტანზედა,
ვაჟკაცს გულს ამაარიდებთ, ჩამაირიგებთ ჯარზედა;
რაც უნდა კაი ყმა მოკვდეს, ცრემლ არ მოგივათ თვალზედა,
დაითხიფებით სისხლითა, ილტოზე წახვალთ წყალზედა.

მიმინო მყვანდა

მიმინო მყვანდა, მიყვარდა, მეძინა, — გამეპარაო.
ჩავკითხე მეწისქვილესა: „აქ ხომ არ მაიპარაო?“
„ღმერთმან აქ იყო, აქ იყო, ვახშამიც აქა ჭამაო,
თეთრი ვარია აქ დაკლა, შავი თან წაიყვანაო.
შამოჯდა ხიდის ყურზედა, ეკვანი შააყერაო,
გალმით დალია სოფელი. გამოღმით ააშენაო“...

თებერვალი დადგაო

თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი გადგაო.

ჩიტთა შაჰამეს მიმინო

ჩიტთა შაჰამეს მიმინო, შაიქნა დროთა ცვლილობა,
აცათ, თუ შაგრჩესთ, ჩიტებო, მაგაზე თავმოვლილობა!

შავი შაშვი

შავი შაშვი ჩიოდა; უხუცესი, მთავარი:
„მთაი დაუთოვია, გზა არა მაქვს სავალი;
სურო სადმე ვიცოდი, ზედ მახეა მრავალი,
ვაჰ, თუ დავჯდე, გავება, სული წავა მთავარე".

ჟორო, ფრენა ვინ გასწავლა

ჟორო, ფრენა ვინ გასწავლა? შავარდენო, — ნადირობა?
გლეხო კაცო, — მუშაობა, აზნაურო, — გაზრდილობა?


ფელიას ჩივილი

ესო-მესო,
მელა ჩიოდესო:
„სოროს შამაგდესო,
შამამიბოლესო,
შიგ გამომახრჩესო.
ყავი შამოყვესო,
გამამათრიესო.
ტყავი გამაძრესო,
ქალაქს წამიღესო.
ამატარეს, ჩამატარეს,
ფასი ვერ დამდესო;
ქალბნელს ჩამაცვესო,
გამადედუფლესო,
ნეფესთან დამსვესო.

საღამოხანი მოვიდა,
ლოგინი აგესო,
ნეფემ საკინძი გამოხსნა,
ორი ვაშლი ხვდესო.

საწყალი მელა

საწყალი მელა ჩიოდა: „არ მამივიდა ძილია,
წაველ, საქათმეს მივადეგ, გამაუთხარე ძირია.
გამიგო იმის პატრონმა, ძაღლი ჰყოლიყო ფთხილია.
უკვენ ვიხედე, მამდევდა პატრონი, გზირის შვილია;
მხარზე გაედო კომბალი, გათლილი შვინდის ძირია.
გადმამიქნია, დამარტყა, ცისაკ გავართხი ტვინია,
დავჯე, დავიწყე ტირილი: „ვაი ცოლი და შვილია!
ე ცოლი ქმარსა შაირთავს, ობლები დამრჩა წვრილია,
ობლებიც მაიზდებიან, თავი დავკარგე გმირია...“



დათვის სიზმარი

დათვმა სთქვა: „სიზმარი ვნახე, რაღაც რომ მეხედვებოდა:
მეღორის ტყეში გადაველ, იქ ღორი მეგულებოდა,
ერთი ბურვაკი შავჭამე, შხამადაც შემერგებოდა.
სოფელზედ გადმოვიარე, სოფელი თოთქროვდებოდა;
ლამაზ-ლამაზი ბიჭები თოფ-იარაღში სხდებოდა,
ლამაზ-ლამაზი მწევრები სულ თითის პწკალზე დგებოდა.
წამამაყარეს ისარი, თითი არ დამედებოდა;
ისეთსა კლდეზედ გადმაგდეს, ორბი ვერ მობრუნდებოდა,
ისეთსა ხევში ჩამაგდეს, ქორი ვერ ჩაფრინდებოდა.
იქ იდგა სისხლის მორევი ქოთობდა არა დგებოდა;
მოვიდა სოვი, ყორანი, სომდენ და არა შრებოდა.
ჩამოდიოდა ფრინველი, ჩემის ლეშითა ძღებოდა,
ჯერ ლეშით დაილექნიან, მემრე სისხლითა თვრებოდა.
„დათო, რქვი შენსა სულზედა, ვინ უფრო გეომებოდა?“
„თეთროსან-ქალისპირაი გორის პირს ეფარებოდა,
წაქერონ-წაშვინდონაი გარელ-გარელა დგებოდა.
შავგვრემან-სვილისფერაი ტოტ-და-ტოტ მეომებოდა...
პატარა დამრჩა მოკვერი, ჩემფერა გაიზდებოდა,
მაჰკლავდა დედის მამკვლელსა, თუ გული ჩაედებოდა...

თხას უთხრეს

თხას უთხრეს: „მგელი მოკვდაო!“ გაიხარხარა, გაიქცა.
— რამ გაგახარა, სამგლეო? განა სამგლეთი დაიქცა?
იმას რო ლეკვები დარჩა, ისენიც მგლებად მაიქცა.

ძლივ სამ

ხმა მადის მასპინძლობისა, ძლივ სამ შავედით შინაო;
ასი სკამს ეჯდა სტუმარი, ორასი დაეწვინაო;
თავად სკამს იჯდა, ფეხს უცემს, ლომს არა მეეწყინაო.

ზღვაზე ხიდად

შენი ბროლი-მარგალიტი ალმასივით გაითლება,
გლეხიკაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდება.

●

მე ჯავახეთს რა მიჭირდა, მთვარე იდგა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა.

●

რად მოგწყენიათ, სტუმრებო, ჩვენთან მოსელა და დადგომა?
ჩვენ ისე გაგვხარებია, როგორც დახოცილთ ადგომა!

თოხლი ერთ ლუკმად

ამილახვარი მეწვია, სამზადისები მზა იყო;
კარის ვენახი იქვე მაქ, მარანი ქვევრით მზა იყო,
თოხლი ერთ ლუკმად შეჭამა, იმისთვის აბა რა იყო?!

●

ბატონო, შენი სასახლე ჰგვანდა ქალაქის ქუჩასა,
ხომ კარგად მოგეხსენებათ, პატივი უნდა მუშასა.

ვითომ თავს ჯდომა რა არი?

განა არ იცი, ბატონო, კვერნაკი დიდი მთა არი;
სამასი სული ძროხა მყავ, იმის ხბორები სხვა არი;
ხუთიათასი ცხვარი მყავ, იმის ბატკანი სხვა არი;
ექვსასი სული ღორი მყავ, იმისი გოჭი სხვა არი;
ძმა და ძმისწული ცხვარში მყავ, მოჯამაგირე სხვა არი;
სამოცი სული მწყემსი მყავ, მოშაღავათე სხვა არი,
სამოცი ძაღლი ცხვარში მყავ, პარკის გოშია სხვა არი, —
ას ცხვარსა მენაც გაჩუქებ, ათი და ოცი რა არი?!
ბოლოშიც კარგა მოვილხენ, ვითომ თავს ჯდომა რა არი?

ვენახს წისქვილი სჯობიან,
რაც უნდა ძრიელ როხავდეს,
წუწკი ცოლ-შვილის პატრონი
უნდა იჯდეს და ოხრავდეს.

ქილოიანი კაცი

გახელებული წისქვილი დღეში ჩანახსა ფქვავდაო,
გახარებული პატრონი თუნგნახევარსა სვამდაო.

ლუდი დუღს

ლუდი დუღს ალუდურთასა დამწარებული, სვიანი,
სკამსა ზის ალუდურაი გამწარებული, მტრიანი.

არ ვიცი

პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო.
არ ვიცი, ვისმე გლოვობენ, არ ვიცი, არ იციანო.

უთურგიანნი

ნეტავ თქვენ, უთურგიანნო! ყანა არ მაგიცდებისთა,
მკერდიან-დუმაიანი წინ სუფრა დაგიხვდებისთა,
ამდინარ-ჩამომდინარი მწყემსი, მუშაი ძღებისა.

სამი მზე

ნეტავ თქვენ, ქურაზიშვილნო! სამი მზე მოვა თქვენზედა:
ე რ თ მოვას პურადობისა, შუქ დაგიდგებისთ სკამზედა,
მ ე ო რ ე მამაცობისა, მტერ ვერ შაგიდგათ ძალზედა,
მ ე ს ა მ ე თოფოსნობისა, ჯიხვნ ვერ გაგივლენთ მთასედა.

უსტუმროდ

სტუმარნო, სტუმრების მზემა, არცრა უსტუმროდ ლხინია,
უსტუმროდ პური და ღვინო მწარეა, განა ტკბილია?
მზეიმც ნუ მავა უსტუმროდ, მავიდას, განა თბილია?

უღვინოდ

ყაცსა სტუმარი ეწვიოს, სტუმარი არნახულისა,
დააპოს ურმისა მორგვი ზაფხულის შენახულისა,
დაწვას ფიწალი, ორთითი, ცეცხლი დაანთოს გულისა,
ოთხკუთხივ ბოლი ავიდეს, დასვას და ანადიმოსა,
ატლასის კაბა ჩააცვას და ცხენსაც შესვას პილოსა, —
ყველა ტყუილად ჩაუვლის, თუკი არ ასმევს ღვინოსა.

●

მარიანობა დღესაო ქარი არ დასძრავს ტყესაო,
დალიე, დამალევინე, შენის დედ-მამის მზესაო!

ჰაჰანაისძე

ღვინოვ შენ ჰაჰანაისძევ, უცეცხლოდ ამაზდუღდები,
ჰკვიანთაი ხარ სასმელი, უჰკოთან ამაშუღლდები.

●

მთას ირემი არა დგება, ბარში იკეთებს ბუნაგსა.
თუ ჩემი ღვინო არა სჭრის, სტუმარი რათა ბღუნავსა?

დალიე

დალიე, ჩემო ბატონო, დალიე და დადგი თასი!
ღმერთმან თაფლივით შეგარგოს ეგ და სხვაც ბევრი ათასი.
დალიე, ჩემო ბატონო, დალიე, დამალევინე,
წვეთი არ დარჩეს თასშია, დაცალე, დამაცლევინე!
დალიე, ჩემო ბატონო, უარს ნუ მეტყვი ამაში,
ჩვენს სახლში, ჩვენსა მარანში, სულ ლხინი იყოს, თამაში.
დალიე, ჩემო ბატონო, დალიე და შეგერგება,
ზედაშე არის ნაკურთხი, შიგ ცის მადლი ინახება.

სტუმართად ცუდი დიაცი

სტუმართად ცუდი დიაცი მყინვარის წვერზემც დარჩება,
ხელთ ბალღი, ზურგთ აკავანი, ზედ ნიაღვარიმც ასტყდება!
„მიშველეთ!“ — იმას იძახის, მეშველიმც არვინ დაჰხვდება!
აირთვენ მთისა ნიავნიმც, სული ალ-ქაჯებს დაჰრჩება!
მყინვარის წვერზე მგელ-ტურა იმისამც ლეშით გაძღება!

❶

დიაცი შადის და გადის: „ცამ ნისლი აიყარაო!“
სტუმარი არსად არ მიდის, მჭადს სული გაეპარაო!

ეშმაკისთვის

ეს ზოგი კაცი რასა ჰგავს, ან ცხოვრობს ნეტა რისთვისა?
რასაც იშოვის, იპოვის, იმ ერთი შავი დღისთვისა.
არც თავის თავზე დაჰხარჯავს, არც სხვისთვის, არცა
ღვთისთვისა.
გადაბრუნდება, მოკვდება, დარჩება ეშმაკისთვისა.

პურადღვირ ნათლიას

ერთ აზარფეშა ვიშოვე, გამამადგება ზამთარა;
რაც შენ დაგინათლიავე, სახლში აღარა შამრჩა-რა!
ერთი ქათამი დაგიკალ, ბუმბულა იყო, ნაცარა,
საღვინით ღვინო მოგართვი, გოზაურ იყო ყარყარა,

სამის ჩაფის ქოცოზედა ბატარიკაით ბატარა.
ერთხელ მოგიველ სტუმრადა, რაღაც რომ ღმერთი
გამწყრალა, —
გამოვარდა ლეკვთა დედა, გამომაცალა კანჩალა;
„მე ხომ, შე სატიალეო, არა ვარ შენი მასხარა?!“
შიმშილმა გადამაქცია, შენ ის გეგონა — დამთვრალა...
მაგ ჩვენ ბატარა გოგიას მალედავ ღმერთმა შამყარა,
ხელში მამცა წმინდა პური, ღვინით ამივსო მათარა;
გავძეღ, ისეთი გავიქე, იტყოდი, შვლები დამფთხვარა!
ცხრა ხიდი გამოვიარე, ერთმაც არ დაიზანზარა...

●

აგეთისასა ნუ მიხვალ მასპინძელს გული სტკიოდეს,
სტუმრისა შასმულ-შაჭმულსა ცოლი ქმარს შემოსჩიოდეს.

ძუნწი კაცი

რო მოკვდება წუწკი კაცი, გაახვევენ ტილოსაო,
გაჰთხრიან და ჩააგდებენ: „ემანდ იყავ, შვილოსაო!
ვინაც შენ შანდობას გეტყვის, ღმერთმა შაარცხვინოსაო!“

●

არასოდეს არ გახმება წყალთა შინა ხეთა ძირი,
არასოდეს არ ცხონდება უშვილო და პურადძვირი,
თუ უშვილო ცხონდებოდეს, სამოთხეში შევა ვირი.

პურადი და გულადი

კილდის თავს ჭორი დავკოდე, სამჯერ საკბენად მეტია,
ვეფხვსა აღმართზე გავექეც, მაგრამ ვერ შამამეწია;
პურადი კაცი გულადზე სამის გაფრენით მეტია.

პეტრია საზანდარი

პეტრია საზანდარი ვარ ლექსების გამომჩარხავი,
აზნაურებში მავალი, ბევრი თავადის მნახავი,
პურადიაფის შამქები და პურადძვირის მძრახავი;
თქვენი მტერი და ორგული სულ პირქვე დასამარხავი!



პურადძვირმა კაცმა იცის: მოუჭერს წინა კბილებსა,
ქვევრში ღვინოს დააძმარებს, პურსაც შააჭმევს ტილებსა.

მოყმე და ვეფხვი

მოყმემა პირშიშველამა შიბნ გაიარნა კლდისანი,
მოინადირნა, დალახნა ბილიგნი ჭიუხისანი.
შამახდეს კილდის თავზედა ხორონი ჯიხვებისანი.
ჯიხვსა თოფ დახკრა ბეხენსა, ჭალას ჯახნ იქნეს რქისანი.
შუა გზას შამააღამდა, დრონ იყენეს შუღამისანი.
გზას ვეფხვი შამეყარა, თვალნი არისხნა ღვთისანი
შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი, მაშინ დაიძრნეს მიწაჲი.

კლდეები ჩამოინგრია, შტონ დაილეწნეს ტყისანი.
დრონ აღარ დასჩეს მოყმესა, ვადან ეწითლნეს ხმლისანი.
ფარს უფარებს და ვერ ასწრობს, ვეფხვნი ჩქარნია
კლდისანი.
გაზით გაართვა კალთანი ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა ვადანი თავის ხმლისანი.
ნელ-ნელა გაჭრა ფრანგულმა, დრონ იყენეს წაქცევისანი.
ვეფხვი კლდეთ გარდაეკიდა, ჩამააწითლნა ქვიშანი.
თაოდ კლდის თავზედ შამოწვა მოყმე სულამამდინარი.
ქვიშათ მიღებავს წითლადა სისხლი ზედ ჩამამდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა, — კარს უსხენ ქადაგ-მისანნი,
უერთოდ არ დაიხარჯნეს ჩვენ მონადირის ისარნი.
იარებოდა დედაი ტირილით, თვალცრემლიანი:
„ჩემს შვილს გზას ვეფხვი შახყრიოს გაჯავრებული, ტიალი.
ჩემს შვილს ხმლით, იმას ტოტითა დღე დაუბნელდა მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ დახვდა ჭკვიანი.
მათ დაუხოცავ ერთუცი, არ დარჩეს სირცხვილიანნი“.
ტირილით წყრულებს უხვევდა ვეფხვის დაჭრილსა კლანჭითა:
„შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ, დაქანცული სარ ჯაფითა,
ი შენი ჯაჭვის კალთები ოხერმა როგორ დაფლითა?!
შენც იმის საფერ ყოფილხარ, ხმალი ქნევაში გაგიცვდა.
არც იმან მაგცა ბევრი დრო, აღარც შენ დააცალია,
ვეღარცა-ღ შენ დაიფარე შენ ხელთ ნაქონი ფარია.
ვეღარცა-ღ ვეფხვმა ტოტები, ხმალმა დაკუწა ძვალია.
მაგის მეტს აღარ გიტირებ, შენ არ ხარ სატირალია:
ლაშქარში, მეკობარშია არ იყავ საწუნარია.
ერთ შვილ ხო მაინც გაგზარდე ვეფხვებთან მეომარია.
მშვიდობით, ჯვარი გეწერას! ეგიც სამარის ვარია“.
ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი ელანდებოდის მძინარსა, —
ხან ვითამ ვეფხვი იმის შვილს ახყრის ტანზეით რკინასა,
ხან ვითამ იმის შვილმ ზძლივის, გარდაავლივის ყირასა.
აი, მაგ სიზმრებს ხედავდა, გამაელვიძის მტირალსა.
ხან იფიქრებდა: „უდედოდ გაზდა ვინა თქვა შვილისა?
იქნება ვეფხვის დედაი ჩემებრ დღე-და-ღამ ტირისა?
წავიდ, მეც აიქ მივიდა, სამძიმარ უთხრა ჰირისა.
ისიც მიამბობს ამბავსა, მეც უთხრა თავის შვილისა.
იმასაც ბრალი ეჭნების უწყალოდ ხმლით დაჭრილისა“.

ლექსო, ამოგთქომ

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე
და შენ კი ჩემად სახსოვრად სააქაოსა რჩებოდე;
გიმღერდენ ჩემებ სწორები, ფანდურის ხმაზე ჰყვებოდე,
ქვეყანა მხიარულობდეს და მე საფლავში ვლპებოდე.
ნეტავი, ჩემო სახელო, დიდხანამც იხსენებოდე!
ჩემო ნათქომო სიტყვაო, შენამც კი გაჰქვეყნდებოდე!
შენ, ჩემო საფლავის კარო, შენამც კი აჰყეავდებოდე,
სახლო, არ დაიშლებოდე, ცოლო, არ გასთხოვდებოდე!..

ერთ ეგეც უნდა ვიკითხო, ჩემ სიკვდილს ვინ იტირებსა,
ვინ ჩამააბნევს ცრემლებსა, საქმეს ვინ გაიჭირებსა?
ამასა ვფიქრობ და გულიც ამასვე ანამდვილებსა:
დედის მეტს ჩემი სიკვდილი არავის ატირებსა.
თუმც ნათესავნი, და-ძმანი აღარ აისხმენ ღილებსა,
ცოლიც ძალიან მიტირებს, ქვეყანას გააკვირვებსა,
ცოტა ხნის შემდეგ ისიცა სხვისა ჭირს გაალხინებსა.
სულ ყველას დავავიწყდები, ყველას სხვა დაათირებსა,
მე დედის გულში ვიქნები, ძილსაც ვერ დაიძინებსა,
ვენაცვლე ძუძუ გამზედლსა, გულით ეგ დამიტირებსა,
დედას უყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა,
იმითა გეტანჯავს გამჩენი, სულ მუდამ გვაცოდვილებსა...

სუ დედა არ ზდის?

ზღვაზედ ხიდსა ვერვინ გასდებს, ვერვინ დაუდებს
დირესა;
ვერც გადააწვდენს ბადესა, ვერც მაუხელავს ძირესა;
ვინა თქვა: „წილი არ უძე!“ — სუ დედა არ ზდის შვილებსა?!

ობლების დამყრელს

დედა, ობლების დამყრელი, კაცის მკვლელს ედარებოდა;
უბეში ესხდა გველები, ძუძუებს ეტანებოდა.

შვილის გაზრდა

ზოგი ქალია წმინდანი, ზოგი ქალია დავარი,
შვილის გაჩენას რა უნდა? — შვილის გაზრდაა მთავარი!

●

ალალი დედა მომიკვდა, დამიჯდა დედინაცვალი,
იმას რომ გერები მოჰყვნენ, თვალში მაყარეს ნაცარი.

●

აღზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი, მემრე შვილსა და ცოლსაო.

●

ნეტავი, ჩემო დედაო, დაგბადებიყავ ქალია,
აღარვინ გაგაჯავრებდა, შორს წამიყვანდა ქმარია.

●

ჩვენს მეფეს გაუმარჯვნია თავფარავანის ტბაზედა,
მოუკლავს ფური ირემი, გადუკიდნია მხარზედა.

უთხრა სახლის ანგელოზმა

უთხრა სახლის ანგელოზმა გარეშამოს ანგელოზსა:
— დეგებ კარგა მაუარო თავის საყმო-სახელოსა,
ნეფემ ხელი ჩამაუსვა დედუფალის საყელოსა!
— ბალღი არი, გალაღდება, დეგებ ვაშლებ დახელოსა.

სწორების დაწირვა

ქალი ვარ, ქმართან მივდივარ, ნაწნავებ მიწყვავ თმისაო.
ვა გულო, ვა გუნებაო, ვა სიშორეო გზისაო,
წასვლაო-დ' ვეღარ მოსვლაო, დაწირვაე სწორებისაო!

ვაჰმე

მოდიან შავნი ღრუბელნი თეთრისა თოვლის მთოვარნი,
ვაჰმე რა ყროლნი მოდიან ლამაზის ქალის მთხოვარნი?!

მოვდივართ, მოგვიხარიან

მოვდივართ, მოგვიხარიან, მოგვყავს დედალი ხოხობი,
თვალწარბებგადახატული ქალია ძუძუკოკობი.

ლამაზი პეპელა

მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვყავს ლამაზი პეპელა,
ქალი, სძალი მშვენიერი, პირ-ვარდი, ალვა-კეკელა.

შატილელი ქალის ნატვრა

ნეტავინ, ჩემო დედაო, სხვაკნურიმცა მქნა ქალიო,
გამათხოვებდეს შატილსა, ვიქნებოდ ახალზალიო!

მაიკო

კარკუჩით წამაიყვანეს ქალი მაიკო თმიანი,
შვიდი მაყარი გამაჰყვა, შვიდივე ცხენოსნიანი.
წყალათ-ხიდთან რო მოვიდეს, დადგა ხანჯლების ტრიალი...
არ მაიშალა მაიკომ შავი თვალების ბრიალი, —
ზამთრის უყორდა ბუხარი, ზაფხულის გრილი ნიავი;
მაყრებმ ჩახოცეს ერთურთი, მაიკო დარჩა ტიალი...

ვაი, ჩემს გაცინებასა

ვაი, ჩემს გაცინებასა, რა უკილოდ ვიცინი!
და-ძმათ თავთავად გაყრასა ხუთჯერა სჯობის სიკვდილი!

❶

ქორწილია და მზადობა, ნეტავინ მომცა მდადობა.
ეჯიბთან დავეგდებოდი, მაგრამ არა აქვ დანდობა.

ახმეტური პატარძალი

ახმეტელი ქალი ვიყავ, ახ ნეტავი მეო,
ოცდახუთი წელიწადი ოსტატს ვებარეო.
ნემსს ყუნწი საითა ჰქონდა, ის ვერ ვისწავლეო,
საპატარძლოდ მომამზადეს, ეს მიამა მეო,
უმარილი ბევრი ვისვი, ფერი ვიჭარბეო,
წარბი წვრილად შევიღებე, თვალი ვისურმეო,
ნეფიონი რო მოვიდა, ის მიამა მეო,
დაფა-ზურნა რომ დაუკრეს, იმას ვერ ავყეო, --
ჯოხი რომ დაარაკუნეს, ჩამოუარეო.
ქურანი ცხენი მომგვარეს, ზედ გადავჯექ მეო,
უზანგში რომ ფეხი ჩავდგი, გადავალაჯეო.
საყდრის კარსა რომ მივედი, მღვდელსა შავძახეო:
„აბა ჩქარა, შე სულძაღლო, კარი გააღეო!“
ღვდელმა კარი არ გააღო, ის მეწყინა მეო,
ღვდელმა წიგნი ვერ იკითხა, ხელში წავგლიჯეო;
დიაკვანსა გავუჯავრდი თავში ვაწყვიტეო.
მანამ მაყრიონი მოვა, ცხენს მოვახტი მეო,
გაეწიე და წინ წავედი, არვის ვუცადეო,

მაყრიონი მომძახოდა: „ქალ, დაიცადეო!“
მე იმათი ტლაკატლუკი არად ჩავაგდეო,
შუა გზაში რომ მოვედი, ვაშლი გავკბიჩეო.
დარბაზის კარს რო მივედი, ძირს ჩამოვხტი მეო,
წინ ტაბლა რომ მამაგებეს, ჯამი გავტეხეო.
ჯიხვით ღვინო მამიტანეს, ის მიამა მეო,
ხელადით გამამიტანეს, ყელი ვისველეო;
სალვინით გამამიტანეს, გული ვიჯერეო,
დედამთილი მომეგება, პირი ვარიდეო,
პირში შაქარი ჩამიდო, თითი მოვკვნიტეო.
შიგნი-შიგან რო შევედი, სკამი შევზვერეო,
ზედ ბალიში ავიტანე, რბილად დავჯექ მეო.
დედამთილსა წავჩურჩულე: „პური მშია მეო“.
ერთი მწვადი რომ შემიწვა, ის მეწყინა მეო.
თაროებსა დაუარე, ერბო მოვძებნეო,
ცეცხლზედა ტაფა შემოვდგი, კვერცხი შევწვი მეო.
ასი კვერცხის ერბოკვერცხი მარტომ შევჭამეო.
დედამთილი ვჯოხე, ვჯოხე, მული გავაგდეო,
იმათი თმების ნაგლეჯი ბანზე მოვფინეო.
მამამთილსაც ხელი მივყავ, წვერი ვაგლიჯეო,
იმისი წვერის ნაპუწკი ღობეს მივფინეო.
ნეფეს წიხლი მოვახვედრე, კარებს ვაწყვიტეო,
ორიოდე მუხის კეტი მაზლსაც ვუშხივლეო,
მაზლი კარებს ეფარება: „ღმერთო, გადავრჩეო“.
ორი კვირის პატარძალმა შვილი ვშობე მეო,
მერე ქალებში წაველი, ქალებს ვუამბეო.

ავი პატარძალი

ავი პატარძლის ყოლასა სახადი სჯობს სახლშიაო,
ჯამ-ჭურჭელი გადაყარა წუნწუხსა და ლაფშიაო.
საჯერო წამოქცეულა, ციცხვი იცემს თავშიაო,
კოვზებს ფერხისა ჩაუბამთ გარეთ, დერეფანშიაო.

პატარძლის გასაჭირი

ნეტა რა ვქნა, როგორ რა ვქნა, ავი პატარძალი ხარო,
არასა ვჭამ — უჭმელი ხარ, ვჭამ და — ასრე სვავი ხარო!
ნელა დავალ — ზანტს მეძახის, გავიქცევი — ქაჯი ხარო!
ძირს დავჯდები — კუტს შეძახის, ზეზე ვდგევარ — სარი ხარო!
ვაი შენსა გამომცემსა! მამაძაღლის ქალი ხარო!

ტრედივით

ასრე უნდა პატარძალი, ერხეოდეს ვერხვივითა,
მამამთილსა ემსახუროს, დედამთილსა ღმერთივითა,
მაზლ-მულებს მოეგარგაროს, შვილებს მიჰყვეს ღვედივითა,
იმას ისრე შეინახვენ, უგუნური ტრედივითა.

სახრე უნდა

ზოგიერთი პატარძალი წამოწვება ძელივითა,
დედამთილსა, მამამთილსა პირს დაუღრენს მგელივითა,
როცა ქმარს შინ დაინახავს, კუდს მოიქნევს მელივითა,
ენას ხომ არ დააყენებს, მაწყინარი გველივითა,
მოწილეებს თავს ამადლის გუთნისდედა-მხვნელივითა,
საღამოს ქმარი მოუვა, წამოხტება შველივითა,
შეხტება, შეიფუნდრუკებს ქერნაჭამი ცხენივითა;
იმას კარგი სახრე უნდა, დაეგრიხოს წნელივითა,
დილასა და საღამოსა ნაყვა უნდა გველივითა.

ბატარა ბატარძალი

ბატარა ბატარძალი ვარ, შამამატარეს კერასა,
ბატარი ქმარი შამყრია, გებრალებოდეთ ყველასა,
კისერი გაჰწვრილებია, მიუგავ ჭიაყელასა.

რძალმა აჯობა

უფლისციხიდან წამოველ, გადმოვიარე გორზედა,
რძალ-დედამთილი ჩხუბობდა ახლად შედღვებილ დოზედა,
რძალმა აჯობა დედამთილს, თავი უხალა ბოძზედა,

აკი გითხარ, დედამთილო: „ნუ გამგზავნი წისქვილშია!
იქ ბიჭები დამხვდებიან, ჩამაგდებენ სირცხვილშია?“

ჯარავ, ჯარავ, ბზრიო, ლამბო, ლამბო, წყდიო,
დედამთილის საპერანგევ, ოხრად დამირჩიო!

დედამთილის ლეჭსი

აი-ვოდა, აი-ვოდა,
დედამთილის ბრალი-ვოდა,
თვითონ როგორ გამონახოს
თავის საწამლავი-ვოდა!

ახალი პატარძალი

ახალი პატარძალი ვარ, ჭკუა ვერ მოვიგონეო;
ჩიქილით სახლი დავგავე, ცოცხი ვერ მოვიგონეო,
ადგილზე ცომი მოვზილე, ვარცლი ვერ მოვიგონეო;
კედელზე პური დავაკარ, თონე ვერ მოვიგონეო,
საცერი ცეცხლსა მივარქვი, კეცი ვერ მოვიგონეო.



ნათლია და ნათლიდედა

— ჩემო ნათლიდედაო, ჩემთვის რასა ბედავო?
— წინდა-პაიჭს გიმზადებ, ლეკვერთხებსაც ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო, შენთვის რასა ვბედავო?
კაი ქოშებს გიყიდი, წვივსაცმელსაც ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო, ჩემთვის რასა ბედავო?!
— კაი პერანგს გიკერავ, ახალუხსაც ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო, შენთვის რასა ვბედავო?
კაი კაბას მოგიტან, კარგ სარტყელსაც ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო, ჩემთვის რასა ბედავო?
— კაი ჩოხას მოგიტან, კაი ქამარს ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო, შენთვის რასა ვბედავო?
კაი ლეჩაქს მოგიტან, კაი ბაღდადს ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო, ჩემთვის რასა ბედავო?
— კაი ქუდსაც მოგიტან, ბურსოულსაც ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო, შენთვის რასა ვბედავო?!
კაი ჩიხტსაც მოგიტან, კაი კოპსაც ზედაო.
ჩემო ნათლიდედაო, ცოტა მეჩქარებაო...

ჯალაფთაგან მოძულებული

ჯალაფთ გამინართაულეს ხაროვანში ხარივით,
სიკვდილსაც წინ მიმაგებეს ვაჟკაცისა ფარივითა.

ძილო...

ძილო, რასა მეძინები, მე საბრალოსაო?
მე ძილმა ასე მიბრძანა, მე საბრალოსაო:
„დაწექ და დაიძინეო, მე საბრალოსაო;
ვინაც რო გულით გიყვარდეს, მე საბრალოსაო,
ისიც გვერდს მოიწვინეო," მე საბრალოსაო.
ძილო, ნუ დამეძინები, მე საბრალოსაო.
ქმარს პერანგი არ მიცვია, მე საბრალოსაო,
დაურთავ და შევუკერავ, იმ საბრალოსაო;
თითისტარო, კვირისტავო, მე საბრალოსაო,
ჩქარა დაბრუნდი, დაბრუნდი, მე საბრალოსაო.
წითელ კაბას შევიკერავ, მე საბრალოსაო,
სანატრელსა, ფრიალასა, მე საბრალოსაო,
ძილო, ნურას მეძინები, მე საბრალოსაო.

უკეთური ოჯახი

ავი დედა, ავი მამა, ავი შვილი, ავი რძალი, —
ყველა ერთად რამ შაყარა, თუ არ იყო ჯვარის ძალი?

დას

დაო, ყველაზე ძვირფასო, არაზე დაჰფასდებიაl
რომენ ძმასა ჰყავ შენფერი, რაც ქვეყანაზე დებია?
მთელის სამყაროს შემქმნელსა მე უფალს ვევედრებია,
ისევ მე მამკლას, ოღონცა შენ კი ნუ მამიკვდებიაl
ნურც მოგიკვდება ქმარ-შვილი, ნურაით დაჰღონდებია.
ვიფიქრებ მრავალ და-ძმებზე და ბოლოს დავრწმუნდებიაl
ბევრია და-ძმა ამ ქვეყნად, მაგრამ არ არის ერთია, —
ბევრს შვილი თავის დედისა არ უნდა თავზედ მეტია.
ჩემთვის რო ცეცხლში ჩაგაგდონ, უკვენ არ მაჰბრუნდებიაl
მე რაში გამოგდგომივარ, არც რაში დაგჭირდებია.
რო მოვკვდე, დაო, მიტირებ, მაგრამ რას დაგაკლდებია?
ყველაზე დაღონებულო, როდისღა გალაღდებია!?
ხალხში რომ განახავ, მალაღებ, შენს მხრებსამც ვენაცვლებიაl
ვით გულუბრყვილო ყვავილსა საკოცნად მოგეწვდებია.
ღმერთმა უშენოდ სიცოცხლე ნუ მამცას ნურც ერთ დღეშიაl
გული როცა მაქვ ლაღადა, რას გამამრჩება მტრებია?
შენს თავსა ვჰფიცავ და ჩემსა, გმირულად დავუხვდებიაl

რძლები და მაზლი

ორი რძალი მოვიყვანე, ერთი უფრო თარაქამა, —
ხელად გამიხადა ჩხუბი, მიმწიხლა და მიმამკვდარა.
ისინი რომ წაიკიდნენ, მე გამიხდა ხათაბალა, —
გზირი, ქევხები მორეკეს, მამულები დაყვეს ჩქარა.
ერთი დღის მიწა მარგუნეს, იმას არ მოჰყავდა ყანა;
შვიდიოდე ვაზი მომცეს, სულ თავამდი გადამხმარა;
ერთი ჩაფი ღვინო მერგო, ისიც რძალმა დამიძმარა.
ერთი ძველი ქოხი მომცეს, თავზე არ ეხურა ჩალა,
ნიავმა რომ დაუბერა, სულ ერთიან დამიშალა.
ერთი ბერი ხარი მომცეს, ქედში არა ჰქონდა ძალა,
ბუზებმა რომ შეაწუხეს, ისიც ტყეში დამემალა.

ერთი ჭრელი ფური მომცეს, ცურში არა ჰქონდა ღალა,
ერთი ჯამი რძე მოვწველე, პური უნდა ჩამეყარა,
მამაძაღლმა ჩემმა რძალმა წიხლი მიკრა, დამიღვარა.
ერთი კუდა ვირი მომცეს, ისიც მგელმა შემიჭამა.
ერთი ლიტრა პური მომცეს, ვიყავ იმის ანაბარა,
მაგრამ ისიც აღარ შემრჩა, მოჯამაგირემ მომპარა.
ერთი ძველი ქვაბი მომცეს, ძირზე არა ჰქონდა კალა.
სულ წამართვეს იარაღი, არ მარგუნეს ერთი დანა.
ძველებური თოფი მომცეს, წვერში არა ჰქონდა ძალა,
კურდღელს ბეჭებში მოვარტყი, უფრო კოხტად გაიარა...
სუყველა იმათ ირგუნეს, პირში გამომავლეს ჩალა.

უძმო ქალი

ვაჰ, დედასა და ვაჰ დასა! ვაი უძმოსა ქალსაო,
ესე არა სძე პატივი, როგორც შარასა გზასაო.

ვინ ნახა?

ვინა ნახნა ხეთა ძირნი წყალთა შუა მდგომარენი?
ვინა ნახნა შინშთა შვილნი ერთად მწოლნი, მძინარენი?!
— მზემა ნახნა, მზე დაბნელდა, წყალნი დადგენ მდინარენი.

დამასტეს ხენი აყოვდეს ძირადა ერთის ხისანი,
შესახვევნელად მომინდეს, მკლავნი თუ იყვნეს დისანი!
რად-რაით გამიწყრებოდეს თვალნი ზეითის ღთისანი! —
არ დამფარვიდეს მიწანი ბარისანი და მთისანი,
ცრემლნი არ მეღირსებოდეს ქალისანი და რძლისანი!..*

მოკეთეები

ან უნდა ძმასა ძმა ხყვანდეს, ან კაი შვილი მამასა,
ან უნდა ბიძას — ძმისწული,— ეგეც მაუხნავს ყანასა.

ძმობა

ძმაო, რა სჯობდა ძმობასა, ერთმანეთისა ყმობასა?
ერთმანეთი ვერ ვიცანით, დახე ჩვენს უგონობასა!
ძმა მაშინ მოგაგონდება, სამნი რო გცემდენ მარტოსა,
მაშველებელი არ იყოს, ეფარებოდე ფლატოსა,
უკანლა იხედებოდე: „არავინ მოემატოსა!"

* ტყეობაში გაზრდილ ქალ-ვაჟს შეუღლება განუზრახავთ, მაგრამ საუბრისას გარკვეულა, რომ და-ძმანი არიან.

ძმასაც ისეთი ძმა უნდა, უსიპს რო ბადრი ჰყოლია, —
უსიპ კლდეს გადავარდნილა, ბადრიც თან გადაჰყოლია.
ნეტავი იმით დედასა, რა კაი ძმობა ჰქონია!

ძმის სიკვდილი

თვალთა ტკივილი თაფლია, შვილთა დალევა — შაქარი;
დედის სიკვდილი — კერაი, ასაზიდნებლად მაგარი;
მამის სიკვდილი მთა არი, გადასავალად მაღალი;
ძმისა სიკვდილი მშვილდია, მოსაზიდნებლად მაგარი!

ძმაო, შენსა უკეთესსა

ძმაო, შენსა უკეთესსა ვისა ვნახავ მამავალსა?
მხარ-ბეჭები, მხარ-კისერი როსტომს გიგავ, ფალავანსა.
ახლოს მტერსა არ მიუშვებ, შემოირტყამ გალავანსა.

ბევრნი ძმანი

ძმათა დავღნატრი ბევრათა, — მზე ცხრაკნით ამუხდებისა:
ცოლს ვერვინ უტკეცს, დედასა, შინ ვერვინ გადუხდებისა;
ორგული, მტერი, დუშმანი, წინ ვერვინ დაუხვდებისა.

ძმაო, ძმითა ხარ მაგარი

ძმაო, ძმითა ხარ მაგარი, თორ მტერი მოგერეოდა,
აგმტერდებოდა სოფელი, სალამი დაგელეოდა!



ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა ცოლსა ყბედსა და მძინარსა, —
ის მოჰკლავს, ის დააბერებს, ის შეჰრთავს წყალსა მდინარსა!

ვაჟსა რო ცოლი მაუნდეს

ვაჟსა რო ცოლი მაუნდეს, — ფანდურსა დაუამდება,
ქალსა რო ქმარი მაუნდეს, — შინ ჯალაფთ გაუავდება.

მძულს

მძულს დედალი ნაკრუხალი, მერე ბოლოდაგლეჯილი,
კაცი — კარჩი მოცინარი, შინ, ჯალაფჩი — დაღრეჯილი.



ვა, ცუდი ცხენის ყოლასა, უი, სულ უცხენობასა!
ვა, ცუდი ცოლის ყოლასა, უი, სულ უცოლობასა!

●

ისეთია კაცის გული, ვით მორევი შავი ზღვისა,
რაგინდ ქარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც მოუნდება სხვისა.

ხარი ჰხნავს...

ხარი ჰხნავს, ფური იწველის, ღორმა რა იცის თხრის მეტი?
რა გაჰჭრის კუვის ბაკანსა დედალი მისრულის მეტი?
რა მაჰკლავს ვაჟკაცის გულსა, ცუდაის დიაცის მეტი?

ვინაც ჩემდ იტყვის

ვინაც ჩემდ იტყვის: „რა უშვირს?“ ისიმც იქნება ჩემფერი!—
შვილებიმც წვრილებ ექნება, ქმარიმც ექნება ბებერი!

ეს ჩვენებური ძალები

ეს ჩვენებური ქალები ქარივით ჩამოჰქრიანო,
დაგვისხდებიან ბატონად, სახლსაც არ დაგვიგვიანო,
თითო ყმაწვილს გაგვიჩენენ, ბუზღუნით გამოზრდიანო.

●

წყალში მოდის ორაგული, ბოლოს აქნევს, — თავს არაო,
ეხლანდელი ახალგაზრდა მზითევს ეძებს, — ქალს არაო.

ვაი, რა დიდი ბრალია

ვაი, რა დიდი ბრალია, შავარდენი ჰყავ ძერასა,
გაუფრინდება, წაუვა, შორით დაუწყებს მზერასა.

ბრალია

დაცხა და გრილი არ არის, ვაჰ, გულსა მომკალისასა,
თორო მთიბელი მთას წავა, სულს იყრის ნიავისასა.
ბრალია, ქალო, ლამაზო, მკლავს იწვე ცუდის ყმისასა!

ჰირ მამჰამოს!

გადავხედე, თხორსა ჰხსნიდა თვალჟუჟუნა თეთრი ქალი,
ხელს მიქნევდა: „აქ წამოდი, შინ არ არის ჩემი ქმარი,
სათიბს არი დიდ ჭალასა, ხელთ უჭერავ ცელისტარი,
მოვკრიფე და გაუგზავნე, უმარილო შავი მხალი,
არა ჭამს და ჰირ მამჭამოს, მანდამც დაჰლევს შავი წყალი!“

უძმო და ქვრივი

ჯერ უძმოობა ძნელია, მემრ სიმარტოვე თავისა,
მემრ ქვრივი მეზობლებშია, ტირილით ჩავლა კარისა!

ავი ქმარი

აიმ მთასა თოლიანსა ზედა მენამც გადამკიდა,
ზედამც მწვიმდა, ზედამც მთოვდა, ზედაც ნაქარს მამაყრიდა.
ხელში მამცა ჯრელი გველი, შავი — ყელსამც ჩამამკიდა, —
ყველა ამას გაუძლებდი, — ავსა ქმარსამც არ ამკიდა.

●

საბრალო ქვრივის ქორწილო, უჩუმრად გინდა ღიღინი,
რა გინდ რომ იყო ლამაზი, არ მოგიხდება გვირგვინი!

●

არა მწამს-რა დიაცისა, როგორც მოწმენდილი ცისა, —
დღეს რომ თავზე გველებოდეს, ხვალ გახდება უცბად სხვისა.

არ ვიცი

არ ვიცი, დანა მრუდია, არ ვიცი, დანის ტარია?
არ ვიცი, ქალი არ ვარგა, არ ვიცი, — ქალის ქმარია!

ნურც... ნურც...

ყოველად წმინდა ღვთისმშობელო, ქმარი ავად გამიხადე,
ნურც მაჭკლავ და ნურც მაარჩენ, დამიწვი და დამიდაგე!

ცოლსა ვერვინ გამამართომს

ჩემს სალოცავს ვეხვეწები, ჩემსა კერძსა პირიმზესა,
ლომის წმინდა გიორგისა, ხოროშნიდან ტყვეთ დამხსნელსა:
ცოლს ვერავინ გამამართომს, ცოლის წართმა არა წეს ა!
ჩემს სიათას შენაც იცნობ, ტყვია დაკბილული ძესა,
მეც მაკვდები, რა იქნების, სისხლსა დავღვრი განა რძესა?..

ქალ, ქეგით გათხუეგულო

ქალ, ქეგით გათხუებულო, მამისაო და ძმისაო,
ორისავ დაწუნებულო, მაზლისაო და ქმრისაო,
გნახე და არ მამეწონე, ჯოყარო ყამირისაო,
გზის პირს ნადგომო პიტნაო, ჩაშავებულო მზისაო!

ირინოლა

— ირინოლა, შვილო ჩემო, წაგიყვანეს ქმართან ძალით.
— დამეხსენი, დედაჩემო, ჩემი ნებით წაველ ქმართან.
— ირინოლა, შვილო ჩემო, ფეხშიშველი წახვედ ქმართან.
— ფეხშიშველი რისთვის წაველ, ოქროს ქოში ფეხზე მეცვა.
— ირინოლა, შვილო ჩემო, ტანშიშველი წახველ ქმართან.
— ტანშიშველი რისთვის წაველ, ატლასები ტანზე მეცვა.
— ირინოლა, შვილო ჩემო, ულეჩაქოდ წახველ ქმართან.
— ულეჩაქოდ რისთვის წაველ, აბრეშუმის რიდე მესხა.
— ირინოლა, შვილო ჩემო, რა ბეჩავი შეგხვდა ქმარი!
— განა მართლა ბეჩავია, მთავარია საეთისა.
— ირინოლა, შვილო ჩემო, ჰინჭარია გული შენი,
სიძულვილით მოხარშული, სიძულვილით შენი ქმრისა.

ამგვარ ყოფას, შვილო, გიჯობს, დაიცემდე გულში დანას.
— დამეხსენი, დედაჩემო, დამანებე ქმართან ყოფნა!

ქმარუნდაური

იჯდა, უკრავდა ფანდურსა ჭირვა ხოშიძეთ ქალიო,
ღმერთს იმას ეხვეწებოდა: „მალე მამიკალ ქმარიო!
გადმოვიარე გუდანი, დედულეთისა კარიო,
როშკას ჩავხედენ ცხესა, შვიდრიგად ევლო ჭავიო,
დავჯე, დავიწყე ტირილი, შიგ რად არ ვიჯე ქალიო,
ასრე არ დავღონდებოდი, ვერ წამიყვანდა ქმარიო!“

თავწყარო გადმოვიარე

თავწყარო გადმოვიარე, ქალი მოვხელე გზაზედა;
თავი ვსთხოვე და არ მამცა, შორს მამიწერა ქვაზედა:
„კარგას ვაჟასა ვხყევივარ, აჩაროს ჩამსვლელს ცხვარზედა;
დღე წავა ნადირობადა, მე ვზივარ ხალიჩაზედა;
მუა, მაიტანს ნადირსა, ღამით მიგორებს მკლავზედა;
თუ უღალატო იმასა, შავით ვიჯიგრო ტანზედა!“

●

მე ამის მეტი არა ვარ, არ გაუთლივარ ხუროსა, —
ვისაც ლამაზი ცოლი ჰყავს, ახარებს თავის კუროსა.

მე ძილმა ასე მიბრძანა

მე ძილმა ასე მიბრძანა: „დაწევ და დაიძინეო,
თუ ლამაზი ცოლი გყვანდეს, ისიც გვერდს მაიწვინეო,
სიღარიბისა არგანსა ხელთ მოგცემ, დაიჭირეო“.

მზეო, ჩამოდი

მზეო, ჩამოდი, ზეგნელო, ღრუბლისა დაუდევნელო!
ქალ, ქმართან წადი მალევა, აუგის დაუდებელო.

ლამაზი ცოლის პატრონსა უნდა ჰყავდეს ძაღლი ფრთხილი,
ან ძაღლი უნდა ფრთხილობდეს, ან თავისი დედამთილი.

ნუ მამკლავ, შაო სიკვდილო

ობოლი ვარ, ჩდილთა ვზივარ, ველი მზისა ამოსვლასა.
ნუ მამკლავ, შაო სიკვდილო, შენის წვერის გამოსვლასა,
თავით მიზის ბოზი ცოლი, ელის სულის ამოსვლასა,
კარზე მიდგა ცოლის კურო, ელის სახლში შამოსვლასა.

როსტომ თქვა

როსტომ თქვა: „იმ მთას, ამ მთასა ხელს მოვკრამ, ერთად
თავს ვუზამ,
ათას ლიტრასა რკინასა კბილსა მოვუჭერ, კნაპს ვუზამ.
ადიდებულსა არაგვსა დავაყენებ და ყლაპს ვუზამ,
თავაღებულსა დიაცსა გავუშვებ, ველარას ვუზამ.“

რა ომში გამოგადგება

რად გინდა ცოლი ლამაზი, რა ომში გამოგადგება?
ჩაიცვამს წითელ-ყვითელსა, გამოვა, კარზე დადგება;
იმის შემყურე ვაჟკაცი კელაპტარივით დადნება!

●

რა ქნას, რომ არა ტიროდეს შავი და ბნელი ქალიო, —
პირდაპირ ჩამოსჯდომია სიკვდილისფერი ქმარიო.

უკუღმ ჩაუქრის ქარია

პავლემ თქვა ჩიტუაშვილმა: „ერთ სიტყვა მმართებს ვალია,
კაცი ლოთი და ცოლბოზი, სუ მუდამ შესაბრალია,
მუდამ გარშემო ეხვევა დამწველი ცეცხლის ალია,
სულ მუდამ დარდიანია, უკუღმ ჩაუქრის ქარია“.

დიაცის ჯაუა

როსტომ თქვა: „ჯკვა დიაცისა არც მომწონ, არც მეკეთება.
ცხრაკეცი ჯაჭვი გაწყვიტა, მიეხეტ-მოეხეტება.
შენთან რო მოვა — შენია, რო წავა — სხვა ეკეთება.
ვაჟკაცს დიაცის მიმყოლსა სამარემც დაეკვეთება!“

●

გლეხსა ვინ მისცემს საწყალსა აღების ღამეს ღვინოსა?
პური ჭამოს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოსა!



ვინ აღირსებს გლეხსა კაცსა იფქლის პურსა საჭმელადა,
იფნის შეშას — საწველადა, სიყმის შვილსა — საზრდელადა?



მეცხვარე მგლისა შიშითა ვერ გაიგრძელებს ნადიმსა,
თუ გაიგრძელებს ნადიმსა, მგელს გაუკეთებს სადილსა.



მეცხვარის ჩივილი

თუმც არაფერი მაკლია, მაინც ცუდი მაქვს გუნება, —
მომენატრება სამშობლოს წყალი, ჰაერი, ბუნება,
მთაში ფერადი ყვავილის მზისაგან გადახუნება,
ბარად გაბმული გუთნების კვალთ კვალზე გადაბრუნება.
მთა-გორიანი მიდამოს მომენატრება ყურება,
გაღმა-გამოღმა ტყე-ველთა მტრედების დაღუღუნება.
მე აქ ვარ გადმოკარგული შორი ყიზლარის მხარესა,
ვფიქრობ, ველარა ვნახავა ათნოხის არემარესა.
ველარ დავლევა ცივ წყაროს სოფლის გვერდს მომდინარესა,
ვერ ვნახავ გაშლილ მთის კალთებს შვილთათვის უწყინარესა.
დღე მზესა ვკითხავ თქვენს ამბავს, ღამე მოველი მთვარესა,
მაგრამ რაც უნდა მიამბონ, მკვდარ გულს რა გაახარებსა?
თვალებს რა მისცემს სინათლეს ცრემლებად დანაღვარებსა?
რა შესცვლის ნეტა ტკბილითა უბედოს ბედსა მწარესა?
ოთხი წლის ჩემი სიცოცხლე ჰგავდა პილპილსა ცხარესა...

მარხვა ვის გაუგონია

მარხვა ვის გაუგონია მეცხვარისა და მგლისაო? —
ლოგინი აქვის ფიჩხისა, სასთაული აქვს ქვისაო.

მწყემსს

მთას მარახული მოაკრა, წყემსო, ახყარე ცხვარია!
არ მოგწყინდაე მთას ყოფნა, არ მოგინდაე ბარია,
კარგას ქალასთან ჩაწოლა, იმასთან საუბარია?

●

ორი ბატონის ყმა ვიყავ, ხან ისა მცემდა, ხან — ისა,
ორივ ერთ დღეს დაიხოცნენ, ხან ის ვიტირე, ხან — ისა.

●

ზღვაში ხომალდი რათ მინდა? მოუცურდები, გავალო,
არც არავის ბატონი ვარ, არც არავისი ყმა ვარო.

●

აზნაურისა მუცელი ადლი და ნახევარია,
საწყალი გლეხი კაცისა — არც იმის ნახევარია.

არცა ვისი ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმა მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო წლით-წლობამდინ გამყოლია.

მუხრანბატონზე

მუხრანბატონის ყმობითა ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,
ვერც ლურჯი ჩოხა ჩავიცვი, ვერც ახალუხი ქობითა,
ვერც დეკეული გავზარდე, ვერც კალო ვლეწე მოზვრითა.

სიღარიბე წელში გაგტეხს, თუგინდ იყო ტარიელი,
ცოლ-შვილსაც კი მოსძულდები, თუ ჯიბე გაქვს ცარიელი.

სიღარიბე

ეს ტიალი სიღარიბე ჩემზედ არის ასეული,
სადაც წავალ, თან დამყვება ტყავის კალთას გაბვეული;
ტანზე მაცვია შალის ჩოხა, მაუდს კი ვარ დაჩვეული;
შინ რომ ვეღარაი ვჭამე, ქიზიყს დავალ დამშეული.
აგებ გავასუქო ცხენი, — ქერ ვაქმიე დარკვეული;
ჯაგლაგა ცხენა არ მიყვარს, იორღას ვარ დაჩვეული.
სიღარიბე არ მეშვება, ე ღვთისაგან დაწყეული!
ჯალაფთ ფურებ გაუყიდე, სუ გაუშრე სარძეული;
ორასამდე ცხვარ გავყიდე თავისა და სხვათეული;
ეხლა ხმელა პურზედა მყვან ყველ-ერბოზედ დაჩვეულნი...

ორთა მოჯამაგირე

დავწვი მაგათ ადგილები, მუჯათგორა-დ'აკამათი, —
ორთავ მოჯამაგირე ვარ, იქ — იმათი, აქ — ამათი.

●

მოჯამაგირის ულუფა ერთი დამწვარი კუტია,
იმასაც არ აღირსებენ, თუ არ ასტეხა ჩხუბია.

წუთისოფელი

წუთისოფელი რა არი? აგორებული ქვა არი.
რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი.
საცა სოფელში მიხვიდე, სუყველგან ორი გზა არი.
შუაში არი ხმელეთი, გარშემო დიდი ზღვა არი.
თუ ქალი გეტყვის დობასა, ის უკეთესი და არი.
აგრეთი გქონდეს გუნება, ვით მოწმენდილი ცა არი,
თუ არ იწამებ ამასა, მუცლით ნაშობი რა არი?

რამ დამაბერა

ვერ მიცნა ჩემმა სწორფერმა, ქალამ ჩემ დროსამ, სრისამა.
„რამ დაგაბერა, — ის მითხრა — ბიკო, მზემ ჩემის ცმისამან?!"
„ჩემ დაბერება, ქალაო, წულმა ქნა სამოცისამა,
სამოც-სამოცჯერ მოსვლამა გაზაფხულისამ, სთვლისამა,
ოცდაერთ ათას ცხრაასჯერ ცაზე ამოსვლამ მზისამა,

გაფრენამ სიზმარიეითა შეიდასოცისა თეისამა.
ჩემზედაცა ქნა ბოინი მსაჯულმა სიცოცხლისამა,
საოცრად ადიდებამა როშკას, ფონთანას, წულისამა,
დიდის ნიაღვრის მოსვლამა, წაღებამ წისქვილისამა.
წისქვილთან ერთად წაღებამ მამაჩემისამ, დისამა,
წულისწაღებულის ძევამა, ველარ მახელვამ მკვდრისამა:
ვერ დაიჭირის სიკვდილი გზა-შარამ სიალნისამა...
ჩვენად ჭირად და ბოროტად დალოცვამ ცხენ-ოხრისამა,
ურჯულოსაეით ნაქნარმა მაშინ ჩემ დედიძისამა.
ოფლ-შრომამ დედაჩემისამ, შაძენამ მამულ-წულისამა,
მამულ-წულის გამოისობით გაყიდვამ ტალავრისამა.
აიმის დაფასება კი არვისგან არავისამა.
ყოფამა სიდუხჭირითა, სიმწარემ სიობლისამა,
მრავალჯერ ფეხის დადგმამა, თავისისამ და სხვისამა.
სრუ მარტუაის ყოფამა, არვისგან ჭერამ მხრისამა.
როცა ვერ ვიყავ ვაჟკაცი, მაშინ სიმრავლემ მტრისამა.
მტერ-დუშმნის სახლში შავარდნამ, დედისად მაჭრამ მხრისამა.
ვერ ვიყავ სრული წლოვანი, ამაშინ შამბამ ხმლისამა.
გიორგიობის ღამემა, ღულს ხიდმა ჭიგანისამა.
ჩემზე ძლიერის მტრისადა ორ-სამჯერ შაკვრამ გზისამა.
შაცდომამ ჩამამაბერის, სიბრმაკემ სიბალღისამა.
არაის ძალის ტანებას ერთ დროს არ ლოცვამ ჯვრისამა.
მაშინ ჩემ უწადინოდა, თან წაქეზებამ მტრისამა,
დიდგორ დღეობის ჩაშლამა, ვერ შაყრამ თემობისამა.
ჩამოხსნამ ბეღელზეითა ზარისამ სარეკლისამა.
წვერს ველარ წასელამ ტოლთამა, ვერ რბოლამ ცხენებისამა,
დიდგორის გორის ატკრეცამ, ჯვარისა, ჯვარისკრისამა.
გაღმროშკას, ქარჩისკალოსა, საჯარეს მოჭრამ ხისამა,
გუდანის-ჯვრისად დაბეჭდრამ, კინაღ ჭრამ მედროშისამა.
ამაგან ჩამამაბერა, ჯავრმ ვერა ბევრად მტრისამა.
მტერს მტრულად უსწორდებოდი, ისე წყალობამ ხთისამა.
თან გამიმრავლის დუშმანი პირში თქმამ სიმართლისამა...
ერთგულის გაორგულებამ, გაყოლამ სხვადასხვისამა,
სიჭაბუკის დროს ღალატმა ქალისა ლამაზისამა;
თავზე ასრიგის გადავლამ ჭორისამ, საძრახისამა.
მეკვლეში გამასაესა ღამემა ახალწლისამა,

ცისკარგახმაის ნახვამა, ხანმა ერთ მინუტისამა.
დანატერის ველარ მასწრობამ, ჩქარად გაკურვნამ ცისამა.
ზამთრის ქარ-ბუქის გუგუნმა, გრიალმა ზვავებისამა.
ზაფხულის სილამაზემა, სიმრავლემ ყვავილისამა.
მთიბელში მჯობინობასა ელვამა ცელებისაძა.
ფხიტუს ფხვრიალით რბოლამა ცხენისა ნაქერლისამა,
ბექ-ბუქის გაერთფერებამ, ნათობამ ნალებისამა.
დილით შურთხების სტვენამა, ღამით ყმუილმა მგლისამა.
კლდის ეხში შამაცინებამ ჯიხვთ-მწყემსა ქალაისამა.
ჰიუხში ღამის თევამა, მიყოლამ ჯიხვებისამა.
ზატერის ხელფიცხად ტრიალმა, ხმარებამ შაშხანისამა.
ერცხვისად შამახეთქებამ ჩრდილისად მზისპირისამა.
შუა-ღილღომდი ჩასვლამა ხევსურის თოფის ხმისამა.
ხარლაღის გაგორებამა, ჩაჯახჯუხებამ რქისამა.
არწივის ჩამოქროლამა, წაღებამ წილკერძისამა.
მხრებამდის ტბაში შასვლამა, შაჩქეფამ სიმურისამა.
ტბაშიით გამატანამა მაკლულის ჯიხვ-მაზვრისამა.
ქისტეთ ოძიკში მისვლამა, ზედ მთვარის დგომამ მცხრლისამა.
ბზესავით ტყვიის მაშლამა, კივილმა ქისტებისამა.
მიმდგარმა დასწრობაზედა, ბაგბუგმა ნაგნებისამა.
წინითით გამაფშვნეტამა პირქერა წვრილმაღლისამა...
ჩამომაბერის ტიალმა ქროლვამ გრილ ნიავისამა,
კალატის-წვერზე შასმამა ყინულიანის წყლისამა.
თვალთა სინათლის მაკლებამ, ჩამოყრამ კბილებისამა.
ვერ ნახვამ სიკვდილის დღესა დიაკონთ გიორგისამა,
იმისგან თვალით ჭერამა ჩემ მისავალის გზისამა.
ჩემგან ვერ გამართლებამა ნაქონის იმედისამა.
ჩაქრობამ, ჩანაცრებამა ყველა ჩემ მეგობრისამა.
ჩემ დროში გადაქსაქსვამა ნარჩევის ქალ-ვაჟისამა.
ჩემ მარტუაის დარჩომამ, ჩამოთეთრებამ თმისამა.
კაი დროების წასვლამა, ვერ მოსვლამ უკეთისამა.
ჩამამაბერის ჩონგურმა გათლილმა ვერხვის ხისამა,
ნაყაჩაღარის გათლილმა, ტოლხეშათ მიხაისამა,
ერთ დროში ხელში ნაჭერმა უთურგათ ჯურხაისამა...
კელაპტარივით ჩაქრობამ პრელების თვალებისამა,
ბარუქას დაბინავებამ, გაწირვამ არხოტისამა...

სიზმარში მკითხის ამბავი ლელამა გაბურისამა, :—
მკვდარმა, ვერ დავიწყებულმა ორმოცდაორის წლისამა!



ოხერო წუთისოფელო, ზარავანდივით მწარეო,
სად გადახკარგავ ვაშკაცსა, საით სანამდე ავლეო?..

საწუთრო

რა კარგია, საწუთრო ასე გამატარებდეს:
ვინც მე მიყვარს, იმას რომ ჩემს თავს შეაყვარებდეს,
ვინც არ მიყვარს, იმას რომ ახლოს არ მაკარებდეს
და უდროოდ სიბერეს რომ არ შემაპარებდეს.



ესეა წუთისოფელი: მზე ჩავა, მთვარე ამოვა,
განა სუყველა კაცია? — ათასში ერთი გამოვა.

ვაი, შენ, წუთისოფელო

ვაი, შენ, წუთისოფელო, დაგცადე მრავალფერადა,
ხორცო, გალაღე, გასუქე, სულო, გადგიდეგ მტერადა.
სული ვერც იმან მოიგო, ვინც ოქრო დადგა კერადა,
ჯალაბსა მწარე ცხოვრება ტკბილად ვერ აუფერადა.

რაღათა მშობე მშობელო

ვაი შენ, წუთისოფელო, ქვეყნისა დამღონებელო,
თუ რომა სიკვდილი იყო, რაღათა მშობე, მშობელო?

ბინდისფერია სოფელი

ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება;
რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება.
წამოგეწევა სიბერე, მგელივით წამოგვარდება,
სიკვდილი გზაში გიყელებს, თვალებში გაავდარდება.
მოგვიგონებენ შვილები, მზეს შეხედავენ მაღლითა:
„სოფელში შემოაღამდა, ბინდმა ძაღლივით დაფლითა".
ნეტა სიცოცხლის მამგონი ღმერთი თუ ჯოჯოხეთია?
ბევრი სიმწარე მინახავს, ბევრიც სხვა გადამხედია.

ამ ტიალს წუთისოფელში ბევრი ამბები ყოფილა:
ყველას ჰკლავს თითო რამ სეედა, ვინც კი ამქვეყნად
შობილა...

წუთისოფელმა გამწირა და მომაშორა ყველასა;
გული სდუღს, ხმალო, ამოდი, შენგანღა ველი შველასა!

წუთისოფელმა ჩემი დღე ძიმწარა დამალევინა,
მატირა ცხარის ცრემლითა, ზღვისთვინაც შამარევინა,
არც მომკლა, არც დამარჩინა, არც სული დამალევინა...

წუთისოფლის სტუმარი ვარ, ხან მატკბობს, ხან მამწარებსა;
თავის ჰკვაზე მიდი-მოდის, ანგარიშს არ მაბარებსა.
წამის წინ ცრემლს მაფრქვევინებს, წამის უკან მახარებსა,
ხან გულში ვარდს ჩამოთესავს, ხან საწამლავ-სამსალებსა...
ვარგა ვიცნობ, — მუხთალია, თავს რატოლა მაყვარებსა?!

წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ რო წავალთ, სხვა
დარჩება,
რასაც ვაამებთ ურთიერთს, იმის მეტი რა შაგვრჩება?
სამი ადლი ტილოს მეტი, სამარეში რა ჩაგვყვება?

●

სოფელო, მიეთ-მოეთო, საბრუნავისა მახეო,
ზოგსა ცათამდის აიყვან, ზოგსა უკუღმა დაჰხეო.

●

წუთია წუთის ქვეყანა, წუთის წებოთი იწება,
ზოგი ლხინსაა, თამაშას, ზოგი უცეცხლოდ იწვება.

ქაცნი ვართ

ტიალი წუთისოფელი ხილვას არ გვაცლის მზისასა,
უდროოდ გადაგვაქცევს-კე მგზავრსა შავეთის გზისასა.
ბევრს ჩააჭკნობს-კე კაი ყმას, ბევრს — ქალს, ვარსკვლავსა
ციისასა,
როგორც მზე, მოჭრილს უდროოდ ნორჩსა აყრილსა ხისასა...
ქაცნი ვართ, მაინც ვილხინოთ, გულს ნუ ვახარებთ მტრისასა,
ჩვენც ისე დავიხოცებით, როგორცა ხედავთ სხვისასა.

ძმის ყარაული

ოხერ თელავის ციხეო, გალავან გარტყავ ქვისაო!
ვაჰმე, რა ძნელი ყოფილა ყარაულობა ძმისაო!
გაჰბედავს გადმოფრენასა, — ვუჩვენებ თოფის ცხვირსაო,
აპირობს გადმოძრახვასა, მე კი არ ვაქცევ პირსაო...

წყლისა და ცეცხლის შუა ვარ, ორისავ გავხე ნებასა,
ცეცხლი მიპირობს დაწვასა, წყალი თან ჩაყოლებასა.

აიმ მთაზედა

აიმ მთაზედა თოვლიანზედა ია დავთესე, ვარდი მოსულა;
ირმისა ჯოგი შიგ შემოსულა; ნეტამც ეძოვნათ, არ გაექელათ,
ჩემი სიცოცხლე არ მოეძულათ. სიძე-სიმამრი ტყორცნას
წასულა,
სიძე-სიმამრი მთას ნადირობდნენ: სტყორცნა სასიძომ, —
მოკლა ირემი.
სიმამრმა სტყორცნა, — მოკლა სასიძო, „შვილო, დარეჯან,
ქმარი მოგიკალ!“
„შენ მამაჩემო დარბაისელო, ისე მოკვდი, რომ არ მოისვენო!
მომეცი წალდი, გზა გავიკაფო, მომეც სანთელი, გზა
გავინათო!
უნდა მივიდე ღეეჭა-გლეჯითა, უნდა გავხადო ტანისამოსი,
უნდა გავრეცხო ირმისა რძითა, უნდა დავკიდო გველის
ღობესა,
უნდა დავაშრო ნიავ-წვრილითა, უნდა დავკეცო ნეკა თითითა,
უნდა ჩავაწყო ოქროს კოლოფსა“... „აჰყე ღელესა, დაჰყე
ღელესა,
აქ შეეყრები შენს საყვარელსა“.
„ავჰყე ღელესა, დავჰყე ღელესა, იქ შეეყარე ჩემს
საყვარელსა.
აჯდა ყორანი, გლეჯდა თვალებსა... — აქშა, ყორანო, შე
გაუხარელო,
ნუ გლეჯ თვალებსა! ერთხელაც არი, ნაკოცნიც არი.
აჯდა ყორანი, გლეჯდა მკლავებსა... — აქშა, ყორანო, შე
გაუხარელო,

ნუ გლეჯ მკლაეებსა! ერთხელაც არი, ნახვევნიც არი.
აჯდა ყორანი, გლეჯდა მუხლებსა...
აქშა, ყორანო, შე გაუხარელო,
ნუ გლეჯ მუხლებსა! ერთხელაც არი, ნაბანიც არი".

მანამ მთელი ვარ, — ვახარებ ჩემთა ვარდთა და იათა,
მოვკვდები, — გაუხარდებათ ჯერ მტერთა, მემრე ჩ-ათა!

რათ მამკალ, მამულტიალო, რა ვაცი დაგელეოდა?
მამკალ და რაღათ შამჭამე, რა ლეში დაგელეოდა?

ზვავი

გაგნის დაჰხვივა გორზედა შავნი ღრუბელნი ცამაო,
წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა, თოვლი დაღრივა ქარმ:ო.
თორმეტი თუში დალივა ერთის ფერდაის ზვავმაო.
ბევრმა ჩაბერტყა ქოჩორი ლამაზის ქალის ჭმარმაო.
ნეტარ, რა ჭნაა-დ'იდომა უშიშაისძემ ხარმაო?!
გაფრინდა-დ' ვერ გაეხვეწა, შორით მაუჭრა ზვავმაო.
„რად არ დაგვლივნა მტრის ძალმა, ან კაის ვაჟის ხმალმაო?
რად ჩამოგვყარნა ამანა ერთ უდაბურმა მთამაო?"

თუშეთს ატირდა ქალები: „დაგვიგვიანდა ქმარები,
რა უყვათ ცხენ-ოხერებსა? ჩანაყეს ნალ-უსმარები".
ზოგთა თქვეს: „ბოსელთ შავყარათ, გამაუჯარათ კარები".
„მინდორს გაუშვათ", — ზოგებმ თქვეს, — „იქ ცვითან
ნალ-უსმარები".
ზოგთა თქვეს: „უკუღმ დავხკაზმათ, ზედ თავად შავსხდათ
ქალები
გადვიდეთ ხევსურეთშია, იქ ავირჩიოთ ქმარები".

რეკათ ჯამრული

აწ მოკვდა რეკათ ჯამრული, დაწვა და დაიძინაო.
მზეი ჩაუდგა ბეჭებში, ღურბელმა ჩაუჩდილაო.
ყორნები ჩავიდ საჭმელად, არწივებმ ჩაუშქინაო.

აღზევანს წაველ

აღზევანს წაველ მარილისთვინა,
მარილს მოვიტან და ჩემი ცხვრისთვინა,
ჩემი ცხვრისთვინა და თავშავისთვინა.
დედამ მიშალა და — არ დავიშალე,
მამამ მიშალა და — არ დავიშალე,
წაველ და წაველ და — არ დავიშალე,
უფროსმა რძალმა და — პური ჩამიწყო,
მისმა მომდევნომ და — შოლტი ხელთ მომცა,
უმცროსმა რძალმა და — გზა დამიწყევლა.
მაინცა წაველ და — არ დავიშალე.
შუა გზას მიველ და — სიზმარი ვნახე,
ჩემი თავისა და ნიშა ხარისა.
ჩემს ნიშა ხარსა და — რქა მასტეხოდა,

პერანგს ვიხევდი და — ისე ვუხვევდი.
წაველ და წაველ და — მარილეთს ჩაველ,
ორმოცსა ქვასა და — ორიღა მაკლდა,
მისთვინ მოვბრუნდი და — კლდენი მომჭქცა,
კლდენი მომექცა და ქვეშ მომიტანა.
ფეხის თითებმა და — ბორჯი გაიდგა,
ხელის თითებმა და — დაიყვავილა,
წვერ-ულვაშმა და — ცვინვა დაიწყო.
თქვენი ჭირიმეთ და — ამხანაგებო,
ჩემს ნიშა ხარსა და — სახრეს ნუ დაჰკრამთ,
ჩემს ირმა კამეჩს და — ტოლს ნუ დაუდებთ,
ჩემს ბრმა მოზვერს და — შოლტს ნუ მოუქნევთ.
დედას უთხარით და — დედას, დამწვარსა,
ბევრს ნუ იტირებს და — თვალებს ნუ იტკენს,
ლელას უთხარით და — ლელას, ჩემს დასა,
ინა იყიდოს და — თითნი იღებოს,
მხიარულის წილ და — შავს ნუ ჩაიცვამს.

სიზმარი

— წუხელი სიზმარი ვნახე, ნეტავ, დედავ, რაო?
ალვის ხე რომ წამოიქცა, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი ტანი არის, ვაჰ, შენ დედასაო!
— იმას ტოტები ემტვრევა, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი მკლავებია, ვაჰ, შენ დედასაო!
— ვაზს რომ ფურცლები სცვიოდა, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი კუბო არი, ვაჰ, შენ დედასაო!
— ლურჯი წყალი მოდიოდა, ნეტავ, დედავ, რაო?
— ის ხომ შენი ცრემლი არი, ვაჰ, შენ დედასაო!
— თან კიდობანი მოჰქონდა, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი კუბო არის, ვაჰ, შენ დედასაო!
— შიგ რო ვერცხლის თასი იყო, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი სახე არი, ვაჰ, შენ დედასაო!

— ზედ რო მარგალიტი ჰყრია, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი კბილებია, ვაჰ, შენ დედასაო!
— ეზოში რო ძროხა ბღავის, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, დედაშენი არი, ვაჰ, შენ დედასაო!
— ტყეში ირემი ჰყვიროდა, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, მამაშენი არი, ვაჰ, შენ დედასაო!
— თონე ხურს და ალი ბრუნავს, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი გვამი არი, ვაჰ, შენ დედასაო!
— ზღვასა სარტყელი მოჰქონდა, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი სული არი, ვაჰ, შენ დედასაო!
— ერთი ფლატე ჩანგრეულა, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი სამარეა, ვაჰ, შენ დედასაო!
— კაცები რომ მეხვევიან, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, მაყრები მგონია, ვაჰ, შენ დედასაო!
— წინ რომ ღვდელი მიმიძღვება, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, მეჯვარე მგონია, ვაჰ, შენ დედასაო!
— ყელზე გველი მომეხვია, ნეტავ დედავ, რაო?
— შვილო, ის შენი ცოლია, ვაჰ, შენ დედასაო!
— ჭიანჭველა დამეხვია, ნეტავ, დედავ რაო?
— შვილო, შენი შვილებია, ვაჰ, შენ დედასაო!
— თავით რო ქვები დამიწყეს, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, კალმუხის ქუდია, ვაჰ, შენ დედასაო!
— ფეხით რომ ქვები დამიწყეს, ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, ჩექმები მგონია, ვაჰ, შენ დედასაო!

●

ძიენ რად გაგკვირვებია? — სიმდიდრე სიზმარიაო,
სიკვდილს რად დაჰღონებულხარ? — სიკვდილი ღვთის ვალიაო.

შავეთს რა გვიჰპირს

შავეთს რა გვიჰპირს უკლოთა, წინ შუქი გვიდგა სანთლისა;
თეთრის ტირიფის სახლ გვიდგა, შიგ კვამლი ბრუნავს საკმლისა;
სკამ გვიდგა სასვენებელი, კარ გვიბავ ცოდვა-მადღისა.
წინ გვიდგა ოქროს ტაბაკი, სალაღებელით ბალღისა;
ზედა დგა ჭიქის ჭურჭლები, სავსე ნაკურთხის სასმლითა.
გვერდით რო წყაროო ჩამოდის, პირის საბამი ქალ-რძლისა;
გვერდით გვიბავის ცხენები, დაყაჯრულები, ლაგმითა,
თუ სად ხმა გატყდეს, იძახონ, იქ წავალთ ცხენით, საგზლითა;
როდესაც დაგვიქროლებენ, იახსარ უდგა ლახტითა.

დერე

ეს რა დიდი ცოდვა-ბრალი დატრიალდა სულთა შაბათს,
ჩაშედილი მოსკდა დერე, ჯაბოდეები ჩამოამხო.
ქვას და ყინულს მოაქანებს, თავდალმართზე გრგვინვით მოდის.

„დიდხანს ვიყავ ჩაშედილი მთების ეხში, — ამბობს დერე, —
ყველა ზღუდე გავარღვიე, შავი ზღვისკენ პირი ვქენი,
მეზრიერზე მოვბრძანდები, მაღალ საჯარს კალთებს ვაჭრი,
ყინულების მძიმე კევრებს ვატრიალებ თითებშუა.

იალაღზე საჯარს ქვემოთ მწყემსი ბიჭი ჯოგსა წყესდა.
დამინახა, შეეშინდა, გარიდება გვიან ცადა.
„სად გარბიხარ, კარგო ბიჭო, კარგო ბიჭო, მწყემსო ბიჭო,
ჯოგინად გაგიტაცებ, შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა“.

ბავარს ქვემოთ მოვბრძანდები, ჩემი გრგვინვა მთებში გადის.
გზაზე წისქვილს გადავაწყდი, ბექაილა ხორბალს ფქვავდა,
მხარი გავკარ, გავიტანე, შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა.

ლადგიმი რომ ჩავიარე, შემომესმა ზარის რეკვა,
ლამარიას საყდრის კარებს მივდგომოდი უცაბედად.
საყდარს გვერდი ავუარე, ლამარიას რიდი მქონდა.

ნარშვიერს რომ მივადექი, ქალი ვინმე შემხვდა გზაზე,
ბეჭედი და სამაჯური შემომწირა ქალმა მსხვერპლად.
შინ მშვიდობით გავისტუმრე, შევავედრე ლამარიას.

ჟიბიანზე მოვბრძანდები, მახვედრებენ ცრემლს და კვნესას,
ჩიბიანზე მოვბრძანდები, მახვედრებენ სავსე ტაბაგს.

ნაგვაშერზე ჩამივლია, ნაგვაშერი დალმა მიმაქვს.
შიხაილა კარებს კეტავს, არ ეამა სტუმრის მოსვლა.
„შიხაილაკ, შენი კოშკი ყველა ქვეყნის კოშკსა სჯობდა,
შიხაილავ, შენი ნანულ ყველა ქვეყნის ნანულს სჯობდა,
აგური დედაბუდიანად, შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა!“

ნაკრიერზე მოვბრძანდები, ნაკრიერი დალმა მიმაქვს,
ერთ ნაპირზე მაყვალს ესხა, მეორეზე — მოცხარს ესხა.
მაყვლიანში სამი გოგო, სამი დაი კისკისებდა.
„რას დამცინით, კარგო დებო, კარგო დებო, თეთრო დებო,
ავდგები და მოგიტაცებთ, შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა!“

მთებში წლობით ჩაჭედილი დერე მოსკდა სულთა შაბათს,
შავი ზღვისკენ გრგვინვით მიდის. პატრონისთვის ძღვენი
მიაქვს.

სად მიხვალ, შაო ყორანო

— სად მიხვალ, შაო ყორანო, სად მიგქონ შავნი მხარნია?
— დედისერთაი მამკვდარა, უნდა დავთხარნე თვალნია!
— დედისერთაის სიკვდილი, ვაჰმე, რა დიდი ბრალია!
ატირდენ წვრილნი მასკვლავნი, ცამა დაყარა ნამია,
მთვარემა ხუთმეტისამა შამაიმტვრიენა რქანია!

ერთი ვარ

ერთი ვარ, ერთხელ მოვკვდები, ერთხელ ვატირებ დედასა,
ერთხელ სჯობია სიკვდილი ნიადაგ დალონებასა.

დალაოგა

დალა თქვით, დალა-დ მკედრებო, ძნელი-დ არს დალაობაი.
ბრალი ხარ აფთარაულო. შენი ულაშქროდ სიკვდილი.
ეგ შენი ნაცვამ-ნამოსი დარბაზს არ იცვითებოდეს,
შენი წვერი და ულვაში, მწვანილად ამოდიოდეს,
ეგ შენი დედა, ბეჩავი, სუროსებრ ექანებოდეს,
ეგ შენი ცოლი, ბეჩავი, სანთლებურ ჩამოდნებოდეს,
შენი გვარისი ქალ-ზალი შავითა-დ იმოსებოდეს.
დედან გტირიან შვილობით, დანი გტირიან ძმაობით,
მამან გტირიან ძეობით, ალამო, აფთარაულო.
ლაშქარს გიკითხვენ სწორები, წინამ არ გაუძღვებია?
მაგ შენის ჩალა ცხენითა ლაშქართ არ აერეოდე.
შენის სიათის თოფითა მდევარს არ უბრუნდებოდე.
ომში ჯმალამოღებულო, სწორჩი თავგამოდებულო,
სუ მამ-პაპობით ჯმლიანო, გამჭრეო, მოსამართლეო,
გამრიგეე თუშეთისაო, პირწყალო თავის ქვეყნისა.
კარზედ გიდგენან სტუმრები, შინამ არ შეუძღვებია?
კაცი ხარ სახელიანი, კარგამ არ დაუხვდებია?
სტუმართად დღეო მზიანო.
დისწულ წახე დედიზძმათასა.
ალამო, აფთარაულო.
ლეკეთში ლეკნი გიკითხვენ, ჭისტეთ არს დიჩინსთანაო,
ჭისტეთ გიკითხავს დიჩინი, ქალაქში ჯარებს ხყრისაო,
ქალაქს გიკითხავს ბატონი, წავიდა უფალსთანაო.
ნეტა შენს საიქიოსა, სულეთს შეხე მტრედისფერაღა.
სულეთს გიდგანან კოდები, გადმომდინარნი პერადა,
სუფრა გიდგ გარიგებული, გაკეთებული თეთრითა,

ზედ გიდგან მეღვინეები, ხუცითა, დიაკვნებითა,
ამოიღებენ, დალევენ, ვერცხლისი ვაშრაპებითა,
ალამო, აფთარაულო,
ღმერთმა გაცხონოს სულითა.

ძვაჩადალაში

დაგლევდი, ციცო წყაროო, ცივად ნადენო მთისაო,
დაგფანტავ ქვეყანაზედა, ენავ, შენ ბახაისაო,
გაგწირავ საუკუნოდა, სახსენებელო ვისაო.
ძვაჩადალაში თუშებსა სიკვდილ არ მაჰგონდისაო,
გემოთა სჭამენ სადილსა, გაიმკვიდრებენ ძილსაო;
ელიან გათენებასა, გადავლა ჰგულავ მთისაო,
გადახედნება თუშეთსა, გადაქეჩება ცხვრისაო,
უნდარის თვალის დავლება მა თავის ქვეყნებისაო.
ღმერთმა დასწყევლოს ცუდი დრო, ამინდი ეშმაკისაო, —
ტბათანას მასწყდა ცალ გვერდი, ზოვად მოვიდა ქვიშაო;
თან ჩაიყოლა თუშები თავის ბინით და ცხვრითაო,
შამაიმწყვდია ძაღლები, გამბრუნებელი მგლისაო,
შიგ მაიმწყვდია ვირები, გამტანი ბუნაგისაო.
აღარ გაწირა ერთაი ოროლ-სამ-სამი ძმისაო.
არ დარჩა ერთი მბღავანი ათიათასის ცხვრისაო;
ერთასა კიდევ ამბობენ დამრჩალსა ფშაველისშვილსაო,
ხადურულაში ჩაყრილი ბახტრიონს გამოდისაო,
თუშის ცხვარ-მწყემსის სისხლითა ალაზან წითლად დისაო,
არ დაილევი ცოდვითა, წყალო შენ ალაზნისაო!
ჰგონავის იმათ დედებსა, მოგვიევლენ შირაქითაო,
ის არ იციან საწყლებმა, დაგვიტუსაღებს მიწაო;
სალექსოდ გამამიგზავნეთ თითო თუშური ჩითაო,
გინდა გვარ-სახელ იკითხეთ ახადელ ბახაისაო.

ჟანანას გედი

ქალი ატირდა ქანანა შუა ქართლისა მთასაო:
ჩემიმცა დღენი ადგანან, ვინც ქალი ენდოს ქმარსაო,
ცრუასა, ამპარტავანსა, სახელშაყრილსა ყმასაო!!
მატყუა, გადამიყოლა, გამწირა შუა გზასაო.
წუხელ სამ ლაშქრით მოიდა, შავშუაღამის ხანსაო,
შორითავ შამაიძრახნა: „რად არ შააღებ კარსაო?!“
ავდეგ, ავანთე სანთელი, მივმართე რკინის კარსაო;
ოქროსა ტახტი დაუდგი: „დაბძანდი ხთისა მადლსაო!“
ფეხებს სახდელად შავადეგ, იმან ხელი მკრა ყბასაო:
„შე ბოზო, ბოზვის გაზრდილო, რადარ მიუხვედ ძმათაო?!“
ავდეგ, შავკაზმე შავრეშხი, შაუდეგ შავთა გზათაო.
თავი ვიბრუნე, მამდევდა, მააელვებდა ხმალსაო,
პირი უგვანდა სინასა, შუბლი ქასურსა ქვასაო.
გადმოვხე, ჩოქი მაუგდე: „ნუ მამკლავ მარიამსაო!“
„არ ვიცი მარა-მურათი, გაგაგდებინებ თავსაო!
ხმალსა შამოგკრავ და დაგკეფ როგორც საქადეს მხალსაო!..“
რომენი დაიარები აქ საქარავნოს მთასაო? —
გადადი, გადაუძრახნე შალვას, ივანეს, ძმათაო,
„დასა გიჭრიან, გიკუწვენთ, გულზედ იძახის „ვასაო“.
გულზედ გააკრვენ ფიცარსა, გააქანებენ ზღვასაო,
ზღვა დაჰკრავს, ქვიშა დაჰლეკავს ძუძუკოკობა ქალსაო;
იმისი ქამხის სარტყელი გარს შემრტყამს ზღვასაო;
იმის მერდინის პერანგი პერად მააქვი წყალსაო;
შამაჰჩვევია თევზები იმის ღილ-კილოთ ჭრასაო;
იმისი ხუჭუჭ-კავები თევზს მიაქვს საბუდარსაო;
იმისი ლილის თვალები ამოუსილავს შლამსაო.
იმისი შავი წარბები გადუჭამია ლამსაო;
ინით ნაღები თითები გადუძენძია ქვასაო;
ხავსი მოედო ზურმუხტად შვიდად ნაწნავსა თმასაო..“

ეპიტაფია

უდროოდ დღენი მომისპო ამა სოფლისა ცქერამა,
ვერ დამაბრუნა უკანა დედის ცრემლისა დენამა.
სამყოფლად ბნელი სამარე მარგუნა ბედისწერამა,
მე გთხოვთ, ძეგლისა მნახველნო, შენდობა მითხრათ ყველამა.

ქალმა თქვა: „ვნახე სიზმარი“

ქალმა თქვა: „ვნახე სიზმარი დამდეგს ენკენის თვისასა,
ცა წითლად, ყვითლად ელავდა, სეტყვას ისროდა ქვისასა;
ბაღში მიმტვრევდა ხეხილსა, დარგულსა ალვის ხისასა;
ხელში მიქრობდა სანთელსა, ჩამოქნილს კელაპტრისასა;
თავზე მაქცევდა ჩარდახსა, დახურულს ყავარისასა, —
ვნახე და კიდეც შევესწარ სიკვდილსა თავის ქმრისასა!“

მკვდარი ძმობილი

ქალებს ბედრიანაებსა ქვეც მაუვა ძმობილია.
მე კი რახე გადამიწყდა ხევსურაის ლოდინია,
აღარც იცის დღეობაი, აღარც ლხინი, ქორწილია,
არცა-ღ მაგონება მწადის, — უდგა მიწის ლოგინია.

თურსიეხის წყალი

თურსიეხ წყალო მდინარო, გრილო, მაღლისა მთისაო,
ჩამთქმელო თეთრის ცხენისა, ზედ კაის ჭაბუკისაო.
ზედ პერად წამომღებელო ქუდისა, მათრახისაო,
დღე-ღამე საგონებელო ქალისა ლამაზისაო.

იდუმლის კოშკი

„იდუმლის კოშკო, მაღალო, სალჭიროზე დგახარო,
მოწყენილთ გულსა გაუშლი; მახარობელსა ჰგავხარო.
ქვეშ ქალნი მოგისხდებიან, შენ, ჩრდილო, სითკენ წახვალო?"
„როგორ ვერ ხედავ, ყმაწვილო, ულვაშაშლილო, ახალო? —
მეც ისე ვბრუნავ, როგორც შენ ამ წუთისოფელს დახვალო".

კარიმც გაგელო, შავეთო

კარიმც გაგელო, შავეთო, მხარნიმც მენახნენ ძმისანი!
ლამაზის ვაჟის მხარ-ბეჭსა აროთ დაჰშლიან მიწანი...

ლომო, შე ლომის მოკლულო

ლომო, შე ლომის მოკლულო, ბუსნის-ჭალაის პირსაო,
ვინ შაგიღება წითლადა მხარ-ბეჭი პერანგისაო?
ვინ გაგიმეტა სათოფრად პატრონი ბევრი ცხვრისაო?
ჯავრისგან დაგიღრეჯია კბილები ბროლებისაო,
ლამაზად დაგიტირებდი, შიში არ მქონდეს ქმრისაო.

●

სიკვდილს ვაძლიე ქრთამები, თუკი რამ მებადებოდა,
არ დაიჯერა და მამკლა, არ ვიც, რას მემართლებოდა?

სიკვდილი და ობოლი

სიკვდილმა ჩამაიარა, ბერკაცი დახვდა შინაო;
შაუჯახუნა ბერკაცმა, სიკვდილი შააშინაო.
იმას გამასცდა სიკვდილი, ობოლი შახვდა წინაო.
„მე მამკალ, ჩემო სიკვდილო! ობლობა მამეწყინაო“.
„შენ არას მოგკლავ, ობოლო, შენი პატრონი ვინაო?
არცა გაქვ სანთელ-საკმელი, არც სუდარაი შინაო.
გამრავლებულან ცხრა ძმანი, უნდა გადუდგე წინაო,
თავთავად ლოგინ დაუგო, თავთავად მივსცე ბინაო“.

სიკვდილ-სიცოცხლე

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: „სიცოცხლევ, ჩემი ძმა ხარო“.
„მე შენი ძმა რათ ვიქნები, შე პირქვე დასამარხავო?!
დადიხარ ჩუმათ სოფლებში, ქურდულად, ჩუმათ დახვალო,
ჯეელ ვაჟკაცებს დაგვირჩევ, ბებრებს კი შაგვინახამო.
სიკვდილო, თავსა არ მოგცემ, თავიც რომ ქვაზედ ახალო!“

შავეთში

ნეტარ რად უნდა შავეთსა სამკლავე, საფუხარია?
მეც მიმყვა სამარის კარსა, მაგრამ ვერ მოვიხმარია.
შამაუარე შავეთსა, ვერ მაუხელე კარია.
შავეთის მეუფროსესა სამჯერ დაუკარ თავია.
უკლუებ გამაარჩია, სუ შიგ ნარჩევებ ყმანია.
ვერ დავხვდი ჩემებურადა, მტკივა მარჯვენა მხარია.
ზემოთითა დგან უფროსნი, ქვემოთით უკლოთ ჯარია.
ხელი გამკიდეს ხელზედა, ჩამამავლიეს ჯარია;
ჩამოშლილიყვნენ მიწანი, ჩამოდიოდა წყალია.
სხვას ყველას გაეძლებოდა, სურიელს ექნა ძალია.
ვაჟსა წაჰძოვა ულვაში, ქალსა გიშრისა თმანია!
აქ რარიგ ხალხი ყოფილა? ერთსაც არ უზის თვალია!
მოდგება ცხენი-დ' მხედარი, სუ ძუა დანასკულია,
მაჰყევება წვრილი ყმაწვილი, სუ დედის მოძებარია.

იმ სოფლის მკვიდრნი

ნეტავი შემატყობინა, მამა-პაპანი რა ქნილან,
ან მოყვარულნი ცოლ-ქმარნი უდროოთ რისთვის გაყრილან?
დაცლილან ნასახლარები, ზოგნი სულ წმინდად აყრილან,
ამ სოფელს აღარ დამდგარან, იმ სოფლის მკვიდრნი შაქმნილან.

ნეტავი...

ნეტავი გლოვნა არა ქნა, არც ატკიება გულისა,
წესი ქნა შასვლა-გამოსვლა შავეთში მოციქულისა;
გამოგიტანდა ამბავსა, ყოფნა თუ არი სულისა?
ან პოვნა, კიდევ შახვედრა ნუგეშის დაკარგულისა.

იქნებ იქ იყოს წამალი ამ ჩემ უწამლო წყლულისა,
ან პაემანი გამეგო აქედან იქ წასულისა.
უმისოდ ამაო არის გდება სოფლისთვის ყურისა,
ლოდინი მაუთმენლადა ოცნების ფრთაშესხმულისა;
იქნებ ვნახავდი ჩემს სატრფოს, იქ მოვიკლავდი წყერვილსა,
მკითხავდა, მენაც ვეტყოდი ამ ქვეყნის გრძნობა-სურვილსა.

ნისლი წევს საჯიხვეშია

ნისლი წევს საჯიხვეშია, მზეც, რად არ ჩამაჰშუქდები?
გადაგდებული ვეფხვისა ბეჩავი ეზში ებღუნდები!
რას დამყეფ, შაო ყორანო? განა შენთვინა ვსუქდები?
შავკაზმავ ჩემსა ლურჯასა, გავაზე მაუცურდები,
მიუვალ თავის დედასა, თუ ღმერთსაც არ მოესძულდები.

მარჯვენა მხარი ამტკივდა

მარჯვენა მხარი ამტკივდა შუა მარხვისა დღესაო;
თან-თან დამიწყო ტკივილი, გულმა დაიწყო კვნესაო;
გვერდით დედ-მამა მისხედან, მაყრიან ხოროშნებსაო.
სოფელში კაცი გაგზავნეს, წამალს იკითხვენ ბევრსაო.
თვალში ჩინ გამამეცალა, ბუნდადა ვხედავ დღესაო;
მე წამლებ ვეღარას მარგებს საბრალო მიწის ტყვესაო;
მოვკვდები, დამიტირებენ, სუდარს ჩამაცმენ ჭრელსაო;
ნახანის სუდარს მაცომდენ, დებს დაუჭერენ ხელსაო.
მამა იძახის მუხლებსა, დედა იძახის წელსაო.
საკაცეს გამიკეთებენ თეთრის ტირიფის ხესაო,
წინ კაცებს გამიმძღვარებენ, დიაკონსა და ღვდელსაო,
სამარის პირზე დამდებენ, წიგნს წამიკითხვენ ჭრელსაო.
მოდგება გუნდი ჭალ-რძლისა, ცრემლს ჩამოჰღვრიან ბევრსაო;

ჩამდებენ სამარეშია, მიწას მაყრიან ბევრსაო.
მოვალის გველი წითელი და მოიღერებს ყელსაო,
ჯერ ხომ გადამძოვს ულვაშსა, მემრ ჭოჩორს მიჰყოფს ხელსაო,
მემრ დამერჭობა გულშია, გულ დაიკვნესებს ძნელსაო.

ჰირის პატრონი

მეწყალი, ჰირის პატრონო, ჰირის გონობა ძნელია.
ჰირი უჰიროდ არ წავა, თუ ჰირის დედა მთელია.
ჰირსა გონობა არ უნდა, თუ კაცი გონიერია,
ჰირი ადგება, სხვაკან წავ, სოფელ ხო ღონიერია.

ეთერი

— მითხარი, რა ვქნა, ჩემო დედავ, გულს რაღაც სევდა შემომაწვა.
— ხარების რქებს შეეთამაშე, იქნებ გული გადააყოლო.
— შევეთამაშე, ჩემო დედავ, მსურდა გართობა, ვერ გავერთე.
— ძროხის ცურებს შეეთამაშე, იქნება გული გადააყოლო.
— შევეთამაშე, ჩემო დედავ, მსურდა გართობა, ვერ გავერთე.
— წადი, სწორებს შეეთამაშე, იქნება გული გადააყოლო.
— შევეთამაშე, ჩემო დედავ, მსურდა გართობა, ვერ გავერთე.
— წადი, წყაროს შეეთამაშე, იქნებ გული გადააყოლო.
— შევეთამაშე, ჩემო დედავ, მსურდა გაროობა, ვერ გავერთე.
— წადი, სერზე შეითამაშე, იქნება გული გადააყოლო.

მარჯვენა მხარეს გავიხედე, არსად ჩანდა ძეხორციელი,
მარცხენა მხარეს გავიხედე, გზად მაყრიონი მოდიოდა,
წინ ჩემი საქმრო მოუძღოდა, ჩემი საქმრო დაელაკეთილი.
— სუფრა გაშალეთ საქორწინო, ცოლად მიმყავს ქალი ეთერი!

თვალებზე ბინდი გადამეკრა, ჩავიკეცე ღონემიხდილი,
ვიდრე აღმართს ამოსცდებოდნენ, სული და ხორცი გამეთიშა.
— ბედნიერო ჩემო მშობლებო, ჩემო საქმროვ, დაველაკეთილო.
მოსაგებელი წაგიგიათ, მოგიგიათ წასაგებელი;
სუფრასა შლიდით საქორწინოს, გლოვის სუფრა
გაგაშლევინეთ,
თქვენი მაყრები მხიარული გარს მოგისხით მოზარეებად.

სულის მოგება

მოყმესა ჰკითხეს შავეთში: „შენ ქონებისა რა გერგო?“
„ნეტაინ ჩემი დღე-წერა მე სამზეოზე გამეგო.
ნეტაინ ჩემი სასახლე შუა გზაზედამც ამეგო,
გამვლელის, გამამვლელისად ყველათად კარი გამეღო,
მშიერისად პური მეპმია, გაყინულ ცეცხლთან გამეთბო.
ამთვენ ცოდვების მოქმედსა სულ იმით მაინც მამეგო“.

სოფლის უფროსი

სოფელს ატირდეს დედანი: „სოფლის უფროსი კვდებაო;
ნუ მოხვლავ, დამბადებელო! სოფლობა წაგვიხდებაო“.



შაპატივება

ქალო, ქმარს შაუპატივე, ხმა ლაშქრობისა ვარდების.
გძელია მაისტის-თავი, ცუდა გყავ, დაგივარდების.
სწორნ დაუწყებენ გმობასა, შენ გული გაგიაედების.

გატეხით, გამაგრებითა

გატეხით, გამაგრებითა ხმალმა ბედენად არ გასჭრა.
გატეხილისა ვაჟისა ყორანმა ლეში არ ჭამა,
გაუტეხელის ვაჟისა წინ-წინ მკლავები დაჭამა.

●

გაძლება გინდა, ნაბადო, ჭექა-ქუხილსა ცისასა,
აეგრავ, კარგო ვაშკაცო, მაკერძებულსა ხთისასა.

კარგი ყმის სიკვდილი

ბრალია კარგის ყმისადა, უდროოდ მაიშალოსა,
დედა ტიროდეს იმისა, ცოლი სხვას წაეყვანოსა.

ბრძოლიდან გამოქცეული

გავხედენ, გორგორ ჩამორბის, თვალშურთხო, შენი ქმარიო!
თავად კი გამოქცეულა, ძმა იქ გაწირა მკვდარიო.
დაჰხურეთ ლურჯი ჩიქილა, რაც ერთ სხვა თუშის ქალიო.
ხელში მიეცით ფარტენა, შამააბრუნოს ტარიო,
საბუჩეს ქოხი აუგეთ, გააზდეინეთ ქალიო!
რა მაარბენდა მუხშავსა, რად შაარცხვინა გვარიო?
არ ენახვაა ხანჯარი, ან ამოღებულ ხმალიო?!

ლუდი, ძაღლი და ყმა

ეს ლუდი მათრობელი ჯობ, ძაღლი — ბაკებზე მყეფარი;
ყმა სოფელს სულღებული ჯობ, ომის კარ — მაღლა მჭეხარი.

თქვენი რიგია, ახლებო, ხელის დადება ხმალზედა,
ყორნები ლეშით ძღებიან მამების ნაომარზედა.

თქვენი ჭირიმე პირშია, კარგნი ხართ გასაჭირშია,
ბუდობენ ქორ-შავარდენნი თქვენის თვალ-წარბის ჩდილშია.

უმა კაი და ცუდი

ატირდა კაი ყმის ცოლი: „ალარ მამივა შინაო“.
იცინის ცუდაის ცოლი: „გამაიქცევა წინაო“.
გამაქცეულის მასვლასა არმასვლაი სჯობ შინაო.

თქვენისთანა

ქალ ბევრი დაიფიცებდა: „ჩემის ძმებისა მზემაო!“
გაზარდას თქვენისთანაი ხევსურის ქალის რძემაო!

დავნატრი

ცხენკარგის დედას დავნატრი — ლაშქარს წინაწინ წადგება!
მემრე თოფკარგის დედასა — ერთის ნასროლით დარჩება!
მემრე ცოლკარგის დედასა — ქმრის სწორთ ლამაზად დაჰხვდება!

ძე

ცხვარი დავწველე მინდორში, სუ შავის ცხვრისა რძე არი.
თქვენიმც ძე ნუ დაილევის, სანამ ე ცა და მზე არი!

მტერნ დამთხვებიან

თავნი მთას გიგვანთ, ოქკაცნო, მწვანილნიმც ადგებიანა!
შუბლნი — ალგეთის მინდორსა, ყანანიმც ესწებიანა!
წარბნ გიგვანთ მშვილდის მალიკსა, მაზინებთ, მადგებიანა,
თვალნი ბუსლომას მიგიგვანთ, შიგ ჭორნი ბუდობდიანა,
ცბილნი — მარილის კომბულსა, ხმელეთნიმც დაძმებიანა!
ყელნ გიგვანთ ღვინის ჭურჭელსა, ღვინონიმც ჩადგებიანა!
ტანი — ზღვისპირის ლერწამსა,—მტერნ შორით დამთხვებიანა!

თესლი

თესლი თქვენი სჯობ, არწივნო, ფრინველთ თქვენ უნდით
ფერებად,
დაგიჭერიათ ხოხობი, ბატონსთან მიგყავთ ჩვენებად,
რღილი გიბოძათ ბატონმა, ყელზე ჩაგიდვათ ჟერებად.

რა უნდა?

თოფის ხმა ჰიუხებშია ვაჟკაცსა იამებაო;
ვაჟკაცს ტყვიაით დაჭრილსა არ უნდა ზიარებაო:
მოკვდება, დამარხვა უნდა, არ უნდა გვიანებაო!

●

წინანდალს ვაზი ამშვენებს, ახმეტას — ვაშლი წითელი,
ვაჟკაცსა ფარი და ხმალი, მოიმწითუროს კისერი.

დედათ ენა

ხარებავ ჯუელაურო, გიმღერებ შაფერებულსა,
ნუ მიზდევ დედათ ენასა, ცხენს შაგსმენ გახელებულსა,
ან კლდეზე გადაგაგდებენ, ან წყალს გკვრენ აღელვებულსა,
მხარზეით თოფსა აგხდიან, სიათას გაჭრელებულსა,
წელზეით ხმალსა შაგხსნიან, ფრანგულსა შაშვენებულსა,
დაგიმოკლებენ მამულსა, კარისპირ გამტყელებულსა,
დაგაფერებენ ოშკაცსა მონასა, შაჩვენებულსა,
გაგდებენ ბნელსა ღამესა, ვერ ღნახავ გათენებულსა.

●

შაუპატიეთ კას ყმასა ჯარზედა დიდის თასითა,
რახან გაჭირდას, კაი ყმა საყიდ ას დიდის ფასითა.

შვიდნი ძმანი და იმათი ბიძა

ჩვენ, შვიდთა ძმათა თვარელთა, მთას ვეფხვი გადმოგვეკიდა,
შვიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი, ვეფხვს ერთიც არ მაეკიდა.
ბერმა ესრია ბიძამა, ყიათა ჩამაეკიდა.
ერთიც ვერ დავეფერენით, თესლი არც-რა სხვა გვეკიდა.
ეს ჩვენებ იარაღები ჭალას მურყანთამც დახკიდა!
ჩვენამც ქალნი გვქნია ლამაზნი, საქმარედ ცუდა აგვკიდა!
ანამც ვინ ბარის ხუცესნი, ყელს მახალაკი დაგვკიდა!
ანამც ვინ თეთრნი ღურბელნი, მთის ყურენ ჩაგვათოვინა!
ანამც ვინ ვეშაწყარო გვქნა, გუდან ბეღლის-კარ გვადინა!
ქალ-რძალნი ჭინჭარაულთა პირის საბანად ადინა!
ანამც გვქნია ლაღნი არწივნი, ხახმატ ჯვარის კარ გვადინა!
ანამც ვინ კიცენი რემანი, ბალხეთის ზვარნი გვაგლიჯნა!



ყმა გავლილ-გამოვლილი სჯობს, ქვეყნიერებანახული.
ქალ — მამის კერას ნაჯდომი, საქმარედ თავშენახული,



ყმა უმღერალი არ ვარგა, ვაჟკაცი უხელებელი,
ვაჟკაცსა უხელებელსა ქალი სჯობ უხსენებელი.

ყმაწვილო, არშის ციხესა არ შენისთანა ყმა უნდა,
ჩავის ჩამტანი აბჯართა, ამომტანელი სხვა უნდა.

რა უნდა იცოდეს

ყმაწვილო, ბეწვიკუაო, დარბაისლობა იცია?
წინ ჩასვლა, უკუენ ამოსვლა, ჩაშველებაი იცია?
დაგეჭრა სწორ-ამხანაგი, ჩასვლა-შაშველა იცია?

კაი ყმა ლაშქარ მაკვდების სწორების მჯობინობასა;
ცუდაი — საცხვრის ყურესა, ქალებში ლოგინობასა.

არ გაიწურთნება

კაი ყმა, მგელი, არწივი, — არც ერთ არ გაიწურთნება:
მგელი არ მაშლის მგლობასა; კაი ყმა მამაცობასა,
არწივი არწიობასა, მთის ყურეს ნადირობასა.

მგელი გაივლის მთაზედა, ნამ დაბერტყილი დარჩება.
არწივი დაიხულება, მთით ბარად ჩამოვარდება,
დაიჭერს შუნის თიკანსა, ხორცი ძველადავ დაშჩება.

❶

კაი ყმა ხმალსა ჩახედავს: „ნეტარ, გამიჭრის, თუ არა?“
ცუდაი — ქალის უბესა: „ნეტარ, შამიხვევს, თუ არა?“

❷

კაი ყმის ნაბინავარში შეშანი დარჩებიანო,
ცუდაის ნაბინავარში ქარნი ნაცართა ჰყრიანო.

მეხრე-მეომარი

კამეჩის მეხრე ვიყავი, მეში მეცვა და მეხვია;
ასი მომიკლავს თათარი, ორასი დამიჩეხია,
არსად რა მითშვამს აქამდინ, არსად რა დამიკვეხია, —
ვაჟკაცს, ქალებში მკვეხარსა, თავში დაეცა მეხია!

კარგისა ყმისა ცოლობა

კარგისა ყმისა ცოლობა ნუ გიხარიან, ქალაო,
წავა და ლაშქარს მოკვდება, დამრჩები ცარიალაო!



კარგს ყმას არ იპატიჯებენ, — ჯარს არ აყენებს წარზედა.
იმას კი აღარ ფიქრობენ, მტერს დაგვიყენებს გარზედა.



კარგს ყმას შაჰყვარდი, ქალაო, არ პატრონს ბევრის
ცხვრისასა, —
კარგი ყოფნა და ქონება მკლავს მააქვ კაი ყმისასა.

კარგი ყმა

კარგ ყმასა ჰშურობს სოფელი: „ყველას წინ წამოდგებაო“...
ის არ იციან საწყლებმა, გაჭირდეს, — გამოდგებაო.



კას ყმას აჴმიე, დედაო, დილა ადრიან სადილი:
ან ხმა რა შამაღვარდების, ან მთას გაუვას ნადირი.
ცუდას რად უნდა, დედაო, მზის დაცხომამდე სადილი?
არცრა ხმა შამაღვარდების, არც მთას გაუოს ნადირი.



კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი შეჭამონ მტრისანი.

ხმალი რო იზამს ელვასა

მაშინ კარგია კაი ყმა, ხმალი რო იზამს ელვასა,
მოციქულობდეს ისარი, შუბი ვაგდებდეს ენასა.

მაშინ კარგია

მაშინ კარგია კაი ყმა, რა დილა ბინდზე დგებოდეს,
იცვამდეს გრილსა რკინასა, „ომს ვიზამ!“ — ემზადებოდეს.
ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა, წაღმა-უკუღმა დგებოდეს,
იხარჯებოდეს კაი ყმა, თოფი ოხრადა რჩებოდეს.

ძვირად გაგყიდი სიყმეო

მთას ვიყავ, ცივი წყარო ვსვი, ბარად ჩამოველ — მაჭარი.
ძვირად გაგყიდი სიყმეო, თუ ამიჩნდება ვაჭარი!

გული არ შაგიშინდება

მთიელო, მთაში გაზრდილო, ხმალს როდი მოგიშიედება,
ომში შეხვალ და გამოხვალ, გული არ შაგიშინდება.
სისხლისა ნაგუბარზედა ფეხი არ მოგიცურდება,
უკან დახევა არ იცი, სისხლი რო შაგიხურდება.

მოლოდინი სჯობს

მოლოდინი სჯობ მოსვლასა ლაშქრით ლამაზის ყმისასა,
მოვა, მაიტანს ამბავსა თავისასა და სხვისასა,
ჯერ სწორებისას გვიამბობს, მემრ თავის გამოცდისასა.

მშვილდი გაგიტყდა

მშვილდი გაგიტყდა, ვაჟაო, მხართეთრი, გოზაწითელი,
არ გაიტეხო ნამუსი, არ მოგეხაროს კისერი.

ლაშქარს წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო,
დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.

ლესქერო ფიცარნაგშია გრილნი ნიავნი დიანო,
მასში გამსვლელნი ვაჟანი ვერხვის ფოთლისებრ თრთიანო.

ჯაჭვი

ლომისას ჯაჭვი ჰკიდია, არავინ იცის, ვისია.
მოვიდა ქალი, ატირდა: „ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია.
შავეთით გამოგზავნილი შავგვრემანაის ყმისია,
სიკვდილის ჟამსა ნათქომი, დანაბარებიც მისია:
„ისეთმა ვაჟმა ჩაიცვას, ვინაც ხმარების ღირსია“.

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ

როსტომ თქვა: „გმირი მეც ვიყავ, ჯირითი შემოვისრიე,
მეზობლის შაძულებასა ისევ დათმობა ვირჩიე“.

ნუ ააღელვებთ!

ნუ ააღელვებთ კაი ყმას, — მიწა არ ძვირობს ბინასაც!
საღამოს ბეგთარს ჩაიცომს, წითლად შახვდება დილასა;
ლაშქარში მაშინ ჩავალის, რკინა რო გაღეჭს რკინასა;
გონჯაი დაიმალება, კაი ყმა დაჰკრავს წინასა.

თვალად ლამაზი და პირად ჯუღური

ნეტავი ლაშქარს შაგვყარნა სამი ბატონის ყმანიო,
მოგვწივა მძიმე ლაშქარი, სწორებს გვეცადა თავიო,
მაღლიდან გადმააცქირა ლამაზი ქალის ჯარიო!
ბევრ ქალს კი შასძულებოდა თვალად ლამაზი ქმარიო,
ბევრ ქალს კი შაჰყვარებოდა პირად ჯუღური ქმარიო.

ერთგულსა და ორგულს

ნეტავინ თქვენსა დედასა, თქვენ დაუზდიხართ შვილადა!
არ გინდათ პირის მაბანა, არც წარბის წერა წვრილადა.
ეყოფა თქვენსა ერთგულსა თქვენი სურვილი ლხინადა,
აეგრეე თქვენსა ორგულსა თქვენი სიცოცხლე ჭირადა.

რა მამწონს?

ხმა მამწონს თქვენის თოფისა, იცის გველივით წივილი;
თქვენი მთათ შამავლილობა, ქორებულ შამაკივილი.

ჯერ კი ვერა სცდის

ჯერ კი ვერა სცდის კაი ყმა, მერე დაიწყებს ნანასა,
ვერცარას იმით გახდება, გულზე მიუშვებს ვარამსა!



ჯავრო, არ მოგცემ ნებასა, გულო, არ დაგაშავებო,
მტერო, არ შეგეპუები, ხმალო, შენ გაგაფხავებო!

კარგის ყმის ცოლი

რად იტყვის კარგის ყმის ცოლი: „დიდხანს ვიქნები
ქმრიანი!“
სიკვდილსა და მტრისაგან, ორისგანვე აშვს ზიანი,
წაუვა, დარდით მოკვდება, — „ვაჰმე, თუ დავრჩე ტიალი!..“

რაის კარგია?

რაის კარგია კაი ყმა? რაის კარგისა მქნელია?
წავალის, მაჰკლავს ნადირსა, ჭალაში მწვადის მწველია,
დააძღებს ამხანაგებსა, თავად მშიერა მგელია.

ახლები ომში

ჯარში წახვიდით, ახლებო, რომნის ხმალ უფრო ჭრისაო!?
ომში ჩავიდეს ახლები, წკეპა ამადის ხმლისაო.
ლემადეს ამამდინარსა კვნესა ამახყვი მტრისაო.

●

ათას უგულო მეომარს გულადი ორი სჯობია,
არამ მწყერს, ხოხობ-კაკაბსა, ალალი ქორი სჯობია.

●

არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდ რო ხეხო ქვიშითა,
მტერნი არ შაგვიბრალებენ ტირილითა და ვიშითა.

არ ვარგა

არ მამწონს ახალგაზრდაი ამპარტავანი, კოხტაი,
არც საყელოზე სირმაი, სახლისწვერებზე ყოშაი.
დუმბარა ახალუხზედა, ზედ შამოვლებულ ქობაი,
კაც უნდა დიდთან დიდ იყოს, ცოტასთან იყოს ცოტაი.

თუ მოყვარე ხარ — მიმოყვრე: კალთა გავაბათ კალთასა,
მტერი ხარ? — შემატყობინე: ან ბარს დაგიხვდე, ან მთასა.

ქალი და ვაჟი

ქალი არ ვარგა ქურდ-ბოზვი, ვაჟი სოფელ-კართ მჭეხარი:
რახან გაჭირდას, დადგების, როგორც უღელში მჭლე ხარი.

რა უნდა ვაჟას

ვაჟასა შენისთანასა განა თუ აგრე სმა უნდა?
დილას ადგომა ადრიან, გრილსა რკინასა სხმა უნდა.
აყეფდებოდას ქოფაკი, სოფელს სიმირგვლივ ვლა უნდა.
სოფელს მავიდეს მოძალე, სხვათ ნამეტნავად ცდა უნდა.

ვაჟი ვიყავ

ვაჟი ვიყავ და ვეაჟობდი, ქორულად შევქენ ნავარდი,
მეფის ერეკლეს ჯარშია თავს ვეცი, ბოლოს გავეარდი.
დახედე სიბერკაცესა: ბოლოს ჟამს როგორ დავეარდი!?

ვარდსა ამშვენებს ბულბული

ვარდსა ამშვენებს ბულბული, ვაქაცსა ღონიერობა,
ჩემი მაკვირვებს სირეგვნე, ქვეყნისა გონიერობა.

რკინის გული

ვაქაცსა — გული რკინისა, აბჯარი — თუნდა ხისაო,
თვალნი — ქორებულ მხედავნი, მუხლები — შევარდნისაო.

ვაჟკაცის სიკვდილი

ვაჟკაცსა თავის სიკვდილი თავი მძინარე ჰგონია;
სისხლისა ღვარი ნადენი სალხინო ოფლი ჰგონია,
გაკრობა საკაცეზედა ცხენზე შეჯდომა ჰგონია,
წინ რო ღვდელი გაუძღვება თავის შათირი ჰგონია,
ჩადება ბნელ სამარეში ლოგინში წოლა ჰგონია,
თავით ქვას რო დაუდებენ, ცოლის ბალიში ჰგონია,
ზედ დაყრა შავი მიწისა საბნის დახურვა ჰგონია,
ბაყაყ-ჭინჭველას დასევა წვრილი ცოლ-შვილი ჰგონია,
ყელზედა გველის მოხვევა ცოლის მკლავები ჰგონია,
ნაწვეთი მარმარილოსი დედის ცრემლები ჰგონია.

ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს

ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდა ბუზივით ეხვიოს თავზე მტერია.
არ გადიწყვიტოს იმედი, არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაჰგმობს და დასწყევლის მოძმე, ერი და ბერია.

ვაჟკაცსა ქალაჩუნასა

ვაჟკაცსა ქალაჩუნასა ქალი სჯობია თმიანი,
მტერსა ვერ უზამს მტრობასა, ძმას — ძმობას, ვაგლახიანი,
გონჯად იქნება ყველასთან თავცხვირპირტალახიანი.

ვაშკაცს რას გამოადგების სოფელთ შვენება ტანისა,
ბანებზე მიდგომ-მოდგომა, გამჩვენეობა ქალისა,
ხმალს უნდა აჭრევინებდეს, იმედი ხქონდეს მკლავისა.

წასვლა და აღარ მოსვლა

ვაჰ, გულო, ვაჰ, გუნებაო, ვაჰ, სიშორეო გზისაო!
წასვლაო, აღარ მოსვლაო ლაშქრით მამაცის ყმისაო!

დაბარება ველს წასულს

ველს წახვალ, ბეწკურაო, რა გითხრა, რა დაგაბარო?
გეტყვი: ძ ი ლ ს ნუ დაენდობი, — ძილი ვაჟკაცის მკვლელია.
გეტყვი: თ ო ფ ს ნუ დაენდობი, — ჩახმახ ეშმაკის ცხენია.
გეტყვი: ხ მ ა ლ ს ნუ დაენდობი, — ხმალი მშიერა მგელია.
სადღეოდ გულის მკეთეი, სახვალოდ ლიბუს მთხრელია;
გაგატანინებს მამულსა, გედვას კარისპირს მტყელია;
ნურცა-რას მ კ ლ ა ვ ს დაენდობი, — მკლავი სხვისაიც მტყელია,
ნურცა-რას მ უ ხ ლ ს დაენდობი, — მჯობი ბევრისა ბევრია.

ზოგნი რომ ჰწვიმდენ ღრუბელნი

ზოგნი რო ჰწვიმდენ ღრუბელნი, ზოგნი კი გადიდარებენ,
ზოგნი რო გცემდენ ვაჟკაცსა, ზოგნი კი დაგიფარებენ.

●

თუ ვერ მოვიხმარ იარაღს, როგორც რიგი და წესია,
რომ არ მეკიდოს წელზედა, ათასჯერ უკეთესია.

თოფი

თოფმა თქო: „ჩემთა წამალთა შვიდრიგად უნდა დუღილი,
მაისის ბერში განაყან, მემრ ნახან ჩემი ქუხილი,
მემრ ნახას ჩემმა პატრონმა ჩემის დაჭრილის წუხილი".

გვიანაური

დაითვრა გვიანაური, თავ დაიჭირა ხელითა:
„შავხლის ხანჯრადამც მაქცივა, ერთ რო სხვას
მკრევდა წვერითა,
ერთკეით დაღირებული გავჩინდებოდი მღერითა!“

მთიბელავ, შენი ფრანგული

მთიბელავ, შენი ფრანგული იტირებს, გადაიქცევა.
— ავაჰმე, ჩემო პატრონო, შენფრად არავინ მექცევა.
ვერვინ შამიტანს ომშია, შამიტანს, — გამამექცევა!

ჯავშმა თქვა

ჯავშმა თქვა სამანქანურმა: „ქაჯებმ ამასხეს თითითა.
მიყიდოს აიმ ვაჟამა, ვინც ზიდვა შასძლოს კისრითა;
მემრე წამიღას ჭალასა, აიქ გამხეხას ქვიშითა;
მემრე ჩამიცვას ტანზედა, თუ ზიდვა შასძლოს კისრითა.
მე ხმალნი რას დამაკლებენ? ვერც შუბნ გამხეთქენ შიშითა.
ნუ ეშინიან ჩემს პატრონს, ფოლადისა ვარ, იმითა.
ვერ დაეენდობი ტყვიასა: შორით წამოვა ლიზვითა“.

ხმალს უთხრა ივანეურმა

ხმალს უთხრა ივანეურმა: „ხმალო, გამიჭერ, ტიალო!
მტერი მამადგა კარზედა, იქ უნდა გაგაპრიალო!
ან მოვკლავ, ან მე მოვკვდები, ცოცხალმ არ უნდა ვიაროო!“

ᲓᲝᲙᲚᲔ ᲮᲛᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲕᲐᲨᲙᲐᲪᲘ

ხმალსა სიმოკლე არ უშლის, — ფეხი წადგი და წაგძებს,
ვაშკაცსა — სიმდაბალაე, — ომის კარ მაღლა დადგებს.

ᲮᲛᲐᲚᲝ, ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲡ ᲜᲐᲮᲔᲓᲝ

ხმალო, ხევსურეთს ნაჴედო, ალვანში თუშმა გაგფერა,
გაკურთხა მეფე ერეკლემ, საომრად ჯვარი დაგწერა.

●

ხმალს უთხრა შატილიონმა: „ამღის პირდაპირ ცერია,
სადაც ვინ შამაგვეყრებინ, სუყველა ჩვენი მტერიაა!“

ᲮᲛᲐᲚᲛᲐ ᲗᲥᲕᲐ

ხმალმა თქვა: „პირი დამჟანგდა, ჯაბანმა ვინმემ ჩამიგო;
ნეტავი ვაჟკაცს შამყარა, პირიდან სისხლი ამიღო;
მაელვარებდეს მტრის კარსა, ქარქაშით გარე გამიღო;
მაჯა მაგრობდეს ბეგთარით, პირი ვადამდე ჩამიღო“.

ზეზვა გაფრინდაული

ჭირსამც მოვხპარავ ზეზვასა, გაფრინდაულის შვილსაო!
სადც ომშე შეეტანება, მარჯვენა მარჯვედ ჭრისაო.

— . —

გაგიორგულდა, ზეზვაო გაფრინდაულო, ცხენია.
არმად მაგექცეს, ლურჯაო, პატრონის ნაჭმევ ქერია! —
რად ჩამააგდი პატრონი, რად გაულაღე მტერია?
რადა-ღ დაუგდი ალვანი — სამჯერ გაფრენა შენია?

— . —

ხმალს ზვერავს გაფრინდაული: „თორმეტი მავკალ ამითა,
ავავსე დიდე მინდორი თათრის ხოჯაის ძვალითა,
მგელს დავაცვითე კბილები, ტურას ლოყები ჭამითა“.

აბაშა

აბაშამა თქვა: „დავბერდი, მუხლებს აღარ მაქვს წადინი.
ნეტავი არ მამდიოდა მაგ მუხუაურთ ქადინი!
მანამდი ვიყავ ახალი, არ გავიგძელი ნადიმი,
ჭალათით გამოქცეულმა მთაზე ვჭამიდი სადილი“.

ნისლ ძესა ლებაისკარსა სუ მუდამ აუყრელადა.
აბაშას ტანზე ჯაჭვ სცვავა სუ მუდამ წაუყრელადა.

ფუნჩა ჯამრული

ვაჰეთ ზის ფუნჩა ჯამრული, შუბვ, გაგითეთრებს ტარსაო,
თუშურთ კითხულობს ამბავთა, კითხულობს ბორბლის მთათაო:
„ვერ გამავიდა ბორბალი, ხვად ვერ აბომსა ნალთაო?

ეგ ქარსამაულთ ცხვარ-წყემსი არ გამავიდა მთათაო?
დადიდდეს ქარსამაულნი, ჩავალ, ჩავავლებ თვალსაო,
დაღბრიყვებია წყემსები, ჯამრულ ჩაუყრის ჭკვათაო!"
ქაიავ ქარსამაულო, ტყავს ნუ უქარგავ ქმარსაო;
თუში რო შახვდას გულადი, გაგისრევიებს თავსაო;
თან შენაც გადაგიყოლებს, გასმევდა ბორბლის წყალსაო;
გავლევდა ფეხშიშველასა თვირთვილიანთა მთათაო;
ჩამაგსომს საანჯბოშია, თუშეთს მაავლებ თვალსაო,
პირდაპირ დაგიკიდებენ ძმის ზამბულაკსა, ფარსაო.

— . —

არას დაგიდევს ჯამრული ამხანიგ წყალსა ჩაჰქონდეს,
ლეკისა უყვარს მარჯვენა, რო საშინაოდ მაჰქონდეს.

— . —

ჯარში ჯამრულის ლურჯასა დააცემინებს ცხვირსაო.
— აჩო, შე სატიალეო, პატრონს რად უფრთხობ ძალსაო!?

ხევსურები გორის ბრძოლაში

ავარდა ბატონიშვილი ერეკლე ნათათრალიო,
არაგვი შამაიარა, ფხიტუს დალახნა მთანიო;
ფხიტუს-ღელეში შამოხდა, პირწაღმ ილოცა ჯვარიო,
მოკითხულობდა გზა-გზათა; „ხევსურებს ვინ ხყავს თავიო?"
სანეს დაიცა კარავი, შამაიხვიენა ყმანიო.
იმედას ეუბნებიან: „გაგვიღი ბეღლის კარიო,
გამოგვიბძანე დროშაი, ორივ ააბი ზარიო,
ჩაგვიმწყალობენ ახალნი, წყრომითა არ ჩახყვას ჯვარიო".
თვალივის ბოლოს დაგროვდეს, ცამა დაუცა თვალიო.
სამი დასვიან ქადაგი, არ ულამინებს ჯვარიო.
ხევსურებმა არ დაიჯერეს, — „არ ბრუნავს ჩვენი გვარიო".
არაგვზე ჩამოდიოდა ყაწმიანის ჯარიო,
ქალაქის ხიდზე გამოხდეს: „ქალაქს ვინ შაზდვა ზარიო?"
გახკვირდა სომხიშვილები: „სად მიდის ხევსურთ ჯარიო?"
„ქართლი შაუკრათ, ხევსურნო, ქალაქს ვინ შაზდვა ზარიო?"

სურამზე გადაიარეს, გადაამტვერნეს გზანიო.
ომ იქნა გორის ბოლოსა, სისხლსა წვიმს, ზეთი დარიო.
„მინდვრად ჩაედით, ხევსურნო, სანვლად მაიცლით მკვდარიო.
უთურგაისძემ გაჭარბათ, — კარგად უჭრიდა სმალიო.
კარზედ გიორგა დაგიდგათ, ეგ ყვირილობის ხარიო.
თოფის ხმა მოდის მალ-მალედ: „ღულელ მანგია ვარიო,
ორ გვერდით მიწევს დაჭრილი, თაოდაც ურჩოდ ვარიო;
მესამე თხრილში ჩავარდა, ურჩო სჭრის ნახანჯრალიო;
სახელ ნუ დაიმალების, თუ სად ქართველ ვინ ხარიო“.
სამნი გვეტანნეს მხედარნი, ცხენებზე ხქონდა თვალიო,
ბიას ხელში აქვ მათრახი, ლომნისა — ლაგმისტარიო;
დეზთ იკრავს ნაოგურაი: ლიქოკს ჩალხისძე ვარიო.
იარ, წავიდათ, მოკლიავ, დავხიათ ქართლის წყალიო.
ქალაქ მიგვასხმენ ურუმნი, ხევსურთ იქ მიდის ჯარიო.
აიქ უამბათ მე-დ' შენა რაიც გვეტანა ძალიო.
ზოგი შინ წახოლთ, ხევსურნო, ზოგთ აქ დასწერეთ ჯვარიო,
უთხრიდით შინ წასულებმა: „დარბაზს გავწირეთ ჯარიო.
სათავეს ეჯდა იმედა, არ ევალების ჯვარიო.
დასჩუმდებიან დროშანი, აღარც ერთ იძახს ზარიო.
ციხეთა ბაცალიგურთა, მაღალთ, დახარეთ თავიო,
დაგიგვიანდათ ლომნიი, აღარ მოგიეათ ხარიო.
ქალო და ზალო, იგელიეთ, საყურ დაყარეთ, ცვარიო“.

ნადიბაიძე

\

არაგვის პირას ომია გაუთენებლივ დილითა,
იქ არის ნადიბაიძე, შალესილია რკინითა;
ზოგნი კი დაუხოცნია, ზოგნი წასულან ჭირითა,
ჭირითა, როგორ ჭირითა, — სისხლს ამოჰყრიდენ პირითა.

თამრო ჯაშლოვანელი

თამროსა გაშლოვანელსა ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს მისი საფლავის კარსაო.
დამტირებელი არა ჰყავს, ნეტარება მის გვარსაო!
ანგელოზები ფრინავენ, გალობენ ნანინასაო.

მამუკა ძალუნდაური

შახფარავს გიორ-წმიდასა თუშთა ელვარე ფარია.
აიღეს საკვირაოთა თეთრი მძოვარი ცხვარია.
მამუკამ ქალუნდაურმა შორით მახკიდა თვალია,
გორი-გორ ჩამოდიოდა, მობუბუნებდა ხარია.
ალერდას წყალში გავარდა, ირემმ გაიღნა რქანია.
შამაუბრუნდა, — ფარავდა პირზე მზე, ბეჭებს ფარია.
შამოხდის საფეხნოშია, მეშველნ მაუნდეს ცხრანია.
„აქით გამიშვით, ქალებო, შორით მიჭირეთ თვალია!“
შამეეწია ლაშქარსა: „თუშნო, დაყარეთ ცხვარია!“
„ნუ მოგვდევ, ქალუნდაურო, არ გვინდა შენი ცხვარია“.
არ დაიჯერა მამუკამ: „ატირდა ჩემი გვარია“.
დაბრუნდეს მექობაურნი შალვა, ივანე ძმანია,
ივანე თოფსა ჩაუჯდა, გულზე დაჰხვია ალია.
წაიქცა ქალუნდაური, ირემმა დასხნა რქანია.
„ხელსა ნუ მამჭრი, ივანე, — სახელი მაინც შენია.
მხარზეით თოფსა ნუ ამხდი, — ჰიუხში ჯიხვთა მტერია;
წელზეით ხმალსა ნუ შამხსნი, — ხევსურთად კაის მქნელია;
ტანზეით ჯაჭვსა ნუ წამყრი, — ქერიგოს ქვეშათ ფარია.
ნუ ამყრი სამკლაკეებსა, — მკლავის ფიცრების მჭერია;“
ნატრობდა ქალუნდაური: „ნეტავინ ამაყენაო!
საც მექობაური სახლობს, იქაც კი ჩამაჩინაო.
მეშველიმც დაგეიგვიანა, ერთურთი გვაცდენიაო,
მექობაურის ცოლ-დედას თვალიმც კი აჭერინაო!“

მარტია შუქიაური

ციხე სტირს შუქიაურთა, უხმობს ქვიტკირის კარია.
სიკვდილსა მარტიაისას იწყენს წყალშუის ჯვარია:
„ორივ დამექცა ბეღელი, დროშას შამიწყდა ზარია, —
პატრონ მარტია მამიკვდა, მტერმ შამამართვა თვალია“.

ჯურღმა ბაზალი

არშას ბაზალი ჯურღმაი ვეფხვი კლანჭებზე დგებაო,
განჯას შაჰგლიჯა კლიტენი: „ჩემს არშას მოუხდებაო“.

ხირჩლას ქალი ტყვედ

ბარაქალ, ხირჩლაის ქალო! ღმერთმა გიცოცხლოს ძმანიო!
თავსა დაადეგ ქალებსა: „ჩქარა გავიხვნეთ გზანიო!
გაიგებს შატილივნები, სისხლის გაივლის წყალიო“.

ხირჩლა ბაბურაული

ვინ შაჰხე საძელის-წვერსა? ვინ შასძარ ტყავის სახელი?
იქნები ბაბურაული, — ხირჩლას მოსწონდა სახელი!

— . —

ხირჩლავ, გიჭურვენ ხევსურნი: „ლურჯამ აქნივა სახელი“;
„ახლა თქვენ მოგცემთ ლურჯასა, თუ ადვილია საქნელი“.

— . —

ხირჩლამ თქვა ბაბურაულმა: „დაკვრა ვისწაველე სტვირისა;
თავადთა ღუდუშაურთა დღე გაუთენე ჭირისა;
ხმლითა ვეც ვაჟსა შიოლას, ტანი დაუძარ გმირისა“..

ხირჩლას სიკვდილი

ხევსური აღარ გამოვა ხირჩლაისთანა ხმლიანი.
ატირდა ხირჩლაის ცოლი ღილიან-პერანგიანი:
„მითხოს ნუ წახვალ, ხირჩლაო, სახლ გიდგა საქონიანი“.
არ დაიჯერის ხირჩლამა, — გლეხი გადიდდა ცხვრიანი.
ჩაის ჩაივლი, ხირჩლაო, ამაისა გაქვს კლდიანი.
ტუტილ ხნავს ამაისშვილი სუიკა [მგელი] პირ-სისხლიანი.
სუიკას ამაისშვილსა თოფი აქვს ტალკვესიანი.
გესრევდის, არ დაგაცდენდის, გაუმართებაე ტიალი!

სუიკას ხირჩლა მაუკლავ, არწივ მზორს ეთელებოდა...
წვერსა უსინჯვენ, ულვაშსა, ვეფხვისას ეფერებოდა.
„თუკლაღ არ მოვკლათ ხირჩლაი, დავლათ თუ გვეჩვენებოდა“.
შენი მამკლავი, ხირჩლაო, მითხოს მემეტედ ჯდებოდა;
კარზედ მაუდის მლოცავი, ფეხზედ არ ამუდგებოდა;
შინ სულნი არ უდგებიან, მთა-წვერთა იარებოდა;
გაუმართებავ სიათი, ბეჭედს არ გაუცდებოდა.

გიგის ციხე

წოვეთში, გიგის ციხეო, ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა!
მოგიხდეს ჭარელთ შვილები, ალი აგხვიეს თავზედა.
გამაგრდი, გიგის ციხეო, ჯაჭვი გადიცვი ტანზედა!
გიგი ცოლს ეუბნებოდა: „წამალი მიწყე წამზედა,
რომ შემოგვაკლდეს ტყვიაი, ღილი აიჭერ ტანზედა“.
თოფი მიარტყეს გიგისა მარცხენა ძუძუს თავზედა.
გიგის სიათა წაიღეს, დაჰკიდეს ციხის თავზედა.
ხელიც მოაჭრეს გიგისა, დააკრეს ციხის ქავზედა.
გიგის სიათა ნუ მიგაქვთ, ნუ აკრავთ ქავის კარზედა,
ჭალაზედ ნუ ვინ წაიღებთ, დაჩვეულია მთაზედა,
ნადირზედ ნურას ვინ დასცლით, დაჩვეულია მტერზედა.

ემაგ ლექსაის მომთქომსა ქალს ცრემლი მამდის თვალზედა.
გიგის ხელების ნაწვეთი მაღლით ჩამომდის თავზედა.

ხალიაისძე

ხალიაისძის სიკვდილსა ნუ იტყვით ლეკებსთანაო!
თუ გკითხანთ, აის უთხრიდით: „ქალაქ ას ბატონსთანაო“.
ბატონმ თუ გკითხათ, უთხრიდით: „ომში ას სწორებსთანაო“.
სწორებმ თუ გკითხანთ, უთხრიდით: „სულეთ ას იაღთანაო“.

არსენას ლექსი

შაირ-სიტყვითა მესტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა:
ღმერთმა მოგცეს განათლება, ოძელაშვილო არსენა!
ქეიფი იმას უყვარდა, გზებზე სუფრის გადაფენა,
შვიდს წელიწადს ტყვეთ იარა, მთა და ბარი შეაჯერა.
რომ შეიქნა თექვსმეტის წლის, ულვაშები დაიმშვენა,
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააჭენ-გამოაჭენა.
ბარათაშვილი ზაალი ძალიან გაგვინაწყენა:
ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება.
„გოგო მე მომე, ბატონო, შენ კი არა წაგიხდება!“
ბატონმა გოგო არ მისცა, მღვდელმა ჯვარი არ დასწერა.
რა რომ შინიდგან გავიდა, ბარათაშვილს გადემტერა.
„ეს არსენა რა გაგვიხდა, რა არის მაგისთანაო?
ბიჭო არსენავ, რა მიყავ, ყმა იყავ მაგისთანაო!“
„მოგიტან თორმეტ თუმანსა, მოგითვლი ჩქარა-ჩქარაო“.
ეს რომ ზაალმა გაიგო, წარბი არ შეიხარაო:
„თორმეტი აღარ მიგდია, ბიჭები შენისთანაო?!“
„აბა თუ თორმეტიცა გყავს, ადექ და მამყევ თანაო!“
ეს რომ ზაალმა გაიგო, ქოში უკუღმა ჰყარაო.

კარიდან ველარ გაასწრო, ფანჯრიდან გადიპარაო...
მოსტაცა ბატონს მოახლე, ახალციხეს გაუყენა,
ჩითის კაბები გახადა, სხვა ფარჩები შაუკერა,
იმის ქვევით შეიდიში კოშებამდის დაუმშკენა.
მობრუნდა ჩვენი არსენა, ცოლ-შვილით გააცამტვერა.
ეს რომ გაიგო ზაალმა, ორთავ თვალით შექნა ცრემლა.
ქალაქში გამოაცხადა, ღუბერნატორს მოახსენა:
„გამივარდა ერთი ბიჭი, დამაქცია, დამანელა!
ერთი კარგი გოგო მყავდა, წამართვა და გადმიყენა,
წამახდინა არსენამა... თუ რასმე მიშველით თქვენა!
თუ თქვენ იმას ვერ დაიჭერთ, ძნელია ჩემი დარჩენა!“
ათი-თორმეტი ყაზახი გასწევს თრიალეთისკენა.
კოდაზე რომ შემოვიდნენ, წინ იქ დაუხვდათ არსენა:
„დრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს, კუდა იდიოშ, საითკენა?“
„ჩვენ შენი ჯავრი არა გვაქვს, მივდივართ მარაბდისკენა.
ერთი ბიჭი გამოგვექცა, სახელად ჰქვია არსენა,
თუ ვისმე კი გაგეგონოთ, გვინდა იმისი დაჭერა“.
ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიცინა ნელა-ნელა,
ნაბადი გვერდზე იქცია, თოფი ფეხზე შეაყენა;
ჯერ რომ თოფი დაახალა, მერე ხმალი შეაშველა.
ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხვარივით გადმოდენა,
თელეთის ბოლომდე მიჰყვა, სომხითში არ გააჩერა.
იმ საწყალსა ყაზახებსა ზურგზე ბოლი ააყენა,
„ნას კაკოიც“ მიაძახა, — თავად გახლავართ არსენა!
სულ უკან იხედებოდნენ, „აღარ მოგვდევდეს არსენა“.
ქალაქში რომ ჩამოვიდნენ, ყველამ უფროსს მოახსენა:
„უზარბაზნოთ არ იქნება თქვენი არსენას დაჭერა,
ან არის მდევი, ლომ-გმირი, ან არის რკინის მკვნეტელა.
თუ ჩვენგან არ დაიჯერებ, ნეტავი მარტო გაჩვენა!
რომელსაც ხელი მოგვკიდა, ფეხზე აღარ დაგვაყენა,
ექვსსა თოფები წაგვართო და სულ მიწით დაგვიტენა“.
ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალით შექნა ცრემლა:
„ნეტავი კაცი მაჩვენა ამ არსენას დამჭერელა,
ოქრო და ვერცხლი ვაჩუქო, რა ფულები ამოტელა!“
არმაზის წყალზე ურიებს აწყევლინა ბედისწერა,
გამოართვა ხახამს ადლი, ოთხს კისერში ჩაადებსა:

„თუ კარგ ადათს არ დაიჭერთ, გაგწყდომიათ ხვნა და თესვა.
ძალად გაჰმევთ ღორის ხორცსა, კეფაზე დაგასხამთ წვენსა,
თუ იმას არ დამჯერდებით, ქართულად დაგპარსავთ წვერსა.
ჩამოხვიდოდით ქალაქში, ყიდულობდით ფარჩას ჯერელსა,
ჩამოხვიდოდით სოფლებში, ლამაზათა ჰკაზმავთ ცხენსა,
ქვრივსა და საწყალს გვიტყუებთ, ნამეტნავად პატარძლებსა!“
მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუჯდესა,
გატეხა და გადააგდო: „ფუ, გამჭედი გაუწყდესა!“
შინდის ჯოხი გამოუჭრა რომელი რომ გრძელი თქვესა;
შვიდი მტკავლით გაუზომა: „მისხალი არ დააკლდესა!
თუ ამითი არ გაჰყიდით, ვაი დედითქვენის ღმერთსა! —
საცა რომ შემოგეყრებით, სუყველას გამოგჭრით ყელსა!“
იმ საწყალმა ვაჭრუკებმა სულ კანკალი დაიწყესა:
„ჩვენ რომ ამითი გავყიდოთ, რაღა დახლი დაგვიდგესა?
ისევე ჩვენი ფართალი იმ ჩვენ დუქნებში დალპესა.
არსენა რომ დაიბადა, ჩვენი საქმენი წახდესა!“
„საახალუხე მომყიდეთ, იმ თქვენი დედ-მამის მზესა!“
არა ღირდა ორ მანეთად, ერთ თუმნად დაუფასესა.
მაშინ ჩვენი არსენაი, თითო მუშტსაც წაადებსა.
დახედე, საახალუხეს სულ ტყუილად წაართმევსა.
კიდევ იმას ეუბნება: „თქვენს ჯიბეში ფული ძევსა;
ურიავ, ფულები მამე, ვიცი საგძლად მამინდესა!“
ი საწყალი ურიები დაეკითხნენ ერთმანეთსა:
„ვაჟო, ეს ფულიც ვაჩუქოთ, ეგებ ცოცხალს გაგვიშვებსა“.
ამოიღეს და გადუგდეს, თუთხმეტი თუმნისოდენა.
ხუთი თუმანი აიღო, ათი უკან გაადევნა.
„ოღონდ დაგვეხსენ, არსენავ, გამოვაცხობთ სეფისკვერსა,
ქართულად დავინათლებით, კარგა დავიპარსავთ წვერსა,
ძალათი ვჭამთ ღორის ხორცსა, ზედ თავზე დავისხამთ
წვენსა!“..

გზად სომეხი მოდიოდა, არხეინად, ნელა-ნელა;
არსენამ რომ დაინახა, თავქვე ცხენი დააჭენა.
წინიდგან წამოუარა: „საით მიბრძანდებით თქვენა?
ეგ ქულაჯა გაიხადეთ, ეს თექა ჩაიცვით თქვენა“.
ის ქულაჯა წამოისხა და ბეჭები დაიმშვენა.
ცხენი გრილოში დააბა, თავად იქვე მოისვენა.

ბრძანება შემოეთვალათ თბილისიდან უფროსებსა:
„ერთი კაცი აგრე ჩადის, ათასი რას შეიძლებსა?!
ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიჭერსა".
კარახტინები შეუკრეს, ლეკში არსად გადვიდესა,
თუ რომ ეს ლეკში გადვიდეს, ყაჩაღობას დაიწყებსა.
ყაჩაღობას ვინ დაეძებს, თბილის-ქალაქს წაგვიხდენსა!"

გაუწყრა მაღალი ღმერთი ფარსადან ბოდბისხეველსა.
ნათლიმამად მოიკიდა, მაგრამ ის უღალატებსა.
როცა შირაქში დაცხება, თრიალეთს აასხამს ცხვრებსა.
თაფარავანის ტბაზედა წინ არსენას დაუხვდესა:
„არსენავ, გეთაყვანები, რატომ არ მოდიხარ ჩვენსა?"
„მიღალატებ, ნათლიმამავ, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა!"
„არსენ, როგორ გიღალატებ, სამის შვილის მომნათვლელსა?"
ძირს დედამიწას ჰფიცავდა და მაღლა ზეცაში ღმერთსა.
მაშინა თქვა არსენამა: „მირონს როგორ დამიქცევსა!"
მოიტყუილეს არსენა, ტკბილის ღვინით დაათვრესა;
შემწვარი და მოხარშული წინ ტაბაკით მიართვესა.
დამთვრალსა და გალეშილსა ტკბილად ძილი მოუნდესა.
იარაღი აიყარა, ნათლიდედას აბარებსა:
„ხვალ, თუ მშვიდობით გათენდა, ადრიანად დამჭირდესა".
იალუჩი და ბალიში საჩქარიოზე მიართვესა,
ზედ ტყავები წააფარეს, — არსენას არ შესცივდესა.
ამ მამაძაღლს ფარსადანსა გუნებაში რა უძევსა?
შუაღამე რომ შეიქნა, თავის ამქარში გასწევსა....
ათი-თორმეტი მეცხვარე თავს მძინარეს დააწვესა..
არსენამ წამოიწია, შეევედრა მეუფესა:
„—ე მამაძაღლის ტიელი რა ბუზები მასხედს ესა!?"
ათსა ეგრეთ წამოუდგა, სულ მუშტით დაამტვრევს ყბებსა,
ბეთერთმეტე, მეთორმეტე არსენს გაუკრავდნენ ხელსა,
ისე მაგრა გაუჭირეს, რომ ფრჩხილებში სისხლი სწკეთსა.
„ნათლიმამავ, ნუ მღალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა!
ათასწილად სიკვდილი სჯობს იმათ ხელში განსაცდელსა!
მე მღალატობ, ნათლიმამავ, იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთსა?
ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთისმშობელი გაგიჩენსა!
ნუ მღალატობ, ფარსადანო, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,

ორას თუმანს აქ გაჩუქებ, სამას თუმანს — გომარეთსა“...
ფარსადანს კი ეს ეგონა: „ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა“.
ეს არსენა ცხენზე შესვეს, ძირს ფეხები გაუკრესა.
ბიჭი მარდია არსენა, გზაზე არსად გადმოხტესა.
წამოიყვანეს ქალაქში, თვალითგანა ღვრიდა ცრემლსა.
მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივით დასდევსა:
იმერლები იძახიან: „კი, კი, კი“-სა და „ქვე, ქვე“-სა,
სომხები გაიძახიან: „ლავე ბიჭი არის ესა!“
რუსები: „ოჩენ ხარაშო, ეი ბოლუ, მალადეცა!“
ბებრები გაიძახიან: „ახ, ნეტავი დედაშენსა!“
ოსები გაიძახიან: „ხორზუ ლაპუ არის ესა!“
პატარძლები იძახიან: „ნეტავი შენს მეუღლესა!
ნეტავი იმის სოფელსა, ვისაც გადაუხვევ ხელსა!“
მაგარი ბორკილი მიაქვს, თორემ წვრილებს დაამტვრევსა.
ჯიღის ტოლა თვალები აქვს, მტერი რაღას დააკლებსა?
მოუბრუნდება არსენა, კამეჩივით შეუბღვერსა:
„რას მიპირობ, ნათლიმამაე, თუ წაუველ ამათ ხელსა?
თრიალეთში ცხვარს გაგიწყვეტ, გადაგიწვავ მინდვრად ძნებსა,
მირონსაც აღარ დაგეძებ, ღორივით გამოგკრი ყელსა!“

იმ უფროსის კარებზედა არსენა მიიყვანესა.
უფროსი გამობრძანდება, აივნიდან გადმოსცქერსა.
ფარსადანს გაუჯავრდება, თავსა და პირს დაამტვრევსა:
„შე წუწკო და მამაძაღლო, რათ იშერდი ემაგ ტყვესა?
ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა!“
არაფერი არ აჩუქეს ფარსადანს იმის დამჭერსა.
ფარსადანს ასე ეგონა: „ჯამაგირსაც გამიჩენსა“.
იმტელი მამა უცხონდა, რამტელიც იმას მისცესა,
ერთი ოთხიოდ პანღური ამოჰკრეს და გააგდესა.
უფროსმა ნახა არსენა, ძალიან შეიბრალაო:
„რა კარგი ვაჟკაცი ყოო, ზეზეურ ჩამომხმარაო!
რაც შენი ამბავი მომდის, რათა ჰქენ, ჩემო არსენა?“
„მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყუილი მოგეხსენა;
მართალია, გავარდნილი დავდიოდი მშიერ ველა,
მაგრამ მდიდარს თუ ვართმეედი, მიყვარდა ღარიბის ჰმევა,
დანაშაული ესა მაქვს, ნება თქვენი ასრულდესა“.

არსენს ხელები შეუხსნეს, ფეხში ბორკილი მისცესა.
ნარიყალას ციხის კარი გაულეს და შეაგდესა,
შვიდი კვირა, შვიდი ღამე იმ ციხეში ამყოფესა,
საციმბიროდ გაამწესეს, ცალი წვერი მოჰპარესა.
მაშინა თქვა არსენამა: „ვაი, დედი ჩემის ღმერთსა!
მე რომ ამ ციხეში მოვკვდე, ბიჭობას ვინ დამიგდებსა?“
იმ აფიცრებს შეეხვეწა: „იმ თქვენი დედ-მამის მზესა,
აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჭუჭყი მაწუხებსა,
წამიყვანეთ აბანოში, მისი დარდი არ გამყვესა“.
წაიყვანეს აბანოში, ყარაულები მისდევსა.
ერთიც საწყალი მანეთი არსენს ჯიბეში უდევსა,
ამოიღებს, გადაუგდებს მიკიტნებს და სირაჯებსა:
„ამის ოტკა ჩამოასხით, მისვით მშიერ სალდათებსა!“
დამიხედეთ, მიკიტნები მეგობრადაც გაუჩნდესა! —
სირაჯმა და მიკიტანმა თვალი უყვეს ერთმანეთსა:
სალდათებს „ოტკა“ ჰგონიათ, ჩუმად რომი ჩაუსხესა.
ისე დათვრნენ სალდათები, ვერა სცნობენ ერთმანეთსა.
აბანოს კარზე მივიდა, შევიდა და შეაღებსა,
უკან მიკიტანი მისდევს, ქლიბს ჯიბეში ჩაუდებსა.
მაშინა თქვა არსენამა: „ჰა, დიდება მოწყალესა!
ჩემი საქმე არის ესა!“
აუზებთან რომ მივიდა, აიწევს და გადახტესა.
მიდგა ჩვენი არსენა და ბორკილს ხეხვას დაუწყებსა,
ყარაულებსა ჰგონიათ: „აგურითა იხეხს ფეხსა“,
აქეთ-იქით შემოხეხა, გადასწევს და დაამტვრევსა,
ფეშტამლები დაახვია, რაჟღარუჟღს არ დაიწყებსა,
გატეხა და გადააგდო: „ფუ, გამჭედი გაგიქრესა!“
ამხანად მოდის უფროსი, აბანოში შევიდესა,
აიყარა შინელი და მაღლა აივანზე დებსა.
გამოვა ჩვენი არსენა, შინელს გაუგდებდა მხრებსა:
„ვნახო, როგორ მარგებს ესა?“
რუსულ ჩექმებს ჩაიცვამს და რუსულ შლაპკას დაიდებსა.
კარებში რომ გამოვიდა, წინ დოინჯსაც გაიგდებსა.
შემოხედა ყარაულებს: „ხაბარდა და სტარანეცა!“
სუყველა ყარაულებმა, სუყველამ გზა დაუგდესა.
იმათ ბატონი ეგონათ, ეს არსენა გამოძვრესა.

პატარა გამოიარა, თან სიცილი აუტყდესა.
მეიდანზე გამოვიდა, მოაძახა მედროშკესა:
„ფიცხლავე დროშკა მომგვარე, თორემ ცხენებს დაგჭრი
ყელსა!“
რომელიც კარგი დროშკაა, არსენასა მოართვესა;
დაუჯდა ბიჭი არსენა, გაუდგა დამოჭნის გზებსა.
კუკიის გზაზე გადადგა, ბიჭი მოუძღვის სიდედრსა.
არსენამ რომ დაინახა, თქვა: „დიდება მოწყალესა,
ჩემი საქმე არის ესა!“
თავდაბლა მოახსენებსა:
„თუ უკაცრავად არ ვიყო, დედი, ჩამობრძანდი ცხენსა!
მე ტყვე ვარ გამოპარული, არც მე მატკენს ეს ფეხებსა“.
დახედე, იმისი სიძე ხანჯალზე დაიდებს ხელსა:
„გასწი, იქით, გამეცალე, როგორ მოგცემ ამ ჩემ ცხენსა?
ხელმწიფის გზაზე მიხვდები, კაცი უნდა გაგიქდესა!“
მაშინ ჩვენი არსენაი კამეჩივით შეუბღვერსა:
„მოგიბრუნდები, შემოგკრავ, სულ მუშტით დაგამტვრევ
ყბებსა!“
რაღა ბევრი მოგახსენო, ხელი სტაცეს ერთმანეთსა.
არსენა ღონიერია, იმ ბიჭს ქვეშ წამოიგდებსა,
ორი მუშტი რომ შემოჰკრა, ყარფუზივით დააბნევსა.
დედაკაცი ეხვეწება: „ნუ მომიკლავ ჩემ სიძესა,
მაგ ჩემ გამომცხვარ ნაზუქებს ღმერთი ტკბილად
შეგარგებსა!“
ცხენიც იმას დაულოცა, თან ხურჯინსაც გაატნებსა.
„დედავ, დედაშვილობასა, შენ ნუ დამიწყევლი გზებსა!“
ის დედაკაცი ლოცავდა; „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა,
სადაც წაბრძანდ-წამობრძანდე, არსენავ, გაგიმარჯვდესა.
მაძღარს ართმევ, მშიერს აძლევ, ღმერთი როგორ
წაგახდენსა?“
პატარაზე გაიარა, ხურჯინს ჩხრეკას დაუწყებსა:
ცალ ხურჯინში ტიკჭორაა, ცხრა ნაზუქი თავს აძევსა,
ცალგნით ორი ჭათამია, ინდაური თავს აძევსა.
დაჯდა ჩვენი არსენაი, და ლამაზად ქეიფს სწევსა.
ერთი სომხითელი ბიჭი ქალაქისკენ გამოსწევსა,
ორი მანეთი აჩუქა, ორ სიტყვას დააბარებსა:

„ასე უთხარი ქალაქში მიკიტნებს და სირაჯებსა:
„არსენა რომ დაიჭირეს, ქვეით მიდიოდა დღესა!
მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა?
სადაც თათრებს დაინახავს, „ბურ და ვალას“ აძახებსა;
სადაც ტიტველასა ნახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა“.
ორ კვირაზე იმ ბებერსა ისევ გაუგზაკნის ცხენსა.
ერთი თუმანი აჩუქა, — რაც რომ ნალი გაუცვდესა.
ბებერიც ამას უთელიდა: „ღმერთმა მშვიდობა შოგცესა!“

სამადლოს დუქანზე მივა, ფილიპეს ცხენს წაართმევსა:
„თუ უკაცრავად არ ვიყო, მაგ ცხენზე აიღებ ხელსა·
მე ტყვე ვარ გამოპარული და ფეხებს ქვები მატკენსა!“
მეჯინიბეს ეუბნება: „უნაგირი სადა ძევსა?“
„უნაგირი და ლაგამი ორთავე თავით უძევსა.
ცხრა მოსართავს თუ მოუჭერ, თორემ ოთხ-ხუთს გაგიგლეჯსა,
ლიტრა აღვირს თუ ამოსდებ, თორემ თავსაც წაგართმევსა“.
„ბიჭი არსენა მოგიკვდეს, თუ ცხენი გადმომაგდებსა!“
გადაჯდა და გამოსწია, გადმოუდგება მინდვრებსა.
ყაზახში რომ გადავიდა, ემსახურა თათრის ბეგსა.
„ამათ რჯულზე ვერ დავდგები, მე ხომ ვერ მოვუშვებ წვერსა“.
იქიდანაც წამოვიდა და სომხითში გამოსწევსა.
ორი თვის გამოსავალი გამოირბინა ორ დღესა.

იქ ჩავიდა ქიზიყშია, ნათლიმამას მიაგნებსა.
ბოდბისხევში რომ შევიდა, სულ კარები ჩაკეტესა.
ეს ფარსადანმა შეიტყო, იმისთანა თქვენსა მტერსა! -—
მეტისმეტი ჯავრისაგან ადგილზე ვეღარ დადგესა.
ძმებსა კაცი გაუგზავნა: „არსენა არ მამარჩენსა“.
მაშინ ფარსადანის ძმები არსენს გადასდებენ ხელსა:
„გვაპატივე ფარსადანი, რაც რომ უნდა გაგვიხდესა“.
„ვიდრე ფარსადანს არ მოვკლავ, გული როდი გამიცლებსა!“
მაშინ ფარსადანის ძმებმა ოსტატობა იხმარესა:
ერთ უადგილო ალაგას დიდი ორმო ამოჭრესა,
ის საწყალი ფარსადანი შიგ ორმოში ჩააგდესა,

ზედ ფიცრები წააფარეს და მიწა დააყარესა:
„ვიცი, არსენამ მოგასწრო, ცოცხალს როდი გაგიშვებსა!“
ორი დღე უყარაულა, თვალს კი ვერსად მოასწრებსა.
მესამე დილა გათენდა, მაშინ პირჯვარს დაიწერსა:
„ხუთმეტ წელს ყაჩაღადა ვარ, კაცის ცოდვა არ მაძევსა,
ახლა მოვკლა ნათლიმამა, ბოლოს სული წამიწყდესა!
გამობრძანდი, ნათლიდედავ!“ — ხელში მოჰკიდებდა ხელსა —
„გამოუშვი ფარსადანი, არას ვერჩი არაფერსა;
ვაპატიებ ნათლიმამას, ჯერ მირონს და მერე ღმერთსა,
ფარსადანს მაინც არ მოვკლავ, თუ გინდ რომ წინ დამიხვდესა!“

ღვთაებობის მადლი გწყალობთ, მარტყოფის თაგში სვენია.
იქ იყო მისი დღეობა, თვითონაც გიახელია.
სუმბათოვიც იქ მობრძანდა, ის ჩვენი ქალაქელია.
სუმბათოვსა და მაკაროვს თან შეეკაზმათ ცხენია;
კნეინებიც იქა ჰყავდათ, ზედ გადეხვიათ ხელია,
როცა წირვა გამოვიდა, — იმისი მადლი შენია, —
რო დაინახა არსენამ, პირჯვარი დაუწერია.
იმ სუმბათოვს ეუბნება: „ა, გამარჯვება შენია!
ქალაქში რო შარს მიგდებდი, ახლა ხო მოგასწვერია!
მაგ შენს აპელატებზედა შენით აიღე ხელია!“
კნეინა ეუბნებოდა: „შენი ჭირიმე, შენია!
აიღე და გადაუგდე ეგ ოხრად დასარჩენია,
თორემ ეგ არსენა არის, ვიცი, გამოგვჩრა ყელია;
სუყველა ოხრად დაგრჩება დროშკა და შენი ცხენია.
მე ხომ არსენა წამიყვანს, შენ დარჩი ცარიელია!“
შინლიანად გადმოუგდო აპელატები სქელია.
წამოიფრინა არსენამ, გამორბის როგორც შველია.
მაკაროვს თავის ხმალზედა ააღებინა ხელია.
ორი კვირა თონეთშია და ქეიფსაც ბევრსა სწევსა,
გამვლელსა და გამომვლელსა სუყველას ღვინოს ასმევსა.
მეორე კვირა გათავდა, ქალაქისკენ გამოსწევსა,
მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივითა სდევსა.
ღმერთს უშველია არსენა ამიერით განსაცდელსა.
საცა მივა მიკიტნებთან, ყველა დაუქნევდა ხელსა.
ამოიღებს იმ ფულებსა, ტოლ-ამხანაგებს აძლევსა:

„შესანდობელი დალიეთ, როცა არსენა მოკვდესა“.
რაც იმას საქმე ეამბა, იმისთანა თქვენსა მტერსა!
„ვნახე წუხელი სიზმარი, სისხლში ვიღებამდი წვერსა,
წრეულ მე ხომ არ მოვრჩები, რაც რომ უნდა გადაწყდესა.
ან თათარი მიღალატებს, ქართველი არ მომარჩენსა.
ვერ დავესწრები აღდგომას, ვერ დავიჭერ წითელ კვერცხსა.
თუ ძალით არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსა“.
რას ამბობს ბიჭი არსენა, როდი ემეტება ღმერთსა?!
თხუთმეტ წელს ყაჩაღად დადის, კაცის ცოდვა არ აძევსა,
სადაც ტიტველასა ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა...
მაშინ ი ჩვენი არსენა ზემო ქართლისკენ გასწევსა.
დიღმის სწორად რომ მივიდა, მიკიტნებმა დაათვრესა,
იქ ბევრი დაალევინეს, ტიკშიც ბევრი ჩაუსხესა.
მცხეთის პირდაპირ მოვიდა, მუხათგვერდში ქვეიფს სწევსა.
ის რომ პურის ჭამათ დაჯდა, ცხენს ბალახზე გაუშვებსა,
იმ გიორგი კუპატნელსა გამჩენელი გაუწყრესა! —
წამოსული კახეთიდან, იმერეთში გამოსწევსა,
ამოუარა არსენას, გამარჯვებას ეტყვის ერთსა:
„გამარჯობა!“ „გაგიმარჯოს!“ სალმად მარტო ეს იყვესა.
„გიორგი, ღვინო მიირთვი, იმ შენი დედ-მამის მზესა!“
გიორგი შემოაგინებს დედისა და მამის ყელსა:
„ვა, შე საწყალო არსენა, რათა ხარ ჭკუათხელია?
მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევია!
თუ ეგრე ღვინო მინდოდეს, ჯიბეში ფული ბევრია“.
ეს რომ არსენამ შეიტყო, მუხლზე დაიკრა ხელია:
„კაცად როდიღა ჩამაგდო, რაღა ბიჭობა ჩემია?
ბიჭი არსენა მოგიკვდეს, კერ შეგიცვალო ფერია!“
გაჯავრებული არსენა პირიდანა ჰყრიდა ცეცხლსა.
წამოვიდა ის არსენა, იმ გიორგის დაუხვდესა.
„გიორგი, საით მიდიხარ, არსენა ვერ გაგიშვებსა!
ან უნდა მამცე ფულები, ან შენი ცხენი დამრჩესა!“
გიორგიც ეუბნებოდა:
„ნუ გგონივარ ზოგ-ზოგები, შენ რო მოჰკიდებდი ხელსა;
ლეკის პირდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მომარტყესა,
ორმოცი ტყვია მომარტყეს, ვერაფერი დამაკლესა!“
მაშინ გაჯავრდა არსენა, ხმალზე მოისვამდა ხელსა.

პირით რომ ვერ გაიმეტა, ყუით გადაუკრა ცხენსა,
ხმალი ვადაში გადუტყდა, ის ცარიელი დარჩესა.
მაშინა თქვა არსენამა: „დღეს მზე დაბნელდა ჩემია!
ვაი, რა დროს მიღალატე, გაგიწყდეს გამჭედელია!“
შემოუქნია გიორგიმ, მოსჭრა მარჯვენა ხელია.
დაღონებული არსენა ცხენიდან გადმოვარდესა.
ცაცია ხელით ხანჯალსა არსენა მოისვამს ხელსა;
ცოტას კიდევ მიაწვდენდა ბარძაყზედაც ხანჯლის წვერსა,
ცალი ყური ჩამოთალა, ლოყაზედაც მიჰყოფს ხელსა:
„ეგეც გეყოფა, გიორგი, აქიმი ვერ მოგარჩენსა;
ვერ გაგიმეტე, გიორგი, ვაი დედაჩემის ღმერთსა!“
ერთი ლეკის ბიჭი ჰყავდა იმ გიორგი კუჭატნელსა.
ბეჭებში დამბაჩა დასცა, პირში ბოლი გავარდესა.
დაღონებული არსენა აიწევს და ვერ ადგესა.
„რახან მომკალი, გიორგი, სიტყვა მაინც დამცალდესა:
ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ კლდეში დევსა,
ღარიბსა, არას მჭონებსა, მიეცეს და მოხმარდესა“...
ამ სიტყვას რომ გაათავებს, არსენა ძირს დაეცესა.
მცხეთელებმა რომ გაიგეს, თვალთაგან ცრემლი ჰყარესა,
ზოგი წყალში გამოვიდა, ზოგი ხიდზე მოირბენსა.
ოძელაშვილი არსენა ზედ ბორანზე დაუდვესა,
გაიყვანეს მცხეთაშია და ანდერძი აუგესა.
მარმარილოს ჭვა დასწერეს, დასწერეს და დაადვესა:
„აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“

შალვა შავლეგოსი

შალვა იყო, ვაჟიკაცი, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
ჭამარ-ხანჯლით შეჭედილი, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო...
შალვას ჰყვანდა კარგი ცხენი, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,

კოჭმაღალი, გავასქელი, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
შალვა ცხენს მოაგოგებდა, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
ვიწროსა და ავს ალაგსა, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
შალვას ცხენი წამოექცა, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
ვიწროსა და ავს ალაგსა, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
თავსა თურქი წამოადგა, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
ვიწროსა და ავს ალაგსა, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
„დამკარ, თურქო, რასა ჰშიშობ?“ შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
„თუ გული გაქვს მამაცისა“, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
დაჰკრა თურქმა, დასჭრა შალვა, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
თეძოსა და ავს ალაგსა შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
დედას კაცი მოუვიდა, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
„შენი შალვა მოგიკლესა“, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
შალვას დედა მოტიროდა, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
მოიშლიდა გიშრის თმასა, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
„ჩემსა შვილსა რა მოჰკლავდა“, შავლეგო,
„თუ არა ბედისწერაო?“ შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო...
„ას-ორასი მაგისთანა“, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო, —
„ხორასნიდან ტყვე მოჰყვანდა“, შავლეგო,

შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
„არცა თოფი, არცა ხმალი“, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო.
„სულ მათრახით გადმოჰყავდა“, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
შალვავ, შენი ყაწიმები, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
გულხადარაზე ვნახეო, შავლეგო,
შავლეგ, შენი თეთრი ჩოხა, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო,
შავად შაგიხამებია, შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო...

ნასკვაურისძე

ჩავალის, ჩაეუბნების როშკას გაზდილი საღარსა:
„რას ფეხებს მიაბრაგუნებ, რო ბერი კაცი არგანსა?!
თუ თავი გეზუბუქება, მძიმეს დაგკიდებ ლაგამსა;
თუ რომ გეშინის, ის მითხარ, გულს მე ჩაგიდებ მაჯარსა;
ჩაგკიდებ ბექბუქიანსა, ჩაგაფრენ მაღალ-მაღალსა;
ყიდუს აქებენ ყანათა, დაგადებიებ ნაღარსა;
გამავლენ ყიდუელები, შუბს დავიბრუნებ მაღალსა;
იმით თუ ვერ დავაბრუნენ, მემრ ხმალს ამავსწევ სამღარსა;
თუ მაინც არ დაიჯერეს, თოფს დავუწვები მაჟარსა;
საგათენებლოდ დიგაბამ იქეშლოს ყოჩის ბაგასა.

სწორებ დაიწყებს კითხვასა: „ნასკვაურისძე სად არსა?“
„ომშია ნასკვაურისძე, მაგის გამასვლა გძლად არსა!
კაცებს ხოცს, ხელს კი არა სჭრის. „ხევსურის წესი არ არსა!“
„ხელ მასჭერ, ნასკვაურისძევ, — უხელოდ სახელ არ არსა!“

მარიამულისძე

ჩაიარის და ჩახოცნის მარიამულისძემარ.
ყველამ ეგრე ქნას ვაჟკაცმა! ომმ რაღა იცის გრძელმაო?

ჩამოდიოდნენ თუშები

ჩამოდიოდნენ თუშები ხელმუხლით ჩაშავებული,
სამჯერა ჰქოდა შეთესა აზარი ათავებული,
წელზეით ვერვინ შამახსნა ფრანგული გაფხავებული.

ჩანთელი და აფთარაული

ჩანთელი-დ' აფთარაული ორნივ შაიბნეს ხარები;
მეშველი დაუგვიანდა, დაანაფოტეს ფარები.
ხმლითა სცა აფთარაულმა, ზედ მიანაყა ტარია.
ზვავს ქვეშ ჩავარდა ჩანთელი, ჩამასდის ზვავის წყალია.
ქვემოთით ამოდიოდა ჩანთელის თოფის ხმანიო.
„თუ დაგცდა, აფთარაულო, დიდხანს ცოცხალიმც ხარიო!
თუ მოგხვდა ჩემი ნასროლი, ჩემი უნცროსიმც ხარიო!“
„ვერ დამკარ, ვაჟო ჩანთელო, ისივ ცოცხალი ვარიო“.
„საითა-ღ დაუცდენია?!“ იმას კვირობენ სხვანიო.

მთიბელა

ჩაღრუმს ჩახვივის ლურჯაი, მთიბელავ, შენი ცხენია:
— არც ვინ ჩამიდვა აღვირი, არც ვინ მაჭმია ქერია,
არც ვინ მიყიდა ლაგამი, ავშარა მიძე ძველია,
ვერც ვინ ზედ შამჯდა მხედარი, მთიბელავ, შენი ფერია.

ნანა თორღვაის ქალი

ჩიღოს წისქვილში ატირდა ნანა თორღვაის ქალიო:
— შენ მამაჰჩემო თორღვაო, წელთამც ნუ გრტყმია ხმალიო,
ნუმც გიხოცავის ლეკები, ნუმც გიკიდებავ ვალიო.
ნუმც გილალავის ტყვეები, ნუმც გისწავლიან გზანიო!
შამიკრეს ურჯულუებმა ჭალას წისქვილის კარიო.
შამამაცივდენ წისქვილში, სამშაბათ დილა არიო,
ძმა-შინშთ ყელები დამიჭრეს, დაბრუნდნენ სისხლის ტბანიო,
მამიკლეს ჩემი ლევანი, — ყმაწვილი უმეცარიო!
ძმის ხელნ უბეში ჩამიწყვეს, იმით დავიჭრენ თმანიო.
გამმართეს სალეკეთოდა, წინ დამიყენეს ცხვარიო.
მავლიეს ჟამ-უჟამოთა თვირთვილიანნი გზანიო.
ფეხშიშველს გადმამავლიეს ქავთრის მაღალნი მთანიო.
ლურჯი მეხურა მანდილი, შავი დამხურეს შალიო.
ქავთრის მთას გადასეესა უკუღმ მაბრუნებს ქარიო.
ქარი კი არ იქნებოდა, ჩემ იყო ცოდვა-ბრალიო!
ჩავტეხენ საყურ-ბეჭედნი, იმით ჩავლიშნენ გზანიო!
გზაში ჩავყარენ ზალტენი, დეგებ მოხელონ ქვალიო!
ემაგის მოლექსებელი ბაგოს ბოსელში ვარიო,
უთხარით ჩიღოელებსა, ხახონს უჭირონ მბარიო.
ჩემმა საქმარემ ხიწვამა უკუღმ შაირტყას ხმალიო.
ბარად კი ვეროთ ჩამოვლენ, მთას უდგა, უჭრან ცხვარიო.
ცხვარსაც თუ ვერას უჭრიან, წაუსხან ხაროვანიო.
ქალი ჩონგურზე ვიმღერი, ცრემლი მდის, როგორც ღვარიო.
ლექსი რომ ჩამოვათავე, ხიწვამ მიწველა ხმალიო.

საკმისას ჩამეერია, ბელადს მააჭრა თავიო.
სახონათ ნებიერამა შაუკრა სახლის კარიო,
შვიდნი ჩახოცეს ლეკები, წამამიყვანეს ქალიო,
დაშინჯეთ, ლეკის შვილებო, ხიწვაის ნახანჯრალიო!

ჩოხს დაიბადა არწივი

ჩოხს დაიბადა არწივი, ამბობენ ცოტა ხნისასა,
ამზადებს ტყვია-წამალსა: „ეხლა ხანსა ორ ცდისასა!“
ბევრი აქვ ტყვია-წამალი, საღამოს წურავს ლიშანსა.
„ერთის დედას კი ვატირებ, ან ჩემს, ან ჩემის მტრისასა!“
არხოტის ჭალას ჩადიან, ვეფხვებ ჩახკლაენ ქვეშასა.

თუშნო, ხოშარას ნუ ჩახვალთ

თუშნო, ხოშარას ნუ ჩახვალთ, ხოშარა ეკლიანია;
შიგ სამნი მგელნი ბუდობენ, სამნივე ლეკვიანნია;
თუ ჩახვალთ, ვეღარ ამოხვალთ, — გიორგი ეტლიანია.

გაიბურდში

ტიალსა ბაიბურდშია ტყვია დაწვიმა ცამაო,
გული მომიკლა, დედილო, თოფ-ზარბაზნების ხმამაო.
წითლად ნაღებმა მინდვრებმა, წითელმა სისხლმა ტბამაო;
ზოგი დავმარხეთ სწორებმა, ზოგიც ყორნებმა ჭამაო,
მე კი გადავრჩი ცოცხალი, ნუღარ მიდარდებ, მამაო.

ზეზვა და თათულიკა

ქარი ქრის საქარავნოსა, ღრუბელსა ღბერევდიანა.
ზეზვაი-დ' თათულიკაი ერთმანეთს ზვერევდიანა;
ხმლები დატეხეს ცემითა, ხანჯრებით ჩხვერევდიანა.

ქართლის ტყვე

ქართლის ტყვე გამოპარულა, გამამხდარიყო ზღვასაო,
ნუ ჩაუხდები, მთვარეო, ნუ ჩაუბნელებ გზასაო.
ნუ გაუყინავ, მყინვარო, გადასავალსა მთასაო,
ხიდნო, ნუ ჩაუცივდებით, გაახდინოდით წყალსაო,
ნუ აუტირებთ დედასა, გასათხოვარსა დასაო.

ხევსურები აწყურთან

ქართველებ, ვერ გაიგეთა, ხეკის მთა გარმასულაო?
ცოტინაი ას სნოს წყალი, ჯერ დიდი არ მასულაო.
იარალაის კუდაი ხევის მთას გარმასულაო.
ერეკლე ბატონიშვილი ტახტზეით გარმამხდარაო,
იარაღები აუსხამ, ბაბღიას გადამჯდარაო.
კაცი ხევსურეთ წალალა: „თავ დამჭირდება ყმისაო,
ხევსურებ ჩამამივიდან, თორ ქალაქ წამერთმისაო,
წილ გაიყარან ახლებმა, ბებრებ აქ ვერას დისაო".
სანეს ხევსურებ იყრების, უფროსებ თემ-თემისაო:
„წასვლა გვი, არ გვეშველების, არ წასვლა არ იქნებისა".
არაგვი ჩამაამტვრიეს, ქავ აღარ დაუდგებისა.
ლელუბან გადმოდიოდეს, ელვა დგა ჩაჩქნებისაო;
კუკიას ჩამადიოდეს, ჭეხა მახქონდა ცისაო;
ქალაქს მიუვა ბატონსა ჯოგი ლეგისა მგლისაო;

ჭეხით მიართვეს სალამი, წყრომით ქვე არ იქნებისა.
ერეკლეს გასცინებივა, პირს მზეი ეფინებისა.
„შორაად სადენს ამბობენ, ხევსურ ვერ გამადგებისა“.
სურამი გადაიარეს, აწყვერსაც მიუდგებისა.
აწყვერის სიმაგრეჩია ლეკები ჩაუდგებისა.
დაბრუნდა იარალაი, — მაგას რა მეეგვრებისა?
ბატონიშვილი შასწუხდა: „ჯარ რაით გამიწყდებისა!“
ხევსურებ მაახსენებენ: „დღეს ჩვენი გადაგვხდებისა!“
ჩამეერჩივნეს ხევსურნი, ერეკლე ჩამახყვებისა.
ლოხაურიშვილ სუმბატა ხმლიან კაცთ წინ უძღვებისა;
ჯამშათა ივანეურსა მაშველი მაუნდებისა.
ჯამშაისძეო, რად ხკვდები?, ერთი ხარ, არ გიხდებისა,
შენი წილი და ნაწილი გუდანს გასაყო რჩებისა.
ერეკლეს ბატონიშვილსა პირს მზეი ეფინებისა, —
მაუკლავ კოხტა ბელადი, გლეხი არ ეკადრებისა;
შვილი ტყვედ წამაიყვანა, მსახურად დასჭირდებისა.
ბიტურაისა აბაი დედასამც დაურჩებისა!
გუდანელები ეძებენ მა გუგუაის შვილსაო.
„ღერენა რად დაგვიანდა? ცხენი უმხედროდ რბისაო“.
ჯამშათა ივანეური ვეფხვ გაიწვადა მთისაო.
აზნაურები იკითხვენ ლომნის გაგაის შვილსაო.
ნეტავი მაგცათ, ხევსურნო, საგზალი სამის დღისაო!
ერეკლეს შამახვევიხართ, მაქნევა გწადისთ ხმლისაო.
ფშავლებ უდებენ იმედსა; „ჭერა ჩვენც გვწადის მხრისაო“.
მემრა მამუკას მაღნახვენ, წოწკურაულის შვილსაო.
საღირათ ელიზბარასა წონა კარგი აქვ მტრისაო.

ამა ჭართულის მათქომი ბლოში ბიტურა ზისაო,
ბიტურამ ვერა იცოდა, აჯამ უამბო ცდისაო.

ველგუჯა ხუშაიშვილი

— ყორანო, ჭარის ბოლოსა არ მაავლია თვალია?
ველგუჯა არცად ღნახია, ხუშაიშვილი ხარია?
— ვნახე და ქვეც მამეწონა, დიდიდნ სხდომიყენეს თვალნია.
საჭმელად ველარ ჩაუედ, არწივს ეფარნეს მხარნია.
გზისთავ მეეკლა ლეკებსა, გზის ძირას იწვა მკვდარია,
დაზძინებიყვა ვაშკაცსა, ქოჩორს უშლიდა ქარია.
მარტუა არა ყოფილა, ორნი ეტანნეს სხვანია,
ხევსურეთობა ეგულა, ასდიდებივა წყალია...
სიკვდილი ველგუჯაისა, ვაჰმე, რა დიდი ბრალია!

კოჭაურ შველაიძე

კახეთში ყივის გუგული, ყივილით სქდება ველარა;
ავად არს შველათ კოჭაურ, კვდების, მორჩება ველარა;
მთებს შემოჰხედავს თუშეთის: „მთანო, დაგლახავთ ველარა;
დედის ჩაყრილო საგძალო, ველად გაგიღებ ველარა;
თუშეთში, თუშთა ბიჭებო, წინ გაგიძღვებით ველარა;
ცოლის დაკერილ ჩითანო, გუდას მიგიკრავთ ველარა;
შილდის-თავს, გრილო წყაროვო, თავსთან დაგიჯდებ ველარა:
ჭარშია, ჭარელთ ბიჭებო, თვალსა მოგავლებთ ველარა;
ამდინ-ჩამდინარ ლეკებო, გზას დაგიგოხავთ ველარა...

ბადა

მტერნიმც იხდიან, ვაჟებო, ნახადსა ბადაისასა;
სამჯერ გაყიდეს ლეკშია, სახსარს ელიან ტყვისასა.
მესამედ გამოვიპარე, ბილიკს გამოვყევ ცხვრისასა.
შიმშილის შაწუხებული ქუჩს ვძოვდი მაღლის მთისასა,

წყურვილის შაწუხებული ნამს ვლოკდი ბალახისასა.
წინ კაცი შამამეყარა, სულს აბნევს ბუსურბნისასა.
— კაცო, დღე არი, თუ ღამე, მადლსა ი შენი ღვთისასა?
— გურჯო, დღეც არი, მზეც არი, ძალს უქნავ შიმშილისასა!
დაჯდა და პური მაჭმია, — დახე დანდობას მტრისასა!
მემრე გზა გამამასწავლა: — დასავალს მიჰყევ მზისასა!
წითელკლდეს მარცხნივ დასცილდი, ბუდესა ვეფხვებისასა!

საღირიშვილნი

მეტნი ხართ, საღირისშვილნო, გიშვრეტენთ ტალავარზედა,
წინ-წინ თქვენ გადახფრინდებით ბახტრიონ გალაკანზედა,
ხმლითა სცემთ ხანის კარავსა, ზედ მიხოლთ ფალავანზედა.

ვინ სჯობია?

მითხოს ალდი სჯობ მამაცად, ხევსურებს — ხოშურაული,
თუშებს სჯობ გაფრინდაული, მშავისხევ — კუკუმაცრი.
გუდამაყარ სჯობ დიდება, მახეველთ — ღუდუშაური,
ხმლის ქნევით ფარის ფარებით — ბერდია მამუკაური.
კაცზედ ვინ მივა პირდაპირ? — მარტია მისურაული!
კაცსა ვინ მოჰკლავს ფიცხლადა? — ხირჩლაი ბაბურაული!
კაცსა რა გასჭრის ორადა? — აბაის ბაწარაული!
ჩაზვერავს ცხვარსა, ცხვარ-მწყემსსა ახალა შუქიაური;
ცხვარზე ვინ ჩავას პირდაპირ? — გამახელ თემროზაული!

თარეშიდან მოსული შვილები

„მოხველითა, შვილნო, მოხველით? ბევრა ამბები დიოდა“.
„ჩვენ კი მოველით, მამაო, ბევრი სხვა ვერ მოდიოდა,
ზოგს სჭრიდეს, ზოგსა იშერდეს, სისხლის წყაროებ დიოდა.
თბეწვრილს ისროდეს ისარსა, მშვილდის გოზები ჰყიოდა.
შაწუხებული მხედრები ცხენზეით ჩამადიოდა;
ჰირიმე დავითაისი! ემაგას არა სტკიოდა.
ყმა მზირთად გადმოხვეწილი მთას ქორებულად კიოდა;
გულს ეშვო თბეშავ ისარი, სისხლი ყიათას დიოდა,
ყიათას ჩამონადენი ჯაჭვის კალთეებს ზდიოდა;
ჯაჭვის კალთათა ნადენი თმა-წვერთა გარდასდიოდა;
ხუთი მაეკლა მარტუას, „ვერა ვქენ“, იმას ჩიოდა.
თავი არ მაღგონდებოდა, ამხანაგებსა ჩიოდა.

ბაღათერა ჯაბუშანური

კარკუჩით გამეემართა ბაღათერაი დილითა,
დედისძმათ გაჯავრებული ქვა-რკინას ამტვრევს კბილითა.
აივსნეს ქოთანის ბექნი ქომოციხლების მზირითა.
ყმაწვილამ ბაღათერამა ხმალ მაიქნივა პირითა.
ზოგნი ჭრნა, ზოგნი ჩაკაფნა, ზოგნი წაუვლენ ჰირითა.
რანიც წავიდეს ჰირითა, სისხლსა მისთხევენ პირითა.
მარტუამ ბაღათერამა მთა გარდიარა გმინვითა,
გადაუჩინდა დედასა გაცინებულის პირითა,
გადაუშალნა ქოჩორნი გადაპოხილნი ტვინითა.
ბაღათერაის დედამა თმანი დაიჭრნა ძირითა:
„შენს დედას, ბაღათერაო, რაად გაგიშვი შინითა?!
ბიძამ არ მოგცა ჩაჩქანი, აწ გაძღას შენი ჰირითა!“



მაღლა მთას მოდგა

— მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი,
უცხო ფრინველი, თეთრი ფთიანი, ბოლოწითელი.
— ჟღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი,
ოსი და დვალი, სულამ დვალელი, ფეიქომერი.
— ომი შეიქნა ქალაქის თავსა
გამთენიასა, გათენებასა, მზის ამოსვლასა.
— ქნევა ხმალისა, ძგერა შუბისა,
შუბის ნალეწი ზეცას ცვიოდა, ჩამოსცვიოდა.
— ხმალი ორპირი სისხლში სცურავდა
ჯაფარ გაიქცა, სვეტი წაიქცა, სვეტი ოქროსი.
— ჯაფარ, ვერ მიხვალ შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან ლაშქრულ ამბავსა,
მწვანე ქოშებსა, წითელ კაბასა.
— ჩვენი რა იქნენ მოციქულები?
— უკან მოდიან დაღალულები.
— ქვე რა მოაქვ-ყე? — ტანი ლაშქრითა, თავი გოდრითა.
წვრილი წელები ხელკალათითა.

ლაშარს მოიდა თილიძე

ლაშარს მოიდა თილიძე, დიდგულად დაჯდა ხარია,
შემოეხვიენენ ფშაველები, როგორც ბატონსა ყმანია.
— შენ აქ არ მოგევალება, დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალია,
დასწვი, დასდაგე ხოშარა, ცამდინ აუშვი ალია.
ხოშარას დიაც-ყმაწვილი კალოდ გაჰლეწე მკვდარია,
ნაკვეთაურის ციხესა შენ შეჰხსენ რკინის კარია.
— დაიცათ, ფშაველის შვილებო, მალოცეთ თქვენი ჯვარია,
სამხვეწროდ მომიყვანია თეთრი ქორაი ხარია,
სამეშვლოდ მომიყვანია პირთირთველაი ცხვარია.
ეგ მაშინ გავარიგოდეთ, როცა შეშრება მთანია,
ვისი დასჭეხებს მაჟარი, ვისი გაჰკვეთავს ხმალია,
ორწყალში შემოვაბრუნო, ფშაველებო, თქვენი ცხვარია,
უკან მომდევდეთ ფეხდაფეხ, ვეღარ იპოვოთ კვალია,
მომყეფდეთ ყორნებულადა, ტყვიას მოჰქონდეს ჩქამია,
უბისთავს დანათდებიან თილიძის ცხენის ნალნია.

ორგი

ისტელთ გაურიგებავ გორგისად შაკვრა გზისაო.
გორგის ნუ მაჰკლავთ, ქისტებო, მაგ უთურგაის შვილსაო,
თუ მაჰკლავთ, ხელს კი ნუ მასჭრით, ბრალია კაი ყმისაო!"
რ დაიჯერეს ქისტებმა: „გორგიმაც ესრე ქნისაო, —
ორგის ციხეზედ აკრავის თორმეტ მარჯვენა მტრისაო!"
ჩაუსხდეს გზის-თავს, გზის-ძირსა, ფერ ვერ უცვალეს მგლისაო;
„ვაი, თქვენს გორგის, ქისტებო, ხანი არ მექნა ცდისაო!
თუ შამხვედროდით პირდაპირ, ქნევა მეც ვიცი ხმლისაო!"

ფხოველი და შაბოთელი

ერთი ვაჟკაცი ფხოველი შავწყალ სამზირლად დაჯდაო:
აღვა და გამაემართა, გზას შაბოთელი შახვდაო,
აბაგათ ფარის კიდური ცის გიდელ-გიდელ დახტაო,
ამაგათ ხმლების ნამტვრევი მინდორთ გველებურ დაძვრაო.
ჩაჰრეს, ჩაკაფეს ერთურღი, მეშველი აღარ შახვდაო,
მაღლით მავიდა ყვარანი, მაგათ შუაში ჩაჯდაო,
ჯერა დაითვრა სისხლითა, მემრე ლეშითაც გაძღაო,
ყორან თავისად გაფრინდა, მაგათ ვაგლახი დასცაო:
„ორნივ შაყრილან უჭკონი, ერთმ მაინც რადარ დასთმაო!?“

ეღოს ატირდეს დედანი

ეღოს ატირდეს დედანი: „მტერმ მარხედ შაგვაშინაო,
კარზე მადიან სტუმრულად, ძალად შამავლენ შინაო:
„ჩაგიხოცთ ახალ ვაჟებსა, ქალებს წავასხამთ შინაო!“
შაყრილნი მშაველ-ხევსურნი, ააქამც ჩამახვივნაო,
ლეგები მშაველის შვილები თოფებსამც ჩამახვივნაო,
გულდიდებს ხევსურთ შვილებსა ყაწიმებ დაუმდღვიანო,
ამ ჩვენებს მეთოფეებსა თოფებიმც დაუგრილაო,
პირიმც წყლით დაალბობივა, თითო ძილ დააძინაო!
მიქელომ სვილოს გაზდილმა ქორივით ჩამახკივლაო;
რად გამაუშვეს მიქაი, რად არვინ დაიჭირაო,
ქალნი ჩახოცნა თავისნი, სულეთი წაიხდინაო,
ყველასამც ეეგრ მაუვა, ვინც მაგას გაუცინაო.
ერთხან გამავა კარშია, იქავ შამავა შინაო, —
კარს ედგა ლეკის ლაშქარი, თავ იმით მაიწყინაო.

წოწრეს პაპა

ვინა სთქვა (ენამც გაჰხმება!): „წოწრეს პაპაი ბერია“.
ბერია, არც-რა ბერია, სიახლე ხელთა სჴერია,
ცხენზე შაჯდება — ქორსა ჰგავს, დაუქვეითებს — მგელია.

გიგლია

ვინა ხარ გულჭირიანი, დიკლოს ვინ ჰბრუნავ ბანზედა?
ჭირით ჩამოჰლევ ზამთარსა, ზაფხულს მოელი ძალზედა...
საბუელებსა ჰკითხავდა: „ლეკნი სად დიან გზაზედა?“
„თუ მკითხავ, გურჯო, გიამბობ: „ჩაუჯე ყორნის წყალზედა!“ .
მოდიან ლეკის შვილები, ნასახელებნი სხვაზედა;
ფშავით მაუდის ტყვეები, ქალნი ტირიან ძალზედა;
ნატრობენ კაცსა ქართველსა, ცრემლი ჩამოსდის თჳალზედა.
„ნუ სტირით, ქალნო ბეჩავნო, გიგლია გიზისთ გზაზედა!
თუ ლეკებს წაგაყვანინოსთ, წვერ ნუ დაესხას ყბაზედა!
ნუმც იტირებენ დედანი, სწორნიმც ნუ დასმენ ჯარზედა!“

წინწინ მიარტყა ბელადსა, ცეცხლი დაჰხვია თავზედა;
მეორე სარქალს მიარტყა, ვისაც ქალნ ებნენ ჯღანსედა;
მერე ხმლით გადაეტია, ხუთნი შეაჭრნა ხმალზედა.
ქალებ შინ გამაისტუმრა: „მშვიდობით, დებო, გზაზედა!
მე თუში, თქვენაც ფშაველები, ნუ გამცვლით სხვადასხვაზედა,
ნუ იტყვით ჩემსა სახელსა, ვიყვნოდეთ და-ძმობაზედა!“

მუცალი

გირევს ჩამადგა მუცალი, დიდი მუცალის ჯარია;
თუშებს მაციქულ ახკიდა, ბეგრად მასთხოვა ქალია.
მირგვალს დაგროვდა თუშები, დიდ დადგა საუბარია.
ზოგებმ თქვეს: „მივსცეთ ბეგარი, მტერმ დაგვიჭირა კარია“.
„ვერას მივსცემდით“, ზოგებმ თქვეს, „მარხეი ცოლ-შვილთ ბრალია!“

ქალმა ქესელოს გაიგა, ხუთნ მასწყივნ თავის ძმანია:
„ან მიპატრონეთ, თუშებო, ან ქალს შამარტყით ხმალია.
თორ გაკალ, გამავერევი ლურჯპერანგიან ქალია.
თქვენ შაგრცდვენდებისთ, ვაქებო, რო ვინ მინახნას თმანია“.

ცხენს ხკაზმავს ითადანური, საისკე მიმავალია?
სუ ღამით შამაიარნა დიდნი თუშეთის მთანია.
შუაღამის დროს გააღა თელავს გალავნის კარია.
შამასწყრა ლევან ბატონი: „რაღა სტუმრობის ხანია?“
„ჯერ მკითხე, მერე გიამბობ: მტერმ დაგვიჭირა კარია.
ეხლა თუ მაგვეშველებით, ვიქნებით შენნი ყმანია“.
ადგა, წამადგა ლევანი, იძახა თავის ჯარია.
აივსა გათენებისას თელავს გალავნის კარია.
ხელთ მისცა მაშხარაები: „შაინათნიდით გზანია“.
„ვაიმე, ვერ ვეომებით, ლეკთ უჭერიან მთანია.
ბატონო, ანდარეზაი ნუ გყავის პატიმარია.
მაგას თუ არ გაუშვებდით, თავად ჩამოგვხსენ ხმალია“.

გაუშვეს ანდარეზაი, ღთით, თავის დავლათითაო.
წყალს გირეობი გავარდა სახლთხუცის ორქაფითაო,
ტანი გაიღა ლერწამი, ზედ ქუდი ვათაღრისაო,
გირევის ჭალას შამორბის ყმა ლურჯის პერანგითაო.
მუცალ კარავჩი აკაფა ნაკუდარაის ხმლითაო.
გაიქცა მუცალის ჯარი, ქალივით ატირდისაო.
მიზდევენ თუშიშვილები, წკეპა ამადის ხმლისაო.

მუცალს ცოლ ჩამეგება: „მუცალმა რაღა ქნისაო?“
„მოგიკლა ანდარეზამა, ყორნებს ამააქვ ბწკლითაო“.

„ვეუბენ, არ დამიჯერა, ქალმა ვაჯობნე ჭკვითაო,
თუშეთ ნუ წახოლ, ცუდაო, არამც ვინ დაგხვდეს ხმლითაო“.

ჭიჩბარაული

გუდან მოვიღა ლაშქარი, ჭიე კარვებმა შაფარა;
ლურჯამა ოთხით ნაჭედმა თავი ლაშქრისკე დახარა;
მასზე ნაჯდომმა მხედარმა გული საომრად წაყარა:
ხელში ნაჭერი ვაჟამა შუბი თავ-დაღმე დახარა;
ტანზე ნაცვამი ბეგთარი ვაჟმა ფქვილებურ გაყარა.
მარტუამ ჭიჩბარაულმა ლაშქარ წყალგაღმა გაყარა.
სისხმა ვადათათ ნადენმა სამკლავე სამკან დაღარა.
აიქით ჩამონადენმა ჯაჭვის კალთეებ დაყარა.
ზეითით ქალმა დაჰხედნა, მანდელი მაღლა შახარა:
„გაქებენ, ქიჩბარაულო, ჩემს საქმარესამც შაგყარა!
ხელთ მისცა თავის აბჯარი, ლურჯა საფერხედ მაღგვარა!
თუ იმას დააჭარბებდი, ცოცხალიმც ნუღარ მამგვარა!
თუ ის შენ დაგაჭარბებდა, სამკლავეებიმც წაგყარა!“

ტყვე

დიდუეთსა ვარ ციხეში, თავი ღრუბელთა მიბია,
სახ მიდგა საგონებრისა, სევდისა კარი მიბია.
გვერდს მიდგა სევდის ლოგინი, ზედ ნარ-ეკალი მიგიჳ,
წინ მიდგა ოქროს ლანგარი, ზედ კეიცის ხორცი მიწყვია,
ზედ მიძე დანა ჯავარი, ალმასის ტარი მიგია,
საჭმელად ველამუნები, რჯული ვერ გადამიგდია.

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ატირდა ბეღლის-ღელესა ორი ლამაზი ქალია.
მესამე დედა ატირდა, ცრემლით იბანნა თვალნია:
„კახეთს არიან ახლები, ველით, — მოსვლისაც ხანია;
ველით და არ მოგვივიდეს, თეთრად დათოვნა მთანია...“

ᲨᲘᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲠᲔᲮᲔᲚᲘ

აქნამდე, ღუდუშაურო, სკამს იჯე ერისთვისასა,
აეხლა გამისხორიგდი, მსახურს გაფერებ სხვისასა.
არ გაუტიე მთრეხელი, ხევს მიმავალი დისასა.
ცხენი მასთხოვე, გიბოძა, მშვილდს რადაღ სთხოვდი რქისასა?
„მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა, ნაპირის ადგილისასა!
გზა ყველაისად სწორი ას, რად არ გამიშობ, ხთის მადლსა?
მგონიხარ ნახალიზარი, ყამს თუ არ იყავ მტრისასა“.
არ დაიშალა, გადასწვდა, მხართ ნადებს მშვილდსა რქისასა:
„გახლავარ ღუდუშაური, არ დაგიფერებ სხვისასა!“..
მშვილდი ჰეხს, გოზა ჭიჭინებს, მთრეხელ შამუგდებს ისარსა,
გულს დახკრა, სხვაკე გაღვარდა ფალავანს აჩხვატისასა:
„კარგა ხანს სჭამე აჩხვატი, ახლა მე გაჭმევ მიწასა!“
გამაბრუნდების მთრეხელი, დაელნებას ღგავ ცისასა,
მოზდევენ ღუდუშაურნი განრისხებას ღგონ ხთისასა,
მიღმართა ყოელადწმინდასა, დედას მშობელსა ხთისასა;
კარნ არ დაუხვდეს ღიანი ნაგებსა დედუფლისასა.
მივა და შაიხვეწების ძმისა მამკლავი დისასა:
„დაო, ვერ შემინახევდი? ცხონებას შენის ძმისასა!?“
„შამოდი, შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ მკვდრისასა“.
„ნუ მახკლავთ, ჩემნო მამულნო, ნაჭაპნს ნუ მამჭრით თმისასა!“
კარისას არ გაუტივნა, საკვმით დაუკვრენ ისარსა.
ამბობენ ჩამაქცევასა ახალციხურის კლდისასა,
თან ჩაყოლებას ამბობენ ქერბელელაის ძისასა, —
ვერ შაინახა სტუმარი, ვაი ვა დედას მტრისასა!

ხოგაის მინდი

გაგვიძეღ, ზერო, მინდიაე, მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო.

წკეპა ამადის

გაიქცა ლეკის ლაშქარი, ფარსმის-თავ გადადისაო,
უკენ გადახყვეს თუშები, წკეპა ამადის ხმლისაო,
თუნში — ხმლით, ლეკნი — ხანჯრითა, მკლავთ სისხლი
გადასდისაო.

სამაისტო ვაჟები

სამაისტოებს ვაჟებსა ბაკნით გვისმიეთ ლუდია, —
გრძელია მაისტის-თავი, ყმა იქ ვერ გასძლებს ცუდია,
იქ განა ქალეებია, გადაიმრუდო ქუდია? —
ურჯულო ქისტიშვილებმა თოფით იციან ჩხუბია!

ფშაველი ჯარისკაცის ჩივილი

გათენდა... დილის ვარსკვლავი გორის პირს ჩაესვენაო,
რუსეთში მიმამზადებენ, ცრემლს მოუმატეს დენაო.
თავი სიზმარში მგონია, თუ წავალ, არა მჯერაო.
მივალ, გზას ვერა ვგანდები, დღე არი, ჩემთვის ბნელაო,
დედა ატირდა, ცრემლები წინ გუბად დაიყენაო!
დასაც ცხელ ცრემლით მტირალსა გულ-მკერდი დაესველაო.

მუხლი მოეჭრა მამასა, ვერ ამოიდგა ენაო,
მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ! ჩემო სამშობლო კერაო!
ვაიმე, მალე მომწყინდა წითლის მინდვრების ცქერაო,
თოფ-ზარბაზნების გრიალი, უზომოდ სისხლის დენაო.
ფშაველის მოტირალს ვამსგავსე ჩემს თავზე ყორნის ფრენაო,
ამამაცალეს გულ-ღვიძლი, მზეზე დაუწყეს ფენაო.

რუსეთში ჩამასული-ორ

რუსეთში ჩამასული-ორ, დავჯედ, ქაღალდებს ვსწერაო,
სხო საქმე რა მიკეთდების? მამაწადინა მღერაო;
რო ჩიტი გაზაფხულზედა, მაქცეული მაქვ ენაო.
სხოდ კი კაია რუსეთა, ზანიატებზე დენაო.
წინ-წინ რო ზღვაში შავედით, კინაღ დაგვლივნა გემმაო,
შაშინდეს კახის შვილები, პირჯვარს დაიწყეს წერაო.
თავს უთხარ, დავღგმე, დავღვედრე: „შენც არ გაგწირავ
ფერმაო!
რა გარგა თავის სოფელში ხვნა-თესვამა და ცელმაო?“
მემრე გამავედ, დავხკივლე: „ზღვაო, გაწირე ღელვაო,
პარახოტ არ წაგვიქცივა, რა დიდ-დიდ ტალღას სცემაო!“
ბევრი მაგწერეთ წერილი ამაგის მალექსემაო,
ახლა კი მაგთხრით, მაგბზარავთ, თუ არ მამწერეთ თქვენაო...
სანადიროჩი დაზრდილნო, ფეხებს გაწყინათ კლდემაო.

გუდამაყრელი ქალის ნატირალი საქმროზე

დავბერდი შენსა მალოდინსაო
ქალი ლამაზი ბექაურიო;
გადამიყოლე, გადმაგყვებიო,

მამისიმედო წიკლაურიო,
არა და სხვას ვის გადავხყვებიო,
ვაჟი ბევრია გიგაურიო.
გუშინაც კაცი მამილალაო
თამარიშვილმა თანგულამაო,
მამიტანივნა ქიჩილანიო,
ცხრათ ძმათ საკარგყმოდ ატანილნიო.
ავიღენ, ისრევ გაუტანენო,
არ იყვნეს ჩემკვალთ სახურავნიო,
სადიდონ იყვნეს, საერონიო.
შახედა-დ' მიაც შამახდინეო,
წვრილაო, შენნი ჰირნი დათაო.
ერთხანაღ კიდევ გადავხენათო
გუდამაყარსა, პირიქითსაო.
ციხენ სად უდგან თანგულასაო,
თამარიშვილსა ხოხისანიო?
ციხემ ჩარდახნი ჩამაყარნაო,
წავიდეს თანგულაობანიო.
თეთრი ჯორი ხყავ თანგულასაო,
თეთრსა ძუასა აბიბინებსო,
ჭალაით ქვათა ხოხისათაო,
ალმე და ალმე აზიდვიებსო
ციხისა მასაწვერავადაო.
თავად ციხესა თანგულასაო
ციხეს ციხენ ქვე რადაღ უნდაწო?

დის ნაბირალი ძმაზე

დედანო, რა ვქნა, ვერ ვიტირებო,
მიმძიმს ტირილი ერთის ძმისიო,
ვერ ვქჩერობ დასატირებლადაო,
იმედსა ჩემსა ჩამოშლილსაო.
და შაგენაცვლას გიორგისაო,

ვაშკაცს სახელის მოყვარულსაო,
მავალსა შურის საძებრადაო,
ქისტების ტყვიით დახარჯულსაო.
ძმობამ, ვერ გავსძლებ უშენოდაო,
შენ ვერ გიგონებ სამარესაო,
მზეს ვერ შავხენებ უშენოდაო,
მზეს უშენობით დაჩდილულსაო,
შენ ცოლს ვერ ვიშვერ შინ წასულსაო,
ქალსა სიკეთით არჩეულსაო,
დედას ვერ ვიშვერ გულმტკივანსაო,
მამას ტარივით აბრუნვილსაო.

ბერდედის ნატირალი მაიაზე

გადიდებულო ქორით ქალო,
საყურიანო, ვერცხლიანო,
ქალო, დაგეწვნეს ქალობანიო,
ქალო, თვალშრელო, თმაყვითელოო.
გალეგდა შენი საკერავიო,
ჩავარდა სააბრაშუნეიო,
გაგორდა შენი სათითეიო...
მიწაი ჩამოგიშლის თმათაო,
წაიღებს გველი ბუდეჩიაო.

თარუას ნატირალი გიგიზე

გიტირებ, აგრემც გენაცვლებიო,
ღირხარ ვაშკაცი სატირლადაო,
შურის საძებრად დამავალიო,
არხოტის-ქალას დაზღებილიო,

ტყვიისგან დანაგაბრებულიო...
შენ დაალეგენ დედ-მამანიო,
შენ დააოხრენ სამნი დანიო.
ეხლა მიზდიხარ სამუდმოდაო,
მზე გიდგას უკენობისაიო,
გჩება აბჯარი, იარაღიო,
დაგჩა შვინდაი უმხედროდაო.
ცხენი დაგეძებს საოხროიო,
იკლებს სოფელსა ჭიხვინითაო;
ცოლი შინ დაგჩა ახალზალიო,
ცოლი ნარჩევი სიკეთითაო,
კარგის დედ-მამის, გვარისაიო.

დაგწყიოს წმინდამ გიორგიმა,
სახლო, ხიზანათ ნასახლარო!
შენ ამასწყვიტენ ხიზანანი,
გამაათავენ სახშიითა.
შვილო, შენ მითამ მაღალ იყავ,
დასდაბლებულხარ კი'-რადამა.
შვილო, შენ სახლნიც მაღალნ იყვნენ,
დადაბლებულა კი'-რადამა,
ეგრე იციან ოხერ სახთა,
მიწათაკ რადამ დაიწევენ...
აგრემც სამსამ ძმან შამრჩებიან,
სამსამნი არ წამივლენ რძალნი—
გაგლილ გულს აღარ გამიგლიან...

ნათესავზე ნატირალი

სიკვდილსამც მისცა ერთი ძმაი,
მემრე იმისი სიკვდილ მე მქნა,
ურჯულოთ მოვაკლეინებდი,
გულზე ლეურელს დაუკრავდი,
შენფერა დედას დაუგდებდი,
აუტირებდი ოთხ-ოთხ დათა,
სანეფოდ ნაკერთ ახალოხთა
მიწაში დავადნობინებდი,
წაეგვრიდი ცოლსა ნანდაურსა,
ამოიყრიდი იმის ჯავრსა!

●

მავიდეს შენნი დედისძმანიო,
ანგრილნ შამახდეს, ხახისფერნიო,
მავიდეს შენნი დედისძმანიო,
მახჭრიან ლემადესავითაო.
ფარის გრილოში გამავლილნიო,
თოფის ტყვიაში გამამცხვარნიო.

იერემი

მაჰკვდია, ბეჩავო იერემო,
დასდევა სიღარიბის ჯოხი?
მიწანიმც დაილოცებიან! —
შიშველნი მოგიმალნა ხორცნი...

ვაჟუნაზე ნატირალი

ვაჟუნავ, ხახათ ვაჟუნაო,
ვარსკვლავო, ცაზე მოარულო,
ჩამოვარდნილო, დაკარგულო:
ბიჭო, რა იქენ, სადრა წახვედ?
ბეჭებ სად დასხენ ლომისანი,
კბილნ სად დაჰყარენ ბროლისანი?

დედის ნატირალი შვილზე

მზეო, დადეგ და დაგივანდიო,
მზე სდგეხარ უკენობისაიო,
ვიყრებით დედაშვილობითაო,
მამშვიდობებენ ბერდიასაო.

გიგი ჯაბუშანურზე ნატირალი

მტირალსა ტირილს ნუ ხპატიჯებთო,
მაინც იტირებს ბატარასაო.
დავსწყივა, დედა გამიგონებსო,
გულს გაიჯავრებს ბერდედაიო.
ბეწიკუა ხარ, შაგენაცვლეო,
შაგაშინებენ უცხოელნიო;
შამაგეჩვევის სურიელიო,
დაიგებს თმათა ლოგინადაო,
დასხამს გულზედა შარაებსაო.
გველია, ბოლოს მოგიბრუნებსო,
დედის ძუძუი არ გეგონასო,
არ მოხკრა პირი უმეცარმაო.

ხმით ნატირალი ჰვითინით

ხ მ ი თ მ ო ტ ი რ ა ლ ი	მ ო ჰ ვ ი თ ი ნ ე ე ბ ი
თქვენი ჰირიმეთ, მატირალნო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
ჩვენ დრო-ჟამ არ გაკვირებსთაეო?	იჰიო, ჰიო, ჰიო.
გაოხრდა ცელი, საფარცხველიო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
თორმეტის მთიბლის საყოფინიო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
ლურჯა გაოხრდა, ცხენ-ოხერიო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
პატრონის ხელჩი დაუცდელიო;	იჰიო, ჰიო, ჰიო.
დაოხრდა ვერცხლის იარაღიო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
პატრონის ტანზე ნაშვენებიო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
გენაცვლას შენი მამიდაიო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
ციხევ, უდროოდ ჩამოშლილოო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
გულსუწვადინოდ დაფშვნეტილოო!	იჰიო, ჰიო, ჰიო.
თოფო, ნეტავინ აგაძრახაო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
ენამც ჩაგიდვა პატრონისიო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
ერთ-ორიმც დაგაკივლებიეაო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
დედა-დებ დაგალაღებიეაო...	იჰიო, ჰიო, ჰიო.
მიწაი შენსა მამიდასაო,	იჰიო, ჰიო, ჰიო.
შენთ მხართ მიწაში მგონებელსაო!	იჰიო, ჰიო, ჰიო.

ბადურიკათ საჭურა

ბადურიკათით მადის გმინიო,
წუხად ხყავ კმარუას შვილიო,
გულს ურჩო უჭირს ნატყვიარიო,
მოკლიას ამაუდის სულიო...
მდევართ ჭვე რად მიღმეტდებოდიო?
„დედისერთა ორ“,— რადარ სთქვიდიო?
მეშველაობით ვინ იძახდაო?
ქალ-ზალიც არ მიუდიოდაო!
მე გიყავ ძაღლმა, კუდიანმაო,

მე გაგაღვიძე მძინარაიო,
მე აგაყენე საწოლთითაო.

სამუკაზე ნატირალი

ათათა, ბიჭო, ბალაჰაეო,
გამკვირებიხარ სამუკაიო.
იმით კი უფრო გამიტრელდიო,
სკლატის ცმა არა იცოდიოდიო,
ლეგა ჩოხაი ჩაიცვიდიო,
გვერდზედა ქუდი გაიგდიდიო,
მაღლისას იარებოდიდიო.
ალაღებულსა ღგვანდი წყალსაო,
ვერ გასავალსა ცხენისასაო,
გამწარებულსა ღგვანდი მთასაო,
ვერ დასაწონსა მგზავრისასაო,
პირგამართულსა ღგვანდი თოფსაო,
ხმაძალიანსა სიათასაო,
დაფხაებულსა ღგვანდი ხმალსაო,
ფრანგულსა სისხლში დაჩვეულსაო.

დანიშნული ქალის ნატირალი საქმროზე

ჩემო მამაო, მამამთილო,
ჩემი აქ მოსვლა რად გეწყინაო?
შენს შვილს მიქებდეს სამეფოდაო,
წამოვედ იმის საცნობლადაო.
ეგ კარჩი აღარ გამოჩინდაო,
აღარ იკადრა ჩემ ნახვანიო.

დავსწყივა, დედისერთაიაო,
თუ არა, მყოლებ დამიწბილაო.
ჩოხა მოვართვი ორშიანიო,
თათი, ბაჭიჭი ყაჭისაიო,
არ იღებს, გაჯავრებულიაო...
დღეს მოვედ, იქავ წავალ ხვალაო,
უკლო უკლოდავ გავბრუნდებიო...
გვირგვინი მაგან გამიშავაო,
აეხლად მიწამ გააშავასო!

გორგიზე ნაბირალი დედისაგან

გორგიო, დედა შაგენაცვლაო,
ბერის ჯიხვის რქათ გიგონ წვერნიო,
ბევრაის დედა აატირეო,
აეხლად ტირის დედაშენიო.
გორგი შენ ხარა უთურგათიო,
იყავ არდოტის ერთკიმხარიო,
შენ სიკვდილ ქისტებს გაუხარდაო,
იყავ მითხოელთ ნიავ-ღვარიო.

გული

გულო, ჯავრისგან მოკლულო, რა დაგაყარო წამალი? —
არც მოგიდგება ექიმი, არც მოგეტევა სამარი.
ეს ჩემი გული ორია: ერთში წვიმს, ერთში დარია,
ავტირდე, შავყრი ღრუბლებსა, რომ გავიცინო — დარია!
ეს ერთი გული მეტყოდა: „მოკვდი, რადა ხარ მთელია!“
მეორე ამას ამბობდა: „იყავ, აჯავრე მტერია!“

ჯავრიანი გული

ეს ჩემი გული რასა ჰგავს? — ცასა ჰგავს შემოღრუბლულსა.
პირშეკრულს, დამძიმებულსა, საწვიმრად გამზადებულსა!
ქალსა ჰგავს ქმარყოფმოწყლილსა, მამისას დაბრუნებულსა
ხმალსა ჰგავს პატრონმომკვდარსა, პირჟანგიანსა, ოხერსა,
ცხენსა ჰგავს პატრონმომკვდარსა, სადაეჩამოშვებულსა,
წისქვილს ჰგავს მიწლილ-მოწლილსა, სათაეგადაგდებულსა.

განა ლაღი ვარ

განა ლაღი ვარ, რომ ვმღერი? — გულისა დარდსა ვიქარვი;
ვინც ჩემზე იტყვის: „ლაღია“, ჩემსავით ლაღიმც ის არი,
ძმასამც მაუკვლენ ლეკები, მამას — ნასროლი ისარი,
ანამც მაუკვლენ ნაძმობსა, არც ძმაზე ნაკლებ ის არი!

ნეტავი მწუხიარესა

ნეტავი მწუხიარესა თქვენიმც ხმა მამადინაო,
თქვენთან დამიდგნა ლოგინნი, თქვენს მკლავზე დამაძინაო,
გამაძღა თქვენი ნდობითა, — მემრ მამკლა, მამარჩინაო!

არა მწადიან

არა მწადიან დახურვა ჩიქილის დაქარგულისა,
ამბავიმც გამაგებინა მოყმისა დაკარგულისა!

დარდიან მთვრალი

დავითვერ, ნისლმა დამთვარა აბანოთ ამამდინარმა.
არცა-რა ნისლმა დამათვრა, — ჯავრმა და გულის ყინვარმა.

●

შაიკვრის შავი ღრუბელი, საწვიმრად გაემართება,
გულს რომ ვარამი ეხვევა, რა კარგი დაემართება?!

●

შენ, ჩემო დაბადებისავ ვარსკვლავო გასაქრობელო,
სრუმუდამ დაღონებისთვის რატომა მშობე, მშობელო?

ჯავრისად მიმყოლი

ციდან ჩამაწვა ღრუბელი, გორებზე დაეკიდება,
ვაშკაცს ჯავრისად მიმყოლსა რა კარგი წაეკიდება?
აიწევს, ველარ ადგება, არგანთა დაეკიდება,
ძალი და ღონე წაუვა, გმირობა გაეყიდება.

ძალის დარდი

არც წინდის ქსოვა მწადიან, არც ახალოხის კერვაო,
ჯავრი მორევნას მიპირებს, ჩემ გული დაუჭერაო,
ბევრი დუშმანი მყოლია, მეკი მცოდნია ვერაო!

„რა ვქნის“ ციხე

„რა ვქნისა“ ციხე ავაგე, ჯავრი შავაბი კარადა,
საიქიოდან მოიდენ ამ ციხის სანახავადა.
ბევრი უარეს ციხესა, კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს: „დრო რო მოალის, კარ გაიღების თავადა“.

ვარამი

გულსა მომაწვა ვარამი, ვით ნაგუბარი წყალიო.
რა მალე შევწუხებულვარ, გუნება მიძე მყრალიო;
გამაგრდი, გულო, გუნებავ, როგორც მყინვარი სალიო!
თორ მალე მოვა სიკვდილი, ტუქსი, არ მოცინარიო;
სულ დამაცილებს ჯავრებსა, იმნაირი აქვ ზარიო.
უნდა წამართოს უეცარ, რაც მისი მადევს ვალიო.
გავექცე? სად უნდ წავიდე, ცხენიც რო მყვანდეს ჩქარიო?
შავება? არ დააშინებს ჩემი ფრანგული ხმალიო;
ვიტირო? არ შამიცოდებს, არ იცის ცოდვა-ბრალიო;
ვეხვეწო? არ გაიგონებს, უნდა იხმაროს ძალიო...
ისევ სჯობს გულით ვილხინო, სანამ ცოცხალი ვარიო, —
ვისა აქვ მეტი სიცოცხლე უფლისგან ნაჩუქარიო?

●

გულს ჯავრი, ღორღი მამულსა აროს არ დაელევაო,
კაცსა რო კაცი არ უნდა, მიზეზ არ დაელევაო.

●

გაღმიდან ქალმა ლამაზმა ჩიქილა დამიქნიაო,
იქით ის მოკლა სურვილმა, აქათ მე წამაქციაო.

●

არაგვის ხეობაზედა ერთი ყვავილი ჰყვავისო,
იმას ხელ არავინ ახლას, თავის პატრონი ჰყავისო!

მწვანე კარავი

ვისია მწვანე კარავი, კარვებში არ ერეოდა?
ვისია ქალი ლამაზი, ქალებში არ ერეოდა?
გვერდს ეჯდა კარგი ვაჟკაცი, ჰკოცნიდა, ზედ ელეოდა;
გვერდს ედგა საღვინით ღვინო, სვამდა და არ ელეოდა;
გარედან ხალხი შეჰნატრის, გულს შუქი მოერეოდა:
„ნეტავი მაგის დედასა, სხვა რაღა დაელეოდა?!“

ვაჟიკა და ხვარამზე

ხვარამზე:
— ვინა ხარ? ვიწ იარები, ლაღო, მაგ ლაღის ცხენითა?
თავს რად არ შამაიბრუნებ, ყანას რად მამკევ ცრემლითა?

ვაჟიკა:
— ის გეგონაა, ქალაო, გუშინ რო მედიდებოდი,
კაც-შუაკაცებ გიგზავნე, თხა-წალებურად ხტებოდი;
ისე გაგახდევ სურვილსა, ნემსს ყუნწზე აეგებოდე,
ჩაჰქონდე დილის ნიავსა, უსულოდ ჩაელღვეოდე,
პატარას ნარის-ჩიტასა თვალში ფხად ჩაეგდებოდე.

ხვარამზე:
— ვერცხლის თასადამც მაქცია, რო ღვინით აგევსებოდი,
დაფერილი მქნა წითლადა, შამსვამდი, — შაგერგებოდი.
ანა მქნა ვერცხლის სათითე, რო ხელზე ჩაგედებოდი,
ანა მქნა ოქროს ბურთვაი, კალთაში ჩაგეშლებოდი,
ან ვერცხლის ფულად მაქცია, ჯიბეში ჩაგეყრებოდი,
ან შენი ნამგლის ყანა მქნა, რო ფხაზე შაგეჭრებოდი,
ანა მქნა ვარდი, ყოილი, რო პირზე დაგეყრებოდი,
ანა მქნა მოის პერანგი, რო გულზე დაგადნებოდი,
ან შენი ძმა მქნა მოწილე, აროდის გაგეყრებოდი,
ან შენი ნანდაური მქნა, გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი!
ბალიან დაწუხებული გზაზედამც შაგეყრებოდი!!

ქასლედილი

ვის უნახავს ქასლედილი, მამაჩემის სამოსახლო?!
კლდეზე თეთრი ციხე უდგას, მთიდან მთამდე ნათელს აფენს.
თვალუწვდენელ მამულს მისას ჯიხვი ხნავს და არჩვი თესავს,
ფურ-ირმები ყანას მკიან, ხარ-ირმები კალოს ლეწენ.
დილით აყრის თივის ნახირს, იფნის შოლტით მისდევს უკან,

გადაიყვანს უთურ-მთაზე, ვეძას ასმევს უთურ-მთისა,
იალაღზე რემას გაშლის, იალაღზე შხარის ახლო.

ერთადერთი ქალი ვყავარ, როგორ გითხრათ თავის ქება:
ცისკრის თეთრი ვარსკვლავი ვარ, კასლედილის ცაზე
ვბრწყინავ.
კასლედილში რისთვის ვიჯდე, კასლედილში მე რა მინდა? —
შევიკაზმავ მამის საღარს, ტანთ ჩავიცვამ ქარის სამოსს,
გადავიყრი გიშრის დალალს, მღერიე გზებზე გავიგელვებ...
სამი ქედი გამივლია, გამიხედავს ბექობიდან:
მდინარესთან საყდრის იქით, ფერხული აქვთ ველზე ქალებს,
ჩამიწვიეს, ჩავეწვიე, მათთან ერთად წრეში ჩავდექ,
სიმღერები ასე ტკბილი არ მსმენია არასოდეს.

— ქალი ხარ და — თოვა თოვლის, ქალი ხარ და — ზართა
რეკვა,
რად დასტოვე მამის სახლი, ჩვენს მხარეში რისთვის მოხველ?
— დობილებო, საქმროს ვეძებ, ტანად ალვას, პირად მთვარეს,
სამი დიდი ლაშქრის სარდალს, სამი დიდი ციხის პატრონს.
ტანთ აბჯარი უნდა ეცვას, ხმალი ერტყას — ბასრი რკინა,
თავს ეხუროს მუზარადი, ქვეშისფერი ცხენი ჰყავდეს;
რომ მოდგება უხვან-მთაზე, უნდა მძიმედ იძრას მიწა.
— აქ ისეთი არვინ არი, ამაოა შენი გარჯა.
— არ არი და ნუმც ყოფილა, გათხოვება სულ არ მინდა,
კასლედილში ციხე მიდგას, მთიდან მთამდე ნათელს აფენს.

ენა, ცხენი და ქალი

საწუთროსა სამი ვთხოვე: ენა-პირი ბელოვანი,
ზედ საჯდომი მალი ცხენი, წინ მინდორი ველოვანი,
საკოცნელად თეთრი ქალი, ტანწვრილი და ფეროვანი.

განა ეგრ უნდა?

განა ეგრ უნდა, ვაქკაცო, ქალთა თმიანთა ყვარება? --
უმთვარიოსა ღამესა უგზოთას უნდა ტარება.

მელნის ტბა

გაჰხედენ მელნისა ტბასა, შიგ იაგუნდი დგებაო,
ნეტავი კიდევ მაჩვენა, ვისთვინაც გული კვდებაო.

გაუცინე, გააცინე

გენაცვალე, ქერის პურო, ანაცერო დიკისაო!
ქალო, გქონდეს შებრალება პირტიტველა ბიჭისაო;
გაუცინე, გააცინე, მისთვის შენ რა გიჭირსაო?

გზა სიარულმა დალია

გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა — წყალთა დენამა,
ლამაზი გოგო და ბიჭი -- ერთმანეთისა ცქერამა.

გოგომ ფიჩხი ჩააყარა

გოგომ ფიჩხი ჩააყარა, თონე ააპრიალაო,
მორჩა საქმეს, დაამღერა, ხმები ააწკრიალაო,
რომ შეეხედე, შემომხედა, რეტმა დამატრიალაო.

სახის შუქზე

დაკვეხნებაზე ნუ იყვას, ლამფა არ მინდა ქალსაო,
თორპილის სინათლეზედა დავხკერავ ნაპრელასაო.

●

დილით ავდგები მზიანსა, ხევ-ხევ ჩავჰყვები ნიავსა,
შიგ გულში ჩაგეკონები ჯერ გაუშლელსა იასა.

დუდა

— დუდავ, ჰე, დუდავ, საით მიხვალ?
— საით მივალ და ტყეში მივალ.
— დუდავ, დუდავ, ტყეში რა გინდა?
— რა მინდა და წნელი იფნისა.
— დუდავ, დუდავ, წნელი რად გინდა?
— რად მინდა და ცოლის საწოლად.

— დუდავ, ცოლი ორსულადა გყავს?
— მაშ არადა ბერწად იქნება.

— დუდავ, შენს ცოლს ქალი ეყოლა.
— აბა უშვილოდ რა უნდოდა?
— დუდავ, შენს ცოლს ვაჟი ეყოლა.
— დას აბა უძმოდ რა უნდოდა?
— დუდავ, ბიჭი უკვე მომკვდარა.
— ორს აბა მოვლა არ უნდოდა?
— დუდავ, გოგოც უკვე მომკვდარა.
— დას აბა უძმოდ რა უნდოდა?
— ცოლიც მუცელს გადაჰყოლია.
— აბა უშვილოდ რა უნდოდა?
— დუდავ, რას დაჰკლავ სააღებოდ?
— სააღებოდ დავკლავ წიქარას.
— ის ორი კვირის ხბო იქნება.
— ორი კვირის ხბო რად იქნება,
მისი ტყავი საყდარს დახურავს.
— ის პატარა ნიში იქნება.
— პატარა ნიში რად იქნება,
მისი გალავნის შემორბენას
მწევარი სამ წელს მოუნდება.
— ის პატარა ლეკვი იქნება.
— პატარა ლეკვი რად იქნება,
სამ ნახტომზე ირემს ეწევა.
— ის პატარა ნუკრი იქნება.
— პატარა ნუკრი რად იქნება,
ალვას თავზე გადაეველება.
— ის პატარა ალვა იქნება.
— პატარა ალვა რად იქნება,
ჭოკად გასდო, ზღვას გადასწვდება.
— ის პატარა გუბე იქნება.
— პატარა გუბე რად იქნება,
მზე გალმა მხრიდან ამოსული
გამოლმა შუქს ვერ გამოაწვდენს.
— ის პაწაწინა მზე იქნება.
— პაწაწინა მზე რად იქნება,
ზეცა არ ყოფნის საბრძანებლად,
შუქთა საფრქვევად — დედამიწა.

ელი ელამდა

ელი ელამდა, ზღვა ბიბინებდა,
ზღვისა კიდესა კარავი იდგა.
შიგ ქალი იჯდა, ზარი ეხურა.
ავხადე ზარსა, სამი ვაკოცე,
სამმა კოცნამა ფერი უცვალა,
ფერმა ნაცვალმა წიგნი დაწერა.
— ვის გაუგზავნა? — დავით ნეფესა.
— რა მოუვიდა? ჭამხა, ატლასი.
— რით მოუვიდა? — ჯორ-აქლემითა.
— როგორ გამოსჭრა? — ბროლის თითითა.
— რითი შეკერა? — ნემსის წვერითა.
— როგორ იცმევდა? — სიხარულითა.
— როგორ იხდიდა? — ხორცის გლეჯითა.
— რაში გარეცხა? — სისხლის ზღვაშია.
— რაზე გააშრო? — ალვის ხეზედა.
— რაღამ გააშრო? — ნიავმა-ქარმა.

გულის ნანდაური

ერთი, ერთი, ფარტენაო, ჩაეხვიე ტარზედაო!
ჩემი გულის ნანდაური კახეთს არი ცხვარზედაო.
წადგება და წამოდგება კახელების ბანზედაო.
წელწად-დილას მოსვლა მითხრა, თვალი მაქვის გზაზედაო.
გავხედენ და მოგოგავდა ლურჯა ცხენი ნალზედაო,
აკვდებოდა თეთრი ჩოხა წითელ ახალუხზედაო.
უხდებოდა შავი ჭუდი მთვარესავით პირზედაო.
მზევინარიმც ენაცვლება შაშვენებულს ტანზედაო!

ჭალის ჯავრი

ერთის ვაჟაის ჯავრი მაქვ, გადამეკიდა მტერადა,
ლაღნიმც ურჯულონ დასჭრიან, სისხლიმც მაიგდებს პერადა,
საყვავყორნედამც გახდება, ნუმც მივა ჯალაფთ ხელადა!

ყეინიანთ ჭალი

ვანომ ცხენ წამაყვანინა: „ყეინიანთ მიჰგვარია!"
აღარცავინ შინ შამიშვა, შამამესწრო ლიტანია.
კარზე რაიმ გამოვიდა, — მამეწონა, ყინჩ ქალია:
წითელ მოის კაბა ეცვა, შეიდიშის ნიფხავია;
კარგუნელან ძუძუანი, როგორც ჩალის წიწანია.
სამჯერ ისე შამაკრთუნა, ფეხქვეშ მეძრენ მიწანია.
მაგასთანამც დამაწვინა, მამცა იმთვენ იღბალია,
არ მინდოდა, ღმერთის მადმა, წელწადს მაგათ ხინკალია.

ბოსელაში

ბატარამ ქალამ დამჩვია ბატარას ბოსელაშია,
სალამი ჩამამელია საკინძის მოხელეაშია.

-

●

ბატარიკა ქალაი ვარ, ნუ მაღონებ, ცოდვა არი,
საიქიოს დაგტანჯავენ, თუ სად სულის ყოფნა არი.

●

ბაღში ქალი შესულიყო, დეეკრიფა ქლიავიო,
გულთან უბე შეხეოდა, შესდიოდა ნიავიო.

ბოტა თომაიშვილი

ბოტა ვარ თომაიშვილი, კაფიას ვიტყვი ჭირითა,
ლექსებით გაჟღენთილი ვარ, როგორც ღრუბელი წვიმითა,
მოვაგონდები ქალებსა საღამოთი და დილითა.

●

წყალი მწყურიან, წყალს დავლევ, დავეწაფები გუბესა,
წავალ და ჩავეხუტები ლამაზი ქალის უბესა.

აის ღრუბელნი

აის ღრუბელნი მიყვარან ბოროლაზედ რო დიანო,
ერთი-მეორის შეყრასა ხარობენ, მეელიანო.
შაიყრებიან ერთადა, მანანას ჩამაჰყრიანო...
რაც უნდა ბევრი ეცადნენ, ჩვენ ერთურთს ვერ გაგვყრიანო!

ამბობენ კოტიის-თავსა

ამბობენ კოტიის-თავსა შავის შალშავის სხმასაო.
საკრეფლად გამაჰგზავნიან ბაიდაურნი ქალსაო.
წავალ, მარტუა მოვიყვან, არ მოვაყივნებ გვარსაო.
ვამღერებ ჩემებურადა ჩემსა მოკლია ხმალსაო.
თუ გამამიდგა მდევარი, დავანაფოტებ ფარსაო.

მონატრება

არა მწადიან ცხვარშია, ნეტავი დამსვა შინაო;
ფესტამალაად მაქცივა, ქალებს ამაკრა წინაო!
ანამც მაქცივა წყილადა, უბეში ჩამაძვრინაო,
კარგაის ქალაისადა ძუძუზე მაკბენინაო!..

ახავაი-და, მწარეა...

ახავაი-და, მწარეა,
დრო თუ გაუვა ცირას,
ჩამობერდება საწყალი
თბილი კერიის პირას,
ხუობს თავშეყრილ ხალხში და
განზე დაიწყებს ცქერას,
და შხამიანი გველივით
გესლით ილესავს ენას;
ახავაი-და, მწარეა,
ქვეყნად ცხოვრება მისი,
არც ქალი არის, არც — ცირა,
არც, რა ქნას, აღარ იცის!

●

ბაიაის მზემ, მზეს ვღვევიორ, ხიზანაის მზემ, — მთვარესა,
ბაბუაის მზემ, ვანათებ არხოტის არემარესა!

●

ყანა ვარ, ყანა ყამირი, კორდი ვარ გაუტეხელი,
ვოგო ვარ ძუძუკოკობი, ჯერ ბიჭის მოუდრეკელი.

ცუდა და ლამაზი

ყანა სამკალად მშრალი სჯობ სველსა და ჭანჭახიანსა,
ქალი ცუდაი — ლამაზსა, ჭორიან-საძრახიანსა!

●

ყველა ფრინველი ხეზე ზის, მწყერი მიწაზე გოგდება,
ქალი რად გინდა უცხო მხრის, დასნეულდება, მოკვდება.

სიყვარულის მამგონეს

შე სიყვარულის მამგონევ, ცეცხლშიამც ჩაიწვებია,
ან კლდეზემც გადავარდები, ან წყალშიმც დაირჩვებიას
ბევრს ადნობ ყინულივითა, ბევრის ცოდვაში სდგებია,
ეშმაკის მოგონილი ხარ, ეშმაკსამც დაურჩებიას

შირაქის გზაზე

შირაქის გზაზე მოვდივარ, უკან მაბრუნებს ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა, წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე, ღმერთო, დამწერე ჯვარიო!

ჩამოვიარე სურამსა, მშრალზე მარხილი ცურამსა,
შავხედე ლამაზ გოგოსა, ყელიც უგვანდა სურასა.

ცხენი არა მყავ

ცხენი არა მყავ, ცხენს ვეძებ, ლურჯა კი დაქარიანდა,
ცოლი არა მყავ, ცოლს ვეძებ, ქალები დაქმარიანდა.

ძნელია სიყვარულობა ახლო მეზობლის ქალისა,
წაიღო ჭკვა და გონება, სინათლე ორთავ თვალისა.

მკვდარი დოგილი

წამაეედ მინდორშიითა, მყვანდა ლურჯაი ჩქარიო.
ნადობის კარზე შამავხე, კართაზე მამჩეს თვალნიო.
ნადედობ გამამეგება, თვალცრემლიანი არიო;
დაჯდა, დამიწყა კითხვაი: „როგორ გავიდა ცხვარიო?“
„ცხვარან კი კარგა გავიდეს, ჩემ ნადობ როგორ არიო?“
„შენ ნადობ როგორ იქნების? სამის კვირაის მკვდარიო“.
ჩამამეშილა ხელ-მუხლი, დამედვა ოფლის ნამიო.
„ეგიმც არ გეთქვა, ბებერო, ის გეთქვა: „სხვაკან არიო“.
იქავ მალოდინ მქონიყო, — მავა სადაცა-ღ არიო“.
დავბრუნდი დაღონებული, ცრემლით დავრეცხენ გზანიო.
ნადობს მავართვი გარმუნი, მანათ გავიღი სამიო,
(ვაიმე, გასაოხრებო, ხელსაც მაგყრიან სხვანიო!)
ნადედობს — სატყავკაბეი, თავზე სახური შალიო...
საგონის გონობაშია ჩამომლევიყვა ხანიო.
გავხენე, გადაშლილიყვა თორმეტ ბინაის ცხვარიო.
გაზაფხულზედამც დამლევდა ალაღებული წყალიო!
ან ზვავიმც ჩამამაგდებდა, რო დალხვებიან მთანიო!

ვერ მამაწონებთ

ქალი-ორ მაღლა შამხდარი, ვინ ჩამამიყონს ბარადა?
ვინაც ხევსურა არ მამწონ, ვერ მამაწონებთ ძალადა!
არ მინდა აისეთაი, კარგ იყოს თვალად, ტანადა,
რას უშველს სილამაზეი, ხალხნი რო ხკელევდან ქალადა.
ვაშკაც უნდ იყვეს ისეთი, ფიცხად ხმარობდეს დანასა,
სიცილით უნდა იშუღლას, ხმაიც არ გაიტანასა.
მტერს იმის ძახილ რად უნდა: „შენ გიზამ იმას, ამასა?“
ვაი, რო შორით კვეხნამა ტყუილად ჩაიარასა!
ემაგის მალექსებელი ახალს გარმონზე სთვალავსა.

ჭალი რო შამოგეყაროს

ქალი რო შამოგეყაროს, აარიდოდე თვალიო,
ნდობას ნუ შაატყობინებ, მეეწონება თავიო.

ნეტავი იმას შემყარა

ქალმა დამწყევლა ლამაზმა, თმაშეღებილმა ინითა,
ნეტავი იმას შემყარა, ზარხოშათ ვიყო ღვინითა.

ქალმა დამწყევლა ლამაზმა: „ახლოს არ გაგიტარებო,
შორიდან დაგწომ, დაგდაგავ, კელაპტრად მოგიხმარებო!“



ქალმა თქვა: „ახალგაზრდასა სიცილით შავეპარები,
მუაკლეინებ სურვილსა, ახლოს არ გავეკარები".

ქალმა თქვა: „ქმარი არ მინდა"

ქალმა თქვა: „ქმარი არ მინდა, ნუ გამათხუებ, დედაო!
ნუ მიმცემ მეცხვარე კაცსა, თორო მაიზრობს ფეხსაო,
ნურც მიმცემ მონადირესა, გადმუარდება კლდესაო;
თუ მიმცემ, ისეთს კაცს მიმეც, რო იყოს გუთნისდედაო,
მრვიდეს გუთანზეითა, დამიჯდეს ლოგინზედაო.

ქალმა თქვა

ქალმა თქვა: „ქმარსა შავირთავ, ბედსა არ დავიკარგაო,
ჩავალ, დავჯდები წყლის პირსა, საყელოს დავიქარგაო".



ქალსა დედა ეუბნება: „ჩვენს რად დავა ბატარაო?!"
„ჩემა სწორა ვაჟაია, ჩემო დედავ, რად არაო?"

შროშანა

ქალსა ვისმე, ქალსა ვისმე ერქკა შროშანაო,
ხუთსა თითსა, ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედიო,
ბეჭდის თვალსა, ბეჭდის თვალსა მოლი მოსულაო,
მოლის თავსა, მოლის თავსა ნაძვი ასრულაო,
ნაძვის წვერსა, ნაძვის წვერსა ქორს ბუდე ედგაო,
ბუდე იყო, ბუდე იყო აბრეშუმისაო,
კვერცხი ჰქონდა, კვერცხი ჰქონდა იაგუნდისაო,
გადმოსჩეკა, გადმოსჩეკა მარგალიტისაო.
ღმერთო ერთი, ღმერთო ერთი ჩემთვის გაზარდეო,
სხვა ათასი, სხვა ათასი სხვისთვის გაზარდეო,
სანადიროს, სანადიროს გზა გაუწალდეო,
ინადიროს, ინადიროს, მოკლას ირემიო,
ეიკიდოს, ეიკიდოს, შინ მოიტანოსო.
მაგ ირემსა, მაგ ირემსა ბეწვი შეგლიჯეო,
მაგ ბეწვისა, მაგ ბეწვისა ჩოხა დამირთეო,
ნაგულარი, ნაგულარი წმინდა პაიჭიო.
ჩემო ქმარო, ჩემო ქმარო, ლომო და გმიროო,
მაგ ალვის ხეს, მაგ ალვის ხეს ტოტი შესტეხეო,
მაგ ტოტისა, მაგ ტოტისა სახლი დამიდგიო,
ნაფოტარის, ნაფოტარის — წისქვილ-ბოსელიო.

ქალს ნუ ჰკვლევ ჯვარობაშია, ტანთ ნათხოვარი აცვია;
ქალი თუ გინდა ლამაზი, დაჰკვლიე ქერეს მკაშიაl

მოხევის სიძლერა

ჭალს სილამაზე ხილადა ვთხოვე, — არ დამაძლევინა!
დავღონდი, წყალი მამწყურდა, წვეთი არ დამალევინა!
მომხედა, თოლნი შამყარნა, ნაწინწლებ წამაყრევინა;
დამრცხო, ავინთე, გავწითლდი, თავი ძირს დამახრევინა;
სიტყვები გადამავიწყა, ენა სულ ამარევინა;
არც მითხრა „მოდი“, არც „წადი“, არც თავი დამახწევინა;
ტიალი, რაი ყოფილა, თავ-ბედი დამაწყევინა;
დახე წყეულსა დიაცსა, რა დღემდე მომაღწევინა?!

უთავისო და თავისა

თავთავად ვერვინ გამოვცან, უთავისო და თავისა,
ყველას ჭრელ ჩიქილა ჰხურავ, ყველას ჭრელ კაბა სცვავისა,
გვერდს საწოლადაც ეგრეა, ჭალი სუ ქალსა ჰგავისა.

შემკობა

თავით ფეხამდინ შეგამკობ შენ, ჭალო, ამბარისებრო:
თავ-თმანო, მუხათ ნაზარდნო, სიშავით ყორნის ფროთისებრო.
შუბლო, ვერცხლისა ფიცარო, გათლილო ხუროისებრო,
ყურო, ირიბათ ნაზარდო, სიონის საყდარისებრო.
თვალო, წარბო და წამწამო, გველეშაპისა ფხისებრო.
თვალი გიყრია გიშრისა, ზღვაშია მორევისებრო.
ცხვირო, სვეტურებ ჩასხმულო, ბაგენო, ბალახშისებრო.
აქეთ იქითა ლოყებო, მინდვრისა ყაყაჩოსებრო,
ღრძილო, ტურფათ მოწყობილო, კბილო, მარგალიტისებრო.
პირში რო ენა გიგორავს ზღვაშია კალმახისებრო.
ტუჩებო, ხახვის ფურცელო, სიწმინდით ქაღალდისებრო.

ყელო, წვრილო და მაღალო, ზღვისპირსა ალვის ხისებრო.
მკლავნო, მაჯანო, გავანო, ჩაწყობილ ამბარისებრო,
ხელო და ხელის ლანჩანო, თითებო, ლერწამისებრო,
გულო და გულის ფიცარო, გათლილო ხუროისებრო.
ზედ რო ძუძუნი გიგორავს, ვერცხლისა კუტალისებრო.
წელო, წვრილო, და მაღალო, ზღვისპირსა ალვის ხისებრო..„

თებრონე მიდის წყალზედა

თებრონე მიდის წყალზედა,
კოკა უდგია მხარზედა,
კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ, თებრონეო.
კარგო, მოგივალ წყალზედა,
გაკოცებ ორსავ თვალზედა,
კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ, თებრონეო.
თებრონემ კოკა გაავსო,
თანაც შეიდგა მხარზედა,
კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ, თებრონეო.
მიდის და თვალი შეასწრო
ქოჩორა ბიჭსა გზაზედა,
კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ, თებრონეო.
თებრონემ კოკა ჩამოდგა,
მანდილს იფარებს თავზედა,
კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ, თებრონეო.
თებრონემ კოკა გატეხა,
ცრემლი მოადგა თვალზედა,
კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ, თებრონეო.
ბიჭმა თებრონეს აკოცა
იმ სოფლის შუა გზაზედა,
კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ, თებრონეო.
თებრონე მიდის წყალზედა,
კოკა უდგია მხარზედა,
კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ, თებრონეო.

დანიშნულს დაჰპირებოდა,
იქ ჩამოდიო წყალზედა,
კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ, თებრონეო.

თავფარავნელი ჰაბუკი

თავფარავნელი ჰაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა,
ზღვა ჰქონდა წინად სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა,
ვაჟი მიანგრევს ტალღებსა, გულ-მკერდი არა ჩქამობდა.
ცალ ხელით დოლაბი მიაქვს, ცალ ხელით ნიავქარობდა,
ზღვის გაღმა ერთი სანთელი გამოღმა კელაპტარობდა.
ერთი აესული ბებერი ვაჟისთვის ავსა ლამობდა,
სარკმელზე ანთებულ სანთელს აქრობდა, აბეზარობდა,
თან ამას ეუბნებოდა, „წინადაც ეგა გყვარობდა“.
ღამე ჩამოდგა წყვდიადი, უკუნს რამესა ჰგვანობდა,
ტალღა ტალღაზე ნაცემი ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა,
დაჰკარგა ფონი, შეშფოთდა, მორევი ბობოქარობდა...
გათენდა დილა ლამაზი, კეკლუცის თვალებს ჰგვანობდა,
წყალსა დაეხრჩო ჰაბუკი, ჭოროხზე ეგდო, ქანობდა,
წითელი მოვის პერანგი ზევიდან დაჰფარფარობდა,
ლეშს დასჯდომოდა ზედ ორბი, გულს უგლეჯავდა, ხარობდა.

თეთრი და შავგვრემანი

თეთრი ქალი ბრინჯს არჩევდა, შავგვრემანი სამარხოსა.
დამიტიროს თეთრმა ქალმა, შავგვრემანმა დამმარხოსა.

ძალი

თიეა მთიბლების ნათიბი ირმების ნაგელარია;
ნუ გინდა ქალი ლამაზი, ბევრის ყმის ნახელარია!

თიეას ვთიბ კარწაულთასა, ნარ-ეკალთ ვაწვივილება,
გულს ვუგლი ცოლიანებსა, უცოლოთ ვატირილება.

თორმეტი ულვაშკოკობი მე მოვკალ ქალმა იამა.
განა თავს რამე შევმატე? — ცოტა რამ გულზე მეამა.

სიყვარულის ბორკილი

ტიალი მწარე ცხოვრების რკინაც კი დამიკვნეტია,
ე სიყვარულის ბორკილი რატომ ვერ გამიცვეთია?
კაცს სამარეში ჩაჰყვება ზრდას დაყოლილი ბედია,
სიყვარულმ მომადრეკინა მოუდრეკავი ქედია.

უქმრო და უცოლო

უქმრუაის ქალის გული მინდორთ გახჭრის ქარივითა,
უცოლოის ვაჟის გული იწურება მხალივითა.
ქალი დედას ეუბნების: „გათხოვის ხან მამივიდა,
გამათხოვე, დედაჩემო, თორე ხან-დრო წამივიდა“.

ობოლივით ატირება

ქალებს ჰრელებ კაბები სცოვ, ბუბულაით ნაყიდები,
ყელზე ვერცხლის შიბებ უსხავ, ბოლო-ბოლო საკინძები.
რახან გზაში შამეყარნან, გამწყრალივით გავსცილდები;
რა გავსცილდა, გადმავხენებ, ობოლივით ავტირდები.

ქალ-ვაჟთა მდომიარეთა

ქალ-ვაჟთა მდომიარეთა ხალხი ბრმა-ყრუვი ჰგონია,
ის არ იციან საწყალთა, კედელსაც თვალი ჰქონია!

●

ქალი ვარ, მქვიან ქალთამზე, ქალური ვიცი ლხინია,
ვაქკაცსა ვეძებ, რას დავდევ, პეტრე ჰქვიან თუ ნინია.

მამიტანა მოყვარემა ბოღჩა დალიანდაგული,
ეხლა დავჯე ცეცხლთა პირსა, ეხლა დამიამდა გული.

ქალი და მეცხვარე

მანგლისი რო ააშენეს, წყარო ადინეს მილითა,
ადგანან კალატოზები, გვერდებს ულესენ კირითა.
შიგ ქალი ჩასვეს ლამაზი, თმა შეუღებეს ინითა.
მეცხვარე შემოეჩვია, ყველს უზიდავდა სინითა.
იმ ქალმაც ხელი შეუწყო, ღვინოს ასმევდა მინითა.
მეცხვარეს ქალი შეჰყვარდა, არ ახსოვს ცხვარი ბინითა,
გამოუცხადა იმ ქალსა თავის ბეჩავი პირითა:
„ნეტავი, ქალო ლამაზო, შენთან გამაძღო ძილითა“.
ქალმა შესწყევლა მეცხვარე თავის ლამაზი პირითა:
„მეცხვარევ, ცხვარი გაგიწყდეს, ეზიდებოდე ვირითა,
ვირებიც დაგკოვლებოდნენ, ურმებს იჭერდე ქირითა“.
ახლა მეცხვარემ შესწყევლა თავის ვაჟკაცურ პირითა:
„მანგლისიმც ამოვარდება, ქვა აღარ ედოს ძირითა,
შენ, ქალო, ლეკებს მიჰყავდე ვაი-ვაგლახით, ჰირითა,
უკან მოგდევდეს საქმარო თავისი დამბლა ვირითა,
მე მთიდან ჩამოვიარო ჩემი ცხვრითა და ბინითა,
დაგიხსნა, წამოგიყვანო ქამანჩითა და სტვირითა,
ერთად ვიცხოვროთ ბოლომდე, დრო გავატაროთ ღხინითა“.

წავიდა, გული წაიღო

მაღალ მთის მწვერვალს შეჰხვია შავი ნისლები ქარჰანა,
წავიდა, გული წაიღო იმ დედამომკვდარ ქალმანა,
ხედვითაც ვერა დააკლო ამ გამოსათხრელ თვალმანა.

შენ წადი

მე გხედავ, მზეო, არა ხარ შენ ჩემი დამათბობელი;
შენ წადი, მთვარე მოვიდეს, ღამე გზის მანათობელი!

დროება გამოგვეცვალა

მე და ქალ შავიყარენით, წვიმამ რო ჩამოიარა,
მე და ქალ გავიყარენით, წვიმამ რო გადაიარა.
„ვყოფილვართ ნათესავები!“ — ქალას გულს შამოეყარა.
„არა უშავს-რა, ქალაო, დროება გამოგვეცვალა,
რუსი დაგვიდგა ხელმწიფედ, ერეკლე გარდაგვეცვალა“.

სამი ქალის ჯავრი

მე ვარ და ჩემი ნაბადი გამთენებელი ღამისა,
დავწვები, ჯავრი ჩამყვება სამი ლამაზი ქალისა,
ერთია მეტათ ლამაზი, მეორე — ლერწამ ტანისა,
მესამე ასეთი არის, — დამყენებელი თვალისა.

მზე და მთვარე

მთვარეო, მთვარის ნალეო, ჰიჩოს-თავს მოდი მალეო,
ჰიჩოში ორი ქალია, ერთი მზე, ერთი მთვარეო,
ერთი შენ წამაიყვანე, ერთი მე წამამგვარეო.

სად არი?

მინდორთ რო სისხლის ტბა ბრუნავს, გადასაგდები სად არი?
შიგა წევს გველი წითელი, თავსა სძრავს, ბოლო სად არი?
ბევრსა ჰკლავს ბევრის სურვილი, მაგრამ გაგება სად არის?

იმედამა თქვა ქართული, მიტენ-მოტენა გუნება:
„ქალი რო დაიკოკრება, შინ აღარ უნდა ბრუნება!“

პატარუნა ქალაი ვარ, ყანასა ვმკი ღულითაო,
ჩემ დედ-მამათ რა იციან? — ქმარი მინდა გულითაო!



ბროლის კოშკი

ნეტავი ბროლის ქვა მამცა, კოშკი ამაშენებინა,
შიგ ლამაზი ქალი მამცა, თეთრად გამათენებინა!

შეყვარებულის გული

ნისლო, რად გიყვარს, ტიალო, მთებისად გადმოფრენაო,
ან ერთად შაყრა ღრუბელთა, კურუმად გადმოდენაო?!
გული მაქვ ნაჭრევიანი, არც მამირჩება ჯერაო,
ართუ რა არი წამალი, ართუ რამ იცის შველაო.
გულო, რა გიყვა ტიალო, ბორკილიანო ენაო?
სადრა მიიმღერ ნეტარა, ვაჟკაცო სვილისფერაო?
ნეტაინ ჩიტად მაქცია, ნეტავ ვიცოდე ფრენაო,
მოვფრინდებოდი შენთანა, ხო იცი ჩიტის ენაო?

ძაღლური პატივი

მათურისძირულნ წისქვილნი მარილის გულად შლიანო.
შიგა სხენ ქალნი ლამაზნი, ვაჟების გულსა გლიანო.
პირის საბანლად გამოვლენ, შუქნი მთათ გადივლიანო,
ვაჟასა შენისთანასა ჩალადაც არ ჩახყრიანო,
დაუდგმენ ძაღლის ბაგასაჲ შიგ ხოტათ ჩაუყრიანო.

თვალდახატული

სამუხში ცხვარი მეყენა, ალაზანს მედვა ბინაო;
მოვიდა, გვერდზე დამიჯდა, თვალდახატული თინაო,
ვაკოცე, მა რას უქმოდი, პირი რო მამი'შვირაო?

რა ვქნა, რომ ლექსი არა ვთქვა

სასიამოვნოდ შევშალე მლეთის ფერდობზე ცხვარია,
მე თითონ ქედზე წამოვწევ, კეკლუცად მიქრის ქარია.
საკოხეს გადმოვიხედე, სადაც რომ უცხო მხარეა.
თავქვე დავხედე საჯოგრებს, თვალ რასმე შევასწარია.
ჭოხის ბინაზე ტრიალებს წითელკაბაი ქალია.
შორიდან კოცნა დავუწყე, ახლოს ვერ გავეკარია.
დაბრუნდა, ქოხში შავიდა, ცრემლები ჩამოვყარია.
„ჩემის ცოდვითა, ქალაუ, მიწამ გაგიღოს კარია!
უდროოდ ჩამოგეშალოს ოქროსწყლისფერი თმანიაი!“
რა ვქნა, რომ ლექსი არა ვთქვა, გულს მომედება ალია!
ცხორი გრილოში მდგარიყო კვლიავით გამაძღარია.
დავჯექ, დავაწყვე ლექსები, როგორც ოსტატმა ქვანია.

მეზობლის სიყვარული

სიყვარულაიმც კრულია მეზობელშია ქალისა, —
რო არა გესაქმებოდეს, ჩავლა გინდარის კარისა.

●

სიცილი ელვას მიგიგავს, როდესაც გაგეცინება,
სილამაზითა მზეს ჰგევხარ, დილით რომ მოეფინება.

სურვილი

სურვილი სადამ გავგზავნე, შავკაზმე ქალებურადა.
ვისრა-რა კარზედ მიდგება, შაჰყვირებს ხარებულადა?
ვისრა-რა გადაეხვევა, ატირებს ქალებურადა?

სურვილის ვაშლი

სურვილისა ვაშლი მედგა, ფეხი შავდგი, შავხარეო,
შენ მაშინავ შამიყვარდი, რაწამს თვალი შაგყარეო.

იქნება...

რა გენაღვლება, იქროლოს ზენა ქარმა და ქვენამა,
იქნება ერთად შაგვყაროს ჩვენმა ბედმა და წერამა!

ტრფიალება

რა კაია ქალსთან წოლა, უბიაში ხელანია!
ცოცოტინან ძუძუანი, ვაშლის ოდოდენანია!
ჩემკვალაის ოშკაცისა წარბის-კვალან წვერანია!
ყურიაჩი ლოგინაი, სადაც უფრო ბნელანია!

ქალი და ტანისამოსი

— რაი კარგა ქალაია, ტანთ რო აცვავ დარაია!
— თუ ქალი თავად არ ვარგა, დარაიაც არაია!

?

როდის იქნება მოხვიდე, სიმინდო, სათოხნელადა?..
ქალო, ტუჩები გიღუის ბიჭების საკოცნელადა.

შემომითვალე

ანა ხარ ბროლი, ან ლალი, ყირმიზი ჩამონათალი,
ობოლი მარგალიტი ხარ, ფერსა ვერ გიცვლის ზამთარი,
თუ გძულვარ, თავსა მოვიკლავ, შემომითვალე მართალი.

მთქმელო, ვერ ამსრულებელო

არ გათენდება სთვლის ღამე, ღამებნელობა კი არი...
მთქმელო, ვერ ამსრულებელო, რაღა შენ სიცოცხლე არი?!
ნეტავი ვაჟად მაქცია, ქალი არა მქნა თმიანი,
მემრე შაგვყარნა ერთადა ორნივ ჰრელმათრახიანნი,
ვერც მაშინ გაიგებდია, რაც ჩემი გულის ზნე არი?!

არ მოგწონვარა

არ მოგწონვარა, ქალაო, არ მოგიდისა სულ-გული?
მოდი, მამაწყვენ გულზედა წყლიან ტიკივით ძუძუნი.

პერანგის საყელო

არურუ, მარიამაო, მოგიხე ღამიანაო,
ჩამოგიხიე პერანგის საყელო ძალიანაო.



არშისა მთანი დათოვნა კალთანი ალგეთისანი,
მომწონან თვალნი, წამწამნი, შენ რომ ხარ მაგეთისანი.

ერთად

ახლა შენ წადი ცხვარშია, წითელპერანგავ ქალაო.
ცხვარანი ერთად წავასხნეთ, ვიაროთ მხარდამხარაო.
სხვასთან ნუ ვიტყვით იმასა, რაც დედამ დაგვაბარაო.

შავო ბიჭო

შავო ბიჭო, შავი ჩოხა შავად შაგიშვენებია,
შენ მოგიკლავ ჩემი გული, სხვისი გაგიმთელებიას!

შენი-დ' ჩემ ყოფნა წავიდა

შენი-დ' ჩემ ყოფნა წავიდა, ერთურთსა ვნახავთ გვიანა,
შენი-დ' ჩემ ცოდვა იმასა, ვინაც შენ გაგაქმრიანა.

ნუ იტყვი

შენი პირიმე, ლამაზო, ნუ იტყვი: „წავალ წავალო!“
თუ წახვალ, წამიყვანოდი, შენი ვარ, განა სხვა ვარო?

რაზედ?

შენ კი გაჭო, ის ვაძაგო, რაზედ ავიძულო ისა?
ღრუბლიან დღეს შენ ანათებ, უმთვარეოს ღამეს — ისა!

შენ მოხველ

შენ მოხველ — მზეც ამოვიდა, მეც აქ მოვშავდი ქოლგილი,
შენ წახვალ — მზეცა წავალის, ვარდიც დაჭკნება, ყოილე.

ა ლ ნ ი

შენ რო გგონივართ, ვაჟაო, არცა ეგეთა ქალნი ვართ.
ჯოშკნი ვართ კირით ნაგებნი, ეკალდამაის კარნი ვართ,
მაღალ მთას გადამდინარნი წვრილნი ლემადის ქარნი ვართ,
იწრო ხევს ჩამამდინარნი ფონთგაუვალნი წყალნი ვართ,
ცეცხლნი, მინდორში ნაგზნებნი, ვაჟავ, — შენს გულზე
ალნი ვართ.

უკვდავებისა წყაროთ

შენ, ჩემო დიდო იმედო, კოშკო, ნაგებო კირითა,
კახეთს მოჭრილო ისარო, ქალაქს ნაღებო ინითა!
წითელო მოვის პერანგო, შვიდგან შეკრულო ღილითა.
ცავ წმინდავ, ვარსკვლავიანო, მზეე, დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო, ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო, შენთანამც წოლა-ძილითა.

შე ჩემთ გულის ლახვართ

შე ჩემო გულის ლახვარო, რა იარები, რა ხარო?
მოდი და ერთი მაკოცე, წავიდე, დედას ვახარო.



ჩავალ, ჩავაგებ ციხესა

— ჩავალ, ჩავაგებ ციხესა ბროლ-მარგალიტის ქვისასა,
ზეით გავხურავ ფიცარსა, აბანოზისა ხისასა;
შიგ დავდგამ ჭიქის ჭურჭლებსა, სავსესა სურვილისასა,
ყაჭ-აბრეშუმსაც ჩავკიდებ, საჩრდილობელსა მზისასა;
შიგ ჩაგსვამ, ჩემო ლამაზო, ნიავს არ გახლებ მთისასა.
— ვაჟაო, დედისერთაო, გაზრდილო მინდორ-ველთაო,
ოქროს შიბაის ნაგლეჯო, წამოსარტყმელო წელთაო;
მასკვლავო, შარავანდედო, მთვარის ნაჭერო ხელთაო,
ნურას ცბიერობ ენითა, ყელზე ნუ მახვევ გველთაო.

ჟალის ფიცი

ჩემთა ცხრათა ძმათა მზემა, მეათისა მამისამა;
აღდგომისა დიდმა დღემა, შაწირვამა კრავისამა,
შენს თავს არავინ მირჩევნავ, ფიცმა რა ქნას ქალისამა?!

შენ რადა-ღ?

ცეცხლო, თუ დამწვავ, წესი ას; შენ რადა-ღ, ნედლო შეშაო?
ქალო, თუ დამწყევ, წესი ას; შენ რადა-ღ, ქალის დედაო?
ხმალო, თუ გამჭრი, წესი ას; შენ რადა-ღ, კაცთა ენაო?



წახვიდოდე, მოხვიდოდე, განა წლისა საქალია?
შენ მინდოდი, სიყმეფუჯო, თვარემ ვაჟი მრავალია!

სანთლებურ

ჩემო უცეცხლოდ დამწველო, უღვინოდ დამათრობელო,
ვაჟო, თვალში ნუ დამკვლევ, სიყვარულს შეგვიტყობენო,
დაგვაშორებენ ერთმანეთს, თოვლივით გაგვაქრობენო,
შენ არაფერი, მაგრამ მე სანთლებურ დამადნობენო.

ქალიკელის ქალთათავი

ქალიკელის ქალთათაო, შაგავლიეს მთა-და-მთაო,
შაეიმც მიწა ჩამოგიშლის ფაფანაგის კალთათაო!

ქალო, გიხდება, ქამარი, ვერცხლის ღილები წელზედა,
ისე მშვენივრად დასდიხარ, ვით წყაროს წყალი ქვებზედა.

შემიხვიე

— ქალო, კრულო, განა მზე ხარ დილა გორით ამოსული?
შემიხვიე, გეხვეწები, მთას იქითით გადმოსული!
— არ მინდიხარ, არ შეგიხვევ, ცუდსა, ცუდის გვარისასა,
წახვალ, იმას დაიკვეხებ: „ხვევნას ვიყავ ქალისასა".
— ქალო, რო გითხარ ქართული, ცდით იყო, განა განგება,
შენ აძრახდომა მეწადა, შენის ავ-კარგის გაგება.
— შენნიმც თვალნ დამიტირებენ, შენის გულისად მოვკვდები!
როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკდები.



ქალო, ქალო კისკისაო, აქ ჩამოდი წყლის პირსაო,
ღვინოს გასმევ კულითაო, გაგახარებ გულითაო.



ქალო, ქერი ხარ ჩარათი, სად რასა დაეთესები?
ვაჟაო, მჭრელი ნამგალი, სამკალად დაემწყემსები.



ჭალო, შენეულ საკინძი იკელივში ჩამყვა თანაო,
ამავიტანე, ჩავხენე, კინაღ დავიეც დანაო.



ჭალ, შენის მოლოდინითა თოლს ძილი მოსდის ალარა,
თმა გამითეთრდა და გული ნაღველტიალამ დაღარა.

ინდი-მინდი

ინდი-მინდი, ფერად შინდი, ფრთა გაშალე, გადმოფრინდი,
გამომყევი, გამობრწყინდი, გამინათლე თვალთა ბინდი,
შენთვის სიკვდილს არ შევშინდი, უკვდავების წყარო შინდი.

თეთრ ჭალს

თეთრო ჭალო, თეთრი კაბა თეთრად შაგიშვენებია.
ჭაღალდივით ძუძუები გულზე დაგისვენებია.

შენ — არა!

ტურფა ბაღი და წალკოტი ეკლითა ვინ-მე შენარა,
კარი შეაბა რკინისა, კლიტე მე მომცა, შენ — არა!
სიკვდილსა შენსა სანაცვლოდ თავსა მე მივსცემ, შენ — არა!
ვაჰ, თუ ზედ ისიც დამერთოს, მე მიყვარდე და შენ — არა!

ენა და ჰორი

ფეხნი წინ, გზანი უკუღმე, თვალნი შენკენა რჩებიან,
ენათაგან და ჰორთაგან ერთად არ მიგვესვლებიან!

●

ქალებო, თქვენი ჭირიმეთ, ნეტავ ვინა გყავთ პატრონი?
ამაღამ ჩემთან წამოდით, მეხრეები ვართ მარტონი!

აქ მოდი

ქალი არკვევდა ნარკვევსა, ტურფად უქცევდა ცხრილსაო.
სიცილით გამომიჩენდა მარგალიტივით კბილსაო.
„აქ მოდი, მანდა რასა იქ? მარტო რას აქნევ ძილსაო?
გიჩვენებ ბროლისა მკერდსა, გაგახსნევინებ ღილსაო“.

ვირზე შამჯდარი

მარიამ, ჩემო დობილო, თეთრო მაისის წვიმაო,
ბევრ ქალი შასვა ვირზედა ფერად-ფერადის მძივმაო,
ვაჟებთან ლოგინობამა, სამაიამა-დ' ლხინმაო.

ტივლად

მე ვთქვიდი: „კარგი ქალი ვარ, არა ვარ საძრახიანი".
შენგან დამეთქვა, ვაჟაო, დღემც დაგიბნელა მზიანი!
სახლიმც დაგჩება ტივლადა, მორთული, სარათიანი!
ცხენიმც დაგჩება ტივლადა, კარს გიბავ ნალ-უსმრიანი!
ცხვარიმც დაგჩება ტივლადა, მთას გიდგა თვირთვილიანი!
ცოლიმც წაგივა შინითა მტირალი, თვალცრემლიანი!

მე შენ მინდი

მე შენ მინდი, შენმა მზემა, მე შენ მემშვენიარები.
დღისით მეფერები მზესა, ღამე მემთვარიანები.

მზე თუ ხარ

მზე თუ ხარ, დაბლა ჩამოდი, მაღლა მთას რას ეფინები?
ქალო, შენ ჩემად ნათქომო, ახლა სხვას რად ეპირები?

●

მზე წავიდა ბუდისაკენ, ჩასასვლელად ეღირება,
გოგოვ, შენი ერთი კოცნა მთელ ქვეყანად ეღირება.

მივალ გურიაში, მარა...

მივალ გურიაში, მარა სულმა წინ-წინ გეიპარა,
მივსდიე და არ დაბრუნდა, არც მიიღო ქრთამად ფარა.
ერთი ჩემი საყვარელი ამ ქვეყანას მრჩები, მარა
აღრიანად გეახლები, არ მოვკვდები, არა, არა!

●

მითომ მშიშარა არა ვარ, ბიჭი ვარ აფთარივითა,
მაგრამ შენს ახლოს რა მამდის, რადა ვარ დამზრალივითა?!

მითხარ

მითხარ, თუ ჩემი არა ხარ, სხვაგან გავხდები ღონესა.
საგონებარში ჩავვარდი, როგორც კამბეჩი მორევსა.
ვიზიდნე, ველარ ამოვხე, დახედე ჩემსა ღონესა!
წყალს კიდევ დაეძინება, მე — არა, შენსა მგონესა!

მეძროხე ქალს

მინდორში ჩამოგირეკავ, ქალო თვალ-კოკო, ძროხები.
ადვილად დაგეწყემსები, როცა ხენა-თესვას მოვშრები.
ავდარს არ გაგაწუწვინებ, ჩემს ნაბადს დაგიქოხებდი.

●

მოუსვი, მოუცურდება კალმახი ორაგულზედა.
კარგია, ქალო ლამაზო, შენი გორება გულზედა.

●

ლალისფერი გაქვს ლოყები, თეთრ გედს მიგიგავს ყელია,
ლერწამის ტანი გერხევა, თვალები კაცის მკვლელია!

●

იამა გშობა შობითა, ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა, შეგამკო სურნელებითა.

ყველა გაგიშტერებია

იმერეთი დამივლია, ქართლი შემიჯერებია,
არ მინახავს შენისთანა, ყელი მოგიღერებია.
წამწამსა და წამწამს შუა ბაღი გაგიშენებია,
შიგ სურვილი ჩაგისახავს, ყველა გაგიშტერებია.

სამაია

სამაია სამთაგანა, — რა ტურფა რამ ხარო;
სამაის თავი მიყვარდა, — რა ტურფა რამ ხარო;
ლისო, ლისო, ქარი ქრისო, — ლისიმ დალალეო;
შევარდენი ფრთასა შლისო,—ლისიმ დალალეო;
არიგებულ, ჩარიგებულ, — რა ტურფა რამ ხარო;
დაუვლიდი, დაჰყვებოდი, — რა ტურფა რამ ხარო;
ლისო, ლისო, ქარი ქრისო, — ლისიმ დალალეო;
შავარდენი ფრთასა შლისო, — ლისიმ დალალეო.

ზიარი ყანა

ნეტავი, ქალო, მე და შენ ყანა რამ მოგვცა ზიარი,
შიგ სამარგალიმც გაჰრია ფათალა-მხვევრაიანი.
გვავლევნა სამარგლავადა, ნაპირი მისცა ტყიანი.

ნეტავი, ჭალო, მე და შენ ერთმანეთს დაგვატოლაო,
რომელიც მეტი მოვიდეთ, მაკრატლით დაგვასწორაო.

მენაც იქ მოვშავდებოდი

ნეტავ ფრინველად მაქცია, დამსვა მაღალსა მთაზედა,
ჭალო, შენს წამამყვანელსა, გამუდგებოდი კვალზედა.
მენაც იქ მოვშავდებოდი, სადაც შენ დაგსმენ ჯარზედა!
საკმისას ჩამოვხედნებდი, თვალს შაგავლებდი ტანზედა.
რარიგად შაგიხდებოდა, ვის დაგიწვენდნენ მხარზედა!
ჩემ სწორებ კარგებ ვაჟები, დასხდება ღვინის სმაზედა.
მამერევიან ტირილნი, ქუდს მივიფარებ თვალზედა.
მე ხო ეგ აღარას მარგებს, ისივ თუ წავალ ცხვარზედა.
გუნებას შავახალიზებ იკვლივ-იალნოს მთაზედა.
მამიგონოდით, სწორებო, რომ ჩამაჰსხდებით სმაზედა!

ნეტავი რადმე მაქცია

ნეტავი რადმე მაქცია, ბულბულად გადამაქცია,
ბულბულის ენა მასწავლა, ბაღებში შემომაჩვია,
დავკონო ოქროს კონები, დავფერო ვერცხლის წყალშია.
საღამო ხანზე გაახლო, ჩამოგიყარო ბანშია,
დილით რო გამოსულიყვე, შიგ ჩაგეხვიოს კავშია.

ფიფქი

ნეტავი, ქალო, ფიფქი მქნა, ხეე-ხეე ჩამოვყვე ნიავსა,
არცა-რა შენ დაგიშაო, არც თავს მივცემდი ზიანსა.



ნეტავი, ჩემო ბაბალე, აქისას ჩამოგატარა,
რო გაგშინჯავდი კარგადა, — დიდი ხარა, თუ პატარა?

ნეტა რა დედამ გაგზარდა

ნეტა რა დედამ გაგზარდა ეგეთი მშვენიერიო? —
ზრდილი, ქველ-გმირი, მამაცი, ბრძენი და გონიერიო!
გიხდება ბრტყელი მხარ-ბეჭი, წვრილი, წერწეტა წელიო,
ტურფა სახეზე თვალ-წარბი, შავი ულვაში, წვერიო.
მოძმისთვის თავის გაწირვა, საჭირნახულო დღენიო.
იარაღთ ჩაწკიპულობა, ცქვიტი, მფრინავი ცხენიო,
გული ამაყი, ფოლადი, მკლავი მტრებისა მსვრელიო!
ქვეყნის ორგულის დამსჯელო, ხარ მათი სისხლის მსმელიო!
ნეტა რა დედამ გაგზარდა ეგეთი მშვენიერიო?
მოყვარე ღმერთმა გიცოცხლოს და გაგიწყვიტოს მტერიო!

ნისლი წავიდა ცისკედა

— ნისლი წავიდა ცისკედა, ნამი შაბერტყა ქარმაო,
ჩამოვაბნიე ცრემლები შაწუხებულმა ქალმაო.
ვაი, რო პირს რო ვერ უტეხ დედა-მამასა, ძმათაო,
თორო შინ მაგივიდოდი, არ ვაუბნებდი სხვათაო.

— მე შენსკენ გამავემართე, შამავხვდი გველის ჯარსაო,
დაძრა სუყველამ ენაი, შენ თქვეს: „სხვას ირჩევს უმასაო“.
მივბრუნდი გაფოთებული, შაუგმი თავის თავსაო:
„რად არ ჩავიცომ ბეგთარსა, რად არ შავიბამ ხმალსაო,
ავკაფავ ლეკებურადა შენ შინ წამყვანსა ქმარსაო?!“

ნუ იცინი, ნუ მაცინებ, — გაგვაჭორიჭორებენო,
შაგვიტყობენ სიყვარულსა, — გაგვაშორიშორებენო.

ოქროს დიელა

სამგორისა მინდორზედა, ოქროს დიელა,
თეთრი ცხენი მოგოგაედა, ოქროს დიელა,
ზედ იჯდა ბიჭი ლამაზი, ოქროს დიელა,
ჰქონდა ულვაში ქერაი, ოქროს დიელა,
უკან მოსდევს კოჭლი გოგო, ოქროს დიელა:
„ბიჭო, აქეთ მოიხედე, ოქროს დიელა,
სიკოჭლითა რას მიწუნებ, ოქროს დიელა,
განა კურდღელს მადევნებო? ოქროს დიელა,
სახლსა კარგა შეგინახავ, ოქროს დიელა,
თაროს დაგიკრიალებო, ოქროს დიელა,

ჯამებს კარგა დაგირეცხავ, ოქროს დიელა,
კოვზებს დაგიწკრიალებო, ოქროს დიელა,
შვილებს კარგა შეგინახავ, ოქროს დიელა,
ერთს არ დაგიზიანებო, ოქროს დიელა,
საფეიქროს ჩავუჯდები, ოქროს დიელა,
მაქოს დავატრიალებო, ოქროს დიელა,
ჩოხა-მერდინებს მოგიქსოვ, ოქროს დიელა.
ფულებს ჩაგიჩხრიალებო, ოქროს დიელა,
ახალუხსა შეგიკერავ, ოქროს დიელა,
ღილებს დაგიკრიალებო, ოქროს დიელა;
მაუდის კაბას შეგიკერავ, ოქროს დიელა,
კალთებს შაგიშრიალებო, ოქროს დიელა,
პურსაც მალე გამოგიცხობ, ოქროს დიელა,
ჯერს არ დაგიგვიანებო, ოქროს დიელა.

გაჯავრებ!

სანამდ ქალი ვარ, გაჯავრებ, არ დაგილევა ჯავრსაო:
გზაზე რომ შემოგეყარო, არ დაგიგდება გზასაო,
გზის თავში შეგიფრინდები, მაღლ შეგირეკებ თავსაო.
გადავალ გომეწრისაკე, სანთლით შევარჩევ ქმარსაო,
თუ იქად ვერა ვიშოვნე, ხევსურთ გადავყვებ ყმასაო.
ხევსურსაც ისეთს გადავყვები, დღეთ-შუ ლესავდეს ხმალსაო,
შინ სტუმარ შეუდიოდეს, აბჯარნ ულეწდეს კარსაო,
ლაშქარს წინ ჩაუძღვებოდეს, ჩასწრეხდეს შუბის ტარსაო.

სიტყვა ფიქრია მღელვარე

სიტყვა ფიქრია მღელვარე, ჩემ გული — კალმის წვერია,
ქაღალდზე შავი მელანი — დამდნარი გულის წვენია;
ამ გულის წვენით ნაწერი, ქალავ, ალერსი შენია,
რაც ჩემს გულს ცეცხლად ედები, მეორ-მესამე წელია.
გშორდები, ფიქრი მატულობს, გულის, გონების მწველია.
ბედკრულს ნურავინ დამითმობს, კარგის დათმობა ბნელია,
ხომ იცით, წუთისოფელი რამდენად ცუდის მქნელია?!
ან შენ რამ დაგემართების, მგმობი გავხდები ბედისა,
ან მე გამრიყაეს ჭალაზე ზვავი დაღისტნის მთებისა,
ან კლდეზე გადავვარდები, ჯოგი დამესხმის მგლებისა,
ან ტყვია შემათამაშებს გამოსროლილი მტრებისა,
სალეკოს მოიფანტება ნათოსი ჩემი ძვლებისა,
ჩამომყვებიან ყორნები, ჩრდილი დამფარავს ფრთებისა.
რა მამა დამიღონდების, რა დედა ატირდებისა?!
შენ მაინც დამიტიროდე, ჩემებრ ტანჯულო ბედისა;
მე ჩემს გეძახი, ვინ იცის, იქნება იყო სხვებისა?
მოსწამლე ჩემი სიცოცხლე, წუთები მოსვენებისა...

არ შაგრჩება

სიყვარული არ გცოდნია, არც მამწერე ბარათიო,
დამივიწყე, გადამაგდე, როგორც ძველი ხალათიო,
არ შაგრჩება, ღმერთის მადლმა, ქალავ, ჩემი ღალატიო!

სიყვარული და ნდობა

სიყვარულმა და ნდობამა სიკვდილ არ იცის ქალისა.
ნეტავი ნისლად მაქცია, გადმოვიღლიდი ქარითა.
იქ დავიწყებდი წვიმასა, სადაც შენა ხნავ ხარითა!

რა ბევრი მიტირებია

რა ბევრი მიტირებია, რა ბევრი ცრემლი მდენია:
არც გული გამამიცელია, არც ამიღია ხელია!
როდესაც მამაგონდები, მედება ცეცხლის გენია!
სახსოვრად დამრჩა თვალ-წარბი, ოქროს ულვაში შენია,
შენი ულვაშის ჩრდილები შენს სახეზედა ჰფენია!
ირმებისა ხარ სტუმარი მესამ-მეოთხე წელია;
აღარ ერგება ტყვიაი, ძმაო, ნასროლი შენია;
თოფი ლიშანზედ მიგიდის, წელთა ხმალი გრტყავ მჭრელია;
ნეტავი ჩაგაგდებინა შენის გუნების ცხენია!
თუ სამართალი ვერ გიყონ, ამოსწყდეს ფშავის-ხევია,
ძირითამც ამოვარდება, მგონია, თორმეტ თემია!
მოგიკლავ ცოლის წამყვანი, შენ სხვა რა წაგიხდენია?
დამიწერია ბარათი, ზედ მამიწერავ ხელია,
გამამიგზავნე მალვითა, ძმაო, ბარათი ჭრელია!
არავინ დაგაღალატოს, არვინ მოგკიდოს ხელია.
სახელად თამარი მქვიან, ეგრე თიკუნად — ლელია;
ოთხ წელსა გგონობ შორითა, სიყვარულ მეტად ძნელია!
ტყეში ვერ ვიცნი შენ სახლნი, არა მაქვ მოსასვლელია,
გამამეგზავნა პერანგი. შენს ტანზედ ჩასაცმელია,
შენთანამც მამცა სიცოცხლე, შენთანამც მამჭრა ყელია!

ჟალის ნათქვამი

ასეთნი მამისძმანი მყვან, მთას შორებულად ჰქრიანო,
ვაჟასა შენისთანასა წელზეით ხმალსა ხსნიანო,
სწადიან — დაატყვევებენ, სწადიან — დაიხსნიანო.

რა გაჰყრის

დაბნეულს ფეტვის მარცვალსა რა აჰკრეფს წიწილის მეტი,
მე და შენსა სიყვარულსა რა გაჰყრის სიკვდილის მეტი?!

ვერცხლის კალო

ვერცხლის კალოს ნუ შამოხვალ, ფეხი აგიცურდებაო,
შამოგყვება სიყვარული, გასვლა გაგიჭირდებაო!

●

გაზაფხულისა პირზედა შაშვმა დაიწყო გალობა,
დამადნე სანთელივითა, დაიწვას შენი ქალობა!

გამიშვი

გათენებულა, გამიშვი, თავსა ნუ მამაკვლევინებ,
თოვლისა ყაპყა მოსულა, კვალსა ნუ მააკვლეინებ,
გაჯავრებულსა ჩემს ქმარსა ჩემს თავს ნუ მააკვლეინებ.

თვალ-წარბის გრილი

გაღმით-გამოღმით სოფლებსა შამაჰხვევია ნისლია,
ნეტავი, შენი ჭირიმე, ნდობას არ მიჰცა შიშია,
რო მოვიდოდი შენთანა, ჩაგეკვრებოდი პირშია,
დაიმალება ხოხობი შენის თვალ-წარბის გრილშია.

რა ვუყო?

გოგოვ, მაგ შენსა სურვილსა სად წაუვიდე, რა ვუყო?
მაგრა შევკოჭო საბლითა, რო ვერა ვზიდო, რა ვუყო?
ძირს დედამიწას დავემხო, ქვეშ ჭიანჭველას ხმა ვუყო,
სული გამჩენ ღმერთს შევწირო, ლეში ყვავ-ყორანს გავუყო,—
მაინც არ შეგებრალები, თავს უარესი სხვა ვუყო?

გოგო, გოგო გულქანაო, ლამაზო და მსუქანაო,
ნეტავ შენი თავი მომცა ჩვენი კალოს უკანაო.

გზა ყივის

გზა ყივის წამავალისა, დამწოლელისა ლოგინი,
მოდი თუ მომავალი ხარ, მამწყინდა შენი ლოდინი.
თუ ამაღამაც არ მოხველ, მიწამ დაგიგოს ლოგინი.



გორი-გორ ჩამოხვიდოდი, მაჰქსოვდი ჭრელის წინდასა,
შენამც დამმარხავ, ქალკუპრო, შენამც დამაყრი მიწასა.

დამასტესა ვმკი ყანასა

დამასტესა ვმკი ყანასა, ძნა მამდევს ჯარი-ჯარასა,
წყალს არვინ გამამახდინა, ცრემლი მდიოდა ღვარასა.
მიჩელიშვილო ლაგაზო, შარჩი შენს დედა-მამასა!
წყალსა შენ გამამახდინე, შამისვი ცხენის გავასა;
დამინდე, არ მიღალატე, ქალმ თავი მოგეც ნებასა;
აიქამც გაგემარჯვება, ხმალნი რომ ჩავლენ გელვასა,
მოციქულობდენ ტყვიანი, შუბნი იქნევდენ ენასა!

ოღომც კი

დილის მზე ამოყაყანდა, შენ ამოუძველე წინაო,
შენი სურვილი ჩამეჭრა, აღარ მაყენებს შინაო,
ოღომც კი შემატყობინე, გექნება ჩემთვის ბინაო?



ვაქაცო, გულად ნავარდო, ქოჩორი შენი მიყვარსო,
შენ თუ არ მოხვალ ჩენთანა, მე შენთან ვინ მომიყვანსო?!

არიელ-გარიელა

ბევრ რაიმ გამიგონია არიელ-გარიელაო,
ბევრ შენისთანა ვაჟაი გამიშვავ ცარიელაო.

ბიჭო, ვისი ხარ?

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი? დაურჩი დედაშენსაო!
საქმე რომ არა გქონდეს-რა, ჩამოირბენდე ჩვენსაო.
მოგიხდი ქვევრსა პატარას, მეც მოგიჯდები გვერდსაო.
დავლევ და დაგალევინებ, არაკებს გეტყვი ძველსაო,
ვიმღერ და შენცა გამღერებ, ლექსებს გასწავლი ბევრსაო.

ჭალბნელს

ბოსლის კარზეით ამოდის, ჭალბნელო, შენი ლხინია,
ანათებ ცისკარივითა, მთვარეს მიგიგავ პირიაც

●

გადამაგდე და გამტყორცნე, როგორც ჩერჭეზმა ისარი,
შენ ჩემს გულს ვეღარ მოიგებ, ჩემი სათქმელი ის არი.

სურვილს მოკვლევინებული

გავხენე, წყალსა ჩახჭონდა თეთრი მაჟალო ნასეტყვი.
თუ სურვილს მამაკვლევინე, ქალო, დედაჩემს რას ეტყვი?

●

ფერი ლალ-ღვინოს მიგიგავს ჭიქაში მდგომიარესა,
სასუფეველი რათ უნდა შენს მკლავზე მწოლიარესა?
მზენი არ დაიჩრდილება მაგ შენსა არემარესა.

ქალ-ვაჟის სიტყვა-პასუხი

— წინ-წინ გნახე, ვაჟკაცაო, მაჩვ მეგონე საღარიო.
ეგეთ გასხავ წვერ-ულვაში, როგორც ღორის ჯაგარიო.
— ერთ მუხლად რო გამავიქცა, დიღმის ბოლოს გავვარდები;
ქალო, შენთან არ დავწვები, ჯოჯოხეთს კი ჩავვარდები!

ფიცი

წიპრია ჩიტის გაზდამა, ტოროლას გალობამაო,
შენს თავს არავინ მირჩევნავ, ბატონის წყალობამაო!



ანთებულ სანთელს გამზგავსე

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეო,
სულ დავიარე ხმელეთი, ვერ ვნახე შენი სახეო,
ანთებულ სანთელს გამზგავსე, ცისკრის ლოცვაზე გნახეო,
ხელში გეჭირა ყმაწვილი, ფარსაგ ვერ დაგინახეო.

ჭალა-ჭალა

ჭალა-ჭალა შემოდიან მიმინო და მწყერიაო,
აქ მე რაიმ გავიგონე, მანდ შენ რაიმ გწყენიაო.
ქვეყნის ენას ნუ ჩავყვებით, ჩაგრეხილი წნელიაო,
გვაშურებენ ერთმანეთსა, ყველა ჩვენი მტერიაო.

ცხელმა ნიავმა დამჭროლა

ქალაუ, შენმა მერდინმა ჰაერში გაიფრიალა,
სახე გამოჩნდა, თოლებმა ელვასებრ გაიკრიალა,
ცხელმა ნიავმა დამჭროლა, გზად შენკენ დამატრიალა,
გულს ცეცხლი შემომეყარა და ჩალად ამაბრიალა!

ქალის შეთვლილი ვაჟთან

ავდარიმც გაგიდარდება, რო შამაჰხდები მთაზედა,
მაგ შენის ბროლის ფეხითა იარებოდე ნამზედა.
დაგიქსოვ ჭრელის წინდათა, წავალ, დაგირეცხ წყალზედა.
მაშინის გამოგიგზავნი, ნეფედ რო იჯდე ჯარზედა,
ქალის ძმასა და ეჯიბსა შენ ევლებოდე თავზედა.

თავის გუნების მიყოლა

ავი და კარგი გაცადე, ვერ გაგაგონე, ქალაო,
შენი გუნების მიყოლა ვაჰ თუ ინანო ხვალაო!

ვაჟი და ქალი

— აიმ მთაზედა ყორნები ბუდობენ, არ იშლიანო,
რა ვქნა, რო არ გადმოგხედო, თვალნი არ დაიშლიანო.
— რას გამამრჩები კვლევითა, მიწანიმც ჩამოგშლიანო!

ამიარე, ჩამიარე

ამიარე, ჩამიარე, ფეხი ჩამიბრაცუნეო,
თუ ბნელაში ვერ მამხელო, ხელი მომიცაცუნეო.

ამოდუღდი, მარგალიტო, ნაგუბარში ჩადეგ, წყალო,
არც იგეთი ლამაზი ხარ, — რა თავს იმადლები, ქალო?!

ვერ მამრჩები

ვერ მამრჩები, შენმა მზემა, ქალო, შენის სიფრთხილითა;
ერთხელ ხო კიდევ იქნება, ჯერ მოგერგოს წისქვილისა,
ალატთ უკვენ გადმოგიჩნდე, ეშმაკივით სიცილითა.

სიბერე ძნელი ყოფილა

სიბერე ძნელი ყოფილა, შავი ქვა აეწონება,
დამჯდარი ვეღარ ადგება, ყავარჯენს დაეღონება.

როსტომ თქვა: „სიბერკაცითა სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
ჯაჭვი პერანგად გავცვითე, ეხლა აღებაც გაჭირდა“.

—

პირ კი ვერ გამამიკერე

ფილიპემა თქვა: „ოხერი შამამეპარა სიბერე,
ჩამოვჯე დაფიქრებული, დარდიან გულით ვიმღერე.
ოხერო წუთისოფელო, რა უგონებლად მიმტერე,
სიზმრად მამპარე სოფელი, სიყრმით გულ ველარ ვიჯერე,
ჯანსაც დამაკლე, მუხლსაცა, ჩემზე ყელ წამაიღერე.
სუყველაფერში მაჯობე, პირ კი ვერ გამამიკერე".

❸

ბერიკაცი თვრესო, ვაჟკაცს ერთი ხვდესო,
ყმაწვილს სუნი მიუვიდეს, — ღმერთს თაყვანი სცესო.

❹

ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ, ყველა დაგიწყებს გმობასა,
სადაც კი შემოგეყრები, გეტყვი შვილსა და ძმობასა,

ნუ სჩივი

ბერო, ბერობას ნუ სჩივი, მაკლებას თვალებისასა,
ეცადე ჭკვა-გონებასა, რიგებას სოფლებისასა.
აიჯუფთების სწორები, ნუ მაუწონებ, ხვთის მადლსა!
გაუჯავრდიდი სწორადა თავისასა და სხვისასა.
ჯერ ბოლოს გაიკეთებდი, მემრ — გზასა სულეთისასა.

დავბერდი, დავჩაჩანაკდი, წვერი გამიხდა ჭაღარა,
შინ ჯალაფთ მოვძულებივარ, ბატონს უნდივარ აღარა.

სახსოვარი

დავბერდი, აღარ შამიძლავ, გული არ ითმენს, ვწუხდები,
რაც მოდის, უნდა მოიდეს, იმას ვერ გადაურჩები,
ვერც მუაბრუნებ უკანა, ვეღარც წინ გადაუდგები,
ვერც ხმელზე დაემალები, ვერც წყალში ჩაუცურდები.
ვინაც საწუთროს გადამცა, იმასავ დავუბრუნდები,
იქ არი ჩემი სამკვიდრო, აქეთ ვერ გამოვბრუნდები.

დამძიმებულა მუხლები

დამძიმებულა მუხლები, თმაში გახშირდა ჭაღარა,
დუშმანიმც დაბერებულა, გავჯეილდები აღარა.
ვერ გამიგია, რა მოხდა, გუშინ ბალღ კიყავ პატარა.
წასულა წუთისოფელი, რეგვენო, მიხვდი რად არა?
დღეს თუ სვალ დაიძახებენ: „იყო და არი აღარა!“
იმათ რიცხვს მივემატები ვინაც შავ მიწამ დაფარა,
სამარის კარზე მიტირებს სამგლოვიარო ნაღარა...
წესი ასეა, — ცხოვრება მოძრაობს როგორც მანქანა.
იმას არც მიწა ღებულობს, ვინც მრუდე გზაზე დამდგარა.

ვადა გაუდის

ვაიმე, დავბერებულვარ, ველარა ვმხედრობ ცხენსაო,
ვატყობ, რო ვადა გაუდის ჩემ სიჭაბუკის დღესაო.
სიბერეც შამამეპარა, გადამაცილა წრესაო.
გვეცლება ახალგაზრდობა, როგორც ფოთოლი ტყესაო.

ვაი, ჩემს ამ დროთ მოყრასა!

ვაი, ჩემს ამ დროთ მოყრასა, ჩემს ამის მოხილებასა! —
ენას ჩამედვა ბორკილი, თვალთ მიშლის ახილებასა;
ველარც ვის სიტყვას შაუქცევ, ველარც ვის — შაგინებასა.



●

ღმერთი და სულნი წმინდანი ერთმანეთს შეამკობენო,
კაცსა მტყუანსა, მართალსა კაცნივე შეატყობენო.

●

დაჯექი, ჩიტო ნიბლიავ, ნუ ეტანები ნარსაო,
დაგეტანება მიმინო, ბუმბულს გაატანს ქარსაო.

●

ალალეს შიშით ვერ წავა ნიბლია ჯვარობასაო,
და, თუ რომ გაიპარება, ვერ იტყვის გალობასაო.

დაეხსენ

დაეხსენ არმის ჭამასა, დადექ ალალსა რჯულზედა,
თორემ შენც მოგაგონდება, ხელთ რომ დაგიკვრენ გულზედა;
ეშმაკნი ანგელოზებსა ეცილებოდნენ სულზედა.



ღამევ, თენდი! ღამევ, თენდი! ღამევ, რად არ გასთენდები?
ამდენს მიდმორობაშია, მგელო, რად არ დაჰბერდები?
რაიც მოგარგინა ღმერთმა, გულო, რად არ დასჯერდები?!



შილდის-თავს ჭორი ნადირობს, შილდის ბოლოზე არწივი,
ჭორი უბარებს: „ჩამოვალ!“ — „არ ჩამოგიშვებ!“ — არწივი.
ერთურთს ნუ დავალეინებთ, თავ-თავად მივსცეთ ადგილი.



შავს ლუდსა, წითელს ღვინოსა, განა სწორ-სწორად სმა უნდა?
ენაზე მოსულს სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა?
ფარი და ხმალი ვაჟკაცსა, ლამაზად ხმარება უნდა.



შაიყრებიან ყორნები, არ გაირევენ ძერასა...
კაცი ვერცაით მაჰრჩება თავის ბედსა და წერასა.



შვილნი თუ გყვანდან ბევრანი, ერთი ნუ გინდა სხვის მეტი,
სოფელსა არ-დარეულსა არა არიგებს ჭკვის მეტი,
მტერ რახან არ გიჯერებდას, არა აყენებს ხმლის მეტი.



ავსა ავისა მდომარეს ავისა უდგა ლოგინი,
მამასაცა და შვილსაცა ავისად უნდა ლოდინი.



ეკლის ადგილზე ამოსვლა ეკლისა არის წესია,
მოხუცი მომკის იმასვე, რაც სიყრმით დაუთესია.



ენითა მუნჯი სჯობია ავმეტყველ მოუბარესა,
ათასი მტერი სჯობია ერთ უმსგავსო მოყვარესა.



ეს წისქვილის ქვა არისო, მისი წესი ფქვა არისო,
როცა კაცი არ შეისმენს, იმისთვის თქმა რა არისო?



წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო,
მაისრდებიან ობლები, მამულზე დადგებიანო.

ფილიპემა თქვა: „სოფელსა ყური რო უგდო, ყრუვდება,
სიჩუმე უნდა, — ღრიალებს, როცა ხმა უნდა, — ჩუმდება.
ღმერთო მართალო, ქვეყანა, მიკვირს, არ გადაბრუნდება?!“

—.—

ფილიპემა თქვა: „ქვეყანა აშენებულა ორითა;
ხელიხელს ჩაკიდებული სიმართლითა და ჭორითა,
სიმართლე უნდა იყიდო, ან დაიჭირო ომითა,
მეჭორეობა მუქთია, მაგრამ ერიდე შორითა“.

—.—

ფილიპემა თქვა: „სოფლისა გული გავსინჯე რა იყო,
მისდღეში დაულპობელი ძირუპოვარი ქვა იყო,
ენაც გავსინჯე, მაგრამა თვალუწვდენელი ზღვა იყო“.

●

ნამუსისთვისა გამოვა ულვაშები და წვერია,
რაც გინდა ელაპარაკე, თუკი კაცს არა სცხვენია.

●

ნუ სცრუობ, ნუ ამპარტავნობ, ნუ ეთელები ქალთაო,
გაჭირდეს, გამაექცევი ამომღერებულ ხმალთაო.

●

ნუ იამაყებ, თუნდ იყო ცხრათავი ბაყბაყდევია,
ნუ იტყვი: „ის რას დამაკლებს, მე ვარო მძლეთა მძლევიაქ“
გახსოვდეს, კოვზსა პაწიას დიდი ზღვა დაულევია,
ალვის ხე ცამდე ასული ჭინჭველას წაუქცევია.

სოფელი და სოფლელი

მე სოფლის თავსა ვესახლე და არ სოფელი ჩემს თავსა,
სოფელი კარგა მთავსობდა, მე რომ სოფელი მეთავსა,
რაც მე სოფლისთვის ვინდომე, უწინ მოვიდა ჩემს თავსა.

●

თეოზე ცეცხლი დავანთე, ზედ დავაყარე დეკაო,
კაცი რომ იხარჯებოდეს, აღარას არგებს დრეკაო.

●

მოკრიახესა, მგორავსა ხავსი არ აკრავ ქვასაო;
მუდამ მდგომელი გზაზედა ან გველს, ან გველის ფხასაო.

●

მშვილდით ნასროლნი ისარნი
წავლენ, ვით ქარნი ზენანი,
წამხდარსა საქმეს არ არგებს ბოლოჟამს
თითზე კბენანი.

●

მჭედელო, განა რკინასა სპილენძი არ გაერევა?
კაცსა თუ კაცის ჯავრი სჭირს, მიზეზი არ დაელევა.

„კარგი ვარ“, იმას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა...
კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი — არც თავის დედასა!

●

კარგი სიტყვა — კარგი მთქმელი,
კარგი ღვინო — კარგი მსმელი.

●

კაცი რო ლაპარაკობდეს, უნდა სხვისაც გაიგონოს,
კაცი რო კაცს მოერიოს, უნდა ღმერთი მაიგონოს.

●

კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო: „ჩავარდი გულისხმასაო,
კაცი რომ დაიკუზება, შენზედ აიღებს ქვასაო“.



ერთ ხარი ჰყავ ღურბელათა, სხვაგან უბავ ალოზედა,
ერთი ჩიტი ვერ გაძღება ღმათ საბძელ-კალოზედა.

მოკლე ჯუბა

ქალო, იანვარ გენაცვალოს, შაფრინდი საყეკარზედა,
რა ჯუბან დაგამძიმებენ, არ გწვდება ნახევარზედა.

უძეო

ჩემივით არვინ იქნების, ბევრკან ბევრია თითოი:
ღმერთმა არ მამცა ძე შვილი, ერთ მიზის ქალის ციცოი,
ცას ბეწვით ჩამამბული-ორ, ჭერში რო ხკიდავ ქირჭოი,
ველარც ვაკეთებ საქმესა, დავბერდი, არ მაქვ ფილტოი,
არცვინ მყავ ძმა-სახლისკაცი, რო კა ვინ მითხრას სიტყვოი,
არვინ-ა ჩემის გვარისა, მე ძმა ვერავინ ვიშოი.
განა სრუ ცოცხალ ვიქნები? ერთხან მაკვდების ბიჭოი.

მუშტათ ჭრელა

ჩიოდა მუშტათ ჭრელაი: „დამიდიდგულდა შვილები;
ოთხთავ იყიდეს ცხენები, ოთხითავ დაჭედილები.
რუსულებ პალტოები სცვავ, გულზე მასკოის ღილები.
ქუდები ჩარქეზულები, საპირეჩაგრეხილები...
ლასტიკის ახალუხები, — დადიან დადრეცილები.
ას თუმან ადგილჩი მისცეს, მე მამას, მჭამენ ტილები.
მე მაგათ დაზდას მერჩიყვა, რომ დამეზარდა ვირები, —
ჩემს ჭკვაზე გადავხაზმებდი, ბარგს მაინც ვაზიდვისებდი.

ჩოთეშას

ჩოთეშავ, თივას ნუ მპარავ, ჩემიც გალუბდა ღილაო;
ეგ მაშინ არი ნათიბი, შენ რო გრილოში გძინაო;
მეელირება ავდარი, გამაიქცევი შინაო,
სანამ შენ იქით ამოხვალ, მოგასწრობს შაბათ-კვირაო.

უალგი დაპირება

ჩონქარაი ვარ ღვერათი, დავდივარ, როგორც კერატი,
ნადობს დავჰპირდი ჩუსტებსა, ვითომ თვითონა ვკერავდი.

ჩონჭარა და აღაის ქალი

ჩონჭარაი ვარ ღვერათი, სულ გარესამხარს გაზდილი.
დამეხსენ, აღაის ქალო, გემოთ მაჭმიე სადილი,
ჩემი და შენი წაწლობა ორისავ იყო წადილი.
ისეთი მიჰდგებ-მაჰდგები, როგორც თეთრთავა ყაჯირი,
გხურავის თეთრი ჩიქალა, როგორც რუსების ლაგირი;
ბევრჯერ კი მოგათქვეფინე დოჯურის ყანის ნაპირი...

ვაჰმე რა ძნელი ჰყოფილხარ!

ვაჰმე, რა ძნელი ჰყოფილხარ, სიღარიბეო ტიალო! —
მესამ-მეოთხე წელია, ერთ ახალოხნი მცვიანო,
შიგ მამიკრუხდენ ტილები, წიწილეებსა ზდიანო...
საკვირველ ნაშენობა აქვს, — თითოს ექვს ფეხნი სხიანო,
დამართეს სასახლეები, ადიან, ჩამოდიანო.
„ვაჟკაცი არი, შარცხვება“, — იმასაც არ იტყვიანო;
მე ვეხვეწები: „ნუ გამკბენთ!“ — ისინ კი არ იშლიახო!

„ქარგი“ მთიგელი

ცხენი მიყიდა დედამა, შვიდ ძროხა მისცა ფეხადა.
ხომის-თავს სათიბს წამოვედ ჩვენის ხომლების ქერიდა.
იმ ზაფხულს კარგადა ვთიბე, მენ კი ძილ არას მეწვალა, —
წამოვწვებოდი გრილშია, ყველა მენ გამომხედავდა.
ჩემს დედას მინატროდიან: „კაი შვილ გამოგეზარდა“...
ოც თივას ხუთმეტ დამიკლდა, რომ დავაყენე ერთაღა.
ცხენიც გავკვებე კარგადა, არც ხარებ დამიბეჩავდა,
შაირგეს მუხის ნეკერი, დასუქდენ მეტის-მეტადა.

აკოლაანთ ჭორწილი

აკოლაანთ ქორწილი ქნეს, დაკლეს კუდა თხაო,
ყანგიან ქვაბში ჩაყარეს, წვენი არა ქნაო,
პატარძალი ათამაშეს, გახტა-გამოხტაო.

არახიჯა

არახიჯა ციხესა ჰგავ, ე ღვთისაგან დაწყეული!
ჩვენ ქალებ იქ ვერ იცხოვრებს მეედანში
დაჩკეული·
ან თქვენ რარიგადა სცხოვრობთ? თვალ თუ გაქვისთ
შაჩვეული!
კარზე როგორ გამოსდიხართ, ან ბებერი, ან სნეული?
სუყველა საბლით დაგიბამთ — ტაგან, ჩხუტი, სარძეული,
პირალმ ვერ ამობრუნდება ქათამ პირთავქვ გაქცეული,
ნაროულაზე დარბოდა ერთი თავპირდამტვრეული.

არურუ დარეჯანასა

არურუ დარეჯანასა, გარეთ გამოსდგამს ჯარასა,
შინ რომ ყმაწვილი ტიროდეს, გარედან ეტყვის ნანასა.

გაურჯელი

არცარა გამითიბავის, არცარა დამიგულებავ,
არც გამივლავის მთაშია, თავიც არ გამიბრუნებავ;
გაურჯელობა, სიყროლე განა მენ გამიჩრჯულებავ?

ფეხმძიმე პატარძალი

ასე თქვა ჭორათ ბაბამ: „ქვაც დადნა ჩემი სწორია,
მექოხ-მებოსლის თავზედა გვირგვინ არ გამიგონია".
ნეფემ გამაჰკრა გვირგვინი: „ეს რაღა ბედი მქონია!"
ბიძა ახვეწებს, ჩოხელი: „დედისერთაის ცოლია".
რას უშველს ლაშარის-ჯვარი, — ლოგინზე დასაწოლია!
ნურას იდარდებ, სიძეო, მეხბორე გამაჰყოლია.

აფშოელებს

აფშოური შავი ჩოხა ყვითლით დაქარგულიაო,
თავი დიდი, ფეხი დიდი, ჰკვა სულ დაკარგულიაო.

გაწკეპლეს

აქით დამშორდი, მამალო, არ მამდის შენი ყივილი!..
შენ ხუთ-ხუთი გყავს წაწალი, მე კი მკლავს გულის ტკივილი,
ბატონ რატიშვილ ფენხს მიცემს, როზგებს მააქვის წივილი.

ახლა დრო არის თიბვისა

ახლა დრო არის თიბვისა, ხალხი დაიწყებს თიბვასა,
მხრეულით შეაჭრელებენ გულ-მკერდსა ხადის-მთისასა.
ახმაურდება ცელები, ნაპირს შეამტვრევს კლდისასა,
ზოგ მამას შვილი გაჰყვება, ზოგსა — ძმისწული ბიძისა.
თქვენ რაღა გული გაყენებთ, უმცვრიავ, დედას მტრისასა!

შენს ბექში მაინც გამოდი, ცელს ნუ შეაჭმევ წიდასა,
ჭინჭარს არ დაელულვინო, ფეხთ ჩაიცომდე წინდასა.

ბაიაშვილ ავად გახდა

ბაიაშვილ ავად გახდა, მთვრალს შესცივდა წუხელისა,
უცხელებენ ნიორ-წყალსა, ეგ რა სნეულს უშველისა?!
ნარეცხ მაინც მაუტანეთ ნაარაყალ ჭურჭელისა!
მართამა თქვა: „დაიმეხოს, სიკვდილი სჯობს უქნელისა,
მაგის საქმე არაყია, შრომაში ხელუყრელისა!
ზომა როგორ ვერ გაიგო მაგ გასახეთქ მუცელისა?!"
ავადმყოფმა დაიუბნა მცნება დიდის რუსთველისა:
„მაინც- მაძღრის სიკვდილი სჯობს, სანამ უსმელ-უჭმელისა".

ბაიაშვილ ქვაზე დაჯდა

ბაიაშვილ ქვაზე დაჯდა, კუპლეტსა წერს პატარასა:
ჯეილობა დამიბრუნა, ვინატრებდი სხვას არასა!
ღმერთს ისეთი რა ვაწყინე, რომ მხდის ქვეყნის მასხარასა?
დილას გზაზე დამწვდა ქვრივი, ვაჭარი რო ბარდანაა,
თითქოს მაგის ზითევი ვარ, შინ მიპირობს შატანასა.

ქერა და შავგვრემანი

ბერო, თუ რძალი ითხოვე, წავიდეთ სანახავადა,
შენ ჩოხიანი წამოდი, მე შამოვიცომ ტყავათა;
შენ ხო ქერაი კაცი ხარ, მე შამწვარი ვარ შავადა,
რომენიც კაი ბიჭი ვართ, იქ შაგვატყობენ თავადა.

ბურდიანში დავინიშნე

ბურდიანში დავინიშნე, გამიწყრა გამჩენელიო,
ქალის სანახავად წაველ, თან წავიყვანე ცხენიო.
სიდედრი გამომეგება, აღვირს მიტაცა ხელიო,
მოიტანეს და მომიგდეს პატარა ნაბდის ძველიო,
დანიშნული გამომგვარეს ყვითელი კომშისფერიო,
შევხედე და შემეშინდა, ვეღარ გავძარი ხელიო.
ცხვირი აქვს მუშტის ოდენა, მუცელი — გოგრისხელიო.
ოხ, იმის მაჭანკალსა გაუხმეს ენის წვერიო!
ექვსი სარტყელი ვუყიდე, მეშვიდე ჭიაფერიო,
შევსვი და წამოვიყვანე, ცხენს მომიწყვიტა წელიო.
სულ ერთიანად შეჭამა ქილა, ქოცო და ქვევრიო,
ერბო აღარ დააყენა, დომხალშიც ჩაყო ხელიო,
ქალებში დაუკვეხნია: „ნიგოზსაც მივაგენიო!“

გუდარახს ჩამოვიარე

გუდარახს ჩამოვიარე, დუქანში დამხვდა ვართანა;
უცხო კაცს ეგონებოდა, ძმა თუ მისულა ძმასთანა;
რაც არ მენახა ჩემ დღეში, ისეთი მასვა-მაჭამა;
დახლში სამ გადაეფარა, იქით ჩოთქ გადმააჩქამა;
გაუსვა სალოკა-თითი, გააქან-გამოაქანა.
ხუთი მანეთის ფულისა ერთ აბაზი-ღა დამრჩალა;
ავიღე, ისიც გადუგდე: „მაგის შინ წამღებ შამრცხვალა!“
ჩოთქო, მოგიკვდეს პატრონი, ვინაც გაგკუთხა, გაგთალა,
აგასხა წინდის ჩხირზედა, ორსავ კუთხეზე დაგჩარა.
მეჩხუბებიან ჯალაფნი: „სახლში აღარა შაგვრჩა-რა,
თორმეტის ფურის ნაწველი შენ მუცელმ შასვა-შაჭამა“.

ბუთლასაგან გოგას

დავბერდი, ჩემო გოგაო, ვეღარ ვაუბნებ ენასა,
მანდ უნდა გადმოვიარო, უნდა გაცინო შენაცა.
გაქებენ ლექსობაშია, გამბობენ თავისწვერასა,
ორნივაც ერთფერები ვართ, ერთურთსამც მოვჰხდით წერასა,
შენი-დ' ჩემ ქალაქს მგზავრობა გაგონილი აქვ ყველასა,
შენ რო ნავაჭრებ დაჰკარგე, მაშინ იქ ვიყავ მენაცა,
წინ ნადებ კარაქ მამპარეს, არ მიმიტანავ ჯერაცა.

არშაკა

დედას გიტირებ, არშაკა, რო ქობი კარგად არ შაჰკრა!
მე თავად უნდა გავსინჯო, იქნებ არ არის ფარსაკა.
სანამ არ ვიანგარიშებ, მანდ ჩოთქში ხელი არ ჩაჰყვა!
თქვენ გააჩინეთ ჩოთქები, ნეფე ერეკლეს აქათა.
კენჭით ანგარიშ ვიცოდით უწინდელ მამა-პაპათა.

ჯაბანის ციცა

ენაცვლოს თავის პატრონი თავის თვალყვითელ ციცასა.
დავალის მეზობლებშია, დამბალ ხაჭოსა ჰზიდავსა,
ხსნილ-მარხვა გამაგებინა, ეგემც დამაყრის მიწასა!
დააბამს თავის პატრონი, დააკაწრვინებს მიწასა.
ვინც მაგას წკეპლას დამიკრავს, ეგ იყოს იმის მკვდრისადა!

ქინაღართა

ერთხელ ემა ჭალაშია ვარდი ვნახე გამოშლილი,
ქალი რაიმ ეწვდებოდა შავის მიწის ჩამოშლილი.
პერანგის საყელო ჰქონდა ჭიპურტამდე ჩამოხსნილი,
ორთავ ძუძუს წვერაები გარეთ იყო გამოჩრილი,
ქინაღართა მივეწვადე, ხელ შავშალე გამოწედილი.

ვაიმე, დედავ, თავ-ქისერი

ვაიმე, დედავ, თავ-ქისერი, კაცი ვკვდები პანქისელი.
მუხის მორი წამამაჯდა, როგორც უნტერაფიცერი.
ხალაწანში ვინ წამიღებს, ვისა აქვის დარდი ჩემი?
ოხრად-ტიალად დამრჩება მამა-პაპის საძირკველი.

დათვოლგა

დათვო, დათვო, ჩვენო დათვო, ჩვენი დათუნაო!
დათვი ხეზე როგორ ავა, ჩვენო დათუნაო!
ტოტს მაიწევს, ისე ავა, ჩვენო დათუნაო!
დათვსა ცოლი ავათა ჰყავს, ჩვენო დათუნაო!
დათვო, მკითხავს აკითხვინე, ჩვენო დათუნაო!
დათვსა ცოლი კარგათა ჰყავს, ჩვენო დათუნაო!
ქალსა ძუძუ გაუსინჯე, ჩვენო დათუნაო!
ქალსა კოჭი გაუსინჯე, ჩვენო დათუნაო!
დათუნია კარგათ არის, ჩვენო დათუნაო!
დათვო, ქალი აირჩიე, ჩვენო დათუნაო!
რომელიც მოგეწონება, ჩვენო დათუნაო!
დათვო, ძუძუ მოუსინჯე, ჩვენო დათუნაო!
დათვო, ცოლი ათამაშე, ჩვენო დათუნაო!

თუ ეგ ქალი აღარ მოგწონს, ჩვენო დათუნაო!
ეგ გაუშვი, სხვა შეირთე, ჩვენო დათუნაო!

ᲕᲣᲛᲐᲓᲚᲘ ᲮᲔᲕᲘᲡᲮᲐᲚᲐᲡᲐ

სანამდე ვიყავ პანკისში, კილოობითა ვფქვაედიო,
ხევისხალაში გადაველ: „გრამებს როდამდი დავდიო?“
ერთ დღიურ სიმინდ გავთოხნე, კინაღ შუაზე გავწყდიო,
მოიდა (ახლა როგორი!), გაება როგორც ბარდიო,
რა გვალვა შამიწუხებდა, სუ თითოობით ერწყავდიო,
ტაროებს ვერა ვწვდებოდი, ზოგჯერ კირჩხაზე შავხდიო.
ქილოებს ვიღლა იტყოდა, ლიტრით ვეღარა ვწყავდიო.
გადმაუტანე თეკლესა, გადაიმქარვა დარდიო,
დაჯდა, ერთ ჯერად შაჭამა ერთ დღეს ნაცხობი მჭადიო.
„მაგთვენა როგორ შასჭამე?!“ — გაუწყერ, გაუჯავრდიო.
„რას ამბობ, შენი ჭირიმე, ხევისხალასავ წადიო,
ეხლაღა გავძეღ პურითა, სუ წლოწინითა გყვანდიო“...
ისრ ვიყავ გაჯავრებული, ეს რო არ ეთქვა, ეკლავდიო.

●

საცა ცხელი ღომიო, ნახე ჩემი ომიო,
საცა ხმალი შიშველიო, მე იქ ვერას გიშველიო.

მეცხვარის ნათქვამი შინაურებზე

რა უჭირს შინაურებსა, სხედან, ტარებსა ჰთლიანო,
ორ-სამანი ჰყავ ძროხანი, საძირ-გირკლითა ჰბიანო.
ზაფხულში თივას გაჰთიბენ, ზამთარში ჩამაჰთრიანო.
უდებენ დედაკაცები, ბალღებ კი ჩაუყრიანო.
ნაცრიან ბოლონ დაჰქონან, უსახლონ ტყავნი სცვიანო.
შუნაურაის ბალღებსა ლოყაზე ხვინტლნი სცხიანო,
შამაჰხვევიან დედასა: „დედაო, პური გვშიანო!“
„ვაჰ დედას თქვენსა, ბალღებო, მე განა პური მქვიანო?!
დილისავ ვიყავ წისქვილსა ჯერ არან ჩამუფქვიანო“.
პატარას ფქვილას წასცრიან, უფრო მეტს ქატოს სცრიანო,
მალმალე გადუთბილებენ: „არ გამოსცხვია, ტიალო?!“
ნახევარს ცომასა სჭამენ, უფრო მეტს გადაჰყრიანო.
თითო ჯამ წაკას ახვრეტენ, თითო თუნგ წყალსა სცლიანო.
შიმშილის შაწუხებულნი ძირხვენეებსა სთხრიანო.

ᲐᲘᲩᲥᲕᲚᲔᲑᲡ

რა უთავბოლო ხალხნი ხართ, ღრმად ვერთუ ჩაზდეთ ჩოხელი,
მიწა რად გეზოგებოდათ, ეგ მამაძაღლის ოხერი?!
ბერი უგებდა ანდერძსა: „მეც ვიცი მღვდლებისოდენი,
რასაც მე ერთ დღეს ვიუბნებ, სამ დღეს ვერ იტყვის ორ
მღვდელი!“
საკმლად ხიფხოლა ჩაყარეს, შაკერეს ბალის ხოკერი,
ისაკა დიაკონი ჰყავ, დათუნა — პურის მცხობელი...
ერთ მკვდარ ვერ დაგიმარხავისთ, დავწვი თქვენ თემი-დ'
სოფელი.

ჯორი

რაც ჩარგალს გადმამიყვანეს, წელ ეხლა გამითავდება.
მამამ ჯორ მამცა მზითვადა: „მაგის მეტ არა შაგხვდება“.
ჯორო, დაგლოცა გამჩენმა, უნდა დაგიწყო შაქება:
ძუა-ფაფარში მორთულო, ზედ უნაგირი გაკვდება,
გიხდება ვერცხლისოდნადა თეთრ მოსართავებ ტანზედა;
სამ-სამის თასმის მაგივრად საბლები უსანგაზედა.
ცხენს ხო ჯორი ჯობ საფერხედ,— ცხენს მაღლად უნდა
კმაკება,
ჯორზე საც გინდა შავჯდები, ფეხსაც არ მინდა აღება;
ხელში არ მინდა მათრახი, ფეხთ რო შამოვჰკრავ, —
ჰაჰყვება;
ვირივით იორღა იცის, მაშინასავით დაჰყვება.
მცხეთით მაშინას ვაჯაბრე, ვატლინკე მიედანზედა,
მაშინას ჩემ ჯორმ გაუსწვრა, ქალაქში ჩავედ წამზედა;
გაჰკვირდენ ქალაქელები: „ნეტარ საით რა მახვედა?“
სადიურ უნაგირ ადგა, ყველას უნდოდა გაგება.
ერთ მენახშირე შამამხვდა, საფერხეს შამევაჭრება,
მე უთხარ: „როგორ გაბედე, ნეტარ რა თვალებ აგება?
ეგ ჩემთვის გველისთვალსა ჰგავ, ფულზე არ დაიფასება,
ხო ხედავ, ფარჩა მიკიდავ, ფშავის-ხევ მინდა წაღება.
ომ ოცის გასაკვირალი, პირაღმ რო შეემართება,
თოფი აქვ კუდის ძირშია, არსად არ დაეკარგება,
პატრონას რჩევა არ უნდა, სუყველა გამააგება,
კუდით აუწევს პრიცელსა, პულიმეტივით დატყვრება,
გაუხმობს ფშავის კლდეებსა, რაჰან ერთუცზე დაჰყვება“...
ხევსურებ, ნუ მაშაირებთ, ნუ მწვერავთ სხვადასხვაზედა,
ნურც მიშაირებთ ჯორასა, გათქმულსა ქვეყანაზედა.

ხარი გოსელა

ორშაბათ დილა გათენდა, ამაიძრა ცისპირიცა,
ცისპირის ძვრას ამახყვების ჩემის ტახტის ჭიჭინიცა.
სამთაჩიგოდ წამაველი, ამავალი კინკილითა,
საყვერის-ღელეს შამავხედ, სიცივეა, თვირთვილიცა.
ეგ კი არ მამგონდებოდა, სიკვდილ დავა მიწი-მიწა,
ხარს მამიკლავს ბოსელასა, დღე მამივა ქვითინისა...
ჩამამექცა ბოსელაი, დღე არა მაქვ სიცილისა;
დუშმანთ ნუ გაგიხარდებისთ, არ მავკვდები შიმშილითა,
არ მავხპარავ მეზობელთა, არ მავიტან წისქვილითა,
ზედავ დამჩა ირემაი, არ შამჭმელი სირცხვილისა,
ქონ-ხორცი ბოსელაისა საპოხი-ას ცხვირ-პირისა.

ნატვრა

ნეტავი ნატვრა მანატრა, ეს ნატვრა ამიხდინაო,
ოქროს სასახლე ამიგო, ვერცხლის ფანჯრითა წინაო,
მუხრანბატონი ყმად მამცა, ამილახვარი შინაო;
მამცა ყეინის უღური, ხონთქართან გამიდინაო;
ჩერქეზის ქალსა აქებენ, ის გვერდით მომიწვინაო;
კახური ღვინო წითელი მილებით მომიდინაო;
მუკუზნის ღვინით დამათრო, ახმეტას დამაძინაო;
თორმეტი კოდი კორკოტი ერთ ჯერად გამიჩინაო;
ლალისყურის გალავანი ჯამად დამიდგა წინაო;
სადაც დიდი ჭანდარია, კოვზადამც მამცა შინაო.

ფურის არაყი

ნეტავი ისეთი ფურ მამცა, არაყ რო მაიწველოსა,
დავაბამდ ბუხრის გვერდზედა, თივას დავუყრიდ
მდელოსა,
ბევრს შავაჭმევდი შვრიასა, არაყ რო მაიყენოსა;
მალ-მალე ჩამავსწველავდი, გაუსინჯავდი გემოსა,
შავსომდი ჯიხვის ყანწითა იმ ფურის სადღეგრძელოსა,
არ ვუწყალებდი ცოლ-შვილსა, სრუ რქით რო
გადაჩხვეროსა...
არაყის სმაზე არ დავხკლავ ზოგივით სამრისხველოსა.

მოგონება

მე ჩემს ჯეილობაშია რა მერჩივნა, არ ვიცოდი,
„ნეტარ როგორ ბერდებიან?“ — გაკვირვებულმ დაკიწყოდი.
ჯოხტად გამოვიპრანჭოდი, თვალწინ სარკე დავიდგოდი;
ვარჩევდოდი შიგაითა, რაც მინდოდა, ჩავიცოდი;
ყაცს ყური არ ვათხუოდი, ქალ მაშინავ გავიცნოდი;
დედ-მამათ რო ვერ გაეგო, ლოგინ ისე დავიგოდი;
ილტოზეით ემ ღამეთა ჩაბანოში დაკიდოდი;
კარებ ღია დამახვედრის, თავისუფლად შავიდოდი;
მამეგების, ჩამამკოცნის, მენაც გულში ჩავიკროდი;
ამირჩიოდის წინდები, მამიტანის ჩავიცოდი;
ჯამით მამიტანის თხილი, ჯიბე-უბე დავივსოდი;
წინწანაქრიან ბოთლაი დავლიოდი, დავითროდი;
დღისით გრილო მოვძებნოდი, ლამაზ ძილი დავიტკბოდი;
ველზე დამრჩის ნახევარი, ყანებ ველარ დავიმკოდი,
გამითავდის პურ-სიმინდი, ჩემს მტერს, რომ მე გავიძლოდი,
ვინ მამცემდა გაურჯელსა, ვერც სასესხოდ წავიდოდი.

იმპერატორს

მინდიათ ახალაი-ორ, ხევსურ ვერა მჯობ ერთია.
დავჯე, ლექსობა დავიწყი, ფანდურ ავიღი ხელშია.
ქალსა ვსთხოვ ხემწიფიანთა, ბაბილთ ნია მყავ ელჩია.
გამომიგზავნე, ბატონო, თორ ცოლშვილობას ვსცდებია.
შენ თუ ქალს მამცემ, ბატონო, ამაშინ გიშველს ღმერთია:
დაგიჭერ კაცისმკვლელებსა, ჭურდებს ზედ გადავსჯდებია.
შენ თუ ხარ იმპერატორი, ბაბო მეც მყვანდა ბერდია.
წაგიყვან საიქიოსა, ჩამაგსომ იმის გვერდია.
შენ თუ გაქვ მალაზიები, ორ კოდ მეც მიდგა ცვერცია.
მანდ თუ ვერ სცხოვრობ, ბატონო, აქა-ღ წამოდი ჩვენშია,
ცხენი-ღა შამიკაზმიდი, რახან წავიდა თემშია.
სეილის სამკალა წაგიყვან, ნამგალს მოგაწვდი ხელშია,
დაგაკრეფინებ თავთავსა, დაგაძვრენ თაგვის ხვრელშია,
სათიბისაკე წაგიყვან, სამს შაურს მოგცემ დღეშია.
შენ იმას არ ხარ შამსწვრალი, სახლში ფურ არცად გზვებია.
საძროხეს გადაგაკლევდი, გათხვეფულ გარმოხდებია.

თორმეტი ვაჟის დედა

მინანის დედა ნანულობს მინანის გათხოვებასა,
მინან კი არა ნანულობს ორის აკაენის რწებასა,
ექვსჯერ ბოსელში შასვლასა, თორმეტის დაბადებასა.

მამასახლისს

მოხველა, მამასახლისო, კი მამერგოა ბეგარა?
თუ ჩემ დარბევა გინდოდა, გზირ მაინც წამოგეყვანა;
ნეტავინ მომცა ნიგზური, შენთვი ცეცხლ შამამეყარა,
გადამეტუსა წვერ-პირი, ჯავრ იმით ამომეყარა.

ანთება

ლახტოს მოდის ამბავი: „გომეწარს გაჩნდა ანთება".
ჯარიაიშვილს შაჰყრია, ხანა კვდება და ხან რჩება.
ეგ კაი საქმე არ არი, ერთ ხათაბალა მაჰხდება:
ხმა გავარდება ყველყანა, ე ღვდლებ სუ მაიხაფრება.
ან მკვდარ რაითღა დავმარხოთ? აღარც ბალღ მაინაოლება!
გავხდებით თათრებივითა, საქრისტიანო წახდება.
მოგვერიდება უფალი, იმაზე მაღლა შახდება.

არ ავიყრები

„კახეთს ჩამოდი, გიორგი", იმას მიბარებს შვილები.
ლახტოთ რად ავიყრები, რა მაქვის გასაჭირები?
აქ რა მაკლავის, რა მიშავ, ქერებ კარგ მიდგა, სვილები.
ხინკლიან ხონჩა წინ მიდგა, არაყით სავსე მინები.
რომელსაც გუნება მამთხოვს, მე იმას დავეღირები.
ას-ორასობით დამიდის ყოჩებ რქადაგრეხილები!
რა ჩოდრებ შამამაკლდება? — მოდის ხვლეპურაშვილები.
გავაბამ ოროლ-სამსამსა, ზედ კარზე მამაქვ თიევები.
სასმელად მაქვის მთის წყარო, კრანტებ არ უნდა, მილები.
თქვენი ახმეტა კი დავწვი, მანდაურ კაკლის გრილები!
თუ კახებს კახეთ ასუქებს, წვიევებ რადა აქვ წვრილები?
ციების დაშმულებია, სიცხისგან ჩახრუკვილები.

მოყვრის გლოვა

თუ მოყვარე მამიკვდება, წითელს შავად შავღებაო,
წავალ, კლდეზე გადვარდები, — ჭინჭველთ გორალაზედაო.
წავალ, წყალში გადვარდები, — ხარის ნაჭლიკარშიაო,
წავალ, თავსა ჩამოვირჩობ ნარის ჯოყარაზედაო!

●

— დედავ, გამიშვი, გამიშვი ბადიაურში, —
მთვარესავით ქალს მოგიყვან ერთ ინდაურში!
— შვილო, შენ რომ ქალს მოგცემენ ერთ ინდაურში,
ეს თეოზე დააბი და ძაღლი აუშვი!

ხუცესი

ხუცესო, შენი საწესო სუმუდამ გულზე გაწვესო,
ნეტავი ზურგზე აგკიდა, რაც ნარიყალზე ქვა ძევსო!

ხუცესმა უთხრა ხუცესსა: „წირვას ამბობენ რუსეთსა“.
„წასვლა კი არ მეზარება, თუ გამიძღობენ მუცელსა“.

ავად ვიყავ და ვკვდებოდი, ხუცესმა მაზიარაო,
მე ღმან არა მიშველა, რაც არა მაზიანაო.



ეგრე არა ჰქნა, ხუცესო, საქმე არა ჰქნა უწესო,
თორემ ეგ შენი ნაქნარი შენ შვილიშვილსაც უწევსო.

მღვდელი

ეგ ოხერი ჩვენი მღვდელი ფინთათ აცანცარებს წვერსა,
სადაც ტაბლას დაინახავს, იქით მიაჭენებს ცხენსა,
ხორაგს ხურჯინში ჩააწყობს, ქოთანში ჩაასხავს წვენსა.



გამიკითხეთ!

სუ ძველი ლექსი რა არი, ახალსაც დავეღირები.
თუ გამიკითხავთ, კარგს იზამთ, მემრე შინ წავეხირები.

ადე, ადე...

ადე, ადე, ადულაო, თეთრად გათენებულაო.
მთვარე მაღლა წამოსულა, მზე გორს დამშვენებულაო:
ერთი კვერცხი გამოგვიტა, მითამ გალაყებულაო!

ან აბაზი ან უზალთუნი

შენი ჭირიმე, შენიო, აბრეშუმს გიგავს წვერიო!
სალექსოდ ნურას დაზოგავ, ჯიბეს გაიკარ ხელიო;
ან ამაიღე აბაზი, ან უზალთუნი ჭრელიო;
შაურს კი ნუ ამაიღებ, უსუსურია, თხელიო;
მარჯვენა ხელი გაუხმეს, ვინც მაგას დაჰკრა კვერიო!

მეხტვირული

ქამანჩა მომართული მაქვს, ხელში მიჭირავს სტვირია,
თქვენი სახელი გვიბრძანეთ, ამის გაგება გვჭირია.
აჰა, ელია, მელია, ბულბული მგალობელია.
ჩვენი გიორგი, ეტყობა, უხვი და მწყალობელია,
თვალად ლომი და პირად მზე, ტკბილი სიტყვების მთქმელია.
შენ დაგენაცვლოს მესტვირე, ჯიბეს გაიკარ ხელია.
საზანდარი და ქებაო, თავი ნუ მოგიკვდებაო,
ერთი აბაზი მაჩუქე, ქისას არ მოაკლდებაო.

არამი და შარიქა

— ვისი არის ეს ღორები,
გამიჩინეს ვარამი!
დევმაც ვეღარ მოგვაყენოს,
ამისთანა ზარალი!

— ადგომა რომ გეზარება,
ალალია, ალალი!
ჩქარა, ძაღლებს დაუძახე,
შარიქა და არამი!
არამი და შარიქა,
შარიქა და არამი!

— ახავაი, ჩემი ყანა,
ღორის ნაბურსალარი!
ღობე-ყორე დანგრეული,
დაქცეული თალარი!

— რა სიმინდი უხეთქიათ,
რა კარგი და ჰარამი!
ჩქარა, ძაღლებს დაუძახე,

შარიქა და არამი!
არამი და შარიქა,
შარიქა და არამი!

არამს ეგერ მიუსწრია,
მისწევია შარიქაც!
ამოვიგეთ ზარალი და
ღმერთმა კვლავ შეგვარიგა!

— აბა, აწი რაღა გვიჭირს,
ამოვიგეთ ზარალი;
ვაქოთ ღორის მადევარი
შარიქა და არამი,
არამი და შარიქა,
შარიქა და არამი!
არიქა და არიქა,
შარიქა და არამი!



— მე ისეთ კარგი ცოლი მყავ, კალაპოტივით მეწყობა!
— ი შენი ცოლის სიკეთე ემაგ შენ ჩოხას ეტყობა!

ცელქა და ელიბო

ცელქა: — ექვს ქალი ჰყავს ელიბოს, ექვს ბიჭი ჰყავის ცელქასა.
ელიბო: — ექვსივე ჯიბგირები გყავ, არც ერთ არ მოსწონ ჩემ ქალსა!

ფრუშკა და ელიბო

— ყველ მამიტანე, ელიბო, რად მინდა მწარე ნიორი?
— ჩემ ცოლ-შვილ რა ყველს გაუშვებს, ჯარი მყავ, ბატალიონი.
— თევზ მაინც დაიჭიროდი, ახლოს ჩაგიდის იორი.
— მე სტუმარს იმით დავხვდები, რაისიცა მაქვ იოლი.

ვანო და იოსები

— ჩემთან რად მოხველ, ძმობილო, შენ ჩვენ არა ხარ საფერა,
— მოვედი, ისევაც წავალ, ორი სიტყვა მაქვს სათქმელი.
— დაგღუპეს ქედის ქვრივებმა, იმათკენ გქონდა ცალ ხელი.
— მე ისეთ არაფერ მიქნავ, რისიც შენა ხარ ჩამდენი;
გასტეხე თათრის მეჩეთი, შორს გაგივარდა სახელი,
ციმბირში გადაგასახლეს, კატორღა მოგცეს რვა წელი;
შენ უნდა მეჩეთზე ება, ფეხებზე გებას საბელი,
ცოდვებსა ნანიაობდე, ხან მოლა გცემდეს, ხან — მღვდელი.

უცნობი ფშაველი და ხოხა

— ჩემიმც ძაღლი გქნა, ხოხაო, დამები ბაკის ახლოსა,
რა ყეფა მოგწყინდებოდა, შამინახავდი საქონსა,
სამ დღეში ერთხელ გაჭმევდი ცივ წყალსა-დ' ასლის ქატოსა.
— ერთხელ ხო დავზეზდებოდი, ცოლს დავუგლეჯდი
პატრონსა.

გარელისა და მთიელის კამათი

— ჩვენა ვართ უძილაურნი, ღარიბ აკაის შვილები;
ბარში რას მაკვეხ ბევრს პურსა? — მთაში ჩვენც გვიდგა
სვილები.
— იქ რა ურემზე დაუდებ, უნდა დაჰკაზმო ვირები.
— ვირებს ენაცვლოს პატრონი, თეთრებ დააქვის ცხვირები,
არ ჩააბიჯებს ლაფშია, თუ აქვის დასაცილები.
ავჰკიდებ, დარიხრიხდება, ქვენაით დავეხირები.
დაიწვას ურმის მამგონი, დამწვეტებულებ ჩხირები,
რო გადაბრუნდეს ლაფშია, ვერ გამოიტანს გმირები.

— თავადავ გამაიტანენ შავის კამბეჩის შვილები;
— დავსწვი კამბეჩის გამჩენი, მაგას თუ ვეღუპვინები,
არ ეყვა ორ-სამ კვირასა შენის ჩალ-თივის ზვინები.

მძახლები

— ასრე მიყვარხარ, მძახალო, მითამ ი ჩემი და ხარო!
— ისემც შაჰრჩები დედასა, როგორც დანდობით დახვალო!

ზაქარია და ბერიძე

— აქ იმით შამოვიარე, ბერიძევ, მამე ყარტია!
— ყარტ თავისადაც არა მაქვ, ჯერ წინავ გვიძე მარტია.
— მამეცი, ჩემო ბერიძევ, საწყალ კაცი ვარ, მადლია.
— აბა, რადა ხარ საწყალი, გაურჯელობით გაკლია,
არა ჰხნავ, არას მაიყვან, გოდორში არას ჩაჰყრია!

პავლე და ყრუვ გიორგი

— აცა, ნუ წახვალ, გიორგი, არაყ მააქვ დარეჯანსა.
— ე ქალ არა გამოარდეს, დაგვაყენებს მწარე ჟამსა,
მე შინ წასვლა მირჩევნავის დარეჯანის მწარე წყალსა.

ბიძა-ძმისწულის ქამათი

— ბარში ჩამოდი, ბიძაო, მანდ მთაში იტანჯებიო!
— მთაში მირჩევნავ, ძმისწულო, მთის ჰავას კარგა ვხდებიო!
არ მინდა ბარის ნიორი, არც თქვენ მოხარშულ ლებიო,
თუ არ გექნება ქათამი, ხმელაზე დაირჩვებიო!
— შენსავით, ჩემო ბიძაო, ტვირთის ქვეშ არა ვძვრებიო,
მე კიდეც მოვხნავ, მოვთესავ, მანამ ტვირთს აუდგებიო.
დავაგუგუნებ ტრაქტორსა, ზედ თითონ დაუჯდებიო,
გვერდით მაუდგამ სალეწსა, სამ დღეზე გადავრჩებიო.
შენ იანვარში გაჰლეწავ, თოვლ-ფიფქში იფუფქებიო,
თუ არ გამაჰხვეტ ნიჩფითა, გარეთ ვერ გამასძვრებიო.
სამხთო უნდა ჰქნა, ბიძაო, თუ ყინვას გადარჩებიო.

●

გოსტიბეს კვირიაშვილი აშენებს სარაიასა.
— ბერიკაცო, ცოლი მამე, ჩაგიცმევ დარაიასა.
— თუ გამიცვლი და გაგიცვლი, სართს მოგცემ ყარაიასა,
თუ არა, ჩაცმა-დახურვას არ ვაკლებ ქალაიასა.

დათვის დამფთხალი

— დაგიწვი, ჩოთათ ივანეე, თოფის სალიშნედ ცალთვალი!
ცოცხალ როგორღა გაუშვი დათვი გოდორში ჩამძვრალი?
— დათვს როგორ შავეჭმებოდი, ჩემთვი გავიქე გამფთხალი.

ფშაველი და გაგილთ ნია

— დაგიღამდება, ხევსურო, ნიავ, ვერ მიხვალ ღულსაო.
— ნია ბნელაშიც გაივლის, მთვარეს არ უვდებს ყურსაო:
მივა და ჩაეგრიხება საყელომოჭარგულსაო.

ლევანი და ჰრელა

— ეხლა კი შაგხვდი, ჰრელაო, დაგამტვრევ, როგორც თხილია.
— მანამ მე გამტეხ, ჯეილო, მანამ არ მოგტყდეს კბილია,
ცივ წყალ დალიე მალევა, ცხელ გული გაიგრილია.
— კახეთში რისად ჩამოხვე, რადა ხარ გამოჭრილია?
არ გებადება მარცვალი, ერთხელ მოსაზელ ფქვილია.
— შენ სადღა გაქვის ბეღელი, შარშანის დაბეკდილია,
მასესხე, მაგრამ არა გაქვ, შენდაც სუ გაწყვეტილია.
— აჭ კახეთია, მაიცა, ოთხიც გაგვიბამ ფრთხილია.
— ის ხელ-ფეხს მალევ გაიხსნის, რომელიც გამოცდილია.
— კახეთით ბევრებ დავგზავნეთ, ყოვიეით გახეხილია.
— გუშინაც მუქარა მთხოვე, გულსა მაქვს შამოყრილია;
მგონია ჭიჩოელი ხარ, ჯოლმ არ მოგჭრაა კბილია,
ხინკალ არ მოგეხარშათა, არაგვში გადაყრილია?

მიხა ხელაშვილი და მათურელი ფშაველი

— ეხლა ძალიან დავითვერ, ვიბუღრანაევე რქებითა.
— მიწა რო სთხარო, რად გინდა, იქით რა ამოჩნდებისა?
— მათურელთ დალევის დღესა საფლავად გამოდგებისა.

ფილიპე და არტნელები

1

— სუყველა მე მელექსებით, ვინც მოხვედით არტნელები.
— გულს ჩვენ მოგაჯერებინებთ, საფერს შაგხვდით საფერები.
— ყინჩა ხელ'ში ჩამიცვივდით პურ-ყველივით საშმელები,
— ჯერ ვერ იცნობ არტნელებსა, არ გისწავლავ სახელები.
— რავი, ყველა ერთფერნი ხართ, შერცხვეს თქვენი
დამფერები.

2

— ლექსობაში რას გაჯობებთ, სიტყვა მოგდის მსჭვალივითა.
— რა ვიცი, რას მამისხედით კაი მეგობრებივითა.
— წყენით არას გაწყენინებთ, ტკბილ კაცი ხარ ცხვარივითა.
— მენაც ტკბილად მოგექცევით ნადირაის ქალივითა.
— ერთ ეგ არის ოქროს ღილი, გაფრინდება თვალივითა,
დაწითლებულ თვალები აქვ ცეცხლის ნაკვერჩხალივითა,
თავ ჰახაით გაბმული აქვ, ცხვირ დაჰკიდავ ზარივითა,
კბილებ რამღა დაუგრძელა, პიტალო კლდის სალივითა?

3

— ეხლა შინ წადი ფილიპე, ქორწილ გათავდა არტანსა.
— აცა, ხვარ გამოიტანენ საქალისმაყრო ტაგანსა?!
— წვეთ აღარ არი სასმლისა, ტყუილად უცდი მაგასა.
— წესია, გამოიტანეთ, ნუ მამიყვები ზღაპარსა,
თორო ქალს ისრიე წავიყვანთ, ვერ ეღირსებით სხვა რძალსა.

თათარა და ხოხა

— რად გადმოსახლდი, ხოხაო, ხაიშო ხელით გეჭირა.
— აიმე, ძაღლო, თათარავ, ჩემ ქოხში ბევრჯელ გეძინა.
— ხევისჯალაში რა გედვა, ნეტავი გამაგებინა.
— რაც ხევისჯალას წამუელ, ერთ კაც ვერ არი ჩემ წინა.
— მე ხაიშოშივ მინდოდი, აქ რო წამოხველ, მეწყინა.
— იქ სვილის არაყს გასმევდი, ანწლისა ართუ გერჩივნა?
— აქაურ ანწლის არაყსა, სვილისა სჯობის ჩემთვინა.
— სუ არე-არე რად დახვალ, ჯერ ძროხამ იცის ერთ ბინა.
— ჩემ აყრა შენაც გწყენიყო, გავიგე, თითზე გეკბინა.
— ნეტავ იქითაც აგყარა გავიგონებდი, მეცინა.

ყრუვ გიორგი და ნადირა

— რალა ვქნა, ჩემო ნადირავ, ბიძა დავკარგე, კონია.
— დედა უტირე, წავიდეს, მითამ სუ არა გყოლია.
— ნუ დაჰგმობ, ჩემო ნადირავ, განა ეგეთა ყროლია?
— შირაქში, ტარიმანაში, მე ეგ არ გამიგონია.

ხოხას სარჩო

— მათრახს რადა სწოვ ცეცხლჩია, ჩემო ძმობილო, ხოხაო?
— მა რა ვქნა, ძმობილ გენაცვლოს, სარჩო რით დავაცოტაო.
— მამაშენ იყო მდიდარი, ცეცხჩი არასა სწოვდაო.
— მე იმთვენ კიდენ დამჩება, რაც მამაჩემსა ჰქონდაო.

თევდორე თეთრაული და ღვთისო მინდოდაური

— მოიდა თოთელაშვილი, კაცი საყელოჭრელია!
— დაგხვდები მინდოდაური, თხასთან — თხა, მგელსთან — მგელია!
— არა გყავ შესაკაზმავი, არცა გყავ შესაბმელია.
— სუყველას ვიყოლიებდი, ხელობა მამცა შენია.
ავსე ნაქურდალითა ძირს — სახლი, მაღლა — სხვენია.
საწყლებსა კაწალხევლებსა ცრემლი ადინე ცხელია.

მა რა ვქნა?

— ლაგაზაურთ ქიზიყელო, რად ითვრები, მიწის მგელო?
— მა რა ვქნა, რო არ დავითვრა, ხელადაით მიზიდვენო,
არ დავლიო, არ იქნება, ჭიქას ხელში მიშინჯვენო.

მგლის ქორწილი

მგელმა თქვა: „ქორწილს ვაპირებ,
ღვინო ჩავასხი ნასეტყვი.
წავალ, მეცხვარეს ცხვარსა ვსთხოვ,
ციკანს მომცემს თუ კრავს მეტყვის.
არ მომცემს? — ძალად წავართმევ! —
თუ იტირებს და ბანს ვეტყვი!

ნათლია და ნათლიმამა

— ვერ გაიგია, მირონო, მე რო შენ წისქვილს მეყარა?
— გავიგე, მირონ გენაცვლოს, როგორ დაგიფქო ნეტარა?
— შენ ძაღლი შაპარულიყო, ალატში ფქვილი ეპამა,
ნეტავინ იქვე მიმესწრო, იმ ძაღლის ჯავრი მეყარა!
— ნეტავი ტყავიც გაგეძრო, ფქვილ იმით ამოგეტანა!



აღარა შესძლებია-რა ჰაღარაშერთულ ბერსაო, —
ხელდახელ დათვი მოუკლავს და ემუქრება დევსაო.

მერცხალას წაწალი

ფოთოლათ მერცხალაი ვარ, წაწალ გოდერძის ქალისა,
რაც მე მაგ ქალას დავსწაწლდი, სამჯერ მილოცეს თვალისა.
ერთ წუღად გულისათვისა სამჯერ ჩავვარდი თვალივსა.
ციხეგორს ამოდიოდა ბორტვ ნაგლეჯ წუღათ ნალისა...
საბძელი ჩამამეშალა, სამ ბოძ მივუდგი ბალისა.

ყინულის კაბა შევკერე, ფიფქი დავუდე სარჩულად,
მინდა რომ გამოვიყვანო ასე ტყუილი მართლურად.

ქალია

ჩემს საჩივარსა მოგიყვე იტყვი: „ვაჰ, შენი ბრალიაl“
შვიდი დღის ფეტვები ვხანი, შიგ ამოვხოცე ხარია,
იმის ნამი არ ეღირსა, გვალვა დაადგა დარია.
ავდე, წავედი ტყეშია, გამოვჭერ დიდი ღარია,
დუშეთის წყალი მოუგდე, იმაზე დაჭკნა ტანია.
სამკალად რომ მოვემზადე, შევაბი საბძელს კარია,
გავლესე ჩემი ნამგალი, მაგრა დავაგე ტარია,
დედაჩემი მეუბნება: „შვილო, იჩინე ძალია,
სადილად შეგიპატივე, დავნიშნე სამი ვარია...“
მინამ მე იქ ჩავიდოდი, შემოსეოდა კალია,
ისე მიბრუნდა-მობრუნდა, როგორც ბინაში ცხვარია.
ავდექი და დაუძახე, რაც ქვეყანაზე ქალია;
ქალები ვერაფერს გახდნენ, ქვრივებმა უყვეს ძალია.
ავდექ, გადავხტი ვენახში, მოვგლიჯე დიდი სარია,
მივიქნიე-მოვიქნიევი, დაოსდა ერთი კალია,
მე ზემოდანა დავაჯექ, ქვაზე უხალე თავია.
შვიდი ადლი კბილი ჰქონდა, რვა თუ ცხრა ადლი მბარია,
ვაიმე, რაზე შემშამდა, ღმერთო, შენ დამიფარიაl

ციცა და თაგვი

ციცა და თაგვი შეიბნენ, ჯერ დილა იყო ცისკრისა,
ომი ასტეხეს იგეთი, ბრიალა ადის ისრისა;
ერთი ბუღა თაგვი დასცეს, მწვადი ამოსწრეს კისრისა.
ჩვენს იქით ერთი წისქვილი ნიჩბის პირივით ისვრისა,
მეწისქვილეს ასტეხია დარდუბალა და ღვთის რისხვა!

რწყილი

წუხელა ვნახე სიზმარი შუაღამისა ხანსაო:
წყილი სამ დამემუქარა, დამამუქარებს ხმალსაო.
ავდეგ, ავანთე სანთელი, გაუდეგ იმის კვალსაო.
მძლივ სადამ გადავეწიე შუა ქართლისა მთასაო,
გადაუქნიე ფრანგული, წვერი უწვდინა ქვასაო.
ჯავარი დანა გავტეხე იმ ოხრის ტყავებასაო.
ქალაქს მძლივ წავაღებინე თორმეტუღელა ხარსაო.
გადმაჰვარდნიყო ბარკალი, მიარღვევს მიწა-მყარსაო
სუ დავავლიე ქალაქი, ვერავინა ჰდებს ფასსაო.

ჰინჰველა დავიძმობილე

ჰინჰველა დავიძმობილე, დავიწყეთ მასხარაობა,
არ მომეწონა ძმობილი, სცოდნიყო კანტალაობა.
ერთი წავარტყი კისერში, დაიწყო ბარგანაობა,
იმანაც ხელი მიბრუნა, გახდა ხმალ-ხანჯარაობა.

სად მიხვალ?

— სად მიხვალ, თეთრო ქათამო? — კახეთისაკენ, ბატონო.
— კახეთს რა გინდა, ქათამო? — ყაჩისათვინა, ბატონო.
— ყაჩი რათ გინდა, ქათამო? — ქალისათვინა, ბატონო.
— ქალი რათ გინდა, ქათამო? — სიძეს გავიჩენ, ბატონო.
— სიძე რათ გინდა, ქათამო? — შეშას გამიხეთქს, ბატონო.
— შეშა რათ გინდა, ქათამო? — წყალს გავაცხელებ, ბატონო.
— წყალი რათ გინდა, ქათამო? — თავს მოვითუთქავ, ბატონო.
— თავი რათ გინდა, ქათამო? — ნეფეს მივართომ, ბატონო.

ადამის ფაცერი

ადამმ წყალში ფაცერ ჩადგა, წვრილ წნელ მაჰჭრა გარჩეული,
ისეთა ლასტ მაუქსოვავ, ცხენ გაძვრება გაქცეული;
მეურნეებ არ მაუდის, ჯაკრში არი გახვეული, —
სამოც ფუთ თევზ აუტანავ, სუ სიმსხოზე არჩეული,
მაგას თევზით რა გააძღებს, ძველ ქონ-დუმას დაჩვეული,
ჯობს, რო ძროხას მოუაროს, არ გააშროს სარძეული.

განადირება კოდალაზე

განადირება მომწადდა მაღლა, სერების ძირსაო;
კოდალა შემამეყარა, გამამქექავი ხისაო;
წამაუქადლე მაჟარი, ბუმბულებ ჩამადისაო;
ველარ გაფრინდა ტიალი, დაჭრილი ჩამორბისაო.
გავიქე, ყელი გამოვჭერ, ტყავ-ხორცი მაღლა ჰკიდაო;
მოველი ამხანაგებსა, ცხენების მოსხმა მინდაო.
შინ დაუბარე ჯალაფთა: „სახინკლედ დაფქვით წმინდაო,
ცხენების მოხდას მიშველეთ, ჩემო მამაო-დ' ბიძაო!
ასეთ სახინკლე მოგართვით, ქერქი სქდებოდეს წვნითაო“.

კიკნაძე ბერი

გაღმიდანა გამოვსახლდი, მე ვარ კიკნაძე ბერია;
თორმეტი ფარა ცხვარი მყავ, თან მოაქვთ მთა და ველია;
თორმეტი ხვედა ძაღლი მყავ, არსად გაუშვა მგელია;
თორმეტულელა ხარი მყავ, სუ წინ და უკან ჭრელია;
თორმეტი ნიშა ფური მყავ, ერთ დილას მოსაწველია;
თორმეტი ნიშა კვიცი მყავ, სუ ერთად დასახედნია;
თორმეტი პატარძალი მყავ, სუ აკვანდასარწველია;

ზღვაში გოდორი ჩავაგდე თევზების დასაჭერია;
ორი გოდორი თევზი მაქვს, სუ უზალთუნი ჭრელია.
თამარ დედოფალ მეწვია... — მჭადით ვარ მასპინძელი.



ერთმა კაცმა ქორწილი ქნა ფეხდამწვარი წიწილითა,
კატა მაყრულს ეუბნება, თაგვი კვდება სიცილითა.

ვირი და მგელი

ვირი გაუშვი მინდვრადა: „სვი წყალი, ხვრიმე ნარია,
კუდბაწარ არ მოგეპაროს, უკუღმ გეჭიროს თვალია“.
ჭალაზე შამოვიდოდა ერთი პირმუქა მგელია:
„დაიცა, ვირო, მამიჭერ ბატარა სუკი, მხარია!
ამოგაბრუნო გზის ძირსა, ამოგიტრიხო თვალია“.
„მგელო, შენ ვერას მიიღებ, ბაგრატიონთი ვარიო,
ქალაქით მამიტანიან სამნი მარილის ქვანიო.
ბატარას შენაც გიწილებ, შაინელოდი მხალიო!“
„არ ვიცი მხალა-მხულათი, არა სჭამს ჩემი გვარიო!
ჩემს მამაპაპას უყვარდა გამოსახრავი ძვალია;
რახან ვირის ყურნ მამგონდან, კბილთ გამვარდების ქნარია,
წამოწევ, წამაიჭირე მსუქანი კუდისთავიო!
დიდი არ დაიყლოყინო, არ შამიყარო ჯარიო,
კუდი არ დააცმაცუნო, არ გამამთხარო თვალიო!..
ჩოკინა სახლში გავგზავნოთ, არ ამოვარდეს გვარიო“...
კოსალა მოკისკისებდა: „მეც მახვრეკინე ძვალიო!“
„კოსალავ, ხვრისა რა იცი, ფუტუროს შაყავ თავიო!“

ზღაპარ იყო

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი მამკვდარიყო.
მაღლა შავდევ — დამბალიყო, ჩამოვიღე — გამხმარიყო.
დიდს ქობში არ ჩამივიდა, ჩალხანაში ლაღად იყო.
ასმა კაცმა ვერ შაჭამა, პატარძალმა ლუკმად ღირო.

თქვენმა გაზრდამ

ორმოში ფეტვი ჩავყარე შესანახადაო,
შიგ წვიმა ჩამოსულიყო დასალპობადაო,
ორმოდანა ამოვყარე გასაშრობადაო,
ჩიტი ღობეზე შემოჯდა, ასაკენკადაო.
ჩიტსა სახრე წამოვუსვი, ასაქშევადაო.
ჩიტი ბატონთან გაიქცა საჩივლელადაო.
ბატონმა კაცი მიბოძა დასარბევადაო.
წითელი ხარი წამართვა დასაკლავადაო.
წითელ ღვინოს მომიხადა დასალევადაო.
შავი ძროხის თეთრი ყველი, თქვენმა გაზრდამაო,
ასე წამართვა ბატონმა, რაც რამ მებადაო.

ოთხი ნანა

სამი ძმები ლეკიანში მუშაობდნენ ყანასაო,
ლადიკოა სალუქვაძე, აქვსენტა და მანასაო.

მუშაობაც კარგი ჰქონდათ, დასძახოდნენ ნანასაო,
უღლად ხარები დაკარგეს, კამუშა და ალმასაო.

როცა სახლში გამობრუნდნენ, დასძახოდნენ ნანასაო,
დედამისმა მიაძახა: „რა უყავით ალმასაო?!“

„ჩემი ნენა, დაგვეთხუე, ნუღარ გვკითხავ ამბავსაო,
კამუშა და ალმასაო მივათესეთ ყანასაო.

ეს ნამუსი შეგვინახე, ნუღარ ეტყვი მამასაო;
სანუგეშოდ შემოვძახოთ, ოდელიე ნანასაო!“

სანთლის გუთანს ავაშენებ

სანთლის გუთანს ავაშენებ, შიგ შევაბამ უღელ თევზსა,
ზღვაში ვხნამ და ზღვაში ვთესამ, თაგვებს ვამკევინებ ქერსა,
ყინულზედ კალოს გავლეწამ, მორევშია ჩავყრი ბზესა,
ჭინჭველას გოდორს ავკიდებ, კამბეჩებს დაუყრის ბზესა.

სამი მგელი

სერზე მიდის სამი მგელი, ტუჩმოკლე და კუდაგრძელი,
ერთმანეთს ეუბნებიან: „ჭალას არის ლურჯა ცხენი;
ერთმა თავსა დაურბინოს, ორმა გავკრათ გავას ხელი,
პატრონს კაცი გაუგზავნოთ: „ნუღარ გინდა თივა-ქერი!“

ფოთოლათ მერცხალა

რად გინდა ჩემი გაგება, ან ჩემის ამბის კითხვაო?
ფოთოლათ მერცხალაი ვარ, ურძნის ჯოხივით ლიტაო.
კარზე დიდი მაქვ მამული, სახნავი ერთის თვისაო;
ასკოდიანში ქერ მიძე, ორასიანში წმინდაო;
კარზე მიბრუნავს წისქვილი, დაეფქავ, რომენიც მინდაო;

კარიკურ ხილით საცსე მაქვ: ვაშლითა, ხელის სხლითაო;
ბიჭი ვარ კაის ყელშია, რაც მინდა პირსა ვკითხაო...
კარჩი მგელ ვერას შამიჭამს, შინ შამოტანილს — ცოცაო.

რწყილი და ჭიანჭველა

რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. მიადგნენ ერთ რუსა. რწყილმა უთხრა ჭიანჭველასა: „მე გადავხტები და შენ რაღა გეშველებაო?“ „განა მე კი ვერ გადავხტებიო?!“ — უთხრა ჭიანჭველამ. რწყილმა ისკუპა — გადახტა; ჭიანჭველამ ისკუპა — წყალში ჩავარდა. შეეხვეწა რწყილსა: „ძმობილო, მიშველე რამე, ნუ დამახრჩობო“. რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და სთხოვა:

„ღორო, მომე ჯაგარი, დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

ღორმა უთხრა: „შენ რო ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო!“ რწყილი ახტა, დახტა, მივიდა მუხასთან და სთხოვა:

„მუხავ, მომე რკო, რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა, დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა“.

მუხამ უთხრა: „შენ რომ ჩემთვის ყვავი არ მოგიშორებიაო!“ რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ყვავთან და სთხოვა:

„ყვავო ეხსენ მუხასა, მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა, ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა, ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა“.

ყვავმა უთხრა: „შენ რომ ჩემთვის წიწილა არ მოგიყვანიაო!“ რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კრუხთან და სთხოვა:

„კრუხო, მომე წიწილა, წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა, მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა, ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა, ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

კრუხმა უთხრა: „შენ რომ ჩემთვის ფეტვი არ მოგიტანიაო!“ რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ორმოსთან და სთხოვა:

„ორმოვ, მომე ფეტვი, ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა, წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა, მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა, ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა, ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა“.

ორმომ უთხრა: „შენ რომ ჩემთვის თაგვი არ მოგიშორებიაო!“ რწყილი ახტა, დახტა, მივიდა თაგვთან და სთხოვა:

„თაგვო, ეხსენ ორმოსა, ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა, კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა, ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა, რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა, დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან, ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა“.

თაგვმა უთხრა: „შენ რომ ჩემთვის კატა არ მოგიშორებიაო!“ რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კატასთან და სთხოვა:

„კატავ, ეხსენ თაგვსა, თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა, ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა, წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა, მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა, ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა, ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა“.

კატამ უთხრა: „შენ რომ ჩემთვის რძე არ მოგიტანიაო!“ რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ძროხასთან და სთხოვა:

„ძროხავ, მომე რძე, რძეს მივუტან კატასა,
კატა დასთმობს თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა, ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა, კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა, მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა, ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა, ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა“.

ძროხამ უთხრა: „შენ რომ ჩემთვის ბალახი არ მოგიტანიაო!“ რწყილი ახტა, დახტა, დაგლიჯა მინდორში ბალახი და ძროხას მიუტანა. ძროხამ მისცა რძე, რძე მიუტანა კატას, კატა დაეხსნა თაგვსა, თაგვი მოშორდა ორმოსა, ორმომ მისცა ფეტვი, ფეტვი მიუტანა კრუხსა, კრუხმა მისცა წიწილა, წიწილი მიჰგვარა ყვავსა, ყვავი დაეხსნა მუხასა, მუხამ მისცა რკო, რკო მიუტანა ღორსა, ღორმა ჯაგარი უთავაზა. რწყილმა ჯაგრის ბაწარი დაგრიხა და ჩაუგდო წყალში ჭიანჭველას, რომელიც ბალახს მოსჭიდებოდა. ჭიანჭველა ბაწარზე შეჯდა, რწყილმა ბაწარი გამოსწია, ჭიანჭველა ნაპირს გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა.

მერე ისევ ძმურად გაუდგნენ გზასა.

მელია და მამალი

ორშაბათ დილა გათენდა, რა ავი დარი დგებაო;
ის ჩვენი წუწკი მელია საომრად ემზადებაო;
წავიდა, იქ მიცუნცულდა, სადაც მამალი ჯდებაო:
„პატარა ხორცი მიბოძე, მელას გზა გაეელებაო“.
„შენ ჩემს ხორცს როგორ შეირგებ, ყელს ძვალი დაგადგებაო;
ჩემს პატრონს კარგი თოფი აქვს, მეხივით გავარდებაო“.
„მეც კარგად ვიცნობ შენს პატრონს, უყვარს მუცელზე
გდებაო;
თოფი კაჩხას უკიდია, ჩახმახი უჟანგდებაო,
გინდ მუგუზალი დაადო, მაინც არ გავარდებაო“...

ოცი ჭინჭველასთან

მე და ჭინჭველას გოგიხდა, ერთურთს ვაგინეთ ცოლები;
ძირაით შამამექანა, შამამაჭყირა თოლები.

თითო ეგეთი მჯიღი მცა, სულ ჩამამტვრია ძოლები;
მარტუამ ვერა უყავ-რა, შემემეშველნეს სწორები.
დავხოცეთ ჯინჭველეები, ავაგეთ ლეშის გორები·
ჩადით და ამაიტანეთ, თორო დაშჭამენ ყორნები.

თხა და ვენახი

მოდი ვნახო ვენახი, რამ შეჭამა ვენახი?
მიველ, ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი.
მოდი, ვნახო თხა, რამ შეჭამა თხა?
მიველ, ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა.
მგელმა — თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახო მგელი, რამ შეჭამა მგელი?
მიველ, ვნახე მგელი, თოფმა ჭამა მგელი.
თოფმა მგელი, მგელმა — თხა, თხამ ვენახი შეჭამა,
მოდი, ვნახო თოფი, რამ შეჭამა თოფი?
მიველ, ვნახე თოფი, ყანგმა ჭამა თოფი,
ყანგმა — თოფი, თოფმა — მგელი,
მგელმა — თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახო ყანგი, რამ შეჭამა ყანგი?
მიველ, ვნახე ყანგი, მიწამ ჭამა ყანგი.
მიწამ — ყანგი, ყანგმა — თოფი, თოფმა — მგელი,
მგელმა — თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო მიწა, რამ შეჭამა მიწა?
მიველ, ვნახე მიწა, თაგვმა ჭამა მიწა.
თაგვმა — მიწა, მიწამ — ყანგი, ყანგმა — თოფი,
თოფმა — მგელი, მგელმა — თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო თაგვი, რამ შეჭამა თაგვი?
მიველ ვნახე თაგვი, კატამ ჭამა თაგვი.
კატამ — თაგვი, თაგვმა — მიწა, მიწამ — ყანგი,
ყანგმა — თოფი, თოფმა — მგელი, მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

თაგვებისა და კატის ომი

თაგვებმა დასვეს ხემწიფე, სახელად კეისარია,
წავიდენ, ცოლი მაჰგვარეს, მზეთუნახავი ქალია;
შვიდ დღე-ღამეს ქნეს ქორწილი, აწვიეს მთა და ბარია,
სამოცი დაკლეს ფურბერწი, სხვა უთვალავი ცხვარია.
გარს შამაავლეს მოთხრილი, ზედ შამაუგდეს წყალია.
ამდენი ღვინო დახარჯეს, რამდენიც ალაზანია.
მთაზე გადმოჩნდა ნაწევი, გადმააბნელა მთანია.
ციცის დაჭერას ფიქრობენ, მძიმე შაყარეს ჯარია.
ციცას მიუხდენ კარზედა: „ციცავ, გაგვიღე კარია!“
ციცა ციხეში შავიდა, წელთით დაკეტა კარია!
„ციცავ, ციხეში რად შახველ, თუ გულ არ გედვა ხღალია?!“
ციცამ კარ არა გაუღო, „კვირა-შაბათის ძალია!
ორშაბათ დილა გათენდეს, თუ გული მიძე ხდალია!..“
ორშაბათ დილა გათენდა, ციცამ გალესა ხმალია;
ყელს ლარი გადაიკიდა, ბროლით ნაჭედი ფარია;
თაგვებში გამეერია, დიდ დადგა ცოდვა-ბრალია!
ზოგმა გატეხა ხანჯარი, ზოგმა ფრანგული ხმალია.
გაწყვიტა დიაც-ყმაწვილი, ცამდი ააგო მკვდარია.
თაგვებს მაუკლა ხემწიფე, გააგდებინა თავია!..
